

644 /  
1961/3

ՀԱՅԿԵՆՆԵՐ  
ԳՐԱԳՐԱԿԱՆ  
ՆՈՒՅՆԱԿԱՆ

Օրաշար

Արմ

2

*საბჭოთა*



ლიბერატურულ-მხატვრული და  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური  
ჟურნალი  
საპარტიზოლოს ალკა ც. კ-სა და  
მწერალთა კავშირის ორგანო

7458

*[Handwritten scribble]*

შ ი ნ ა კ რ ს ი

2

1961

თებერვალი

გამომცემლობა  
„საბჭოთა  
მწერალი“

|   |    |
|---|----|
| კ. კალაძე — შავი მხედარი (პოემა) . . . . .  | 8  |
| ლ. ხაინდრაშვილი — გვირგვინი (მოთხრობა) . . . . .                                    | 21 |
| შ. ნიშნაძე — პირველისა და უკანასკნელის<br>შესახებ (ლექსი) . . . . .                 | 32 |
| ს. კორინთელი — ხანამ ცოცხალი ხარ (რომა-<br>ნი. გაგრძელება) . . . . .                | 38 |
| მ. ლეონიძე — ლექსები . . . . .  | 56 |
| მ. გვახაჩიანი — სტუმრობა (მოთხრობა) . . . . .                                       | 60 |
| ა.ლ. რაჭვინძე — ადამიანის სიკვდილი (მოთხ-<br>რობა) . . . . .                        | 75 |
| ი. ურჯუმიანი — ვოლგის ასული (მო-<br>თხრობა) . . . . .                               | 80 |
| ბაკურიანი, მთავრი და თოვლი (ჩანახატები<br>თ. შირვაშვილისა, ტექსტი ჯ.<br>ჩარკვიანი). |    |

საბჭოთა საპარტიზოლოს 40 წელი

|   |     |
|---|-----|
| ა.ლ. გვირგვინი — აფეთქება . . . . .   | 102 |
| მ. ჯიჯიანი — ოქტომბრის რევოლუცია და<br>ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის<br>საქართველოში . . . . . | 107 |



|  |     |
|--|-----|
| ბ. ასათიანი — აკაკი წერეთლის ლირიკა . . . . .                                  | 112 |
| ბ. ბაქრაძე — რამდენიმე შენიშვნა სათავე-<br>გადასავლო რომანის შესახებ . . . . . | 122 |
| ბ. ჯიბუტი — გიორგი ქუჩიშვილი . . . . .   | 128 |
| ჯ. ლიტონი — რაბინდრანატ თაგორი და გლე-<br>ხობის საკითხი . . . . .              | 132 |
| ს. ცაიშვილი — მიხაი ზიჩი საქართველოში . . . . .                                | 135 |
| ი. სურგულაძე — საყურადღებო მეცნიერული<br>ნაშრომი . . . . .                     | 140 |
| ბ. მირიანაშვილი — კავკასიური ხალხური პო-<br>ეზია . . . . .                     | 148 |
| ლ. ჩიქვანიძე — წარსულის მოწამეები . . . . .                                    | 147 |

საბიკრა და იუმორი

|                                  |     |
|----------------------------------|-----|
| ბ. შანჭიჭიძე — მარკიზა . . . . . | 154 |
|----------------------------------|-----|



რედაქტორი ვახტანგ ქელიძე

სარედაქციო კოლეგია:

თ. ბაღრაშვილი, რ. თვარაძე (პ/მე მდივანი), კ. კალაძე, გ. შატერაშვილი,  
ო. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია.

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-87-02.

---

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/11-61 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით  
ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვ. № 131. უე 00015. ქალაქის ზომა 70×108. ტირაჟი 6.500.

---

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს შთავარპოლიგრაფიკამომცემლობის ბეჭდვით  
სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры  
Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.

პარი



# მხარე

ამილახვარს უღალი ჩონა ვცვა მუდამ და მის ქურან ცხენსაც აღის ფერი უფრო გადაჭრაუდა ვინემ შავი, მაგრამ მომავალ მზის სინათლეში იგი რატომღაც უველას მავ ძველრად ეჩვენებოდა.

ულგუჯა კი ხალხის შვილი იყო, თავისუფლების მოტრფი-  
აღუ, თავდადებული... და ხანელიც ხალხმა შეარქვა, ნამდვი-  
ლი ვინაობა მისი ახლაც არავინ იცის.

ჩვენი საუკუნის ამ პირველ თაობას, პირველ ახალგაზრ-  
დებს ხატავს ეს პოემა — რომლის მხოლოდ რამდენიმე ვაიზო-  
დი იბეჭდება „ცისკრის“ ამ სოჰერში.

## კარი პირველი

I

კაში დღემ ისე იფეთქა,  
თითქოს გამოვკარ სასხლეტი,  
თითქოს თვალნათლივ წინ ედგა  
ჩვენი დრო, ჩვენი ასწლელი!

და ათას ცხრაას პირველი  
ამოტრენილი ცისკრიდან  
ვით მოსისხარნ ფრინველი  
შკვე მზის გულ-მკერდს წიწკნიდა...

ცხოვრებაე ჩემო, ახალო,  
აჰა, ის დღე და სოფელი,  
ძველი სააყალმაყალო  
დაუქრობ-დაუნდობელი.

აქ მრავალ დამარცხებითაც  
არ წარცხილა გზა-აევალი,  
აჰა, მღელვარე წლები და  
მღელვარე გულის ზრახვანი —

წლების იმ ნაღწეებიდან  
წამოდგა ამილახვარი!

## II

იკნობდეთ გურამს... შეილია  
 ბედ-გაიწყრალ ამილახვარის,  
 სხვა ყველა ამოშლილია  
 ძველი შენკვიდრე ამ გვარის!

ჯერ კიდევ ცოცხლობს, უყურეთ,  
 ჯერ ოცდაორი წლის არი,  
 ჩვენკენ მოარღვევს უკუნეთს  
 გულში რომ ენთო — ის ალი!

თუმც მწუხარებამ გათოკა,  
 წაართვა სიტყვის უფლება,  
 დგას სიშორეში, მარტოკა  
 დგას, და ბნელს ესაუბრება:

„— ზინდოდა თავის დაღწევა,  
 ვადმოვჰერ ცხრამთა, ცხრაწყარო,  
 და ისევ მამის კარზე ვარ,  
 მსურს ჩემი მოსვლა ვახარო, —

— მამა ხარ ჩემი, გარსევან,  
 თავადო ამილახვარო!“

## III

დინჯი და აუჩქარები  
 მამაც შორს მაშინ არ იდგა,—  
 ბრძანა გაეღოთ კარები,  
 სანთლით ხმას გამოაკითხა.

შვილი სისხლი და ხორცია,  
 გულში ჩაიკრა ხალისით  
 და მერე ხარბად მოსწია  
 ისევ ჩიბუხი თავისი.

სცემს ბოლთას. ორად ვაფატრულ  
 ახალბოს ფრთები გაშლია.  
 თამბაქოს ბოლიც თავადურ  
 უღვაშებზევით აჩნია.

დაუჩაგრიათ განწირვით.  
 ბერი-არწივი ძლიერებს, —  
 ბუდეც არ ხარობს არწივით,  
 შემკრთალი ვათვალიერებს:

სულს ამოითქვამს კაცივით  
 დარბაზის სიცილიერე...

## IV

ჯავრობს გურამი: „— გარსევან,  
 ახალს რას ნეტყვი მკვენესარი,

თუმცა კვლავ მამის კარზე ვარ,  
 მამული ვანა ეს არი?!

ჩვენი სიცოცხლაც გაიყო,  
 წარღვნას აზოდ ვეშალეთ,  
 როგორც მეწყერმა, წაიღო  
 გადამთიელმა მევალემ.

მაგრამ ჯერ მალა ჰკიდია  
 ფარხმალი ამილახვრული,  
 ნოხიც არ გაუყიდიათ  
 აქ სადარბაზოდ აკრული,

ჯერ კიდევ წარუშლელია  
 დარბაისლური ჩვევანი,  
 ჯერ კიდევ ტახტი ჩვენია,  
 წინ გაწოლილი მწევარი,

და ჰერსაც შემორჩენია  
 დამკენარი ყურძნის მტევანი...

## V

„— ერთი უბრალო ნთა იყო,  
 მტკერის დაჩრდილული რიყითა,  
 ძალით ხელმწიფემ დაიპყრო,  
 ნებით ვაქარმა იყიდა.

ბალი ავდარმა დაღწეა,  
 მამულიც აღარ აყუავდა,  
 ფესვებ-მოთხრილი დაეცა  
 ხე იგი ამილახვართა.

ქარიშხლით გადათელილი  
 კვლავ გაიხარებს, ვფიცავარ, —  
 იმის ფესვებზე შეთენილი  
 გამხმარი შავი მიწა ვარ!

პეტერბურგიდან ლტოლვილი  
 დაკარგულ ნამულს დავეძებ,  
 ნისლივით ცხრამთას მოვივლი  
 რომ ცრემლად მაინც დავეცი

გაყიდულ-გამოგლოვილი  
 თავეთუხის პურის თაველზე!..“

## VI

ასე ბორგავდა გურამი,  
 უძძიმდა შესმა შხამისა,  
 გახსნოდა ყელსაბურავი  
 ყორნისფერ მოსასხამისა.



როგორ არ უნდა ლელავდეს  
საკუთარ ბედის მხილებით! —  
სულს უხუთავენ, ყელამდე  
მიჯრილი ოქროს ღილები!

მოულოდნელად მოვიდა  
აქ, როგორც ლახვარსობილი,  
ოჯახს შეჰყურებს გლოვითა,  
შავბნელ ვარსკვლავზე შობილი.

დრომ სულ უმწეო გახადა,  
ბავშვივით შესაბრალისი...  
ძველ სკივრებს თავი ახადა  
რომ ეგრძნო ძველი ხალისი, —

თავისი ჩოხა ნახა და  
ქამარ-ხანჯალი თავისი!

### VII

ჩაიცვა, ტანზე დაშვენდა,  
და მისი ფერისცვალებით  
უსიტყვო ცრემლით დასველდა  
მოხუც გამდელის თვალებიც:

„ზეჭებ-გაშლილი ჭადარი“  
დალოცეს დამჭკნარ თითებმა...  
მაგრამ დიდება სად არი,  
ამილახვართა დიდება!

იმედის-თვალო, სადა ხარ,  
შორით რომ აიმედებდი,  
დადის, დაგვიღებს კაროიკარ,  
გრძნობდა, რომ გაიმეტებდი!

თუ სიყვარული გვამაღლებს,  
ან იყოს ქვეყნად ან არა!  
ბიჭს რა ნაღველი ანაოილებს,  
გაჩენის დღე რამ ანანა!?

ნუთუ არავის აახლებს,  
დღეს ქალაქიდან მანანა!

### VIII

იქნებ, ერთ უცხო ჩიტვივით,  
ამ ქალსაც მოსწონს გალია,  
იქნებ, ერთობა ჭიდილით —  
მუხრან-ბატონის ქალია!

გული შორს გადახვეწილი,  
იქნებ გასწირა სრულიად...  
არა! აქ ყველა კეთილი  
ღუმელით დანისლულია!

და შინ გურაძი კი არა —  
ქარცეცხლი დაიარება,  
ქვეყანა აახმიანა  
მუხლით გაღებულ კარებმა!

ღმერთის აუგი ხსენებით  
ცხენს მისწვდა თვალგებდადლილი.  
გაავეებული ხელებით  
მსახურს აპგლიჯა აღვირი,

და ღამეს გაჰყვა ჭენებით  
ღიწის პირიდან აღგვილი...

### IX

ბნელში კი დარჩა სანთელი  
გადამატველი აივნის,  
მიწაზე ამაღამდელი.  
ბოღმაც ლანდივით გაივლის.

მოხუცი ამილახვარი  
ჯავრს ისე დაუტანჯია,  
რომ მხრები მისი მალალი  
მხოლოდ-და მიწას აჩნია!

დადის მამულში სულივით,  
ჩტკვარს გადაჰყურებს მფლობელს.  
შორს განგებ გადასულივით  
გარინდებულა სოფელი.

აზრი ვერც შვილის გაქცევის  
და ვერც შინ მოსვლას გაუგო:  
„— აუ, ავბედის არჩევანს  
საით წაუხვალ, აუგო!..“

სიტყვა აღმოხდა გარსევენს  
და გული შუა გაუყო.

### X

არავინ ესაუბრებდა,  
დარჩა ამოღ, კარ-ლია,

მაგრამ თავისი უფლება  
არა, არ დაუქარგია —

და თუ ამ შუალამითაც  
ტივი გამოჰყვა მდინარეს, —  
გადაუდგება ავი და  
ხნა ჩაუხჩება მძვინვარეს.

ტივებს თუ მიეჩქარებათ,  
მფლობელის განქარგულებით —  
უნდა ესროლონ ჯარიმად  
ნაპირზე ვერცხლის ფულები...

მტკვარს ეფინება გვიანი  
შუქი და ჩრდილთა ქსოვილი,  
და ვერცხლის მანეთიანიც  
ტივიდან გადმოსროლილი

ქვიშას ეცემა წყრილით  
როგორც ვარსკვლავი ცთონილი...

XI

ჩაივლის ტივი, ჩაივლის  
გულამღვრეული მდინარე.  
ვით შეფრქოვება დაირის —  
ხეც შეირხევა მძინარე.

მაგრამ წარბები გარსევანს  
რჩება შემართულ მშვილდებად,  
შეშფოთებული არსება  
ფიქრით ვერ დაუმშვიდდება:

„შვილო, ჩრდილივით დადიხარ  
ჩრდილოეთიდან ლტოლვილი,  
გამოუთქმელი დარდი ხარ  
ქარბუქით გადმოთოვილი!“ —

იტყვის ყრულ ამილახვარი  
და იგრძნობს შვილსაც რა ტანჯავს:  
„თუ ეგ სამშობლო ცა არი,  
ჩვენი ვარსკვლავი რად არ ჩანს,

თქვას, ჩვენი ხვედრი რა არი,  
სამილახვროდ რა დარჩა?!“

XII

ისევ გურამ ანილახვარს  
დაეწიოს მინდა თვალი,  
სხვა არავინ არ მინახავს  
ენტოს ასე ჩაუქრალი.

ყელს გამოლრდნის თითო სიტყვა,  
როგორც კლდეებს წყალთა დენა, —  
სული ველარ ამოითქვა  
ღამე ისე გაათენა.

სარდაფიდან ამოხედა  
აღმართებზე ნაგებ თბილისს,  
შეეგება ჭადრის ხე და  
მოშრიალე ბინდი ჩრდილის.

ხან ღიმილით და ხან მტრულად  
აკვირდება ქალაქს მთვრალი:  
აგრე მრუდედ აგებულა  
თუ აებნა მართლა თვალი,

ვინ დასტოვა გაბედულად  
აივნების შუა მტკვარი!

XIII

მედოლეთა ხელში იყო  
ღამით მისი გულის ძგერა,  
ხელებს ხვევდნენ, ვერ გაეგოთ  
მკერდია თუ ცეცხლის კერა!

ახლა ცისკრის ყვავილებით  
შეიფოთლენ მრავალფერად,  
და შეაკრთეს აივნებიც  
ფრთებაშლილნი ასაფრენად!

ახლა იმათ შავ-შავ ჩოხებს  
ქარი დასდევს ქუჩა-ქუჩა,  
სადაც არი წაუჩოქებს  
მტკვარს ზედოლე თმახუქუქა, —

სიზმარივით მიწურვია  
თვალი ხანჯლით გაკაწრული,  
მკლავებზე დოლი მოიმწყვდია  
ყაჩაღივით გაბაწრული,

რომ გოდებად დარჩეს წყვილიად  
შათი ღამის დასასრული

XIV

ცას აჩნია ცრემლის ლაქად  
ვარსკვლავები ამოშლილი,  
მათ გურამის თვალნი აგავთ  
წამწამების ახლავთ ჩრდილი.

იგი მხოლოდ სარკმელს უმზერს  
შორს, ბინდბუნდში გამოსახულს,  
ზე-ამართულ ხელისგულზე  
თეფშით ჭიქა უდგას მსახურს.

ისევ აღისფერი ღვინით  
ავსებულა მის წინ დილა,  
და სახლებიც ლოთებივით  
ქუჩის ბნელში მიწოლილან.

არა, სმა ვერ დააძთავრა:  
სავსე კიდევ არის ერთი! —  
სურს ჩაწიხლოს რაც ისწავლა,  
გაურისხდეს თუნდაც ღმერთი.

მხრების რხევით უნდა გავლა,  
არ ეტევა მხრებში მკერდი...

XV

ჩუმად ღვივის ჩუმი დარდი  
და მკენესარე სალამური,  
ჩუმად ღვივის განთიადიც  
გულის ცეცხლით გააღული...

სალამურმა ამოლია  
სულისთქმა და აამღერა,  
დოლიც ისე აჰყოლია  
როგორც წიმიმე გულის ძგერა.

მზე მოადგა საყდრის გუმბათს,  
ამოშალა შუქით ჩერო —  
კალმის ერთი მოსმით უნდა  
ძირს ლანდები გადმოწეროს! —

ბევრი სხივი დაიბნევა,  
მოვა ერთი იმათგანი,

ჯერ მტკერისპირად ისევ ბნელა  
აღმართებზე არვინ არი —

რომ ნათდება შუქით ნელა  
შორს მანანას აივანი...

XVI

გრძნობს მანანაც განაბული,  
რომ შინ ფარდის აუშულელად  
შემოიჭრა სალამური  
და სიზმარი აუჭრელა!

თვალს არ ახელს დანანებით,  
არ აწუხებს მისი გეში, —  
წევანან შავი დალაღები  
ბალიშების სითეთრეში.

სძინავს... სძინავს... სუნთქვა ჯრთხილი  
ჩუმ ღიმილში იმალება,  
იფარება რტოთა ჩრდილით  
ქურციკივით დიდ-თვალემა!

ასე წევანან მანანები,  
ასე, ნისლი არა ჰბურავთ,  
და ვინ ახსნას!.. წამწამები  
ჩაწერილან არაბულად! —

თვითონვე აქვთ ნაბრძანები  
დარჩნენ ასე განაბულად...

XVII

სწორად უთქვამთ, განა ჭორად, —  
გვიანდაა დაღონება:  
ვერც შორეთმა განაშორა,  
ხიბლავს მისი გაგონება!

ავლავ აუნთო გული წამმა,  
აბა, როგორ არ აწეალოს,  
ზაგრამ სახლი? ბედი? მამა?  
თავი რომელს ანაცვალოს!

ვინ მისწვდება კიდით-კიდეს,  
დრო იხელთეს ავკაცებმა,  
სიყვარული გაუყიდეს  
და ქალური გატაცება, —



თორემ ერთი აშლა ფარდის,  
კაბის ერთი შარიშური,  
თორემ ერთი სროლა ვარდის,  
ერთი წაში დანიშნული —

და ვით ლანდი შავი დარდის  
წაშავდება შავი შურიც!

XVIII

ზზე კი დადის ცეცხლის ფრქვევით  
დადის როგორც მოხალისე  
და მიჰყვება მტკვრისპირს, ქვევით,  
სალამურის კენესა ისევ...

მაგრამ თვალწინ ადგა ვიღაც  
ამოითქვა ზძიმედ სული,  
თითქოს შუქმა გააღვიძა  
შენობებში მომწყვდეული.

და გურამი შეაჩერდა,  
ნაბიჯივით შედგა დოლიც,  
მიაძახა: „მოდი ჩემთან,  
გახდი ჩემი თანატოლი!

ღარიბი ვარ, საღიმილოდ  
ჟარესი რა ითქმება, —  
მხოლოდ ერთი ჭიქა ღვინო  
იმედევით შინ მიმყვება,

ან დალიე და ვილხინოთ,  
ან სისხლივით დაიღვრება!“

XIX

უტყვეროდნენ და უცნობი  
მორჩილებით მხარბეჰს ხრიდა,  
დარჩა როგორც თანამგრძნობი,  
თავი მათ არ მოაჩიდა,

შემოიხსნა ჩაბალახი  
და წარმოსდგა მათწინ მალე —  
ავთანდილის ნათელ სახით  
ახალგაზრდა მომღიმარე.

ალისფერად მითროლოვარ ჭიქას  
მიაგება ხელისგული, —

თქვა: „დღეგრძელი კაცი იყავ,  
თუ ხარ ქვეყნად შერისხული!“

გურამი კი ისევ დაობს,  
და აივანს ტყორცნა მზერა, —  
თხოვს დალოცონ სათითაოდ  
ნისი ავი ბედისწერა, —

„სადღეგრძელო არ მინდაო“ —  
ხელი გულთან შეუჩერა.

XX

მაცდურივით ამართულა  
შორს მანანას აივანი.  
და უცნობმაც თითქოს მტრულად  
შენაათა უცებ თვალთ.

მოერია ჯავრი გვიან  
და შეიპყრო რაღაც უინმა, —  
ჭიქა ხელში დაიმსხვრია  
რისხევით წარბებჩამოშლილმა!

სისხლიანი ღვინო შავად  
თითებშუა ჩამოსდინდა,  
ჩაბალახით მოიმშრალა  
და ხმადაბლა თქვა: „არ ზინდა!“

სურდა წასვლაც... მაგრამ: „საით?!“ —  
შეეგება გმინვა ხარბი,  
ანთებულა და სიავით  
წინ გურამი მოისწრაფის

და საზარლად კატასავით  
წელს აიწევეს შავი წარბიც...

XXI

მაინც ერთი წაში კმარა:  
ელვა ჩაჰქრა სატყვარის!  
და მარდ ნახტომს მოეფარა  
იგი, ვიღაც უეცარი...

როგორც თოფის ყელში ტყვია —  
გულში დარჩა გურამს ჯავრი...  
გაშლილ მხრებზე მოეხვია  
ისევ საში თანამგზავრი.



გააგებით გაჰკრა თვალი  
არე-მარეს ვით აღმასი,  
მდუმარებდა აივანი  
და სარკმელი მანანასი ..

მაგრამ იგრძნო, რომ ნიავით  
აიშალა ფრთხილი ფარდა,  
რომ: სარკმელში ქალის მკლავი  
ნებიერად აიმართა,

თითებს აჰყუა თმის ნაწნავი  
და საყურე აელვარდა...

XXII

გურამი უცებ გაცილდა  
სარკმელს გულდაისრულებით, —  
უცნობს ეძებდა მკაცრი და  
დაუცხრომელი სურვილით.

კვალი არ სჩანდა არსიით,  
გაჰკრა ვით განგებოიანი,  
ელანდებოდა ფრთხილად  
შორს ჩაბალახის ფრიალი.

მაჯას იკბენდა გურამი  
და არ სტყიოდა ჭრილობა, —  
„ნუ დაიჯეროს ნურავინ  
გურამის გვარიშვილობა,“ —

თუ ამართული ჰაერში  
ამოდ შერჩა ზარჯენა,  
გაქვევებულმა კაეშნიო,  
წყრომაც თუ ვეღარ აჩვენა —

აე სულისთქმაში, გაღეშილს,  
ჯავრი ჩაჰყვება მტანჯველად!“

XXIII

„რა ითაკილა, რა იყო,  
რად აიმირიზა ამგვარად! —  
ხელთ ჭიქა ღვინო აიღო  
და როგორც შხამი დაღვარა!“

ვერ გამოიცინოს ვერავინ  
წამით გამჭრალი ქარაგმა,

თვალთაგან დაუზვერავი  
შთანთქა უეცრივ ქალაქმა.

„ვინ არი, გასაგმირალი,  
როგორ ამოჰყვა ბნელ ქუჩას?!“  
არავინ იცის ვინ არი...  
და შე დაეარქმევე: ელგუჯას!

მისი მხარბევის მნახველი  
აქ, ჩაბალახის ამარად,  
გავხდები მისი მფარველი  
და თანამგზავრი შთაბარად.

სახე დამალა, სახელიც  
მოგონილია საფარად.

XXIV

მის წინ მეტეხის ხილია,  
მიდის და მიეჩქარება,  
წინ ხელოსნები მიდიან,  
ჩრდილივით მიემგვანება.

ხიდქვეშ ტრიალებს მორევი,  
მტკვარი დუღონით გართულა,  
მგზავრები განშეორებით  
ტალღებზე გადახატულან.

გაღმა ხრიალით აღებენ  
მჭედლები უავე დარაბებს, —  
ღიმილით გადასძახებენ  
ერთმანეთს მოსვლისთანავე...

ელგუჯაც ხიდზე გასულა,  
ჩაფიქრებული მიდის წინ,  
ლანდით მტკვრის ტაღა გასცურა  
და გაჰკრა ლანდი იმისი,

მაგრამ აქ ტყვიის გასროლამ  
შეაერთო უცებ თბილისი!..

XXV

პირქუშად გაღმობიხედავს  
რუხი და სახე-გამხდარი  
ციდან მეტეხის ციხე და  
ცად-აპყრობილი საყდარი.

წამით შედრკება ელგუჯა,  
ჩრდილს ეფარება სიხქართით,  
ხედავს: შეიძრა ჯერ ქუჩა  
მერე მეტეხის კიშკარი.

ძახილმა ხალხი შეჰყარა  
ხმაჩახლეჩილად მღვღვარე,  
კლდეზე გუშავი შემდგარა  
და თოფის ლულა ელვარებს.

თვალევით ამონათხარი  
სჩანს სარკმელები დასჯილთა,  
ელგუჯაც მიჰყვა მაგალითს  
და როცა საფარს დასცილდა —

შოვიდა ვიღაც მაღალი  
და ჩუმად ხელი ჩასჭიდა.

XXVI

არას ამბობენ რა მოხდა  
მათი ფერმკრთალი სახენი,  
მხოლოდ ელგუჯას აღმოხდა  
გზინვით ვაჟკაცის სახელი.

ვერ ნახა ისევ ტუსადის  
გადახაზული სურათი, —  
სარკმლიდან აღარ უძახის  
მომღიმიარი და გულადი...

თქვა: „სარკმელს ვეღარ მივსწვდებით, —  
მას ტყვიით ვისწვდა ვერაგი,  
სჩანს სულთმობრძავი თითებით  
მკერდს მოხეული პერანგი!

ვაი, თუ სამგლოვიაროდ  
დამრჩა ეგ ჩემი ბარათი,  
ბრძასავით ბნელში ვიარე  
და სამი ღამე ემაღავდი —

სანამ არ დავაგვიანე  
ვერ მივალწიე მანამდის..“

XXVII

თქვა და ორნივ გაჰქრნენ კიდეც,  
ელდამ ორნივ დაადუმა,

ჩაირბინეს ქუჩის კიდე  
და ოთახში გაჩნდნენ უმალ...

მაგიდაზე დაუჭრიათ  
საზამთრო და თეთრი პური, —  
შემოხედეს კარის ჰრიალს,  
აიშალა სუფრა ძმური.

ძლივს ითქვამდა სულს ელგუჯა  
მწუხარე და არას ზოქმელი,  
ცალი ხელით ჩაიბღუჯა  
ჩაბლახი სისხლით სველი

და აღმოხდა მხოლოდ — „ვაჰ მე!“  
ხელს დასცქერის ფერმიხდილი:  
„ხელი რაა, თუნდაც გახმეს,  
ჩვენ ვაჟკაცის სიკვდილს ეტირით

ვეღარავინ გადმოგვცახებეს  
მეტეხიდან ყოველ დილით!

XXVIII

„კეცხოველი მოჰკლეს, ძმებო!“ —  
თქვა და ისევ შედგა უცებ.  
ხმა ჩაუწყდათ გაოცებულთ,  
თითქოს გულიც აღარ უცემთ.

„საპატიმრო იყო მკაცრი,  
კენესა აკლდა განა მეტეხს!?  
რომ სარკმელთან მდგარი აკვი  
გასაგმირად გაიმეტეს!“

სდუმს არჩილი და არსენა,  
ლუკმა პური გადაჰყარეს.  
გზა მესამემ გაიხსენა —  
ტყვიასავით ეცა კარებს!

შას კი ვიღაც მიჰყვა მარდად,  
სარდაფიდან გარბის ყველა.  
ერთი შედგა მაინც კართან,  
შემობრუნდა ჩუმად, ნელა,

და ფერმიხდილ მეგობართან  
დარჩა ისევ განუყრელად...



XXIX

ხელს შემოხსნა ჩაბალახი  
და ჭრილობა გაუსინჯა, —  
შემდეგ მხოლოდ, შემკრთალ სახით  
მას ამბავი ჰკითხა დინჯად.

„— არაუშავს, გულის წყლული  
მიმანჩია უფრო მეტად.  
ღვინის ჰკითხე ხელისგული  
გაეიჭერი უცაბედათ.“

ქუჩის ბნელმა ვერ დამალა,  
შემეგახა ვიღაც ურჩი,  
სადღეგრძელო დამაძალა  
მაგრამ ხანჯალს გადაუტრჩი...“

და ელგუჯამ ეს ამბავი  
მოსჭრა რომ არ გაეკილა.  
მეგობარს კი შესაბრალი  
წამწანები გაეხილა

და თევზივით ჭროლა თვალი  
მწუხარებით გაეყინა.

XXX

„მე იქ ბინად ვერ დავრჩები!“ —  
დაიდაბლა ხმა ელგუჯამ, —  
„შეაჩინიეს ყოფნა ჩემი,  
თავისუფლად თვალს ვერ ვხუჭავ!“

ზედ ჩემ კართან მოაქვით ხოლმე  
სარეცხი და საუთავო, —  
წარამარა კითხულობენ:  
ჩვენს ოთახში რა უნდაო?!

არცერთ მსახურს არა სჯერა,  
თუ ვარ თქვენი ნათესავი,  
ყოველ დილით მათი მზერა  
თავზე ზადგას ნათელსავეით.“

ისევ თევზის ჭროლა თვალით  
შემოხედავს ვაჟკაცს ვაჟი, —  
ეუბნება: „—ნუ ვიჩქარით,  
როცა გშველი დამალვაში.“

ქვეყნად შვიდი კაცის გვართ  
ვცხოვრობ ერთი ვინმე ჯაშის..“

XXXI

„— მე კი ისე მაქვს გაშლილი  
ნოხი ჩემი საწოლისა,  
რომ ყურს მიგდებს ქალიშვილი  
თვითონ მუხბრან-ბატონისა!

აბა, როგორ შევამჩნევდი,  
აივანზე გავლილს დილით,  
ჩემს აუთხეში ვიწექე ჩემთვის  
უსასთუმლოდ გაშოტილი.“

ყურთბალიში გამოგზავნა,  
მოქარგული თავის ხელით...  
შებრალეა ამისთანა  
თუ მჭირდება, ამიხსენით!“

„— რა? მანანამ გადმოგხედა?!“  
თქვა ჯაშმა და ნათქვამს გაჰყვა:  
„სხვა რა უნდა შენს ბედს, ნეტავ,  
მოასწარი მისი ნახვა!“

თორემ, ერთი-ორი-დღე-და  
როგორც მოდბ — ისე წახვალ!“

XXXII

სდუმს ელგუჯა. და რატომღაც  
თავისთავზე ეღიძება,  
თითქოს გულიც მოსდის ლომკაცს,  
დღეს რომ სისხლით შეიღება!

— ერთხელ მე რომ დამავიწყდეს, —  
მოვალე ხარ შენ ამიხსნა:  
მე იმ ბაღში განა იმ დღეს  
სიყვარულმა შემახიზნა!

რა საამო რამ იქნება  
ხმა ფრინველის გარეგანის!  
ცალი ხელით ვარდის კრეფა,  
ცალი ხელით ნარეკალის..

თორემ წელი მანანასი  
ახლაც თვალწინ მიირწყვა

რა ტურფაა, რა ლამაზი,  
მგონი ზეც იმ კლდისპირზე ვარ...

მაგრამ თვალს ვერ მჭრის აღმასით —  
მისი შნო და მისი ქცევა!

XXXIII

სდუმს ელგუჯა. წარუშლელი  
მწუხარება არ სცილდება.  
გულჯიბეში, ცალი ხელით  
კვლავ ბარათის ფრთას მისწვდება


და პურდაყრილ მაგიდაზე  
მოკრძალებით დასდებს ბარათს:

„ჩემი ბედი რაა!“ — დასძენს:  
„ნეტავ იგი დაგეფარათ!“

დამავალეს და მეც ვსურდა  
მივსწვდომოდი სარკმელს ძალით,  
ეცხოველის ღია გულთან  
ტყვიას ველარ მივასწართ!

და ნიშანი იყო თითქოს  
მხნედ, სარკმელთან მისი დგომა,  
ეს ბარათიც ბრძოლას ითხოვს,  
სურს დაამხოს ვერაგობა —

ახლა ვინ-ლა წაიკითხოს? —  
თანამებრძოლს სწერდა კობა“.



კარი მეორე

I

კარი გაიღო თუ არა —  
გულმა გურამი იკითხა,  
ხილით მტკვარს გადაუარა,  
ეგონა ისევ იქ იდგა.

სადაა მისი გზა-ვიწრო,  
ნეტავ სად მოიპოვება?  
რომელი ქუჩით გამისწრო,  
რომელ გზას გაჰყვეს პოემა?

ვგრძნობ, თავიდანვე დამჩებდა,  
გუმანით მისი მიგნება,  
გზას ვარაუდით ვარჩევ და  
მიეაგნებ, სადაც იქნება!

მეგონა ქუჩის ქვათა ჰრელ  
თაღებში აღმოვაჩინდი,  
ათასი ქუჩა გადავკერ, —  
ჩრდილსაც არ აჩენს არცერთი, —

გულს როგორ ვუთხრა: ათასჯერ  
ხილზე გადასვლას დაჯერდი!

II

სასახლის ბაღი... სასახლის  
კარებთან დაველოდები,  
ხეს როგორც დგომით გადაღლილს  
ძირს დაუხრია ტოტები.

ფრთხილი ფოთლების ჩრდილი კი  
საღდაც ჰაერში კანკალებს,  
ხალიჩის გრძელი ბილიკი  
ჩეხთქვეშ ეგება ამ კარებს!

ეგებ გურამსაც დასჭირდეს,  
და სადარბაზო ბარათი  
კიბეებს ისე ასცილდეს —  
არ უპასუხონ არათი...

მთავარმართებლის დარბაზი  
კაცს, ეგებ დახვდეს კარ-ღია,  
იერი შავთვალწარბასი  
სამდარბაზოდ კარგია!

თორემ უგზოო ბარბაცით  
გზა ვის არ დაუკარგია!

III

კარებთან ჯუჯა კაცი დგას  
მკაცრი და ამპარტავანი,  
კაცად, იქნება არც ითქვას,  
მაგრამ ენდობა მთავარს!

დარბაზი დაუმორჩილა,  
ზაღალ უფლებას ანიჭებს,  
დაუდგა როგორც თოჯინა  
ქოთნებში გაშლილ ნარინჯებს.

წვერგაცვენილი ცვედანი,  
ქოთნის ოდენა არც-კია  
და ოქრო-ვერცხლის მედალი  
მკერდს ფოთოლივით ასხია!

მისი ქართული ქულაჯა  
მთავარმართებელს ალაღებს,  
იმდენად გააგულადა  
სხვათა ბედობაღს განაგებს, —

კარებთან ჩაცუცქულა და  
კარს უბატონოდ არ აღებს!

IV

აქ, ყოველ დილით ასეა:  
ბრწყინავს ლალი და ალმასი,  
ბრწყინებულე ხალხით სავსეა  
მთავარმართებლის დარბაზი.

დგას კარისკაცი. და ირგვლივ  
ყრულ ისმის შრიალ-შრიალი.  
თვითეულ სუნთქვას დაითვლი:  
კარის ამ კლიტულში არი!

ამაოდ გააქვთ ციმციმი  
მხრებზე ვარსკვლავთა ცხრიანებს,  
ნაბიჯის ფრთხილი სიმძიმით  
ღეზიც კი ფრთხილად წკრიალებს...

მოსწონს ამ წესის წესობა:  
ხმას კარისკაციც არ იღებს,  
და ყველას თვალში ესობა  
ღიმილს რომ ცივად არიგებს:

„— ჯერ მისი უმაღლესობა  
ხალხს სადარბაზოდ არ იღებს!..“

V

ჯერ იგი მუხრან-ბატონის  
მოწყალე მასპინძელია, —  
ვამბობ კარს აქეთ გაგონილს,  
კარს იქით მოხვდე ძნელია!

წელი რად უნდა ვიტირო,  
გამოციდილება მრავალწლის  
მშველის, რომ წარმოვიდგინო  
სურათი ორი სავარძლის.

სიტყვა-პასუხი კი მათი  
კარს აქეთ დააქვუ გუნდ-გუნდად,  
თითქოს მოვლით ხიფათი,  
გულს ცეცხლი აუგუგუნდათ,

მუხრან-ბატონზე ამბობენ:  
გაეხსნა ბედის კარიო, —



მთავარმართებლის ახლობელ  
კაცს, უნდა შერთოს ქალიო —

და ჭორს თვითონვე აქრობენ:  
— ღმერთო, არ მისცე მხარო...

VI

მთავარმართებელს ამგვარი  
დღე უფრო ეხალისება, —  
შრილებს ირგვლივ ბაღარი,  
ზის, და სიამით ივსება!

გული ნებივრად უფეთქავს  
და საღალღობოდ მზად არი, —  
ოქროს ჩარჩოში მეფე დგას,  
ფანჯრის ჩარჩოში — ქადარო!

კედელს ძველ აზბად ჰკიდია  
მთათა დაპყრობის სურათი:  
ჯარები ხევ-ხევე მიდიან,  
შეუქრავთ ჰაჯი-მურატი..

ზის და უხდება სავარძლის  
ფერს მისი ლალი ელფერი,  
და მართლაც, მგონი, პატარძლის  
ბედსა წყვეტს შეწყალებელი, —

თვალის მინაბვას არ აცლის  
წვერგაბარდნილი ბებერი...

VII

კართან კი ამდროს ჩქარი სვლით  
ორი უცნობი ამაღლდა,  
თავშეკავებულ ხალისით  
ამ ორს მესამეც თან ახლდა.

შეკარემ ნელა ახედა,  
რას ანიშნებდნენ გაიგო,  
უხმოდ მოეჭია სახე და  
კარებიც უხმოდ გაიღო.

ახალმოსოლოთა სიმარდეს  
გული თამაზად უოკიძოდა:  
— ჯაში გეახლო! — მიმართეს  
მთავარმართებელს უცებ და

პირზე ღიმ-შეუშრობელი  
დაჩუქდა კაცი ხითხითა  
და კავკასიის მფლობელი  
მიხვდა პირისპირ ვინ იდგა.

— რომელი ჯაში, რომელი,  
„ჯიგითი?“ — ბოლოს იკითხა.

VIII

მთავარს მხედრული ნაბიჯით  
ორნი სწრაფლ განოესალმენ.  
დარჩა ნახევარ ხალიჩით  
დაშორებული მესამე.

დარჩა და ფეხი რატომღაც  
არ იქნა, არ მოიცივალა.  
იწვალა მუხრან-ბატონმაც,  
იუხერხულა, იწვალა,

და როცა მიხვდა — არ იყო  
ეს ვილაც თავისიანი.  
გამოსალმებად გაიგო  
ლიმილი თავაზიანი,

მშვიდობით წასვლას ეცადა,  
იფიქრა: საქმეს ჩამიშლის,  
გამარჯვებული ეწადა  
დაბრუნებოდა ქალიშვილს.

ქუდის ცა ჩაიკეცა და  
დასტურიც გაჰყვა დანიშვნის...

IX

წავიდა მუხრან-ბატონი,  
მხოლოდ-და თვალით მიხედეს.  
და როცა დაჩინენ მარტონი  
კარი მეც გადანიკეტეს.

მაგრამ რაც ვნახე მეყოფა  
სიცოცხლის დასასრულამდე,  
ელოუჯას ყველა მიგობარს  
უნდა გადაეცე სურათი:

მთავარმართებლის ხითხითი  
მუხრან-ბატონთან სხვა იყო,

წინ დადგა უცებ „ჯიგითი“  
და შუბლიც ღარით გაიყო.

წინ დადგა თავპირწითური,  
ბნელ საქმეს შუქი მოჰჭვინა,  
თუმცა მიშლიდა კლიტული,  
მივხვდი რაც შეატყობინა...

ასეთი სულგაყიდული  
ჯერ აქ არავინ ყოფილა!

## X

ისევ ზტყერის ორი ფერდობი —  
გღმა-გამომღმა დავდივარ,  
ვისაც ვეძებ და ვენდობი —  
იმისი გულითადი ვარ!

სამი დღე ისე გაფრინდა  
ალარც მანანა მინახავს,  
დღე უიზგულოდ რად მინდა,  
გულს უყეთესი ვინა ჰყავს!?

მუხრან-ბატონის მანანა  
მთელი ქალაქის თვალია,  
გურამს თუმც ბელი ანანა, —  
საბედო პატარძალი!

აჰა, სიამით დამტკბარი  
სახლო ზტყერისპირად ნაგები,  
მტკვარი და მერე რა მტკვარი:  
დილის დუღუქით ნაქები.

აივანბუორის ჩამდგარი  
თბილისის ბაღჩა-ბაღებში!

## XI

„— დოეს ინიშნება მანანა,  
დღეს!“ — გაიმღერის უბანი,  
უკვე სადაა — სად არა —  
ხელს მოთხოვს ხელისუფალი!

აქ მოუთმენლად ელიან  
სიძეს თავისი ამალით,  
გზა ვარდით მოსართველია,  
ით და იასამანი.

ფერი აქ ნაქსოვ ხალისა  
ზართლაც რომ ათასფერია, —  
ქუჩები გაახალისა,  
აივნებს გადაჰფენია!

დილის მზე მხოლოდ პატარძლის  
შავ თვალებს აეშხინებს,  
და თეთრი კაბა სრა-სახლის  
ბანზე რომ გაიშრიალებს —

ხე შემკრთალ ტოტებს გადაშლის,  
სულს ნიავეჩარი შეაღვეს...

## XII

ელიან, საქმროს ელიან,  
ყველას ახარებს ქორწილი,  
ქალს ყელი მოუღერია  
დალოცვილ-გადაკონილი!

იმისი ბედის მშართველი  
რუსი მოხელე ყოფილა,  
ხელს თხოვდა ბევრი ქართველი,  
ყველა მას დააგმობინა!...

და ბედს თომია-ლა დანებდა,  
დადის ჯვარსაწერ მანდილით,  
მანაც ნათესავ ქალებთან  
ქეთინით უთქვამს ამდილით:

— ვიცი, სხვაა და სხვაგვარი,  
მაგრამ ვერ ვეტყვი: სხვა ხარო...  
დაიწვა ჩემი აკვანი,  
დახეთ, ვინ უნდა ვახარო!

გაჰყარეს ჩვენი გზა-კვალი,  
გაჰყარეს, ამილახვარო!

## XIII

მამას იმედად უჩანდა  
და ახლა ფრთებაშლილია:  
„სიძე-ბატონი გუსართა  
გენერლის პირმშო-შვილია!“

ისე აიესო სურვილით  
კაცი გულ-აუესებელი,



რომ ქედზე ამოსულივით  
სულს ძლივს-და ითქვამს ბებერი.

თავისიანებს გახედა:  
ბეჭებში მოხრილ ტანადებს,  
მათი იმედიც აქედან  
პეტერბურგამდე ანათებს!

დაე, გაიგოს თბილისმა  
რაა ეს წუთისოფელი.  
იქნება ტკბილი ღვინის სმა,  
ზეიმი დამათრობელი! —

ისევ პაპაა ღვინისა  
დიდი მუხრანის მფლობელი!

XIV

წუთს უკანასკნელს, თავადი  
ვით ბედისწერას უცდიდა,  
მახარობელი ნავარდით  
მალე ხელს გადმოუწვდიდა...

და აპა: სული გაპიდა  
შორმა თუ უახლოესმა,  
მთელს პატარძელს გაღმიდან:  
„მახარობელი!“ — მოესმა.

მტკვარზე მხნედ გადმოიღვია,  
ისნის აღმართზეც მხნედ არი!  
პატარძლის მამამ, ხნიერმა,  
შორით შეაქო მხედარი.

აღბათ გულდაგულ იარა,  
აღმართს სიმარდით სჯობნიდა,  
ზარივით ააწყრილა  
კართან ქალების მწყობრი და

ცხენით, გუსარი კი არა —  
შაენაბდიანი მოფრინდა!

XV

გამოეგება კარგარედ  
ცხენოსანს მამა ბებერი,  
გაიძახოდა: „—ახარეთ  
ეგ ჩემი გამხარებელი!

დამისაჩუქრეთ, ვინც არი,  
ყელამდი ვარდი ეფინოს!

მაყრიონს მისცეს ნიშანი,  
ამბავი გაგვაგებინოს!..“

და ამდროს კიდეც ბაღდადი  
გადმოისროლა მხედარმა,  
ფრთაშავი ნაბდით აქამდი  
ლანდივით შესახედავმა.

ნეტავი თმა-წვერ-გაბარდნილ  
ბებერს რა აფუსფუსებდა,  
მანანამ ფერხითი დავარდნილ  
ბაღდადს შეჭკივლა უცებ და

რა სიხარული! რა ვარდი! —  
ზაფრით ძლივს გული უტემდა...

XVI

სახლკარი ჰგავდა დატორილს,  
შეიძრა ხალხი, აღელდა,  
საწყალი მუხრან-ბატონიც  
ჯაერით თვალს ველარ ახელდა.

შფოთს მოანდომა მთელი დრო:  
„— რომელი იყო, რომელი?“ —  
და მხოლოდ გვიან შეიცნო  
ვინც იყო „მახარობელი“

უკვე მტკვრის ნაპირებიდან  
ქარივით მოეჩვენება  
ამილახვარის მხრები და  
ამილახვარის ჭენება...

„რა ვერაგია წყეული,  
სულიც კი გაგვაფრთხოვინა,  
აიკლო პატარძელი  
და ამბად გვაამბოვინა:

ბაღდადში გამოხვეული  
რომ კაცის ყური ყოფილა!“

XVII

როგორც მოვარდა — ისევე  
გაქრა ფრთაშავი გრიგალი,  
და მაინც მისკენ იწვევენ,  
მდევართა გულიც იქ არი!



სადაც მთებს იქით, ამო  
დევნაც თან გადაიყოლა,  
თითქოს წაიღო წამამო —  
იყო და არა იყო რა!

ახლა კვალდაკვალ გიჟივით  
გუნდი მოიჭრა გუსართა  
ქუჩებს მოედევნ კიყინით  
ქალაქის შესამუსარადა!

ღარც ყურ-ჩამონათალი  
სიძე-გუსარი არ ჩანდა  
და პატარძელს მართალი  
ამბავი უფრო სტანჯავდა:

„ყოველთვის ასე რად არი,  
რალა ჩვენს ბედზე დაშავდა!“

XVIII

ხმა გავარდა! კიდით-კიდეს  
მისწვდა შორი ქებათ-ქება,  
და მეც ქვეყნის გადამკიდეს  
გზაში ვინ არ შემავება.

„სიძე-ბატონს მოსჭრეს ყური!“ —  
გაიარა ათას ყურში  
და ამბავი ყურმოკრული  
დატრიალდა ხალხის გულში.

გმირს კი აქ ვინ დაინახავს, —  
შხოლოდ კვალი სჩანს დარბევის:  
ვძებს გურამ ამილახვარს  
ერიამული ჟანდარმების!

კაცი თავის ბედზე გაწყრა,  
ამაყი და ხელფიცხელი,  
ყურს რომ ხანჯლის წვერი გაჰკრა —  
ხელმწიფისაც გაჰკრა ხელი,

მუხრან-ბატონს გაუყაწრა  
მალლა შემართული ყელი!

XIX

ქუჩამ ენა ამოიდგა,  
შტკვარს ფეხდაფეხ დასდევს ქუჩა, —  
„რა მოხდაო“ — ხესაც ჰკითხა,  
ხე რომ იდგა თმაქუჩუჩა.

კვირა დღეა, ხიდის ყურთან  
ფანდურს ბრმა-კეი არ დამღერის,  
ახალი რამ ნახოს უნდა,  
ისე როგორც თვალგახელილს.

ავერ: ბალის ყრუ ნაპირი  
ნახეთ, მყუდრო თუ გეჩვენათ,  
ამ პოემის ერთი გმირი  
ზის, და იცნობთ უეჭველად!

ზის ელგუჯა. ჩაბალახი  
მხარზე ისევ ისე შვენის,  
მკვირცხლად იცის ლაპარაკი,  
თუმცა სიტყვას ხელით შველის —

მუდამ ახლავს ამხანაგი  
ქადაგივით მკლავგაშვერილს!..

XX

ამბის ფეხზე მოსამენად  
ახლა ასეთ ბალს რა ჯობდა! —  
ბალს ყაბახი ერქვა ძველად,  
ბალს არავინ დარაჯობდა


და ელგუჯამ სიტყვა ახლაც  
გაიტანა ლელოსავით,  
ხუთი კაცი თავზე ადგა,  
ხუთი ვილაც ხელოსანი.

— მე, არჩილი და არსენა,—  
ამბავს მოკლედ ჭრიდა იგი,  
და არსენამ გაახსენა:  
— გაღმა, ორთაქალის იქით...

— ჰო, და გაღმა, — თქვა ელგუჯამ,  
გზაზე, ორთაქალის იქით,  
შენს ტოლებში ტკბილ პურს თუ ჭამ,  
ღვინოს თუ სვამ ღვინის ჭიქით,  
უნებლიედ, კაცი მუდამ  
უნდა ხიფათს დახედვდ  
მჯიღით...

XXI

— ჩვენი სუფრა იდგა მცხეთელ  
მებაღურთა სუფრის გვერდით,



ერთმანეთი არაერთხელ  
მოვიციბებთ ალავერდით...

მას კი მაშინ მოვკარ თვალი  
დახლს რომ ვერცხლი დაახალა,  
მარტო იყო, დახლიდარი  
მოსვლის უმალ გაახარა...

ისევ ქვალი ჩოხა ეცევა,  
დარდიანი ჰქონდა მზერა,  
ერთი ჭიქა ღვინო შესევა,  
ერთხელ თარიც აამღერა,

შემოგვხვდა ისე თითქო  
დავენახეთ არცა სურდა,  
კიდევ კარგი, ველარ მიცნო,  
და ქადილი არ ასრულდა,

ვიღაც ბიჭმა შემოგვისწრო,  
მზერა იქით გადაცურდა.

XXII

მე არ ვიცი რა ანიშნა  
ბიჭმა ასე ამაზრუნენი,  
მხრები ცივად შეიმშუშნა,  
შეისწორა მძიმედ წელი.

და ის იყო კიდევ ავად  
გაიხურა ორივე კარი,  
რომ კვლავ ღირდა სანახავად  
ისეთ სურათს შევესწარი:

არც მტრად ვთვლიდით, არც მოკეთილ,  
მაგრამ გაჰყვა თვალი ჩვენი, —  
როცა გარედ გამოვხედდეთ:  
ყალყზე იდგა მისი ცხენი!

გზას კი უკვე ეტლის ჩრდილი  
და ეყენების მწყობრი ქღერა  
მოუღინა მზიან დილით  
როგორც სწრაფი ბედისწერა,

გადაუდგა, შეძახილით  
შუაგზაზე შეაჩერა...

XXIII

ეტლში იჯდა ვიღაც კუშტი,  
გზას ამრეხით გადახედა,  
გაიოცა: —“რალას უცლით,  
კაცი, ხედავთ, გათავხედდა!”

და ამაღა ეტლს რომ ახლდა  
საზეიმოდ დარახტული,  
წინ დაიძრა... და განახლდა  
ისევ ცხენთა თქარათქერი!

მაგრამ დამხედრომს წამი ეყო  
რომ შეედრკო წამით ყველა. —  
მიიჭრა და „წამოდექო“ —  
ნახტომს სიტყვა მიაშველა.

იმ წამშივე სახიფათოთ  
გავიშტეტ მეც ის ერთი —  
ლულულღებდა: „რა გინდათო“ —  
და ეით ლაჩარს მივაჩერდი...

გახეილა თვალი ფართოდ,  
აუფეთქდა თითქოს ღენთი!

XXIV

არ დაფთარავ, რომ ეს ბრძოლა  
მომეწონა — გაბედული.  
მკაცრი სიტყვაც მომეწონა,  
კაცია და არ ვემღური.

— მე ჩემს გულმკერდს თვითონ  
დავფლეთ,

თუ სიჯაბნე მერგო წილად, —  
ჯერ მე უნდა დაგეჯაბნეთ,  
მერე უნდა გექორწინათ! —

მხოლოდ ამის თქმა მოასწრო,  
მეტი აღარ დარჩა დრო და  
ხმალი მასვე ამოაძრო —  
გული რომ არ დასჩაგროდა, —

მაგრამ თურმე რაა ხმალი,  
ბრძოლა თუ არ დაგაძალა! —  
მართლაც: ვაჟი, მისი ბრალი,  
ხმლის მოქნევა არ აცალა, —

მხოლოდ ელვას მოვარ თვალი:  
ხანჯლით ყური ააცალა!

X XV

კიდევ კარგი: განაჩენი  
სწრაფი იყო და არ აცდა!  
შიშით ყველა დანარჩენი  
შესძრა, ისე დაბარბაცდა.

დასჯად ეყო და სირცხვილად,  
წახდა როგორც დაღდასმული,  
აიშალა, ეტლს წყვილ-წყვილად  
ვინც კი ახლდა დარაზმული,

და ერთბაშად შემოერთყა  
ვაქაცს ირგვლივ მთელი ხროვა,  
თავს იცავდა იგი ერთხანს,  
გზა, ვერ იქნა, ვერ იდროვა.

ბრძოლის ველად იქცა ქუჩა,  
პოსისხარი — შედგარ ციხედ,  
თუმც ვიყავით ერთი მუჭა,  
მიიწევდა გული იქეთ —

თვალი როგორ დაგვექუჭა,  
და ჩვენც ხელი გამოვიღეთ!

X XVI

ზოგმა მკლავით გასვლა სცადა,  
ქვას დასტაცა ზოგმა ხელი,  
დაეტრიალდით ჩვენც იქ სადაც  
ტრიალებდა მისი ცხენი!

მაინც ღირსი ვახდა ქების,  
ვერ ჩაუქრეს მაინც დილა,  
ხმლებისა და მათრახების  
რისხვა ჩვენით აიცდინა!

ჩვენ კი ისე გავიფანტეთ  
თითქოს თვალით არც გვინახეს...  
იმ ქუჩიდან ამ ქუჩამდე  
აღარავინ გაგვილახავს!

დახლიდარმა მხოლოდ სცადა  
თვალთმაქცობა ქალაქური:  
სიძე-ბატონს აყოცა და  
მოსაძებნი დარჩა ყური,

„ვი-ვუით“ იქვე სწადა  
გაიეკურნა დაჩაგრული.

X XVII

— ეს იყო და ეს! — ღიმილით  
ჩაერია კვლავ არსენა:  
— რა გადახდა თავს ამ დილით  
არა, მაინც არ ასწერა!

არ ვენახე გადარჩენილს,  
ვერც ქალაქში გაივლიდა, —  
დარაია ჩემი შეენის,  
დილით მისი დაივლითა...

— არა უშავს! — უპასუხა  
აქ არსენას ელგუჯამაც:  
— შენი არის, და ნუ სწუხარ,  
თუ დაფლითოს ამ ქუჩამაც!..

შომეწონა, ეტლს რომ დახვდა  
კაცი როგორც თავგის სოროს,  
რაკი ცეცხლი გაუჩაღდა,  
ვფიქრობ, ჩვენთან მოვა, ბოლოს...

ძველი დარდი განუახლდა,  
კაცმა როგორ არ იბრძოლოს!

X XVIII

— რაგინდ ვაქოთ და ვაიდილოთ,  
აგრე ხანჯალ-ამართული  
თავს გასწირავს თითო-თითოდ  
მხოლოდ უინი თავადურის!

ჩვენ კი ხალხის გულის ხმა ვართ! —  
თქვა და აპყვა ხმას არსენა, —  
— თვითმპყრობელის დასაკლავად  
არც ხმალი მშურს და არც ენა!

სიტყვით სიტყვა გადაუქრა,  
გრძნობს, ელგუჯა გულფიცხელი,  
მაგრამ წყენად არ დაურჩა,  
მხარზე დაჰკრეს ძმობილს ხელი,

და კამათი განა ჩაქრა —  
ახლა უფრო განაახლეს,  
ბაღს ნაბიჯით აპყენენ მაღლა,  
მზერა განგებ აამაღლეს.

თვალი უნდათ გაჰკრან ახლა  
გამზირს. ტაძარს. და სასახლეს!..

**XXIX**

არც ელგუჯა, არც არსენა  
და არც ორი სხვა ოსტატი,  
არ ჰგავს, შუბლის გასახსნელად  
კვირა-დილით აქ რომ დადის!

მაგრამ ხალხით საესე ქუჩას  
აბა, ახლა მიაცქერდით:  
მკერდით მიაქვს ჩვენს ელგუჯას,  
ჩვენს არსენას მიაქვს მკერდით!

უხმობთ ზარი ქვაშუეთის,  
წინ სამხედრო ტაძარი,  
ზარებს ესმით ერთმანეთის,  
დღემ კი ზარის ხმაც არია!

და სამხედრო ტაძარს თვალი  
კაცმა როგორ ააცილოს,  
აუმართავს ხუცესს ჯვარი,  
ხომ ვერ ეტყვი არა სწიროს,

შესციმციმებს სანთლის ალი  
ფიტულივით სასაცილოს...

**XXX**

გალავანი დარჩა მარცხნივ  
გოლოვინის გამზირს ახლა  
და გუსარი სიძის მარცხით  
მზერა მზემაც აიმაღლა!

მართლაც: ყურის მოთლა რაა,  
სიფიცხე და ამაყობა, —  
მზად ყუმბარა თუ არაა  
უკვე ტახტის დასამზობად!


რა იცოდნენ, აბა, მაშინ,  
რა — და მაინც ახარხარდნენ,  
რა იცოდნენ — გალავანში  
რომ გრიაზნოვს დამარხავდნენ...

ის დღე ტაძრის ამ კარებთან  
ყბად იღებდა ქორწილს ჩაშლილს,  
ის დღე ტოტს რომ აქანებდა  
ხმა ისმოდა შორი ტაშის —

ჩვენს ელგუჯას ახარებდა,  
ჩვენს არსენას, ჯორჯიაშვილს!



# ბეიჯინგა



ჩვენ ვსაუბრობდით ომზე, მაგრამ არა როგორც პოლიტიკურ პრობლემაზე, არამედ როგორც უდიდესი ძალის ფსიქოლოგიურ ფაქტორზე, რომელიც ადამიანის სულზე წარუშლელ კვალს სტოვებს.

საუბრის მონაწილეებმა პირადი მოგონებებით გააცოცხლეს გმირობის, სიმტკიცის, თავდადებისა და ქედუხრელობის არაერთი შემთხვევა, ერთმანეთს მოუთხრეს თავგანწირვისა და სიმამაცის საოცარი ეპიზოდები.

მაშინ ერთი ჩვენთაგანი, თავისთავში ჩაკეტილი სკეპტიკოსი, მარტოკაცი, რომელიც ჯიუტად დუმდა მთელი საუბრის განმავლობაში, მოულოდნელად ალაპარაკდა.

— აი, მე რახანია გისმენთ, მეგობრებო, და თუმც ყველაფერი, რაც აქ ითქვა, უდავო და საინტერესოა, მაინც შემექმნა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ყოველ ჩვენთაგანს გმირობა ეხატება, როგორც უეცარი მკვეთრი აფეთქება, წუთის საქმე, წუთისა, როცა ჩვენი არსების ყველა წმიდა და ნათელი ძალები ერთ წერტილში იყრიან თავს.

გამოთქმა „გმირული ცხოვრება“ ლიტერატურამ გაავრცელა. თქვენი არ ვიცი და, ჩემთვის ეს მუდამ ცარიელი სიტყვები იყო, ჩემს შეგნებამდე არ დადიოდა მათი ნამდვილი აზრი.

მაგრამ მე მინდა მოგიხსნათ ერთი შემთხვევა, რომლის მოწმეც ნაწილობრივ თვითონვე ვარ, ნაწილობრივ კი სხვების მონაყოლით ვიცი. გინდათ მოისმინოთ?

რას ვუპასუხებდით? და მანაც დაიწყო.

— როგორც მოგეხსენებათ, ჩემი ცხოვრების ნახევარი უკრაინის ერთ დიდ ქალაქში გავატარე. ჩემგან არც ისე შორს ცხოვრობდა ერთი ინტელიგენტური

ოჯახი: ქმარი, ცოლი და შვილი. არკადი ვოლინსკი და მამაჩემი მეგობრობდნენ. ვოლინსკი პროფესორი იყო, „კაბინეტის ტიპის“ მეცნიერი, როგორც იტყვიან ხოლმე, და ადგილობრივ უნივერსიტეტში ძველი ენების კათედრას ხელმძღვანელობდა. მისი სპეციალობა, თუ არ ვცდები, სანსკრიტი იყო, მაგრამ მისი გამოკვლევებიდან რატომღაც ყველაზე უფრო დამამახსოვრდა შრომა ფიზიკური ანბანის წარმოშობის შესახებ. ამ შრომამ თავის დროზე დიდი კმათი გამოიწვია სამეცნიერო წრეებში.

გარეგნულად ნაკლებად ჰგავდა იმ მოხუცი პროფესორის ტიპს, რომელიც ჩვენს წარმოდგენაში თეატრმა და კინომ დაამკვიდრა, და რომელიც, კაცმა რომ თქვას, არც ისე შორსაა სინამდვილისაგან. არკადი ვოლინსკი საშუალოზე მაღალი, მკვრივი აგებულებისა და ძალზე ღონიერი კაცი იყო და როცა ხელს გათმევდათ, ისეთი გრძნობა გქონდათ, თითქო რკინის სალტე მოგიჭირეს ხელზე.

მელოტი იყო. ღია ცისფერი თვალები ჰქონდა. იშვიათად უყურებდა თანამოსაუბრეს, მაგრამ როცა შემოგხედავდათ, მის თვალებში ადვილად შეამჩნევდით სიკეთესა და თავშეკავებულ იუმორს. უყვარდა ხუმრობა და ხმადაბალი სიცილი. ცოტას სჭამდა, ცოტა ეძინა. არც ეწეოდა, არც რაიმე სასმელს იკარებდა. სტუმრად ან თეატრში იშვიათად დადიოდა. მისი დასვენება მაგარი ჩაი და მეგობრული საუბარი იყო, სადმე პარკში, ან პაწია ბაღში მისივე სახლის სიახლოვეს.

ახალგაზრდობაში, ჯერ კიდევ რევოლუციამდე, იგი ბევრს მოგზაურობდა. კარგად იცნობდა ჩინეთს, იაპონიას, კორეას, ნამყოფი და ნამსახური იყო კამჩატკასა და კურილიის კუნძულებზე, სადაც მკურნალობდა ყოველგვარ ავადმყოფობას მხოლოდ მისთვის ცნობილი ერთი კორეული სამკურნალო სისტემით, რომლის თავგამოდებულ, მაგრამ უნაყოფო პროპაგანდასაც იგი მუდამ ეწეოდა ნაცნობთა წრეში. თავად არასოდეს გამხდარა ავად.

დედაჩემი, რომელსაც მასთან დიდი ხნის ნაცნობობა აკავშირებდა, ამბობდა, რაც თავი მახსოვს, ვოლინსკი სულ ასეთი იყო. ოცდაათი წლის წინათაც იგი ასეთივე მძიმე, სერიოზული და თავშეკავებული იყო, იგივე ჩვევები ჰქონდა და ეწეოდა ისეთსავე ზომიერ და უწყვეტი გონებრივი შრომით სავსე ცხოვრებას.

მისი ვატაცება წიგნებს, ხელნაწერებსა და მანუსკრიპტებს არ სცილდებოდა. ყველაფერი დანარჩენი ნაკლებ აინტერესებდა.

ცოლი. პრაქტიკული ჰკუთის ქალი, თავისი ინტელექტით ქმარზე გაცილებით დაბლა იდგა, მაგრამ მისი ერთგული და თავყვანისმცემელი იყო. ამის დამტკიცება შეიძლება თუნდაც იმით, რომ იგი უქმნიდა მეუღლეს იმ მყუდროებასა და ზომიერ ოჯახურ რიტმს, რომლის გარეშეც ეს კაცი ვერც ნორმალურ ცხოვრებას და, მით უმეტეს, მეცნიერულ მუშაობას ვერ მოახერხებდა.

მაგრამ, როგორც ეს ხშირად ემართებათ მეცნიერთა ცოლებს, რომელთა მხრებზედაც გადადის ოჯახის მთელი სიმძიმე, ისიც, ქმრისადმი მთელი თავისი პატივისცემის მიუხედავად, თავს ნებას აძლევდა შურუნველივით და პატრონივით ელაპარაკა მეუღლეზე.

მაგალითად, როცა შეეკითხებოდნენ, რას აკეთებს ამჟამად არკადიო, მხრებს აიჩეჩდა და უპასუხებდა:

— რას უნდა აკეთებდეს! იქეჭება თავის წიგნებში და არის.

იგორი, ელენესა და არკადის შვილი, ჩემზე ორი-სამი წლით უმცროსი იყო. როცა იმდენად წამოვიზარდეთ, რომ ასაკობრივი სხვაობა კაცს თვალში არ ეცემოდა, ერთმანეთს დაუახლოვდით და ვმეგობრობდით კიდევ.

ეს იყო საინტერესო, გამორჩეული ახალგაზრდა, რომელსაც მამისაგან მემკვიდრეობად გადასცემოდა საოცარი თავშეკავებულობა და, მე ვიტყვოდი, ასკეტურობაც: თავისუფლად შეეძლო უარი ეთქვა ყოველგვარ ამქვეყნიურ სიამოვნებაზე.

მას არასოდეს არ გამოუცდია შიმშილის გრძნობა, და ბავშვობისას იგორის გამოკვება დედისათვის თითქმის მთავარი პრობლემა იყო. ასევე, მას ხშირად უძილობა აწუხებდა და საბანში ვახვეული საათობით წრიალებდა, იმძინარებდა თავს, რომ დედისთვის არ ეწყენინებინა.

ამ თვისებებით იგორი, ერთგვარად თავსაც კი იწონებდა, რადგან თანატოლები, რომელთა თვალშიაც მოკრძალებას იწვევდა ყოველივე უჩვეულო, პატრივისციემით ექცეოდნენ.

ეს კია, რომ პოპულარობით იგორს არასოდეს უსარგებლია ამხანაგების წრეში, და ეს გასაგებიცაა.

მე მგონია, ამაში დამნაშავე იყო აღზრდა და პირველ რიგში დედის დამოკიდებულება მისადმი.

იშვითად, რომ ქვეყანაზე არსებობდეს უფრო მაღალი და კეთილშობილური გრძნობა, ვიდრე დედის სიყვარულია. ეს საყოველთაოდ აღიარებული ამბავია. მაგრამ თავის სიყვარულში ელენემ გადააბიჯა ყოველგვარ საზღვარს (თუკი შეიძლება, დედობრივ სიყვარულს საზღვარი ჰქონდეს), და ერთგვარ ავადმყოფურ უკიდურესობამდე მივიდა.

ელენეს სიყვარულში იყო რაღაც ცხოველური, ბრმა და ფანატიკური, რაც შორს იდგა ყოველგვარი ადამიანური გატაცებისაგან.

იგორკა — ასე ეძახდა მას დედა — ყოველთვის და ყველაფერში მართალი იყო.

თუ იგორმა ორიანი მიიღო სკოლაში, ეს იმას ნიშნავს, რომ მასწავლებელი უსამართლოდ მოექცა, ან უბრალოდ, ამ მასწავლებელმა არ იცის თავისი საგანი. იგორკას ჩხუბი მოუხდა ამხანაგთან. მამასადამე ეს ამხანაგი საზიზღარი ბიჭია, ხულიგანი და ყაჩაღი, რომლისთვისაც ვერაფერი მოუხერხებიათ გაუზრდელ მშობლებსა და სკოლის ცუდ ხელმძღვანელობას. და ასე შემდეგ...

ვასაკვირია, ისეთმა გამჭირახმა და არაჩვეულებრივი ჭკუის კაცმა, როგორიც არკადი იყო, ყურადღება როგორ არ მიაქცია შვილის აღზრდას.

ალბათ მას ისე სჯეროდა თავისი მეუღლის პრაქტიკული ჭკუისა, რომ თავის მეცნიერებაში შთანთქმული, საჭიროდ არ თვლიდა ჩარეულიყო ისეთ საქმეებში, რასაც მის გარეშეც მშვენიერად უძღვებოდა ცოლი. ყოველ შემთხვევაში, მას ასე ეჩვენებოდა.

იგორი იზრდებოდა სერიოზულ და ნაკითხ, მაგრამ რამდენადმე ჩაკეტილ კაცად.

მასში გიზგიზებდა ძლიერი რომანტიკული ცეცხლი, და სადღაც სულის სიღრმეში იგი ოცნებობდა გმირობაზე; დიდ საქმეებზე, რომელიც (გთხოვთ





ყურადღება მიაქციოთ მის ამ თვისებას) იმდენად სახელს კი ვერ მოუხვეჭლა მას, რამდენადაც ბედნიერებას მოუტანდა კაცობრიობას.

ისტორიული პიროვნებებიდან იგი შედარებით ჩრდილში მდგარ გმირებს ესარჩლებოდა მუდამ. ამიტომ პომპეუსს ან გოშს უფრო აფასებდა, ვიდრე კეისარს ან ბონაპარტეს. ამხანაგებთან კამათის დროს იგი ამტკიცებდა, რომ ეს გმირები ნიჭითა და შესაძლებლობებით არაფრით არ დგანან აღიარებულ გენიოსებზე დაბლა, რომ ისინი უბრალოდ უბედური შემთხვევებისა თუ არასწორი ისტორიული შეფასების მსხვერპლნი არიან, ამასთან მუდამ სახტად სტოვებდა თავის ოპონენტებს, რადგან თავისი მოსაზრებების დასამტკიცებლად მოჰყავდა ყველასთვის უცნობი ფაქტები, რომლებიც შემოწმებისას ყოველთვის სწორი აღმოჩნდებოდა ხოლმე.

იგი ავადმყოფურად განიცდიდა ყოველგვარ უსამართლობას, სხვის შეურაცხყოფას იღებდა, როგორც საკუთარს.

მახსოვს, 1935 წელს, როცა იტალიელები თავს დაესხნენ აბისინიას, მას აფრიკაში მოხალისედ უნდოდა წასვლა, რომ დახმარებოდა აბისინელთა არმიას.

იგი ყველაზე ადრე იგებდა ეთიოპიელი მხედართმთავრების გვარებს. სადღაც ეშოვა ყველაზე ახალგაზრდა (და, რა თქმა უნდა, ყველაზე მთავარი) სარდლის პორტრეტი და ოთანში, საწერ მაგიდასთან დაეკიდა. იგი მოგვიტხოვრებდა ეთიოპიელების ბრძოლებსა და გამარჯვებებზე, გვიყვებოდა ათას წვრილმანს, რომელსაც კიდევ უფრო უნდა განედიდებინა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი მამაცი ეთიოპიელი ხალხის სახელი.

აქ ჩვენ მივადექით მისი ხასიათის ერთ არსებით მხარეს, რომელსაც არაფრით არ შემოძლია ყალბი ვეუწოდო.

სიცრუე — შურიანობისა და სიმდაბლის ნიშანია. იგორის სიცრუე — თუმცა იგი ხშირად ამბობდა ტყუილს — არასოდეს არ იყო შურით ნაკარნახევი. მისი ტყუილი პირად და მდაბალ მიზნებს არ ემსახურებოდა.

იგი უბრალოდ რომანიტიკოსი ფანტაზიორი იყო, ჩაფლული ნათელ წარმოდგენებში, და როცა მოჩვენებოდა, ცხოვრება არ მაძლევს სულიერი წყურვილის მოკვლის საშუალებასო, თვითონვე იქმნიდა საამისო პირობებს, ხოლო შემდეგ, თავის წარმოდგენებში დაჯერებული, ცდილობდა სხვებიც დაერწმუნებინა.

ერთნაირი გემოვნებისა და საერთო ინტერესების გარდა იგი მე შემეფიქსა ალბათ იმიტომაც, რომ ზოგიერთი თანატოლივით კრიჭაში არ ვუდექი ან უბრალოდ სითამამე არ მყოფნიდა ცივი წყალი გადამესხა მისი ფანტაზიისათვის, როცა არარსებულ სამყაროსა და გამოგონილი საგნების ამბავს შობითობდა.

მე იქნებ ვერ გამამტყუნოთ, რომ მისმა მეგობარმა და თითქმის კბილამ წინააღმდეგობა ვერ გავუწიე მის ადამიანურ სისუსტეს, მაგრამ მშობლებზე ამას ვერ ვიტყვით. ისანი ვალდებულები იყვნენ ებრძოლათ ამ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ, რადგან, რაც დრო გადიოდა, ეს ნაკლი არა თუ არ იშლებოდა მისი ხასიათიდან, არამედ უფრო და უფრო მტკიცდებოდა და მკვიდრდებოდა.

იგორკას უყვარდა ნართაული ლაპარაკი რაღაც გარემოებებზე, რომლებიც თითქოს ავსებდნენ მის ცხოვრებას. ბალღივით უხაროდა, როცა საშუალება ჰქონდა ამხანაგებისთვის დაემტკიცებინა, რაღაც ისეთი ვიცი, რაც სხვებისთვის უცნობიაო. მისი სიტყვა მაინც ნაკლებად სჯეროდათ.

გავისხენებ ერთ პატარა მაგალითს, რომელიც კურონოზული და თან დამახასიათებელია.

ერთხელ ამხანაგები, უფროსკლასელები და სტუდენტები, ღამით საიდანღაც ვბრუნდებოდით — კარგად აღარ მახსოვს თეატრიდან თუ წვეულებიდან. მხიარული ხმაურით მივყვებოდით დაცარიელებულ მთავარ ქუჩას. გზაჯვარედინზე, სადაც ჩვენი ჯგუფი უნდა დაშლილიყო, შევეჩერდით. ცხარე კამათი ისევ გრძელდებოდა. უეცრად იგორმა საათზე დაიხედა, ამოიოხრა, სერიოზული სახე მიიღო და თავაუღებლად თქვა:

— აბა, ნახვამდის!

— საით? ხუთი წუთიც დაიცა, ერთად წავიდეთ, — შეეპასუხა იგორს ერთი ჩვენთაგანი. მათ ერთი გზა ჰქონდათ.

— არა, არ შემიძლია, — მრავალმნიშვნელოვნად უპასუხა იგორმა — ჩემი წასვლის დროა...

ამ სიტყვებით ის შებრუნდა და წავიდა... არა სახლისკენ, არამედ საწინააღმდეგო მიმართულებით, პარკისაკენ, რომელიც, სხვათა შორის, ამ დროისათვის უკვე დაკეტილი იყო. იმ მხარეზე ამ შუალამისას მას არავითარი საქმე არ შეიძლებოდა ჰქონოდა. ჩვენ ერთმანეთს გადავხედეთ, მხრები ავიჩიჩეთ, საუბარი განვაგრძეთ და მალე დაგვიწყდა კიდევაც იგორი.

საუბარი როგორღაც გაგვიგრძელდა და ის გულითადი ხასიათი მიიღო, როცა მოსაუბრენი ხდებთან განსაკუთრებით მახლობლნი, მათი აზრები საინტერესოა და აღარ უნდათ ერთმანეთს დაშორდნენ დილაამდე, თუმცა ეს დილა უახლოა.

წარმოიდგინეთ რა დიდი იქნებოდა ჩვენი გაკვირვება, ან რა სასაცილო მდგომარეობა შეიქმნებოდა, როცა დაახლოებით ერთი საათის შემდეგ უკვე სხვა მხრიდან ჩვენსკენ მომავალი იგორი დაეინახეთ. მას უბრალოდ წრე შემოველო პარკისათვის და ქუჩის გადაღმა მხრით სახლისაკენ მიდიოდა, ვითომც და არაფერიო. ჩვენ არ შევუწინისვართ. მისტიფიკაცია იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ ყველამ ერთხმად გადავიხარხარეთ.

თავისთავად ცხადია, არ შეიძლებოდა ამგვარ ეპიზოდებს გავლენა არ ექონია მის ურთიერთობაზე ამხანაგებთან, ისინი კიცხავდნენ ხოლმე ახირებული ხასიათის გამო და იგორიც თავისი ჩვეული ამპარტავნობით პასუხობდა.

როგორც უკვე ვთქვე, მთავარი დანაშაული მშობლებს ეკისრებათ. ელენე ვერ იტანდა ვერავითარ კრიტიკას იგორის მისამართით და იღებდა მას, როგორც პირად შეურაცხყოფას. არკადი კი ბეცივით თვალს არიდებდა შვილის ამ უცნაურობას და მიაჩნდა იგი ბავშვურ გულუბრყვილობად, რომელიც წლებს თან გაჰყვებოდა.

მაგრამ, მგონი, ზომაზე მეტად ვაძაგე იგორი და ვაი თუ ცალმხრივი წარმოდგენა შეგექმნათ!

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ღირსებები გაცილებით მეტი ჰქონდა, და ისინი ერთიათად ისყიდნენ მის ყველა სისუსტეს, რომლებსაც, ბოლოს და ბოლოს, ყველაზე მეტი ზიანი ისევ მისთვის მოჰქონდა.

ზოგიერთ განუხილველ დედისერთას მსგავსად, იგორი სულაც არ იყო ეგოისტი. მართალია სოციალურს იგი იღებდა, როგორც აუცილებელს, ხოლო დედას ოდნავ აბუჩად იგდებდა კიდევ, რადგან — როგორც მეტისმეტად ახალგაზრდა — მას ნაკლებგანათლებულად თვლიდა, მაგრამ ყოველივე ეს ხელს არ უშლიდა ნაზი, თავაზიანი, ყურადღებიანი და დამჯერი შვილი ყოფილიყო. იგი საერთოდ იყო ზუსტი, სიტყვის პატრონი და მეგობრის ერთგული. უყვარდა,

სწორედ რომ უყვარდა, ამხანაგის დახმარება, ამასთან ყოველგვარი საზღაურის, ყოველგვარი მადლობის გარეშე. მაგრამ ახალგაზრდა იყო, გამოუცდელი, და ყველაფერი უტაქტოდ გამოუდიოდა.

ამიტომაც იშვიათად, რომ მადლიერი ყოლოდა ვინმე. თანატოლების უმეტესობასთან მუდამ დაძაბულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მამასთან კი კარგად ამოკიდებულეუბა ჰქონდა: უბრალო, გულითადი და მეგობრული.

იგორი, უდავოა, მამის ძლიერი გავლენის ქვეშ იზრდებოდა. ადრე დაინტერესდა მამის საქმიანობით, გადაიკითხა მთელი მისი ბიბლიოთეკა და მეგობრებს აოცებდა ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ფილოსოფიისა და ისტორიის ღრმა ცოდნით. მამას უყვარდა იგი ჩუმი და ამაყი სიყვარულით. მან კარგად იცოდა იგორის ხასიათის ისეთი უარყოფითი მხარეებიც კი, რაც სხვებისთვის შეუშინეველი რჩებოდა, მაგრამ ნაკლებად სწუხდა ამის გამო. მამა შვილში, უდავოდ, თავისი შრომისა და ფიქრის მომავალ განმგძობს ხედავდა.

ალბათ უკვე თავი მოგაწყინეთ იგორის დახასიათებით, მაგრამ იგი მაინც არ იქნება სრული, თუ არ ვახსენებ მისი განსაკუთრებული უმანკოება, არა მარტო ფიზიკური (ეს ბოლოს და ბოლოს გასაკვირი არცაა ყმაწვილისათვის, რომელსაც ოცი წელი არც კი შესრულებია), არამედ სულიერი.

არც მე, არც სხვა ვინმეს არ ვგახსოვს რაიმე უწმაწურობა დასცდენოდეს მის ზაგეს, და ისე დიდი იყო ამ ზნეობრივი სიწმინდის ძალა, რომ მისი თანდასწრებით ვერცერთი ჩვენთაგანი ვერ ბედავდა ცინიკურ საუბარს, რაც არც ისე იშვიათია ყმაწვილების წრეში.

ჩვენ ერთმანეთს ომის მეორე დღესვე დავმორდით. მე ჯარში გამიწვიეს, მისი ხნის ბიჭები კი დღედღეზე ელოდნენ გამოძახებას.

მახსოვს მისი უკანასკნელი სიტყვები:

— აი, ახლა გამოჩნდება ვინ რა კაცი!

ეს სიტყვები მე არ მეხებოდა. იგორი ავრძელებდა დაუსწრებელ პოლემიკას მათთან, ვინც მას დასცინოდა.

ამით მთავრდება ჩემი მოგონებები იგორ ვოლინსკიზე. ყველაფერი დანაზრჩენი მე გავიგე გვიან, უკვე ომის დამთავრების შემდეგ, საერთო ნაცნობებისა, მეზობლებისა და მეგობრებისაგან.

იგორი ჯარში არ წაიყვანეს. გულის მანკი აღმოჩნდა. ეს უდიდესი სულიერი ტრავმა აღმოჩნდა მისთვის. იგი აღშფოთებული იყო, ადანაშაულებდა ვიღაცას რაღაცაში, მგონი იმაში, თითქოს ბოროტად სურდათ შეესუსტებინათ სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობა. ხედებოდა მაღალი თანამდებობის პირებს, სწერდა წერილებს საღლაც, მაგრამ არაფერი აქედან არ გამოვიდა. მოგახსენებათ, მძიმე დრო იყო და მისთვის არავის სცხელოდა.

სად მუშაობდა ან რას აკეთებდა იგი ომის პირველ დღეებში, არ ვიცი, ცნობილია მხოლოდ, რომ მძიმე სულიერ მდგომარეობას განიცდიდა. მისი სიამაყე საშინლად იყო შეურაცხყოფილი. მისი ამხანაგები, თანატოლები, ყველანი შაშხანით ხელში იცავდნენ სამშობლოს, იგი კი გამოუხსადეგარი აღმოჩნდა იმ დიადი გმირობისათვის, რომლის მოლოდინითაც მთელი ცხოვრება გაატარა.

ომის დაწყებიდან მესამე თვის მიწურულში ქალაქი გერმანელებმა დაიკავეს.

ვოლინსკების ოჯახმა ვერ მოასწრო ევაკუირება დროზე და ოკუპაციაში მოხვდა.

მე მოვახერხე აღმედგინა ამ პერიოდში ვოლინსკების ოჯახის ცხოვრების საკმაოდ ზუსტი სურათი. მათ მატერიალურად მძიმე პირობებში უხდებოდათ ცხოვრება: უნივერსიტეტი დაიკეტა, სამუშაო არ იყო. მაგრამ რას ნიშნავდა მატერიალური სიღიწროვე ისეთი ადამიანებისათვის, როგორც მამა-შვილი ვოლინსკები იყვნენ! მათ სულ სხვა სტანჯავდათ.

არკადი ჩაიკეტა, ჩაეფლო თავის წიგნებში და ადრეც სიტყვაძვირი, ახლა სულ დამუნჯდა. ამბობენ, მთელი კვირაობით არ გამოდიოდა თავისი კაბინეტიდან, სლუმდა დღეების განმავლობაში, მის ერთ სიტყვას ვერავინ გაიგონებდაო.

— ვაფუჭებულ დროში შეუმჩნევლად უნდა იცხოვრო, — უთხრა მან ერთხელ ცოლს ეპიკურეს სიტყვები, და მცირე დუმილის შემდეგ დაუმატა:

— ძალა არ მომდევს, მოგჭრა მარჯვენა მოძალადეს, რომელიც ლაფს გვასხამს, მაგრამ კოცნითაც არ ვაკოცებ!

ამ დროისათვის იგი სამოციანა ხდებოდა უკვე. არკადი გვიან დაქორწინდა. იგორის მდგომარეობა სულ სხვა იყო: მეორე კურსის სტუდენტი, ახალგაზრდა, უამხანაგოდა და უმეგობროდ დარჩენილი, ძლიერი და შეუბრალებელი მტრებით გარემოცულ ქალაქში..

ადვილი წარმოსადგენია რას გრძნობდა ოკუპაციაში მოხვედრილი იგორი, თუ მასზე ასე ძლიერ იმოქმედა ჯარში წაუყვანლობამ!

იმის გაფიქრებაც კი, რომ საზიზღარი მტრის მბრძანებლობის ქვეშ ცხოვრობდა, მისთვის აუტანელი იყო. იგი ხომ ეთიოპიასა, საბერძნეთსა და ესპანეთში ტირანის წინააღმდეგ ბრძოლაზე ოცნებობდა. მაგრამ აი, მტერი მოვიდა მის ქვეყანაში, დამორჩილა მისი სამშობლო ქალაქი. იგი კი, ცოცხალი და უვნებელი, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, დადის ჩამოხრელებულ გზებსა და ქუჩებში, სადაც ყოველი ქვა და ბუჩქი ინახავს წარსულის მოგონებებს, აგონებს მეგობრებს, რომლებიც შორს, ბრძოლის ქარცეცხლში მყოფნი ასე ჰკვიანნი, კეთილშობილნი და სათნონი ეჩვენება ახლა მას.

მისი მდგომარეობა კიდევ უფრო უარესდებოდა იმით, რომ ბუნებით არ შეეძლო გულის სიღრმეში შეენახა და დაემალა ძლიერი გრძნობა. იგი მთლიანად ანთებული იყო, დუღდა, ბობოქრობდა, ეჩვენებოდა, რომ თუ ყურს მოუყრუებდა რომელიმე შეშინებული ობივატელის უხამს რეპლიკას, ამით უღალატებდა მშობელი ქვეყნის ინტერესებს. და ისაც ამგვარ ობივატელებთან კამათობდა, რაც განუსჯელობით სიგიჟეს უდრიდა, რადგან არასდროს არ უწყევდა ანგარაშს იმას, თუ ვის ელაპარაკებოდა, ან ვინ იყო გარშემო. და თუ ამ კამათს არ მოჰყოლია დამლუბველი შედეგი, ეს მხოლოდ იმის გამო, რომ უძლიერესი იყო ხალხში საკუთარი მიწის სიყვარული და ზიზღი მისი მიმტაცებლების, უცხოელი ოკუპანტების მიმართ.

მაგრამ იგორის სულს სწყუროდა მოქმედება, გული საესე იყო მრისხანებით, შეურაცხყოფილი თავმოყვარეობა წუთითაც არ ზძლევედა მოსვენებას. იგი ხომ მთელი ცხოვრების მანძილზე გმირობაზე ოცნებობდა, და ახლა, როცა ამის დროც დადგა, მან აღარ იცოდა როგორ გამოეჩინა ეს გმირობა.

იგი მარტო იყო, სავსებით მარტო, რადგან ცხოვრებისაგან ნაგვემ მოხუც მამას არაფრით არ შეეძლო თანადგომა და დახმარება.

აი, მაშინ კი ინანა იგორმა, რომ არ ყავდა კარგი ამხანაგები, მეგობრები, რომლებსთვისაც ბოლომდე მახლდებელი იქნებოდა იგი.

მას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ სადაც ახლოს, იქნებ მის გვერდითაც კი, იყვნენ ადამიანები, რომლებიც აკეთებდნენ მამულის საქმეს. მაგრამ როგორ ეპოვა ისინი, ათასობით დაღვრემილ, მშვიერ და ზრუნვალბეჭდილ სახეებში როგორ გამოეცნო ის ერთი — მეგობრისა და წინამძღოლის სახე!

იგი საათობით დაეხეტებოდა ქალაქში, დაყინებით აშტერდებოდა გამწვლელთა სახეებს, და როცა ასეთსავე მზერას წააწყდებოდა, მისი თვალებიდან სხივივით მოჟონავდა მუნჯი კითხვა „შენა ხარ?“ მაგრამ პასუხი არ იყო...

მაშინ გაბოროტებისაგან აღგზნებული, იგი დაადგებოდა ხოლმე იმ ქუჩებს, სადაც შეიძლებოდა ოკუპანტებთან შეხვედრა, ჩაუვლიდა თეატრებსა და რესტორნებს, რომელთა შესასვლელებზეც გაკრული იყო წარწერა „მხოლოდ რაიხის სამხედრო პირთათვის“, განგებ ყოვნდებოდა სამხედრო დაწესებულებების წინ და უსაქმოდ იდგა იქ კარგა ხანს, რომ ბოლოს და ბოლოს გაეგონა გერმანელი ჯარისკაცის ყვირილი, — „აქედან წაეთრიეთ“.

იგი განგებ აიძულებდა თავის თავს ესვა დამცირების ფიალიდან, რომელიც სუსტა და მორჩილთათვის იყო გამზადებული. ასე იძიებდა იგი შურს თავის თავზე უმოქმედობისათვის, იმისათვის, რომ არ შეეძლო ეპოვა ადგილი იმ ტიტანურ ბრძოლაში, რომელიც რაღაც სახით ჩვენი პლანეტის ყველა კუნძულში იყო ვაშლილი.

მერე ისევ ეუფლებოდა ბოღმა, საკუთარი უღონობის შეგნებით გამოწვეული ბოღმა.

ისევ გიჟური კამათი პირველსავე შემხვედრთან რიგში, ტრამვაიში, პარკში, მაღაზიაში. მას უკვე ბევრი იცნობდა ქალაქში, ბევრიც პროვოკატორად სთვლიდა და ერიდებოდა.

ვერ გეტყვით, ფიქრობდნენ თუ არა იგორის მდგომარეობაზე მისი მშობლები, მაგრამ ადვილად შემიძლია წარმოვიდგინო: ელენეს ძველებურად ეგონა, იგორი არ შეიძლება შეცდესო, მამის ყურამდე კი უბრალოდ არ აღწევდა სხვების მითქმა-მოთქმა და შეხედულებები.

ოკუპაციის მეორე წელს იგორი დაიკარგა, გაქრა უკვალოდ, თითქოს პაერში გადნა, და მას შემდეგ აღარავის უნახავს.

შვილის დაკარგვა საშინელი ელდა იყო მშობლებისათვის.

პირველ დღეებში დედა შეშლილივით დარბოდა ქალაქში, ეკითხებოდა ნაცნობებს, მერე ქმართან ერთად დადიოდა საავადმყოფოებში, პოლიციაში, შრომის ბირჟაზე, გერმანელების სამხედრო კომენდატურაში, გესტაპოში.

ვოლინსკები არ ერიდებოდნენ იმას, რომ ყველაფერი ეს შეიძლებოდა ცუდად დამთავრებულიყო პირადად მათთვის.

მართლაც, გესტაპოელებმა გაჩხრიკეს ვოლინსკების ოჯახი, თან წაიღეს იგორის ყველა ფოტოსურათი, ხოლო არკადი რამდენიმეჯერ გამოიძახეს დაკითხვაზე.

ამ ფაქტმა საბაბი მისცა ახლობელ ადამიანებს გამოეთქვათ მოსაზრება: ალბათ იგორმა მოახერხა პარტიზანებთან კავშირის დამყარება, ან იქნებ ფრონტის ხაზიც კი გადალახაო.

ამგვარმა ვერსიამ იმედის ნაპერწკალი ჩაუსახა ცოლ-ქმარს გულში. განსაკუთრებული გამოცოცხლება დაეტყო დედას, რომელიც კითხვებით არ ასვენებდა ქმარს:

— როგორ ფიქრობ, არკადი, შეიძლებოდა ეს მომხდარიყო? მოახერხებდა ვითომ იგორკა ჩვენებთან მიღწევას?

— რატომაც არა, ადვილად შესაძლებელია, — პასუხობდა არკადი უხალისოდ, და ჩვეულებისამებრ იცქირებოდა სადღაც შორს, თითქოს რაღაცას ყურადღებით ათვალიერებო.

— მაგრამ რატომ არ გვატყობინებს თავის ამბავს, ხომ იცის რომ ვწუხვართ — აგრძელებდა ელენე.

— შენც, რა უცნაურს იტყვი, ლენა! — მოგონილი გაოცებით პასუხობდა არკადი, — როგორ გგონია, ასე ადვილია?!

— არა, რამე მაინც ეცნობებინა...

— იქნებ ჩვენ გვიფრთხილდება სულაც. ჩვენ ხომ, უეჭველია, თვალყურს გვაღევნებენ. მასაც ესმის ეს. და აი, არ უნდა უსიამოვნება შეგვამთხვეოს.

— და მაინც რა მამაცობაა, არა? — იწყებდა ალტაცებას დედა.

— ჰო, თუმცა, მე არასოდეს არ შემპარვია ეჭვი, რომ ჩვენი იგორი გაბედული და პატიოსანი კაცი იქნებოდა. სამი ძმა ჰყავდა მამაჩემს — სამივე თურქეთის ომში დაიღუპა, შიბკასთან. მათი ამბავი თვითონ სკობელევემა მოსწერა პაპაჩემს.

ბოლოს, დადგა დღე, როცა ყრუ კანონადამ ამცნო ხალხს ჩვენების მოახლოება. ოკუპანტები ცდილობდნენ რაც შეიძლება სწრაფად გასცლოდნენ ქალაქს. ფრონტის ხაზი კვლავ გაწყდა ქალაქის ჩრდილოეთით, ზუსტად ისე, როგორც ორმოცდეერთში, მაგრამ ამჯერად უკვე აღმოსავლეთიდან, და მტერი ცდილობდა როგორმე თავი დაეღწია მარწუხებისათვის.

თრთოლვითა და იმედით გამოვიდა ელენე ქუჩაში ჩვენი ჯარის შესახვედრად. ყოველი ტანკისტის ღიმილში თავის ბიჭს ხედავდა, ყოველი ასეული მისი შეილის მებრძოლი ოჯახი ეგონა.

მაგრამ იგორი არსად ჩანდა, და დედა კვლავ მიეცა სასოწარკვეთას, არკადი კი ამშვიდებდა და ანუგეშებდა:

— რა უცნაური ხარ, ლენა! რატომ გგონია, რომ იგორი მაინცადამაინც იმ ნაწილში უნდა ყოფილიყო, რომლებმაც ჩვენს ქალაქში ჩაიარეს. ფრონტი დიდია, თეთრ ზღვამდეა გაჭიმული მისი ხაზი, ასე რომ მის ყოველ წერტილში შესაძლებელია იყოს იგორი. ან იქნებ ჩვენი ბიჭი სულ არ იყოს ჯარში. სუსტი ჯანმრთელობისაა და იქნებ სადმე ზურგშია. ახლა ხალხი ყველგან საჭიროა.

— არა, იგი რომ ჯარში იყოს, აუცილებლად ამ ხაზზე იქნებოდა. მოდი მივწეროთ სარდალს, გკითხოთ.

— მივწეროთ, — პასუხობდა არკადი.

რამდენიმე ხნის შემდეგ N-ის ფრონტის კადრების განყოფილებისაგან მიიღეს პასუხი, იგორ ვოლინსკი პირადი შემადგენლობის სიაში არ ითვლება და არც ითვლებოდაო.

დიწყო ახალი საზრუნავი, მიწერ-მოწერა, დაკითხვა, და ყოველივე ამის ინიციატორი მუდამ ელენე იყო, არკადი კი რაღაცნაირი, დაცემულის მორჩილებით ახორციელებდა მეუღლის წამოწყებულ ღონისძიებებს.

სად და ვის არ სწერდნენ წერილებს! თავდაცვის სამინისტროშიც, კადრების მთავარ სამმართველოშიც, საბჭოთა არმიის პოლიტიკურ სამმართველოშიც, შინაგან საქმეთა სამინისტროშიც, შრომა-გასწორების ბანაკების მთავარ სამმართველოშიც...

დამთავრდა ომი — გამოჩნდა ახალი გზები და იგორის ადგილსამყოფელის ახალი შესაძლო ვარიანტები.



— იქნებ გერმანელებმა ძალით წაიყვანეს გერმანიაში! რატომ აქამდე არ ვითქვრეთ ამაზე, პა? — უკვე მესად კითხულობდა დედა.

— შეიძლება... — მორჩილად პასუხობდა არკადი, და ცოლი საყვედურებით ავსებდა, აბრალებდა შვილის ბედისადმი პასიურ და გულგრილ მოპყრობას.

არკადი თავს არ იმართლებდა. უფრო ხშირად სდუმდა და მხოლოდ ზოგჯერ ცდილობდა დაერწმუნებინა ცოლი, არც დაუსაბუთებელი იმედების აყოლა შეიძლება და არც დაუსაბუთებლად სასოწარკვეთილებაში ჩავარდნაო.

— შენ თვითონ ხედავ, ლენა, მთელი ევროპა აფორიაქებულია. საჭიროა მოთმინება, სანამ მთელი ეს მღელვარება დაცხრებოდეს, სანამ ყველაფერი მოწესრიგდებოდეს, და მაშინ, ალბათ, ვიპოვით იგორს.

თითქოს შეთანხმებული არიანო, ერთხელაც არ უხსენებიათ, რომ შესაძლებელი იყო მათ ბიჭსაც გაეზიარებინა რუსეთის, პოლონეთის, იუგოსლავიის ბევრი ახალგაზრდა შვილის ბედი...

ელენეს არ უნდოდა ამ ვარიანტის დაჯერება, უფრო საღად მოაზროვნე არკადი კი, როგორც ჩანდა, დიდი ხანია შერიგებოდა იმ აზრს, რომ შვილი სამუდამოდ დაკარგა.

მაგრამ ცოლისაგან ბრალდადებული, იგი კვლავ სწერდა წერილებს — რეპატრიაციულ კომისიას, საერთაშორისო ორგანიზაციას (რომელიც ადგილგადაცვლებულ პირთა საქმეებს იკვლევს და აწესრიგებს), საერთაშორისო წითელ ჯვარს, საგარეო საქმეთა სამინისტროს, ისევ თავდაცვის სამინისტროს, ისევ შინაგან საქმეთა სამინისტროს და თვით სკკპ ცენტრალურ კომიტეტს.

ასე გავიდა თქვენი მეტი, და ამ ხნის მანძილზე არ ყოფილა დღე, რომ ვოლინსკები რომელიმე ინსტანციისაგან პასუხის მიღების მოლოდინში არ ყოფილიყვნენ.

მე მოგხვდი მათს ქალაქში სამი წლის წინ და ვნახე ისინი.

ელენე გაჭლარავებულა და გამხდარა. მაგრამ შვილის ძებნისთვის კვლავ შერჩენია ძალა.

ფოლადისაგან ნაქედი არკადიც მოტეხილა, თუმცა ისევ ძლიერი ხელის ჩამორთმევა იცის და არც ახლა ავადმყოფობს, მაგრამ სიარული როგორღაც ბებრული და საცოდავი გაუხდა. არცაა გასაკვირი — უკვე ოთხმოც წელსაა მიღწეული.

უფროს დაკლებია და ღია ცისფერი თვალებიც აღარ იციჩებებიან თავშეკავებული იუმორით. მხოლოდ ერთხელ დავიკვირე მისი მზერა, და მომეჩვენა, რომ მისი თვალები უკვე ცარიელი და მკვდარი იყო...

მაგრამ ყოველთვის, როცა ცოლი გამოთქვამს რაღაც ახალ მოსაზრებას, იგი ისევ წერს წერილებს და ეძებს ვაჟს. თუმცა უფრო და უფრო იშვიათად.

ბოლო ზოგჯერ, როცა წამიერი სისუსტით შეპყრობილი დედა კითხვებით არ ასვენებს, იგი კვლავ ამშვიდებს და არწმუნებს ცოლს, ჯერ კიდევ არაა ყველაფერი დაკარგული, ყველაფერი შეიძლება მოხდესო...

მთბრობელი დადუმდა, და ჩვენც კარგა ხანს ვისხედით მდუმარედ. მისი მონაყოლის შთაბეჭდილებებში ჩაფლულნი.

ბოლოს ერთმა ჩვენთაგანმა თქვა:

— დიახ, დედის სიყვარული გონებას არ ემორჩილება. მწუხარებისაგან განმძვინვარებულ სტიქიას ედარება და უმაღლესი ერთგულებისა და ძლიერი სულის გამომყვანება ძალუძს.

— პო, ეს ასეა, — გვიპასუხა მთხრობელმა, რომელიც სადღაც შორს იხედებოდა და ეტყობოდა, სულ სხვა რამეზე ფიქრობდა. უცებ მან მზერა მოსაუბრეზე გადმოიტანა.


— მაგრამ მე მაგას არ მოგახსენებთ. საქმე ისაა, რომ ჯერ კიდევ ათას ცხრაას ორმოცდაოთხ წელს, გერმანელების უკანდახევამდე ერთი თვით ადრე არკადი პავლეს ძე გესტაპოში გამოიძახეს და გამოსაცნობად შვილის გვამი აჩვენეს.

იგორმა, რომელმაც კავშირი ვერ დაამყარა იატაკქვეშელებთან, გადაწყვიტა პარტო ემოქმედა და გამოუცდელი პირველსავე ოპერაციაზე დაიღუპა. ისე მოკლეს, რომ სადღაც ნაშოვნო რევოლვერით მხოლოდ ერთი გესტაპოელის დაჭრა მოასწრო.

მე ეს ამბავი მომიტხრო ერთმა ნაცნობმა, ვოლინსკების მეზობელმა. ისიც ოკუპაციაში იმყოფებოდა და იგორ ვოლინსკის გვამის გამოსაცნობად ისიც იყო გამოძახებული გესტაპოში.

მთელი თხუთმეტი წელიწადი არკადი ცხოვრობდა მეუღლის გვერდით, ყოველდღიურად და ყოველ წუთს იგი მეუღლეს ესაუბრებოდა იგორის აღმოჩენისა და გადარჩენის შესახებ, მეუღლის კარნახით სწერდა განცხადებებსა და ითხოვდა შვილის შეწყალებას. გულში კი ინახავდა შვილის ბედის საიდუმლოს, რადგან იცოდა, რომ ელენე შემაძრწუნებელ სიმართლეს ვერ გადაიტანდა.

ვინ იცის, წინ კიდევ რიმდენი ასეთი წელიწადი აქვს?





## შოთა ნიჟნიანიძე

### პირველისა და უკანასკნელის შესახებ

#### I

ოცდაორ ივნისს

ყრუდ გმინავდა აკაფული ტყე  
და სიკვდილს სთესდნენ მტრის ტანკები კვამლის ქულებით,  
მორახრახებდნენ ხის რტოებით შენიღბულები —  
თითქო მოჰყავდათ

გაზაფხული ტყვედ...

#### II

ბერლინის კართან უკანასკნელს გამსხვრევდით ჯებირს,  
მუნდირს იხდიდნენ

და გარბოდნენ არამზადები.

მათ დარჩათ მხოლოდ უთვალავი საფლავის ჯვრები  
ზედ ყვავებივით ჩამომსხდარი მუზარადებით.

#### III

განა თქვენ როგორც ადამიანს არ გიფიქრიათ,  
რა არის მთელი ისტორია,

მთელი წარსული,

იგი ხომ ერთი საშინელი ცოდვის წიგნია

ომიანობის თარიღების ყდებში ჩასმული.

როგორც დღეს კაციკამიობა ველურ ტომების  
შეგვაძრწუნებს და

ტანში ცივად გაგვაჟრიალებს,  
ასევე ძველი ხოცვა-ჟლეტა,

ძველი ომები

სულს აღუშფოთებს კომუნიზმის ადამიანებს!  
ომი ომია,

ბედისწერა არ მწამს სრულებით,  
და რა გულია,

მწუხარებით რომ არ აძგერდეს,  
არ დაენანოს პირველ დღესვე დაცემულები  
და უფრო მეტად —

დაღუპულნი უკანასკნელ დღეს!..

თაობაე ჩემო,  
მსხმოიარე ტურფა ვენახო,  
ტყუილ-უბრალოდ მომავლის გზებს როდი გავცქერით,  
ტკბილად დაბერდი,

სხვა ომები ნულარ ვენახოს,  
ის ომი იყოს პირველიც და უკანასკნელიც!

#### IV

მარტო ვიყავი... ისიც მარტოცა —  
ერთი პატარა ჩიტი მზეწვია,  
ის შემეჩვია მერე რატომღაც,  
ისე რომ ველარც გადამეჩვია.  
დრომ ჩვენი გზები ერთად მოკონა,  
უერთმახეთოდ ველარ გაქელით,  
ეს სიყვარული და ეს გოგონა  
პირველია და უკანასკნელი!  
ჩვენ მივდიოდით ქუჩაში ორნი  
ბავშვივით ხელუბრალოდ  
და შენდებოდა თეთრ ღრუბლებს შორის  
ჩვენი ოცნების ცხრაკლიტულები.  
ჩვენ მივდიოდით ქუჩაში ორნი  
და შევხაროდით მობიბინე მზეს  
და ვოცნებობდით ბავშვური თრთოლვით  
ჩვენს პირველ შვილზე — პირველ იმედზე...  
მეტ ზრუნვაში ვარ სამი წელია,  
მეტი ხალისით ვდგები დილდილას,  
ბედნიერი ვარ — სამი წელია,  
უკვე ქუჩაში სამნი მივდივართ...  
გოგონა როცა მოჰყვება ტიკტიკს —  
სიყვარულით და შვებით დაეცქერით;  
ჩვენი პირველი შვილია იგი  
და ნურც იქნება უკანასკნელი.  
არ მობეზრდება ალერსი დედის,  
გადაქცეულა თამაშ-სიცილად,  
თამაშობის და სიცილის მეტი  
ჩვენმა გოგონამ არა იცის რა.  
არ იცის რაა შიმშილი, ომი...  
ან რად გახადეს ცა სამეკობროდ...  
ალბათ მზადა აქვთ უკვე ის ბომბი,  
პატარა გოგო რომ დააობლონ.  
ჩვენ რომ ვთამაშობთ. ვერთობით ასე,  
შევხარით ჭერს და ცის ნათელს მაღლით,  
ხომ არ აღნიშნა მტერმა რუქაზე  
ჩვენი ქალაქი და ჩვენი სახლი?

#### V

პირველი ხნული!  
პირველი ბწყარი!

პირველი თოვლი!  
 პირველი კვირტი!  
 რა სიხ რული არი!  
 რა ნეტარება დიდი!

რა ალტაცების წუთებს გვანიჭებს,  
 სულში ხალისი შეაქვს წყაროთა,  
 ოჯახში ჩვილის ნაბიჯებს,  
 მისი პირველი სიტყვის წარმოთქმას.

VI

უკანასკნელი და პირველი  
 გულს უფრო ხედება,  
 გაბოჰავს, როგორც კალმახს ფაციერი...  
 მართლაც პირველი პაემანი არ გვავიწყდება  
 არც გვავიწყდება უკანასკნელი...  
 უკანასკნელი ტყვიის ფასი  
 ბევრმა იცოდა,  
 ვალმობილები დაჰყურებდნენ ჩახმახს დაცერილს..  
 იერიშის წინ,  
 როცა ლოყით ათბობენ კონდახს,  
 რა ღირდა ფრონტზე

პაპიროსი უკანასკნელი  
 შინმოუსვლელის ძვირფასია ყველა ნაწერი,  
 მაგრამ სხვა არის

ბარათები უკანასკნელი  
 როგორც სხვა არის  
 მშობლის სიტყვა უკანასკნელი,  
 როცა ანდერძად დანაბარებს უსმენ თვალსველი...

VII

და რახან, ძმებო, თითონ სიცოცხლე  
 არის პირველიც,  
 უკანასკნელიც,  
 სიცოცხლის ფასი უნდა ვიცოდეთ,  
 ვაშორით საფრთხე და განსაცდელი!  
 მას გაუფრთხილდეთ დიდი სიფრთხილით  
 ვაშორით საფრთხე და განსაცდელი.  
 ისე ვიცხოვროთ, — ჩვენი სიკვდილი  
 იყოს პირველიც,

უკანასკნელიც!  
 იყოს ცხოვრება გასაკვირველი,  
 როგორც სიმღერა ელვით ნაწერი!  
 თუ დაბადება იყო პირველი,  
 ნულარც იქნება უკანასკნელი!

## VIII

ომი ომია,

ბედისწერა არ მწამს სრულებით.

და რა გულია, მწუხარებით რომ არ აძგერდეს,

არ დაენანოს პირველ დღესვე დაცემულები

და უფრო მეტად —

დაღუპული უკანასკნელ დღეს!..

ჩემო თაობავ —

მსხმოიარე ტურფა ვენახო,


ტყუილ-უბრალოდ მომავლის გზებს როდი გავცქერით!

ტკბილად დაბერდი

სხვა ომები ნულარ ვენახოს!

ის ომი იყოს

პირველიც და უკანასკნელიც!..



სოსო კოჩინთაი

ანამ კოჩინთაი

მესამე თავი

მანქანამ ელბაქიდის დაღმართი ამოიბრინა და ვერისკენ გაემართა. გა-  
ვარვარებული, დარბილებული ასფალტი გაშავებულიყო და შემხუთავი, უსი-  
მუნო ოხშივარი ასდიოდა. მზე უმოწყალოდ აჭერდა.

მანქანა რკინის ჭიშკართან შედგა და სიგნალი მისცა. ჭიშკარისკენ თორმე-  
ტიოდე წლის თმახუჭუჭა ბიჭი გამოიქცა უმაღ და მარღად გააღო. ირაკლიმ  
შეიყვანა მანქანა ეზოში. სახლში ასასვლელ კიბესთან გააჩერა.

— ირაკლი მოვიდააა...  
— ძია ირაკლი მოვიდააა...

ახმაურდნენ ეზოს ბავშვები და მანქანისკენ გამოიქცნენ.

საკმაოდ მოზრდილი ეზოს ერთ მხარეს, ქვეითკრის ლობესთან, კალა-  
ბურთის ფარი იდგა. ფარის წინ მიწაზე წყალი მოესხათ, რომ თამაშისას არ  
ამტვერებულებო. ირაკლის ძმა დათო ეზოს ბიჭებს ავარჯიშებდა, რიგრიგობით  
აწვდიდა ბურთს და კალათაში ჩაგდებას ასწავლიდა. დათო პირველთანრიგო-  
სანი კალათბურთელი იყო. ახლა სათამაშო ფორმა ეცვა: ლურჯი ძალიან  
მოკლე ტრუსი, წითელი მაისური და მაღალყელიანი, ჩეხური კედები.

— ძძ... ძია ირ... რრაკლი, აბა თუ ჩჩ-ჩაავდებთ აქედან. — თქვა თმახუ-  
ჭუჭა ბიჭმა, რომელმაც წედან ჭიშკარი გაუღო და ირაკლის ბურთი მიაწოდა.  
ჩიქს რეზო ერქვა. ცოტა ენა ებმოდა, მაგრამ ეს როგორღაც უხდებოდა კო-  
დეც.

— აქედან გამიძნელდება, შორსაა. შენ რას იტყვი?

რეზოს კალათბურთელის მაისური ეცვა, გულზე და ზურგზე დაწერილი  
ვევებრთელა რეიანებით, ხოლო მკერდზე, მარცხნით, კაპიტნის წითელი ზოლი  
ნიეკერებინა.

ირაკლი წამოიწია მანქანის საჯდომიდან. დაუმიზნა ბურთი და ესროლა.  
ბურთი რგოლს შეუხებლად ჩასრიალდა კალათში.

— ვ... ვეაშა! — ხელი ხელს შემოჰკრა რეზომ, გაიქცა, ბურთი დაიჭირა  
და კვლავ მოუტანა ირაკლის.

— არა, მეტს აღარ ვისვრი, რეზო. — თქვა ირაკლიმ და მანქანის კარი გა-  
შალა.

გაგრძელება. იხ. „ცისკარი“, № 1.

— დღ... დაიღალეთ, ძმ.. ძია ირ... რრაკლი?

ირაკლიმ რეზოს გაუღიმა, ხუჭუჭა ქოჩორზე ხელი გადაუსვა.

— არა, არ დავდლიღვარ, რეზო.

ირაკლის მანქანა კუთებისა და უფეხოთათვის განკუთვნილ საგანგებო მოტოციკლს წარმოადგენდა. მას ორივე მხარეს თითო კარი ჰქონდა, სამკუთხა იყო, დაბალი, სამ ბორბალზე იდგა და ტენტით იხურებოდა. ამ ყაიდის მანქანები მომრავლდნენ ბოლო დროს.

— გიშველო, ირა? — მიუახლოვდა ძმას დათო.

— არა, მე თვითონ ავალ. — უთხრა ირაკლიმ. — მხოლოდ შენ გარაეში შეიყვანე მანქანა.

ირაკლიმ მანქანიდან ჩამოსვლა დააპირა.

— დაიცა, რატომ წვალბ?! — შეაჩერა დათომ. — თანაც მიწა მორწყულია, დაისვრები...

დათომ ილღიებში ამოსდო ხელები ირაკლის, აიტატა და წაიღო კიბის-ყენ. უნდოდა კიბეზეც აეყვანა, მაგრამ ირაკლიმ არ დაანება, ხელები გააშვე-ბინა...

პირველად არ აუტატებია ეგრე დათოს, არა ერთხელ აუყვანია კიბეზეც ხაგშვივით მკერდზე მიხუტებული, მაგრამ ვერ იქნა, და ვერ შეეგუა... ყოველ-თვის უსუსურობის დამამცირებელი, მტანჯავი გრძნობა ეუფლებოდა ასეთ დროს. ამიტომ გააშვებინა ძმას ხელი, საბიჯგები მოიმარჯვა, კიბის ზემო სა-ფეხურზე დააწყო, მკლავებით აიწია და აიტანა სხეული. კვლავ დააწყო მომ-ღევნო საფეხურზე საბიჯგები, აიწია მკლავებით, აიტანა სხეული და ასე...

მეორე სართულამდე კი ოცდარვა საფეხური იყო.

ფეხები თეძოებთან ჰქონდა გადაჭრილი, საგანგებოდ დამოკლებული შარვლის ტოტები ბოლოებში აკეცილი და დამაგრებული იყო. საჯდომზე შარვალს შავი ტყავი ჰქონდა გამოკერებული, რომელიც ჩოჩვისაგან გაცვეთი-ლიყო და საპირე აქერცლოდა.

ირაკლი წინა ოთახში გაჩერდა. აქ უფრო გრილოდა, ვიდრე გარეთ, მაგ-რამ მაინც მოიშილიფა ცისფერი ხალათის საყულო. ესმოდა, როგორ ჰგვიდა დედა მის ოთახს, ასუფთავებდა და მტვერს აცლიდა ნივთებს...

დედა მორჩა დალაგებას. ირაკლი გავიდა თავის ოთახში. ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“ აიღო და ჩანიშნულ ადგილიდან განაგრძო კითხვა. პირველად კითხულობდა „ომსა და მშვიდობას“. ოცდაათი წლის მალე შესრულდებოდა, მაგრამ პირველად კითხულობდა. ეს არ იყო ირაკლის ბრალი... დათო ცხრა წლით უმცროსი იყო და მასზე გაცილებით მეტი ჰქონდა წაკითხული.

...ცხრა წლით ჩამორჩა, მაგრამ ეს არ იყო ირაკლის ბრალი.

ოთახში სასიამოვნოდ გრილოდა. გრილოდა და ჩაბნელებული იყო. ირაკ-ლი აქ, გრილ ოთახში უფრო გრძნობდა, რომ ზაფხული იყო და გარეთ თაკარა მზე აცხუნებდა. ზაფხულს გრილ ოთახში უფრო გრძნობდა, როცა დარაბა ოდ-ნავ იყო გამოღებული და მზის სვეტი გამჭვირვალე, ოქროსფერ ფარდად ეკი-და ჰაერში.

სალამოქამს დედამ დარაბები და ფანჯრები გამოაღო. ოთახში გამაცოც-ხლებელი, სუფთა ჰაერი შემოიჭრა. რაფის ფანჯრისგარეთა ნახევარზე თეთრი თუნუქი ეკრა. თუმცა მზე დიდი ხანია გადასცდა ამ ადგილს, თუნუქს კიდევ არ განელებოდა სიმხურვალე და ხელებს წვავდა. სახლის ქვემოთ, ფილაქანზე ზრდილი ეფინა, მოპირდაპირე ფილაქანს კი კვლავ მზე ანათებდა. მზე ანათებ-

და აგრეთვე მოპირდაპირე სახლებსაც და მათი ფანჯრები ხანძარწყვილებულს ჰგავდა. ქუჩის იქეთა მხარეს თითქმის არავინ დადიოდა.

ირაკლი თავაუღებლად კითხულობდა. დედა ხედავდა, რომ იგი გატაცებული იყო, შუბლზე ნაოჭები გაჭრობოდა... გაეხარა, როცა ირაკლი კითხულობდა, მაშინ მშვერად ჰქონდა გული.

ოთახში დათო შემოვიდა. კარადის კარში ჩასმული დიდი სარკის წინ დადგა. ირაკლიმ წიგნიდან თავი აიღო და ძმას შეხედა. ჩაცმული უფრო მაღალი და ტანადი ჩანდა დათო. ვიწროტოტებიან შავ შარვალში თეთრი, გაქათ-ქათებული ხალათი ჰქონდა ჩატანებული. მაღალი, გახამებული საყელო შეესხნა და ტიტველი, მზეზე გარუჯული მკერდი მოუჩანდა. ოცდაერთი წლის მალე შესრულდებოდა, მაგრამ უფრო მოწიფულად გამოიყურებოდა. იგი პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი იყო.

— ეწყობი? — ჰკითხა ირაკლიმ.

— აჰა, — უპასუხა დათომ. იგი რალაცას ხმადაბლა ლიღინებდა.

— პაემანი გაქვს?

— აჰა.

— ცხადია, ქალიშვილთან...

— აჰა.

— იმასთან ხომ არა, ქერა თმები რომ აქვს, მაღალი გოგონაა... ხუთჯერ მაინც დაგინახეთ ერთად.

— აჰა.

— შენ რა, ლაპარაკი დაგავიწყდა?

— გამიგონე. — გაიცინა დათომ და ძმისკენ შემობრუნდა, — რატომ გიყვარს ზედმეტი შეკითხვები?! მშვენივრად იცი, სად მივიღივარ, ისიც იცი ვისთან... ზედმეტი ლაპარაკი გიყვარს. მარტო შენ კი არა, საერთოდ—შენს ტოლებს.

— შენ კი ხმას ვერ ამოგაღებინებს კაცი... თუ არ შეგეკითხა. და მარტო შენ კი არა, საერთოდ — შენს ტოლებს.

— კარგი. ეგრე იყოს. — გაიცინა დათომ, სავარცხელი აიღო და სარკის წინ დადგა. მზონავი, ოდნავ დატალღული წაბლისფერი ქოჩორი კეფისკენ გადაივარცხნა.

ირაკლიმ იცოდა, დათოს მოსწონდა თავისი ქოჩორი. დიდი გულმოდგინებით უვლიდა. ახლაც ისეთი გულისყურით დაიწყო დასველებული და ამიტომ გამუქებული თმის ვარცხნა, რომ ირაკლის გაეცინა.

— ძალიან მოგწონს შენი ქოჩორი. — უთხრა მან.

დათომ ღიმილით მოუხედა ძმას, თვალი ჩაუკრა და თქვა:

— ქალიშვილებმა მითხრეს, შენი სილამაზე ქოჩორშია, ქოჩორს მოუარო.

— შენც, ნუ გეშინია, კარგად უვლი.

— ვცდილობთ.

ირაკლი თვალს არ აცილებდა სარკეს, საიდანაც ეშხიანი ჰაბუკის ბედნიერი სახე იცქირებოდა. ჰაბუკს ნათელი შუბლი და მომდიმარე, დიდრონი შუქიანი თვალები ჰქონდა. იგი უღიმოდა თავის თავს, თავის სიხარულს, ცხოვრებას, ირაკლის და საერთოდ ყველასა და ყველაფერს, რაც გარს ერტყა — მთელს ქვეყანას.

— ირა გახვალ დღეს სასეირნოდ?

— არა, უნდა ვეკითხო.

დათომ გადაშლილ წიგნს გადახედა, მერე ხელში აიღო.

— ბევრი წაგივითხავს. ძალიან სწრაფად კითხულობ. — უთხრა მან.  
— ჩემს პირობებში სხვანიირად არ შეიძლება. დაკარგულ დროს ვინაზ-  
ლაურებ...

დათომ არაფერი თქვა. ყურადღებით შეათვალიერა ძმა. ირაკლი თავის  
ლოგინზე იჯდა. ღრმად ამოჭრილი და მალალ მკერდზე შემოკვართული თეთრი  
მაისურა ეცვა. დათომ ტიტველ მკლავებში ჩაავლო ხელი მას, მოუჭირა და  
უთხრა:

— უ, რამოდენა მკლავები გაქვს! აბა ეგრე დაჭიმე. — მკლავი მოხარა  
და აჩვენა, როგორ უნდა დაეჭიმა.

— ნუ ბავშვობ. — უთხრა ირაკლიმ.

— დაჭიმე რა! — მართლა ბავშვივით შეეხეწა დათო.

ირაკლის გაელიმა. ხათრი არ გაუტეხა და მოჭიმა მკლავი. ვეებერთელა  
კუნთები დაეძაგრა, ამოებურცა. დათომ ხელი ჩაავლო, თითებით მოსინჯა.  
რკინასავით მაგარი იყო კუნთი. შემდეგ ორივე ხელის თითები შემოაჭდო მოხ-  
რილ მკლავზე და ძლიერ შემოაწვდინა.

— ძალიან მსხვილი მკლავები გაქვს.

— არც შენ გაქვს წვრილი მკლავები. — უთხრა ირაკლიმ.

— რაც განტელებით დავიწყე ვარჯიში, დამიმსხვილდა.

— მკერდიც უფრო მალალი გაგიხდა.

— ახლა ყველა ჩემი ამხანაგი ვარჯიშობს განტელებით. კარგად აყენებს  
ტანს. შეჯიბრი გვაქვს, ვის უფრო მალალი მკერდი და განიერი გვერდის კუნ-  
თები ექნება...

ირაკლის გაეცინა.

— შენ პირველი ადგილი გექნებოდა ჩვენს ბიჭებში, ირა. ყველაზე მსხვი-  
ლი კუნთები, მალალი მკერდი და განიერი გვერდის კუნთები გაქვს.

— ეგ იმიტომ, რომ ხელები ფეხების მაგივრობასაც მიწევს.

ამის გაგონებაზე დათომ განზე გაიხედა. რატომღაც გაუძნელდა ეყურე-  
ბინა ძმისთვის თვალბში. სიჩუმე ჩამოვარდა. დათოს შეეშინდა ამ სიჩუმის.  
სახიფათო სიტყვების შემდეგ ჩამოვარდა იგი. ამიტომ მაშინვე გადაწყვიტა რა-  
იმე ეთქვა, მაგრამ ვერ მოახერხა. ახლაც სათქმელს ეძებდა.

— ერთი ამხანაგი გვყავს, საერთოდ კარგი ბიჭია, მაგრამ ერთი სუსტი  
მხარე აქვს, ძალიან უნდა თავი ძლიერად და ღონიერად მოგვაჩვენოს... — და-  
იწყო დათომ.

ირაკლიმ ძმას ახედა.

— ხელს უბრალოდ კი არ ჩამოგართმევს, არამედ რაც ძალა და ღონე აქვს  
მოგიჭერს, თანაც ისეთ სახეს მიიღებს, თითქოს სულ არ ატანდეს თავს ძალას.  
შემთხვევით რომ მოგიხედეს მკლავზე ხელი, იმ წამში დაკუნთავს, დაჭიმავს.  
ერთ დღეს დავინახეთ, მოდის... მე და ჯიმშერი წინდაწინ შევთანხმდით და რო-  
ცა ჩვენთან მოვიდა, ერთ მკლავში მე ჩავავლე ხელი, მეორეში ჯიმშერმა...

დათომ სული მოითქვა და ირაკლის გადახედა. შემდეგ განაგრძო:

— მან უმაღლე დაჭიმა კუნთები, გაამაგრა. ჩვენ კი, ვითომ უბრალოდ  
მკლავი გვაქვს გაყრილი, ხელს არ ვუშვებთ, მივასერიანებთ და თან ვემუხსაიფე-  
ბით. ასე ვატარეთ რუსთაველის ძეგლიდან მთავრობის სასახლემდე. ვატყობთ,  
რომ კუნთები დაელალა, მოუდუნდა. ერთიორჯერ სცადა კიდევ გაეშვებინებინ-  
ა ხელი, მაგრამ არ გაუშვით, თანაც ვითომ არაფერი, კვლავ რალაც-რალა-  
ცებზე ვესაუბრებით. ეტყობა, ძალიან დაიღალა, რადგან თითქმის ძალით გა-



ითავისუფლა მკლავები და გაგვექცა, რაღაც საქმე მოიმიზეზა. რომ გაგვიცლდა, მკლავები ჩერებოვით ჩამოეკიდა...

ირაკლის გეცინა და დათომ შევებით ამოიპუნტა.

— ახლა კი წავედი. — თქვა მან.

— დმერთმა ხელი მოგიმართოს. — გააყოლა ირაკლიმ.

შებინდა. ირაკლის უკვე უპირდა ნაწერის გარჩევა. სინათლის ანთება კი არ უნდოდა. ფანჯრის რაფას გადაეყრდნო. იენისის წყნარი, სასიამოვნო საღამო იდგა. არ ცხელოდა. ფანჯრის წინ დარგული აკაციები საამოდ შრიღლებდნენ და ირაკლის მოეჩვენა, რომ ერთი ხე მეორეს რაღაც საიდუმლოს ანდობდა.

სიგარეტს მოუკიდა და გააბოლა. ძირს, ფილაქანზე გაუმდნარი თოვლის ფიფქებივით ეყარა თეთრი, პატარა ყვავილების ფოთლები.

თუმცა იენისი იდგა, ჰაერში გაზაფხულის მღელვარება იგრძნობოდა. ამ მღელვარებას ირაკლი თავის სხეულშიაც გრძნობდა.

ზაფხულში ვის გაზაფხულის მღელვარება მოსწონს, ვის ადრეული შემოდგომის სიწყნარე, სიმშვიდე და მოსალბუნე ჰაერი. ირაკლის აღარ უყვარდა გაზაფხული თავისი აღმატკინებელი მღელვარებით, მოუსვენრობით. შემოდგომა ერჩია — გრილი, დამამშვიდებელი.

ნიავმა სიგრილე მოიყოლია. მალე სასეირნოდ გამოეშალა ხალხი. ირაკლი რაფაზე ჩამოჯდა და ზემოდან ათვალიერებდა მოსეირნეებს, რომელთა უმრავლესობა ახალგაზრდები იყვნენ.

აი მოსეირნობენ ქალიშვილები, ზოგი ვაჟთან ერთად, ზოგი კი მარტო... ვინც მარტო მოდის, მას ალბათ ქუჩის ბოლოში ელოდება ვაჟი, ან სადმე სხვაგან, დათქმულ ადგილზე.

ქალიშვილი, რომელსაც არ ახლავს ვაჟი და არც სადმე ელოდება, ალბათ პროსპექტზე გავა. გვა იმიტომ, რომ ისეირნოს და კიდეც იმიტომ, რომ შეხვდეს თავის ვაჟს. ზოგიერთმა არც იცის, ვინ არის ის ვაჟი, მაგრამ ეძებს კია. მის მოლოდინშია...

...ცუდია, როცა ყველაფერი ეს შენ არ გეხება. ცუდია, როცა შენ არავითარი, არც ვინმეს მოეჩქარება შენსკენ...

„ვინ იცის, რით იზიდავს, რით აღელვებს ქალი მამაკაცს? — ფიქრობდა ირაკლი, — ეს თანდაყოლილი ინსტიქტია, თუ მართლაც აქვთ ქალებს რაღაც ისეთი, ნამდვილად მიმზიდველი, ამაღელვებელი... იქნება ეს განსხვავებულ სილბილე, სითბო, თუ ალერსი... ან ქალის ჭკუა! ძალიან თავისებური ჭკუა, ინსტიქტითა და ქვეშეცნეულობით სავსე... ამაზე ღირს ფიქრი. ამაზე უმკველად ვიფიქრებ ერთხელ“.

მოსეირნობდნენ ძალიან ლამაზი და მოხდენილი ქალიშვილები, ირაკლის მოსწონდა მათი ჩაცმულობა, შეკრეპილი თმა, ტიტველი, თეთრი კისრები... გაცინება, გახუმრება და სიარული, სულ სხვანაირი სიარული.

მის ყმაწვილობაში ასე არ დადიოდნენ...

მაგრამ ეს მშვენიერი ქალიშვილები, ეს მოხდენილი ქალიშვილები უცხონი იყვნენ... უცხონი და შორეულები. ძალიან მიმზიდველები, საყვარლები, სასურველები, მაგრამ მიუწვდომლები... რადგან არც ერთი მათგანი არ ისურ-

ვებდა ირაკლის. არ, ისურვებდა, არა. მხოლოდ მან ისურვა, მხოლოდ ერთმა ისურვა, მაგრამ ირაკლიმ უარი თქვა. უარი თქვა, რადგან უყვარდა. არ შეიწირა, რადგან უყვარდა....

თუმცა იმ ერთმა კი ისურვა? გულწრფელად ისურვა?

არ იყო საჭირო იმაზე ფიქრი, რომ ქალიშვილები შეიძლება მოგწონდეს მხოლოდ, გასურდეს მხოლოდ და მეტი არაფერი... რომ ისინი ლამაზებიც არიან, კარგებიც არიან, მშვენიერებიც, სასურველებიც, მაგრამ შენთვის არ არიან.

არც იქნებიან...

რა საჭიროა ყველაფრის თავიდან დაწყება?! რა საჭიროა ატყუებდეს საკუთარ თავს, რომ ეს შენ აღარ გეხება, აღარ გაწუხებს, აღარ გადარდებს...

არა, ეს შენ გეხება, ეს შენ გტანჯავს, ეს შენ გაკლია, მაგრამ არ არის საჭირო ამაზე ფიქრი...

ჩამობნელდა, ჩამოლამდა. ელექტრონათურები აინთო ქუჩაში. ირაკლიმ სივარეტს მოუკიდა, ღრმად მოქაჩა. კიდევ მოქაჩა და თითქმის გაანახევრა. დაწვა და განახევრება! არ უნდა გადააგდო განახევრებული სივარეტი. განახევრებული არაფერი არ უნდა გადააგდო. მოსწიე ბოლომდე, სანამდისაც შეიძლება. განახევრება არაფრის არ ვარგა.

მოპირდაპირე სახლის მეორე სართულზე, ერთ ოთახში სინათლე აინთო, ფანჯარაზე ჩამოფარებული გამჟვირვალე ფარდის იქით კედელზე მიდგმული, ქერსმიბჯენილი განიერი სარკე ელავდა. სარკის მარცხნივ მოოქროვილ ჩარჩოში ჩასმული პატარა ხურათი მოჩანდა.

ირაკლი აქედან ვერ ამჩნევდა, რა იყო გამოსახული სურათზე, მაგრამ სწორედ ეს საოცრად აღაგზნებდა მის ფანტაზიას, წარმოდგენას ფრთებს ასხამდა.

მოოქროვილ ჩარჩოებში ჩასმული პატარა სურათები! ვილაციისათვის ძვირფასი სურათები! ვის მოოქროვილ ჩარჩოში ჩასმული კედელზე უკიდია იგი, ვის ალბომში ჩაუკრავს, ვის საწერი მაგიდის უჯრაში ჩაუკეტავს, ვინ ჯიბით ატარებს...

ირაკლის უნდა დამარხოს ეს მოგონებები. უნდა თავისი მეხსიერების კუნძულებში მიუყუროს, რათა იქ დაძველდნენ და მტვერი წაეყაროთ. მაგრამ ისინი ირხევიან, ისინი მტვერს იბერტყავენ, ერთმანეთში იხლართებიან... შემდეგ კი ლაგდებიან, როგორც ალბომში ჩაწყობილი სურათები. ირაკლის შავი ქირივით არ უნდა, მაგრამ მაინც ფურცლავს ალბომის სურათებს.

ქვიშას ხრამხარულში გაჰქონდა ფეხქვეშ. შეუძლებელი იყო ჩქარი სიარული. არც ცდილობდა. პირიქით, უნდოდა გაეგრძელებინა გზა. ამ მიზნით ჩამოვიდა პლაჟზე და ახლა ნაპირ-ნაპირ მიჰყვებოდა ზღვას. ფეხსაცმელები ქვიშაში ეფლობოდა. ნელა მიაბიჯებდა, თუმცა გული კი არ უთმენდა. ერთი სული ჰქონდა, სანამ ნახავდა, სანამ შეხვდებოდა...

ნახვა კი ეჩქარებოდა, მაგრამ ჯერ ადრე იყო. ასე ადრე მიკითხვა რცხვენოდა. ამიტომ მიაბიჯებდა ზღვის ნაპირზე და არა ზემოთ — მოასფალტებულ წარაგზაზე.

მზე ზღვაში იძირებოდა.

დღეს პლაჟზე რომ ჩამოვიდა, თეთრკოპლებიანი ჩითის სარაფანა ეცვა — მოკლე კაბა, გულთან ღრმად ამოჭრილი, მხრებზე ზონარებით დამაგრებული,

ზურგზე კი მთლიანად მოტიტვლებული, თითქმის წელამდე. არჩილმა თქვა, ნაძღვეს ჩამოვალ, აზღუდი არ აცვიაო... ირაკლი გამოეყიდა და კინლამ დააღრჩო.

არჩილსაც კი არ ალაბარაკებს ასე ავდებულად იმ გოგოზე, რომელიც მოსწონს.

თინა, რა თქმა უნდა, ხედება, რომ ირაკლის მოსწონს იგი. თინა ყველაფერს ხედება, ყოველთვის. ჯერ არ უნახავს ასე ეშმაკი, ცბიერი გოგო. არც ის უნახავს, ვინმეს მასავეთ თავბრუდამხვევი გამოხედვა ჰქონოდა...

გიყურებს თავისი გაურკვეველი ფერის თვალებით, ხმასაც არ იღებს, მხოლოდ გისმენს, თან ილიძება და შენ იცი, რომ იგი ყველაფერს ხედება, ყველაფერი გაეგება, მაგრამ მიაშიტობს...

თინას ვერაფერს გამოაპარებ. მით უფრო გაბრაზებს მისი ყასიდი გულუბრყვილო გამომეტყველება, თითქოს არაფერი ესმოდეს... გაბრაზებს, მაგრამ ვერაფერს იზამ. მით უფრო, რომ უხდება მიაშიტობა. ყველაფერი საოცრად უხდება თინას.

შებიღდა. ირაკლი ამოვიდა მოასვალტებულ შარავზაზე. ახლა შეიძლება მისვლა. ახლა სრულიადაც აღარ არის ადრე, მაგრამ როგორღაც ერიდება... ერიდება ამ ყველაფრისმცოდნე, გაურკვეველი ფერის თვალების, რომლებიც მიაჩერდებიან, არაფერსაც არ ეტყვიან, მაგრამ აგრძნობინებენ:

— ა, უკვე მოხვედი?! გასაგებია, ყველაფერი გასაგებია...

ორჯერ აუარ-ჩამოუარა თავწამახული მესრებით შემოღობილ კოხტა ეზოს. ეზოს ბოლოში თეთრად მოჩანდა ახალი აშენებული ხის სახლი, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო შეღებილი. ამ სახლის ზედა ნაწილში, მარჯვენა მხარეს არის პატარა, კოხტა ოთახი...

იმ ოთახში თინა ცხოვრობს.

ველარ მოითმინა მეტი, შეაღო ჭიშკარი და შევიდა ეზოში. ხრეშმოყრილ ბილიკს გაჰყვა, რომლის ორივე მხარეს მაღალი კონდარი იზრდებოდა. ცოტა შორს — ღობესთან, ბილიკის მარჯვნივ, ორ ხეს შუა გაბმული თეთრი ჰამაკი შეამჩნია. ეგონა თინა იქ არისო და ფრთხილად მიუახლოვდა.

უკვე ღამე იყო და კარგად არ ჩანდა, მაგრამ ირაკლიმ იგრძნო, რომ ქალიშვილი იწვა ჰამაკში. და ისიც იგრძნო, რომ ეს ქალიშვილი არ იყო თინა. ამას ქვეშეცნეულად მიხვდა...

ჰამაკიდან სულ სხვანაირი, განსაკუთრებული დენი გამოკრთოდა, რაღაცნაირი თავბრუდამხვევი სურნელება.

ირაკლის სუნთქვა შეეკრა. ფეხი ველარ წადგა წინ. იღვა ჰამაკის ახლოს, კონდარი მუხლებამდე წვედებოდა, ზემოდან ტოტებგაშლილი ხის ქოლგა ეხურა... ღამე აქ, ხისქვეშ, უფრო ბნელი და იდუმალი იყო. თავბრუდამხვევი სურნელება თუ რაღაც ამოუცნობი, სუნთქვას უკრავდა და უჩვეულო ძალით თავისუკენ იზიდავდა.

ფეხი წინ წადგა, მიუახლოვდა. ჰამაკში იწვა ქალიშვილი — და ეს ქალიშვილი არ იყო თინა.

შეეშინდა. შეეცადა გასცლოდა ჰამაკს. ცდილობდა უკან დაბრუნებოდა ხრეშმოყრილ ბილიკს, წასულიყო სახლისაკენ, რომელშიც ცხოვრობდა თინა. მაგრამ ფეხები არ ემორჩილებოდა. მის სხეულს, მის სულს, მის შეგრძნებას არ სურდა გასცლოდა ბნელ ღამეში ორ ხეს შუა გაბმულ თეთრ ჰამაკს. დაიხარა

და უნდოდა ქალიშვილის სახე გაერჩია, მაგრამ კანკალმა აიტანა. უკან დაიხია. იღვა და ვერსად მიდიოდა.

„რა მემართება? რას იფიქრებს, რომ გაიღვიძოს?“

მერე...

მერე სახლის კარი გაიღო და ირაკლიმ თინა დაინახა სინათლის შუქზე. რატომღაც შეკრთა. ხრეშმოყრილ ბილიკზე გადმოვიდა და გაემართა მისკენ. თავს სრულიადაც არ თვლიდა დამნაშავედ. გრძნობდა, რომ რაღაც შეემბატა, განვითარდა, უფრო მოზრდილი მამაკაცი გახდა.

— ა, შენა ხარ, ირა?

— მე ვახლავარ. — თამამად შეეხმინა ირაკლი თინას და როცა მიუახლოვდა, გაოცებისაგან სახტად დარჩა — მის წინ ერთი უბრალო, ჩვეულებრივი გოგო იდგა, რომლის მიმართაც წინანდელი მოკრძალების ნატამალსაც აღარ გრძნობდა ახლა...

თინას თვალებს დაეკარგათ საიდუმლო, რომელიც ჯერ კიდევ ამ დღით საგონებელში ავდებდა და საოცრად იზიდავდა ირაკლის.

ახალი დიდი საიდუმლო ორ ხეს შუა გაბმულ თეთრ ჰამაკში იწვა. ირაკლიმ არაფერი იცოდა მის შესახებ. მან არ იცოდა, როგორი შესახედავი იყო იგი. მან ისიც კი არ იცოდა, რა ერქვა ან ვინ იყო იგი, მაგრამ მისი სხეული, მისი სული, მისი შეგრძნება მღელვარებდა. და ამ მღელვარების გამომწვევი თეთრ ჰამაკში იწვა...

იგი თინას მეგობარი ხათუნა აღმოჩნდა.

სამი დღის შემდეგ შარავნაზე მისეირნობდნენ სხვა ნაცნობებთან ერთად. ბნელი ღამე იყო — ზღვისპირის ბნელი ღამე. ირაკლი ცდილობდა ხათუნას გვერდით ევლო. თუმცა ვერაფერს ეუბნებოდა, მაგრამ მის გვერდით ყოფნა უზომოდ სიამოვნებდა.

სამი დღეა იცნობდა და ჯერ სამი სიტყვაც არ ეთქვა ერთად.

ირაკლიმ ვერ შეამჩნია, როგორ წავიდნენ ამხანაგები წინ და როგორ დარჩა მარტომარტო ხათუნასთან. ირგვლივ მათ გარდა არავინ იყო. შეეშინდა. პირველად დარჩა ხათუნასთან მარტო. გადახედა. ხათუნა პირდაპირ იყურებოდა, ხელში კონდარის ყლორტი ეჭირა და არაფერს ამბობდა. ირაკლი გრძნობდა, რომ თავადაც არ შეეძლო ლაპარაკი.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ირაკლის აქამდეც არ ამოუღია ხმა, მაგრამ სანამ მარტონი არ დარჩნენ, ეს ეგრე რიგად არ შეიმჩნეოდა და არც უუხერხულებოდა. ფეხს აუჩქარა. უნდოდა წინ წასულ ამხანაგებს წამოსწოდა და გადარჩენოდა ამ ლოდივით მძიმე სიჩუმეს.

ხათუნა ჩამორჩა. იგი კვლავ მსუბუქი და ნელი ნაბიჯით მოსეირნობდა, როგორც ადრე. მასში იგრძნობოდა რაღაც ლაღი, ძალდაუტანებელი... ირაკლი შედგა და დაელოდა.

კვლავ ერთმანეთის გვერდით მიდიოდნენ. კვლავ არ იღებდნენ ხმას. ირაკლის სტანჯავდა სიჩუმე. სიჩუმე იყო ირგვლივაც. მხოლოდ ზღვის ტალღების შორეული ტლაშუნი თუ მოისმოდა დროდადრო. ირაკლის თავი ჩაეჭინდრა და ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ხათუნა ვერც ამჩნევდა, რომ იგი მის გვერდით მიაბიჯებდა.

ხათუნა პირდაპირ იყურებოდა. თავი მაღლა ეჭირა და მზემოდებულ სრილა მკლავებს ლალად აქანავებდა. კონდარის ყლორტი ახლა კბილებით ეჭირა და წეწკავავდა.

„უთუოდ მუნჯად და დოყლაპიად მთელის“, — გაიფიქრა ირაკლიმ. ისე

უნდოდა წამოეწყო მსუბუქი, მხიარული საუბარი... როგორც, დარწმუნებული იყო, მაშინ მოაფიქრებოდა, როცა მარტო დარჩებოდა...

გადაწყვიტა ეთქვა რაიმე. გამბედაობა შოიკრიბა, ჩაახველა და ყელი გაი-სუფთავა... მაგრამ მაინცდამაინც ახლა ვერ მოიგონა ვერაფერი ისეთი, რომ სათქმელად ღირებულებოდა. ყველაფერი, რაც აფიქრებოდა და რისი თქმაც დააპირა, საშინელ სისულელედ ეჩვენებოდა. მას კი არ უნდოდა ელაპარაკა სისულელები ხათუნასთან...

შარაგზის გასწვრივ, ზღვის მხარეს, ხეები იყო ჩამწკრივებული. თითქმის ყოველი ხის ძირში ცისფრად შეღებილი ძელსკამი იდგა. ხათუნა უსიტყვოდ დაჯდა ერთ-ერთ მათგანზე. ირაკლი უხერხულად შეჩერდა. ცოტა ხანს ფეხზე იდგა. შემდეგ ძელსკამის მეორე თავში ჩამოჯდა მოკრძალებულად.

„უთუოდ დამცინის... გაუთლელ ვინმედ მთელის“, — ფიქრობდა ირაკლი. დუმილი აუტანელი გახდა. დროდადრო ირაკლიც ხათუნას გადახედავდა და ამ დროს მათი თვალები ერთმანეთს ხედებოდნენ. შემდეგ ირაკლიმ შეამჩნია, რომ ხათუნა უფრო ხშირად გამოხედავდა მას, ვიდრე თვითონ ხათუნას. ირაკლი ნანობდა, რომ მარტონი დარჩნენ.

„თუ ამ საღამოსვე არ დავძლიე ეს უცნაური შებოროტობა, ყველაფერი გათავდა... მაშინ შემდეგშიც ასეთი ვიქნები ხათუნასთან.. და აღარასდროს შევხვდები... თუ ამ საღამოსვე არ დავძლიე ეს უცნაური შებოროტობა“.

ირაკლის ახლა მოაფიქრდა ზოგიერთი რამ, რისი თქმაც შეიძლებოდა, მაგრამ ასე ხანგრძლივი დუმილის შემდეგ ეძნელებოდა ხმის ამოღება...

— რა სიჩუმეა...

— ჰა?!

ირაკლი შეკრთა მოულოდნელობისაგან. არ მოელოდა, რომ ხათუნა ხმას ამოიღებდა.

— სიჩუმეა. — ხმადაბლა თქვა ხათუნამ.

— გიყვართ სიჩუმე? — წამოცდა უნებლიეთ ირაკლის. „ღმერთო ჩემო, რა სისულელეს ვმბახავ!“

— სიჩუმე?! — დაბნეულად იკითხა ხათუნამ.

ირაკლი მიხვდა, რომ ფიქრებით ხათუნა სადღაც შორს იყო.

— ჰო.. გიყვართ სიჩუმე? — კვლავ უნებლიეთ წამოცდა ირაკლის და სასტიკად გაჯავრდა თავის თავზე. „რამ გამომიყვანა ასე დოყლაპია, ტვინი ხომ არ მელრძო...“

— არა, არ მიყვარს. — თქვა ხათუნამ.

— ცხადია...

— არ მიყვარს სიჩუმე... არც მოწყენილობა. და არ მიყვარს, როცა მორცხვობენ.

— ცხადია...—ირაკლი მზად იყო ხეზე ერტყა თავი. „ნამდვილად ლაპარაკი გადამაგიწყვდა, ან ტვინი მელრძო“...

— ეს ტალღები ასკდებიან ნაპირს... — თქვა ხათუნამ.

ხათუნას ხმაში ირაკლიმ რალაცნაირი იღუმალეობა და სევდა შენიშნა. ტონი, რომლითაც მან ეს სიტყვები წარმოთქვა, სრულიად არ შეეფერებოდა შინაარსს.

ხათუნამ ამოიოხრა.

„რალაცხე ფიქრობს, გვერდით მიზის, მაგრამ ფიქრებით სხვაგან არის“, — გაიფიქრა ირაკლიმ და გული ეტკინა. თავი დამცირებულად იგრძნო...

— თქვენ ყოველთვის ასეთი ხართ? — ჰკითხა უეცრად ხათუნამ.

- როგორი?
- მორცხვი...
- არა. — ხმადაბლა თქვა ირაკლიმ.
- კარგია. მორცხვობა არ ვარგა.
- ვიცი. მორცხვობა ძალიან ცუდია...
- მერე?
- მე ძალიან არ მინდა, რომ მორცხვი ვიყო, მაგრამ...
- ჰოდა, ნუ იქნები... ეს ისე ადვილია.
- ხანდახან არ არის ადვილი.

— თუ შეეცდებით, ყოველთვის ადვილია. მითხარით რამე...  
 ირაკლიმ შეამჩნია, რომ ხათუნა გამოცოცხლდა და ეამა. „დაბრუნდა, ახლა ჩემთან არის“. — გაიფიქრა მან.

— მიაშვებ რამე. — თქვა ხათუნამ და დიდხანს არ მოუცილებია მზერა ირაკლისათვის.

ირაკლის მოეჩვენა, თითქოს მისი თვალები შესთხოვდნენ ეთქვა ისეთი რამ, რასაც მხოლოდ ხათუნა გაიგებდა, რასაც მხოლოდ ხათუნა დააფასებდა... მღელვარებისაგან სუნთქვა შეეკრა და ხმა რომ ამოეღო, კვლავ ჩაახველა.

...შუალამემ მოაღწია, მაგრამ ამისთვის არც ერთს არ მიუქცევია ყურადღება. ისინი საუბრობდნენ და თითქოს სწავლობდნენ ერთმანეთს. მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, თუ რას ამბობდნენ. მთავარი ის კი არ იყო, რაც თქვეს, არამედ ის, რაც უთქმელი დარჩათ.

... თინა მალე მიხვდა ყველაფერს.

— ლამაზია, არა? — ჰკითხა ერთხელ მან ირაკლის და თვლით ხათუნაზე ანიშნა, რომელიც ფრთხილად და მოხდენილად აბიჯებდა გახურებულ კენჭებზე და ზღვაში ჩადიოდა.

— ძალიან. ძალიან ლამაზია. — უპასუხა ჩაფიქრებით ირაკლიმ და ხათუნას თვალი გააყოლა.

თინამ გაიღიმა, მაგრამ ირაკლი მიხვდა, რომ ნაძალადევი იყო ეს ღიმილი. საოცრად არ უხდებოდა ეს ნაძალადევობა თინას.

— არ მეგონა, თუ ხათუნასთანა გოგო მოგეწონებოდა...

— ესე იგი როგორი?

— როგორ გითხრა... ხომ ხედავ, როგორიცაა ხათუნა...

— მაინც როგორია?

— მამ... არ გეჩვენება... მე მგონია, ქარაფშუტაა...

„თინა, რა ბრიყვი ყოფილხარ... და როგორ არ გშვენივს ასეთი ლაპარაკი... ნუთუ შენ როდესმე მომწონდი!“ — გაიფიქრა ირაკლიმ.

თინამ კვლავ თქვა რაღაც.

ირაკლი ამ დროს ზღვას გაჰყურებდა და თვალებით ხათუნას თეთრ ქუდს ეძებდა. როცა შენიშნა, გაეხარა და ისე გაიქცა, თინასთვის არც შეუხედავს.

თინა სახტად დარჩა. გაწბილებული და გაოცებული გაჰყურებდა ირაკლის, რომელიც სწრაფად მიცურავდა ხათუნასკენ. ვერაფერი გაეგო. ნუთუ ეს ჰაბუჯი იყო, სულ რაღაც ორიოდე კვირის წინ რომ ელაცლიცებოდა მას?

•

მოდიოდა პირველი თოვლი. მშრალი, დიდრონი ფანტელები მსუბუქად მოფარფატებდა. ირაკლი და ხათუნა კინოდან გამოვიდნენ. ზევიანად ბარდნი-

და. ქათათა თოვლი ფეხქვეშ ჭრაჭუნობდა და იტყვენებოდა. ყველაფერი თავისი სუნით გაეფლნინა თოვლს.

ფილაქნები, ხეები, გაზონები, მანქანები, გამვლელ-გამომვლელთა მხრები და ქუდები თოვლს დაებარდნა და გადაეთეთრებინა. ყველაფერი გაახალგაზრდავებულყო, გამოცვლილიყო და სულ სხვანაირად გამოიყურებოდა, ვიდრე გუშინ.

ირაკლი ხარბად სუნთქავდა სუფთა, ჯანსაღ ჰაერს და გული გამოუთქმელი ბედნიერებით ევსებოდა. ძალიან უნდოდა ხელი მოეხვია და ხათუნასთვისაც გადაედო გრძნობა, რომელიც პირთამდე ავსებდა, მაგრამ რალაც იჭერდა, რალაც აკავებდა. მან არ იცოდა, შეეპყრო თუ არა ხათუნაც ისეთსავე ალტკივნებას, როგორიც მას დაუფლებოდა.

თოვლი კი ბარდნიდა, ფეხქვეშ ჭრაჭუნობდა და იტყვენებოდა.

— ხომ არ გცივა? — ჰკითხა ირაკლიმ.

— არა, — უპასუხა ხათუნამ.

ირაკლი დაიხარა და გუნდა გააკეთა. ეს იყო ამ წელს შეკრული პირველი გუნდა. შეფიფქულ ელექტრობოდს დაუმიზნა. გუნდა მიეფშვნა ლითონის ბოდს და სასიამოვნო ხმა გამოსცა. ირაკლის ძალიან უნდოდა, მოხვეოდა ხათუნას და აღარ იცოდა, სად წაეღო ხელები.

— მართლა არ გცივა?

— არა, არ მცივა.

— თოვლი მოდის, სიცივეა...

— პირიქით, თბილა...

ირაკლის გაგიჟებამდე უნდოდა, მოხვეოდა ხათუნას. მთელი სხეული უთრთოდა. სხვაზე ველარაფერზე ფიქრობდა.

— მე მგონია, გცივა და მიმაღავ. მართლა არ გცივა?

— ღმერთო ჩემო, არა, არა! — გაიცინა ხათუნამ. — უკვე მესამედ მეკითხები.

— ნუთუ მესამედ?! არ მახსოვს. ზამთარია... თოვლია...

ხათუნამ გაიცინა.

— ირა, რა მოგდის?

ირაკლიმ შეაჩერა ხათუნა. მხრებიდან თოვლი ჩამობერტყა. ხელები უთრთოდა. ხათუნას თავი აწეული ჰქონდა. მისი თვალები ქვემოდან შესცქეროდნენ ირაკლის. ამობურცული, საოცრად წითელი ბაგეები ოდნავ გაპობოდა. ქუდი არ ეხურა და მუქ, ზშირ თმებში თოვლის ფიფქები ჩახვეოდა.

ირაკლიმ ჩამობერტყა მხრებიდან თოვლი. ხელები უთრთოდა და თავბრუ ეხვეოდა. ისინი ერთმანეთს პირისპირ იდგნენ. ხათუნა ნიკაპამდე თუ წვედებოდა მას და ქვემოდან შესცქეროდა... შოულოდნელად ხელი მოჰხვია და მიიკრა მკერდზე. ხათუნას ცხელი სუნთქვა და მერე უფრო ცხელი ტუჩები იგრძნო, სიცოცხლე იგრძნო, აღვსება იგრძნო, სიკეთე იგრძნო...

სული შეუგუბდა.

შემდეგ ხათუნამ ხელი გააშვებინა.

ხელი კი გაუშვა, მაგრამ ირაკლის სხეული ეწინააღმდეგებოდა ამ მოშორებას. იგი ჯერ კიდევ გრძნობდა ხათუნას მკერდის შეხებას, მხრებს, თმების სურნელსა და სისველეს. ტუჩების სიცხეს...

ხელი კი გაუშვა, მაგრამ სხეული არ გასცილებია, ხათუნა დარჩა მასში. ირაკლი შესცქეროდა ამ გაფითრებულ, ოდნავ შემკრთალ საყვარელ სახეს და

გრძნობდა ბედნიერებას, როგორც არ ეგრძნო აქამდე და არც უგრძნინა არასდროს შემდეგ.

...იმ წელს საშუალო სკოლა დაამთავრა ირაკლიმ. იმავე წელს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მოეწყო სამშენებლო ფაკულტეტზე. უნდოდა მშენებელი ინჟინერი გამხდარიყო. ბავშვობიდანვე განსაკუთრებულ პატივს სცემდა ინჟინრებს და საერთოდ ყველას, ვინც აშენებდა.

უყვარდა, აფასებდა ინჟინრებს, რადგან ისინი ასხვაფერებენ მიწის ზედაპირს. გამოუყენებელსა და უვარგისს გამოსაყენებელსა და სასარგებლოს ხდიან. იჭრებიან მიწის წილის სიღრმეებში და ამოაქვთ ლითონი და ნახშირი, ნავთობი და ძვირფასი ქვები... მთებში გაჰყავთ გვირაბები, მდინარეებზე დებენ უზარმაზარ ხიდებს, ზღვებს არხებით აერთებენ, აგებენ ქარხნებსა და ქალაქებს, გემებსა და თვითმფრინავებს, მოსახერხებელსა და კომფორტაბელურს ხდიან ადამიანის ცხოვრებას, თავის სამსახურში აყენებენ ბუნებას...

მისიერობდნენ. მათ ჰქონდათ შერჩეული, საყვარელი ქუჩები. ლაპარაკობდნენ. ერთმანეთს მომავლის სურათებს უხატავდნენ. ლაპარაკობდნენ ზველაფერზე და ერთის მიერ მეორესათვის ნათქვამი უმნიშვნელო სიტყვაც კი ღრმა აზრს იძენდა, რადგან იგი საყვარელი ადამიანის მიერ იყო ნათქვამი.

ირაკლი მაშინ ძალიან ბევრს კითხულობდა, ბევრს მეცადინეობდა. იგი სიამაყით ივსებოდა, როცა უამბობდა იმ წიგნის შესახებ, რომელიც ხათუნას არ ჰქონდა წაკითხული, ან მოუთხრობდა ამბავს, რომელიც ხათუნას ჯერ არ გაეგონა.

იყო ადრეული შემოდგომის წყნარი და თბილი საღამო. ირაკლიმ ხელი გადასდო ხათუნას მხარზე. უზომოდ სიამოვნებდა ასე სიარული. საოცარ სიახლოვეს გრძნობდა ამ დროს ხათუნასთან, ძმაცაკურ სიახლოვეს. ასე მხარზე ხელგადადებული დაჰყვებოდა ირაკლი თავის ძმაცაკებს არჩილს, ჯიბოსა და სხვებს ბავშვობაში.

— ინსტიტუტს რომ დავამთავრებ, ავაშენებ უამრავ დიდ სახლს, ფართო შუშაბანდებით, ლამაზი აივნებით, ნათელს, მზიანს...

— მე მსახიობი გავხდები, კინომსახიობი...

ირაკლის მოსწონდა, რომ ხათუნას კინომსახიობობა უნდოდა.

— მხოლოდ, ისეთი როლები არ შეასრულო, რომლებშიც გაოცებენ.

— რა თქმა უნდა...

გაიცინეს. მაშინ სულ უმნიშვნელო რამეებზეც იცინოდნენ. გრძნობდნენ, რომ ბავშვობდნენ და მოსწონდათ გაბავშვება.

— წამოდი, ჩვენს სახლს გაჩვენებ. — უთხრა ირაკლიმ.

— მე უკვე ნანახი მაქვს.

— არ გაქვს ნანახი, წამოდი.

ირაკლის სოლოლაკში ერთი შენობა მოსწონდა: თეთრი ქვით ნაშენი, ეამთასელისაგან გახუნებული ორსართულიანი ძველი, გამოსარჩევი სახლი. ამ სახლს ორ მხარეს შესანიშნავი, მოჩუქურთმებული ქვისავე აივნები ჰქონდა, დიდი, ლამაზი ფანჯრები და სავსებით თეთრი, უნიშნო მარმარილოს კიბეები.

ხშირად ამოუვლიდა ამ სახლს ირაკლი, დადგებოდა, დიდხანს შესცქეროდა და ტკებოდა.

— აი ჩვენი სახლი, ჩვენი მომავალი საცხოვრებელი. — აჩვენა ირაკლიმ თავისი საყვარელი სახლი.

ხათუნა სახლს აკვირდებოდა.



— მოგწონს?  
 — ბრწყინვალეა! ნამდვილად მამაპაპური, ერთგულად ნაშენი სახლია, —  
 თქვა ხათუნამ.

— ჩვენ ამ სახლში ვიცხოვრებთ.

— როგორ?

— ჩვეულებრივად. როგორც კი დიდი კაცი გავხდები, ჩემი პირველი ბრძა-  
 ნება იქნება, ეგ სახლი მე გადმომცენ.

ხათუნამ გაიცინა.

— მაგრამ, ირა, ამ სახლში ხომ ცხოვრობენ უკვე?! მათაც ეყვარებათ ეგ  
 სახლი. ნუთუ გამოასახლებ?

— მაგაზე არ მიფიქრია.

— ნუ იქნები შეუბრალებელი.

— თუ შენ მთხოვ...

— გთხოვ, ნუ იქნები შეუბრალებელი!

— კარგი. რადგანაც შენ მთხოვე, ისე გავაკეთებ, როგორც გავგებარდება, —  
 სერიოზული სახით ამბობდა ირაკლი.

— შენ ხომ მშენებელი ინჟინერი იქნები, რად გინდა სხვისი სახლი? თვი-  
 თონ ააშენე, ამაზე უკეთესი, ამაზე ლამაზი ააშენე...

— კარგი, ამაზე უკეთეს, ამაზე ლამაზ სახლს ავაშენებ.

ირაკლის ბევრჯერ უოცნებია, რომ ააშენებდა უამრავ საუკეთესო, ლამაზ  
 სახლს — დიდი და ლამაზი ფანჯრებით, მოჩუქურთმებული ქვის აივნებით, ნა-  
 თელი შუშაბანდებით...

ერთი სახლიც ვერ ააშენა. ვერაფერიც ვერ ააშენა. და განა მართო სახლე-  
 ბის აშენება უნდოდა და ვერ ააშენა?!

ირაკლის ხელი კვლავ ხათუნას მხარზე ჰქონდა გადადებული. თითებით  
 გრძნობდა, როგორ სრიალებდა მძიმე, შინდისფერი ქსოვილი ხათუნას მრგვალ,  
 ლამაზი ბეჭის თავზე. სითბო. სიტკბო და თავბრულდამხვევი სურნელება გამოკრ-  
 თოდა ამ სათაყვანო სხეულიდან და აესებდა მის ტანს, მის სულს... და ეს ხშირი  
 და გრძელი წამწამების ჩერო! როგორ არ ელღებოდა თვალის ქუთუთოები მათი  
 სიმძიმით!

— გაკოცებ...

— აქ არ შეიძლება.

— გაკოცებ...

იო ტუჩები მიუახლოვდნენ ერთმანეთს, აი ისინი სულ ახლოს არიან ერთმა-  
 ნეთთან, სულ ცოტაც და შეერთდებიან და ორივეს ჰკლავს აურვილი, მაგრამ  
 ორივე აყოვნებს, რადგან ლოდინი უფრო ტკბილია ზოგჯერ, ვიდრე წადილის  
 ასრულება...

— იცი, — თქვა ირაკლიმ, — ჩვენ ახლა მატარებელში ვსხედვართ...

— ჩქარი მატარებლის რბილი ვაგონის კუბეში. — დაახუსტა ხათუნამ:

— ცხადია, ჩქარი მატარებლის რბილი ვაგონის კუბეში... ორადგილიან კუ-  
 ბეში. ორთქლმავალმა გაბმით შეჰკიცვლა...

— მატარებელმა დაგადუგით გადაირბინა ხიდი...

— ჰო. შენ ჩამოწეულ ფანჯარასთან დგახარ, გარეთ იყურები. გარბიან  
 მოუჭრელი ყანები, აბურდული დაბალი ტყეები, ბოძები, მეისრეთა ჯიხურები...  
 ქარი თმებს გიწეწავს. მე შენს გვერდით ვდგავარ და შენი თმები სახეზე მელა-  
 ციცება...

— კარგი, მატარებელი უკვე ჩავიდა ბათუმში. ბათუმი ბრწყინვალე ქალა-



ქია, ირრევს ქალიან მოგვეწონა. ჩვენ იქ რამდენიმე დღე დავრჩებით და შემდეგ  
ლენინგრადში მივემგზავრებით გემით...

ირაკლიმ: გაიცინა.

— რატომ იცინი? — ჰკითხა ხათუნამ.

— სანამ ბათუმიდან ლენინგრადში გემით ჩავილოდეთ, ნახევარი მსოფლიო-  
ოს მოვლა დაგვეპირდება.

— მით უკეთესი. მოვიაროთ ნახევარი მსოფლიო. ნახევარი კი არა, მთლიან-  
ნად, მთელი მსოფლიო მოვიაროთ... პირველად თურქეთი ვნახოთ...

— შემდეგ საბერძნეთი მოვიაროთ...

— შემდეგ იტალია, საფრანგეთი და ესპანეთიც.

— ინგლისი? ინგლისი გამოვტოვოთ?

— ინგლისი? რა ვიცი, თუ მგზავრობამ არ მოგქანცა, შევიაროთ ინგ-  
ლისშიც.

— როგორც გინდა, თუ ქალიან არ მოგენატრა ნაცნობ-ნათესავეები და ცოტა  
ხანს კიდევ გასძლებ თბილისის უნახაუად, შევიაროთ.

— მოიცა! — წამოიძახა ირაკლიმ.

ხათუნა შეჩერდა.

— რა მოხდა? — იკითხა მ.წ.

— არც კი გრცხვენია!

— არ იტყვი, რა მოხდა?

— ინდოეთი?! აფრიკა?! მეორედ ხომ აღარ გამოვემგზავრებით ამ ქვეყნე-  
ბის სანახაუად?

— მე მგონია, მეორედ მოგვიწევს, ირა! — გაიცინა ხათუნამ. — მე ცოტა  
დავიღალე.

...ირაკლიმ შუბლი და თვალები დაისრისა.

„შემდეგ მე მართლაც ბევრი ქვეყნები მოვიარე, მაგრამ ისე არა, როგორც  
მაშინ მე და ხათუნა ვოცნებობდით... ხათუნას სულაც არ უნახავს სხვა ქვეყნე-  
ბი. ნეტავ მეც არ მენახა არაფერი ისე, როგორც ვნახე... ასე აჯობებდა“.

— ირა, სადა ხარ?

ირაკლი შეერთა, გამოერკვა.

— აქა ვარ, ფანჯარაზე.

— ა, უკვე დავინახე შენი პაპიროსის ცეცხლი. — თქვა დედამ. — ავანთო  
სინათლე?

— როგორც გინდა.

დედამ გაანათა.

ირაკლის თვალწინ წრეები უტრიალებდა. ისინი ხან დაშორდებოდნენ, ხან  
უახლოვდებოდნენ. შემდეგ წრეები გაქრა, მაგრამ ახლა გუბე დაინახა... გუბეში  
ბატარა კენჭი ჩავარდა. წყლის ზედაპირზე რგოლები გაჩნდა. შემდეგ რგოლები  
გაგანიერდა თანდათანობით და ბოლოს ნაპირს მიაწყდა.

დედა მიუახლოვდა და მხარზე ჩამოადო ხელი. ირაკლიმ ჯერ დახუჭა  
თვალები, მერე გაახილა.

მოჩვენებები გაქრა.

მეოთხე თავი

— ირა!

„ვინ უნდა მეძახდეს, ალბათ მეჩვენება“, — გაიფიქრა ირაკლიმ.

— ირა! ირაკლი, ირა!

ხმაზე იცნო, ჯიბო ეძახდა. „გაეჩერდე? აუცილებლად რაღაცას წამოაყრანტალებს და გუნებას მომიწამლავს“.

მაინც დაამუხრუჭა მანქანა და უკან მიიხედა. ჯიბო ჩინებულად გამოწყობილი სამი ახალგაზრდა კაცის გვერდით იდგა. ირაკლი შორიდან იცნობდა ამ ახალგაზრდებს — ისინიც მომღერლები იყვნენ. ჯიბო მოსცილდა ამხანაგებს და ირაკლისკენ წამოვიდა. იღიმებოდა, სახე გაბადროდა.

„როგორი ავყიაც არ უნდა იყოს, ისეთი შეხვედრა იცის, გული გაგინათლებდა“, — გაიფიქრა ირაკლიმ.

— გააღე ლიმუზინის კარი, — შორიდანვე მიაძახა ჯიბომ.

— მხოლოდ გაფრთხილებ, ზედმეტი არაფერი წამოგცდეს.

— გააღე, გააღე! ბევრს ნუ... — ჯიბო ჩაუჯდა მანქანაში. — რა გინდა, ძმაო, მშვენიერი ბელაური გყავს. ჩემს „პობედას“ არაფრით არ ჩამოუყვარდება. დასძარი, რას უდგებარ?

— ჩემთან წამოხვალ?

— არა, არჩილს გავუაროთ და მერე ჩემთან წავიდეთ. გუშინ ჩამოვედი მოსკოვიდან და ისეთი უნგრული ლიქიორები ჩამოვიტანე, რომ ა! — ჯიბომ ცერის ნაცვლად სალოკი თითი გამართა. ეს ერთ-ერთი მისი ხუმრობათაგანი იყო, რომელზეც სიმართლე რომ ითქვას, ჯიბოს გარდა არავის ეცინებოდა.

— არჩილი ველზეა, სამი დღის წინ გაემგზავრა. — თქვა ირაკლიმ.

— მაშ ჩვენ გვიქვიფენია. იცი რა ლიქიორებია? ახლა ბოთლები იკითხე! რა ბოთლებში ასხია! მარტო ბოთლების ხათრით დაღვეს კაცი...

— დღეს არა ვარ სმის გუნებაზე. თანაც შინ მელოდებიან. დროზე რომ არ დავბრუნდე, შეეშინდებათ.

— ერთი შენც! აღუუ, კიკი არ ამოგსვლია... ბავშვი ხარ, დაიკარგო?

ირაკლიმ ჯიბოს გახედა. მისი შეფაკლული დაწვები და ამღვრეული თვალები რომ დაინახა, უთხრა:

— გეტყობა, უკვე გისიამოვნებია შენი ნაქები ლიქიორით.

ჯიბომ ჩაიციხა.

— იცი როგორია? პირიდან ვერ მოიცილებ. — თქვა მან.

— გამიგონე, სიმღერა და სმა, ჰა? როგორ ეწყობიან ერთმანეთს?

— შესანიშნავად, — ჯიბომ ხმამაღლა გაიციხა. — დიდი ხნის უნახავი, მონატრებული ცოლ-ქმარივით...

— დაღუპული ხარ. — ირაკლიმ ხელი ჩაიქინა.

ჯიბომ სიცილი შეწყვიტა და სერიოზული სახე მიიღო.

— თუ გგონია, ბევრსა ვსვამ, ძალიან ცდები. კონცერტს სამი დღე რომ დააკლდება, წვეთი რომ წვეთია, პირში არ ჩავეიკარებ. როგორ გგონია, ისე უჭკუო ვარ; ხმას არ მოვეფრთხილდები?

— მართალს ამბობ, ასე დაუდევარიც არა ხარ...

— ჰოდა ასე! — ჯიბო კვლავ გამხიარულდა. — გინდა ვიმღერო?

— თუ ძმა ხარ...

— ჰა, ჰა, ჰა... ნუ გეშინია! მოიცა, საით მიგყავს მანქანა? ხომ გითხარი, ჩემთან წავიდეთ-მეთქი?!

— შინ უნდა მივიდე, მელოდებიან.



— მაშინ ბინაში მინც მიმიყვანე, ლიქიორს წამოვიღებ და შენთან წავუქეფოთ.

— როგორმე ჩემს სახლშიც მოგიძებნი დასალევს, შენგან რომ არ წაწვილოთ

— ერთი შენც! ჰოი, რა ტრადიციების კაცი ხარ. რა მნიშვნელობა აქვს შაგას! მოაბრუნე, მოაბრუნე ბედაური...

ირაკლი პირდაპირ განაგრძობდა გზას.

— ის წიგნიც ჩამოგიტანე, შენ რომ დამაბარე.

— რომელი წიგნი? — გაუკვირდა ირაკლის.

— თუ გგონია, სახელი დამამახსოვრდებოდა, — გაიცინა ჯიბომ. — მგონი რომანია, ომზე თუ რაღაც ასეთი... ერთხელ ჩამაწერინე სათაური... მოაბრუნე მანქანა. ის წიგნიც წამოვიღოთ.

ჯიბომ ორი ბოთლი ლიქიორი წამოიღო: ერთი დასალევად, ერთიც ირაკლის ახუქა. ლიქიორი მართლაც გემრიელი აღმოჩნდა, ირაკლის მოეწონა. ძალიან ლამაზ ბოთლებშიც ესხა—ექვსწახნაგოვან თეთრ სქელ შუშებში, რომელიც ქვემოთ განიერი იყო, ყელში კი ტანწერწერტა და უცბათ დაწვრილებული. მაგრამ ირაკლის ყველაფერზე მეტად მაინც წიგნი ესიამოვნა. ამ რომანზე ბევრს ლაპარაკობდნენ ბოლო დროს.

— სხვათა შორის, — უთხრა ირაკლიმ ჯიბოს, — ვინც ბევრს სევამს, ცხვირი უფიქვანდება. ბადრიჯანს ემსგავსება. შენს აპოლონურ სილამაზეს არ მოუხდება ვაფიქვანებული ცხვირი.

ჯიბომ ჩაიცინა და დათოს თვალი ჩაუკრა. დათო ნემსებზე იჯდა. წასვლა ეჩქარებოდა. რადგან შეჯიბრი ჰქონდა კალათურთში, მაგრამ ჯიბო არ უშვებდა. ლიქიორს აძალებდა და ეუბნებოდა:

— პატარა ხომ აღარ გგონია თავი? შენი ხნის პირველი მსმელი და დონქუანი ვიყავი. თუ არ გჯერა, ჰკითხე შენს ძმას.

— ჯიბო, მაგვიანდება...

— ა. ქალიშვილი გელოდება?

დათომ არ უპასუხა. ძმას გადახედა.

— პაემანზე გაგვიანდება და იმიტომ გვტოვებ, ხომ? რა იქნება, ჩვენი გულისთვის უარი რომ თქვა რამდენიმე კოცნაზე?

— ჯიბო, გაუშვი, ნუ შეუჩნდი. — უთხრა ირაკლიმ. მან შეამჩნია, რომ დათოს არ სიამოვნებდა ასეთ კილოზე ლაპარაკი.

დათო წამოდგა და პატარა, სპორტული ჩემოდანი აიღო.

— დღეს, ცხრა საათზე, ჩემი კონცერტის გადმოცემაა რადიოში. აუცილებლად მოუსმინე. ამხანაგებსაც მოასმენინე. — გასძახა ჯიბომ დათოს, როცა იგი ოთახიდან გადიოდა.

— ეს კონცერტი არც შენ მოვისმენია, სულ ახალი სიმღერებია. — ირაკლის მიუბრუნდა ჯიბო.

ირაკლი ლიქიორს წრუპავდა და არაფერი უთქვამს.

— მართლა, ხომ გახსოვს, ქალაქგარეთ რომ უნდა გავსულიყავით და შენ არ წამოხვედი...

— შერე? — ჰკითხა ირაკლიმ.

— მაშინ რომ ქალიშვილები უნდა წამომეყვანა, ერთი იმათგანი თურმე ვიცნობს კიდევ.

ირაკლიმ გამოცლილი სირჩა მაგიდაზე დადგა. შემდეგ პაპიროსს მოუკიდა. ჯიბოს ნათქვამს ყურადღება არ მიაქცია.

— და სხვათა შორის, ძალიანაც გაქო იმ ქალიშვილმა. ელიკო ჰქვია. — თქვა ჯიბომ და გამომდღელად შეხედა მეგობარს.

— მართლა კარგი ლიქიორია. — თქვა ირაკლიმ და შეივსო სირჩა.

— თურმე ამ ელიკოს უფროსი და შენთან სწავლობდა ინსტიტუტში. რაც შენ იმ დღეს ელიკომ გაქო..

ირაკლის უკმაყოფილოდ დაემანჯა სახე. ცოტა ხანს იყუჩა.

— ელიკომ ასე თქვა...

— ჯიბო, ერთი ფილოსოფოსი ამტკიცებდა, სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის არავითარი განსხვავება არ არსებობსო.

— ჰა? — განცვიფრდა ჯიბო. მას ნათქვამის შინაარსი არც გაუგია, საუბრიდან ასეთმა უეცარმა გადახვევამ განაცვიფრა.

— სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის არავითარი განსხვავება არ არსებობსო, ამბობს ერთი ფილოსოფოსი, სახელად თალესი.

— მერე ჩემთან რა გინდა?

— არაფერი, ისე გითხარი.

— მოიცა, მოიცა, როგორაო, როგორ ამბობს?

ირაკლიმ მესამედ გაუმეორა.

— ფილოსოფოსი კი არა, სულელი ყოფილა, დეგენერატი. — გადაჭრით დაასკვნა ჯიბომ.

ირაკლის გაეცინა.

— არც ისე მარტივი ნათქვამია, შენ რომ გგონია. — თქვა მან.

— გაჩუმდი, კაცო! ისიც ფილოსოფოსი ყოფილა რაღა...

— რატომ, ჯიბო, სიცოცხლეს არის და სიცოცხლეს... ისე როგორც, სიკვდილიც არის და სიკვდილიც...

— თუ ძმა ხარ, ნუ ხლართავ, ყველაფერი ძალიან მარტივია და თანაც სულელური. მეკვდარ ღომს ცოცხალი კატა სჯობს.

— ნეტავი შენ! — უთხრა ირაკლიმ.

ჯიბომ იცოდა, ამხანაგები და განსაკუთრებით ირაკლი მას ფუქსაეატ, ზერელე კაცად თვლიდნენ. ამიტომ ძალიან ეწყინა ეს „ნეტავი შენ“.

— კარგი, თუ ძმა ხარ! აბა, თუ საკვდილი და სიცოცხლე ერთია, რატომ ცოცხლობ?

ირაკლიმ არ უპასუხა. ამ კითხვაზე მოკლედ პასუხის გაცემა არ შეეძლო. ეგ მისი ცხოვრების მთავარი საკითხი იყო, რომელზეც იმდენი უფიქრია...

ორი სიტყვით ვერ აუხსნიდა, ხოლო ვრცლად რომ ეთქვა, ამისი არც სურვილი ჰქონდა და არც ჯიბო მიაჩნდა ისეთ კაცად, რომელსაც შეეძლო ბოლომდე გულდასმით დაეგდო ყური და გაეგო.

ჯიბოს ეგონა, რომ ირაკლი გამოიჭირა ამ შეკითხვით. ძალიან გაეხარდა და ბევრი იცინა.

— უკვე გაფუჭებული ხარ... ყველაფერს ხელოვნურად ართულებ. აქაოდა ამდენი ვიცი, მარტივად როგორ შეიძლებაო...

— გაჩუმდი, ჯიბო.

— აი მე... მე ყველაფერს ვაუბრალაობ. ჩემთვის არ არსებობს რთული, აუხსნელი მოვლენები. ყველაფერი გასაგებია...

ირაკლის შემჩნეული ჰქონდა, ჯიბოსთან არასდროს არ გამოდიოდა კამათი.. და ხშირად თვითონაც სისულელეებს წამოროშავდა ხოლმე. „აღბათ იმიტო!, რომ სისულელე გადამდებია“.



— რასაც ვერ შევწვდები, არც უნდა წაებოტინო. — დაასვენა ჯიბომ. ირაკლიმ ჩაიციხა.

— რა იყო, ტყუილს ვამბობ?

ირაკლიმ არ უპასუხა. იგი შეჰყურებდა ჯიბოს მრგვალ, ლამაზ პირისახეს, ბრილიანტებზე კანაფისფერ თმებს, არც თუ მაინცადამაინც ჰკვირან თვალებს. მოვლილ თითებს, ვარდისფერ ფრჩხილებს, დაქნილ ფესოებს და პასუხი არ გაუცია.

„ჯიბოსთან არ ღირს კამათი, — ფიქრობდა იგი, — ასეთი თვალებისა და შუბლის პატრონს დარდი არ შეაწუხებს. ხანგრძლივადაც იშვიათად დაფიქრდება, ხოლო მიუწვდომლისაკენ სწრაფვაში არასდროს დაკარგავს მოსვენებას...არც ძნელად მისაწვდომს წაებოტინება არასდროს“.

უნდოდა ეთქვა ჯიბოსთვის, ბედნიერი კაცი ხარო, მაგრამ არ უთხრა. არ უთხრა, რადგანაც ჯერ ერთი — აწყენინებდა და მეორეც, სრულიადაც არ მიაჩნდა იგი ბედნიერ კაცად.

საათს დახედა, ექვსი სრულდებოდა.

— თუ გინდა, წამოწეკი და დაიძინე, — უთხრა ჯიბოს.

— ჰა!

— თუ გინდა, წამოწეკი და დაიძინე. — გაუმეორა ირაკლიმ.

— რატომ? — ჯიბო განცვიფრებული იყო.

— რა ვიცი, თუ დაღლილი ხარ. — გულგრილად ჩაილაპარაკა ირაკლიმ.

— ბავშვობიდან ვიცნობთ ერთმანეთს, მაგრამ ხანდახან არაფერი გამეგება შენი.

— ნურც ცდილობ.

„რატომ ცდილობენ, გაიგონ ერთმანეთი? — ფიქრობდა ირაკლი. — ოღონდ ჯერ არცერთ კაცს არ გაუგია მეორე კაცი ბოლომდე. მაგრამ ამას რატომღაც არავენ აღიარებს. შეუძლებელია ერთმა კაცმა ბოლომდე გაიგოს მეორე...“

— ზოგჯერ მაინც სულ სხვანაირი ხდები... — თქვა ჯიბომ.

ირაკლი დაიღალა. დაიღალა ყველაფრით და მოსვენება უნდოდა. „რა მნიშვნელობა აქვს ჩემთვის სიტყვებს? — ფიქრობდა იგი, — მხოლოდ ვლაქლაქებ და მეტი არაფერი. მხოლოდ ვლაქლაქებ“. რა მნიშვნელობა შეიძლება ექნეს სიტყვებს იმასთან შედარებით, რაც მან ნახა და განიცადა...

— თუ დაიღალე, წამოწეკი და დაიძინე. — უთხრა ჯიბოს.

ჯიბო წამოდგა, მტკიცე გამომეტყველება მიიღო და ეტყობოდა რაღაცის თქმა გადაწყვიტა, მაგრამ ხელი ჩაიჭნია და არაფერი თქვა.

— არა, წავალ, — თქვა მერე თვინიერად.

ირაკლიმ ყველაფერი შეამჩნია, მაგრამ ახლა მისთვის სულ ერთი იყო არა მარტო მეგობრის განაწყენება, არამედ ყველაფერი. საერთოდ.

— წავალ. — გაიმეორა ჯიბომ.

— კარგი. ლიქიორისათვის მადლობა. — გულგრილად თქვა ირაკლიმ.

ჯიბო კარისაკენ გაემართა. ირაკლიმ იცოდა, რომ აწყენინა მეგობარს. ისიც იცოდა, საკმარისი იყო დაეძახნა, რალაც ეთქვა, მხარზე ხელი დაერთყა და ყველაფერი გამოსწორდებოდა, მაგრამ ეზარებოდა...მისთვის სულერთი იყო.

— იცი, — მოტრიალდა გასვლისას ჯიბო, — კაი ღორი ხარ!

და გაიღინა. ირაკლიმაც გაუღინა, მაგრამ ძალა კი დაატანა თავს. „მართლა კაი ღორი ვარ“, — გაიფიქრა თავისთვის. სწორედ ეს ტანჯავდა — გულგრილობა, უეცარი მოღუწება, ყველაფრისადმი ხალისის დაკარგვა...

მკლავები მაგიდაზე დააწყო და თავი ჩამალა. „მართლა კიი ღორი ვარ. რას ვერჩი, რატომ ვაწყენინე? უნდა მისი გაგებაც შემეძლოს. თუ მხოლოდ ის დაგვფასე, ვინც მე მგავს, ვინც ჩემსავით ფიქრობს, ესე იგი არავისაც არ ვაფასებ, საკუთარი თავის გარდა. ჯიბოს გაგებაც უნდა შემეძლოს. და საერთოდ ყველას გაგება. ხოლო თუ ვაუფე, მერე დაფასებაც აღარ გამიჭირდება. მაგრამ რა ვქნა, თუ უეცრად მოვდუნდები და ყველაფერი მნიშვნელობას ჰკარგავს, ყველაფერი სულერთია?!“

თავი აიღო. მიმოიხედა. ჯიბო წასულიყო. „გულკეთილობა ჯიბოს ყელში ამოდის. დიდი ხნითაც ვერ გააბრაზებ“. — გაიფიქრა მან, მაგრამ ახლა ესეც სულერთი იყო მისთვის.

ფანჯრამდე მიადწია, სკამზე ამობღდა და გარეთ გადაიხედა.

სალამოვდებოდა. ჰაერი მძიმე და ჩახუთული იყო. ჩამავალი მზე თეთრ, თხელ ღრუბლებში მიმალულიყო და კუკუდამალობიას თამაშობდა, — ხან გამოანათებდა, ხან მოეფარებოდა. გამწვანებული გარემო, აფერადებული გაზონები, ჩამუქებული ანთალტი, რუხად გამომზირალი სახლები და მღვრიე ჰაერი ხელოვნურის შთაბეჭდილებას ტოვებდნენ. თვით ღრუბლები და მზეც კი გაკეთებულს ჰგავდნენ.

არაფერი, სრულიად არაფერი არ აგონდება ირაკლის, რომ ბუნება სტიქიაა. პირიქით, ყველაფერი ძალიან დეკორაციული, ხელოვნური ეჩვენებოდა. შემდეგ უეცრად წამოვიდა შხაბუნა წვიმა. მძიმე, ჩახუთული ჰაერი განიმუხტა, თავისუფლად ამოისუნთქა. ირაკლის მოეჩვენა, თითქოს ეს წვიმაც წინდაწინ იყო მოფიქრებული. რომ შექმნილ დეკორაციას მეტი ბრწყინვა და დამაჯერებლობა მისცემოდა. როგორც უცბად წამოწვიმა ასევე უცბად გადაიღო და ცაზე ცისარტყელა გამოისახა. სალამოს პირს ცა შვიდნაირად მოიხატა.

ირაკლიმ ჯიბოს ნაჩუქარ წიგნს მოჰკრა თვალი მაგიდაზე. წაკითხვა მოუნდა, მაგრამ შინ არავინ იყო, რომ მიეწოდებინა, ხოლო თვითონ ეზარებოდა მაგიდასთან მიჩოჩება. მაინც მოიტანა წიგნი და გადაშალა.

დიდხანს კითხულობდა. მერე შენიშნა, რომ არაფერი ახსოვდა წანაკითხიდან; არც შინაარსი, არც სახელები; არც ერთი აზრი, არც ერთი თქმა... არაფერი ახსოვდა. გადმოშალა წაკითხული ფურცლები და ხელმეორედ ყურადღებით დაიწყო კითხვა.

მაგრამ მალე მზერა წიგნის ზემოთ გაუშტერდა. ერთ წერტილს მისჩერებოდა და ფიქრობდა. საკუთარი ფიქრები და აზრები გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი მოეჩვენა წიგნის გამოგონილ ამბებთან შედარებით.

ირაკლი ფიქრობდა. უფრო სწორად კი არ ფიქრობდა — ხედავდა. ხედავდა, რადგან მათზე ფიქრი არ შეეძლო. არ შეეძლო სიტყვებით ეთქვა ის, რასაც ხედავდა, და არც ცდილობდა, რადგან ეს შეუძლებელი იყო...

შორეული წარსულის გაფერმკრთალებული სურათები უკანასკნელი წლების უფრო ნათელ და უფრო მტანჯავ წარმოდგენებში ითქვიფებოდა. ირაკლი ხედავდა სურათებს ადრინდელი წლების ადგილებსა და ადამიანებზე, სიხარულსა და სასოწარკვეთაზე, სიამოვნებასა და ტანჯვაზე...და ბოლოს საშინელ უბედურებაზე.

ყველაფერი, რაც მის ცხოვრებას ხალისს აძლევდა, ყველაფერი, რამაც მისი ცხოვრება გააოხრა და გაატიალა, ერთმანეთში ირეოდა და ითქვიფებოდა.

... გამოცდები იმ დღეს დაამთავრა. უხაროდა ირაკლის. მესამე კურსის სტუდენტი გახდა. წინ ორი თვე დასვენება ელოდა, ორი თვე გართობა, ზღვა, ხათუნა, ფეხბურთის თამაში, წიგნების კითხვა...


ეს ორი თვე სულ ხათუნასთან იქნება.

იმ დღეს სამხატვრო გამოფენაზე იყვნენ. შენობაში ცხელოდა, მაგრამ მაინც დიდხანს დაჰყევს იქ. განსაკუთრებით დიდხანს იდგნენ ერთი სურათის წინ. ერთმანეთისათვის ხელი ხელში ჩაეგლოთ და ისე იდგნენ.

სურათი დიდი იყო. ვეებერთელა ლამაზ ჩარჩოში ჩაესვათ. ჯარისკაცის ფარაჯაში გამოწყობილი ჭაბუკი სატრფოს ეთხოვებოდა, ფრონტზე მიემგზავრებოდა შავგვრემანი, უღვაშიანი ჯარისკაცი, მაგრამ სხვანაირი იყო ეს დომილი. ქალიშვილი ჩაფიქრებული, სევდიანი თვალებით შესცქეროდა: ხვალ ვეღარ იხილავდა ამ სახეს, ამ გაშლილ მხრებს, ჯანიან მკლავებს...

მთელი დღე ფიქრობდა ირაკლი იმ ჯარისკაცსა და მის სატრფოზე, ზოლო როცა ლოგინში ჩაწვა და სინათლე ჩააქრეს, კინაღამ აღრიალდა.

(გაგრძელება იქნება)







### მუხან ღებანიძე

#### ახალგაზრდობას!

1  
 — ეს გაუმარჯოს —  
 საქართველოს აწმყოს და მყობადს!  
 — ეს გაუმარჯოს —  
 საქართველოს დიად მომავალს! —  
 მე რომ შევძახო  
 რუსთაველის პროსპექტზე ახლა,  
 ვითომც მქონია  
 ხელისგულზე გლეხკაცს მარილი,  
 ვიცი,

ღვინია-ხარებივით  
 გამიჩერდებით!

2  
 „კაფე-თესეო!“ —  
 ჩუ. გუგული გვარიგებს ტყიდან!  
 გასწით, ხარებო,  
 ხელისგულზე ნუ მაკვირდებით!  
 ნუ აყვირდებით —  
 სიყვარულში იყავით უტყვი!  
 ვის რაში უნდა,  
 საყვარლებო, უსაქმოდ სიტყვა,  
 ან სიყვარული —  
 ენის წვერზე დაკერებული!  
 გასწით, ხარებო,  
 თქვენი გზა ნახეთ!

3  
 თქვენს ამაყ კისრებს,  
 თქვენს ლომურ ქედებს,  
 თქვენ რომ გიყურებთ, —

მემატება ძალი და ღონე!  
 ასე მგონია, მეც ხარი ვარ,  
 და ისიც ღომია!  
 მაგრამ, ხარებო,  
 გიშერებო და წიქარებო,  
 მაინც და მაინც,  
 ამ პროსპექტზე ვერ ვხედავ სახნავს,  
 გასწით, ხარებო,  
 რუსთაველზე ნუ მოგროვდებით!

4  
 ნუ დაადგებით —  
 გაკვალულ ხნულებს!  
 ნუ დააცხრებით —  
 ცნოვრებას იოლს!  
 ჩემი რჩევაა, საყვარლებო,  
 მამულში გადით,  
 აშენეთ დაბა-ქალაქები,  
 ჩადექით ხნულში,  
 ხალხის შეილები —  
 ხალხადვე დარჩით!

5  
 ვინ მოგვიტანა  
 აქამომდე ეს საქართველო, —  
 გარეშე მგოსნის,  
 დიდი ღვაწლის,  
 ზეგარდმო ნიჭის, —

თუ არა გლენხმა,  
ვინც საკუთრივ ჩაპყარა ვაზი!  
თუ არა ხურომ,  
ვინც საკუთრივ გამოსწვა კირი!  
თუ არა კაცმა,  
ვინც საკუთრივ გაჰქედა რკინა  
და ქალაქები გამოკვეთა  
იმ რკინით კლდეში!..

6

არ განიყოფა  
სამამულო, სახალხო საქმე —  
მცირედ და დიდად!  
დამიბრძავედეს ეს თვალი, ძამო,  
თუ არ მიმაჩნდეს —  
უუდიდეს საქვეყნო ლხინად,  
თუ არ მიმაჩნდეს —  
უზენაეს საქვეყნო დვაწლად:  
სამშობლოს ოდებს  
მიუმატო ოდა-სართული,  
ორი ალვისზე  
დაუნთო სანთლად  
და ჭრელ კორტოხებს  
ძენი შენნი  
მოჰფინო ჯგარად!

7

ახალგაზრდობა —  
ქედი ხარის და სიმხნე ხარის!  
იმედი ხვალის  
და პირველი სიმდიდრე ერის!  
ახალგაზრდობა —  
სიმაღლე ხალხის!  
ახალგაზრდობა —  
სიახლე ქვეყნის!  
ახალგაზრდობა —  
ვერ აღავსებს იმედით ვისაც,  
დალუბულია  
იმისი საქმე!!!

8

— ეს გაუმარჯოს —  
საქართველოს აწმყოს და მყობადს!  
— ეს გაუმარჯოს —  
საქართველოს დიად მომავალს! —  
მე რომ შეეძახხო  
რუსთაველის პროსპექტზე ახლა,  
ვითომც მქონია  
ხელისგულზე გლენჯაცს მარილი,  
ვიცი

ღვინია ხარბივით  
გამიჩერდებით!

იძით, საღ მხატვარს  
გამჟული ბელის...

*შურა ბასქელაძეს*

1

მოტოროლერი  
მოსწყდება ვაკეს,  
მოტოროლერი  
გასცდება ბაგებს;  
ან მიაშურებს  
წყნეთსა და კიკეთს,  
ან მიაშურებს  
ქოროღლის ციხეს;  
სადმე კორდიდან  
მოსძებნის უძოს,  
ან ბეთანიის  
საენეს მყუდროს;  
ანუ, მამულის  
ფერებით დამთვრალს,  
მათ, ველთა, ჭრელთა,  
ფუტკარივით  
მიუვლენს მხატვარს...

2

თეთრი ბატები  
კიკინან ანწლს,

ჰრელი გაუგები  
 თითხნიან ვარცლს,  
 გოგო ჰალაში  
 მიდენის თხებს,  
 ჰიშკარში ფრთხილი  
 ნაგაზი ჰყევს,  
 ფინურ კოტეჯთან  
 გაფოთლილ წყავს  
 მსუქანი კაცი  
 სარწყავით რწყავს,  
 ყმაწვილურ ქინით  
 მიჰქრი და ფრენ...

და,

ღმერთო, შეუნდე,  
 არ უწყვიან  
 თუ ვინ ხარ შენ!

3

და მიჰქრის, მიჰქრის  
 მანქანა შენი,  
 ასე გიჟურად  
 გრიალი გშვენის,  
 ასე ბიჟურად  
 უნაგირს ჯდომა,  
 შეუშისარი  
 ჰროლა და სხლტომა  
 იქით, სად ლურჯად  
 ანთია მთები,  
 იქით, სად ურჩად  
 გაშლილან ფრთები,  
 იქით, სად მხატვარს  
 მამული გელის!  
 და მიჰქრი, მიჰქრი,  
 სიყვარულით  
 მთვრალი და ხელი...

4

და გვიან, როცა  
 კორტოხებს ცით  
 მზე დაადგება  
 და წითელ მზით  
 გადაწითლდება  
 ჰვეყანა მთლად, —  
 წყნეთელი გლეხი,  
 ჩავლილი გზად,

58

მიაშტერდება  
 უბადლო ფუნჯს:  
 ან ხატავ ზვარს,  
 ან ჰედებს ლურჯს,  
 ან ბებერ ციხეს,  
 ან მინდვრებს ჰრელს —  
 და იგრძნობ მხარზე  
 კოჟრიან ხელს...

5

ო, მეგობარო,  
 ელვარე ტალანტს,  
 მაგ ფერში მოთხვილ  
 უბრალო ხალათს,  
 უბრალოებას  
 და არა ნილაბს,  
 ნამდვილი მხატვრის  
 გულსა და ჯიგარს,  
 შენი ფერების  
 ეშხსა და აღმურს,  
 შენი ოჯახის  
 სინდისს და ნამუსს,  
 ლხინს და სიმღერას,  
 სუფრას, ალამურს —  
 ვეთაყვანები!

6


შენი ოცნება  
 სუყველგან ჰპოებს,  
 გაღინადირებ  
 უახლეს დროებს,  
 გადაბარგდები  
 არსენას დროში,  
 გადავარდები  
 დავითის ომში,  
 მოითარეშებ  
 წარსულის ტყეში,  
 კვლავ დაბრუნდები  
 დღევანდელ დღეში  
 და, უწყინარი  
 თვალებით შეველის,  
 შემოგვიანათებ  
 კედლიდან ნელის...

7

მზე დაწურვილი  
ეფარვის თხემს,  
გოგო ჭალიდან  
მოდენის თხემს,  
თეთრი ბატები  
კიკინიან აწწლს,  
კრელი გოჭები  
თითხნიან ვარცლს,  
ფინურ კოტეჯთან  
გაფოთლილ წყავს

მსუქანი კაცი  
ბინდ-ბუნდში რწყავს,  
ყმაწვილურ ყინით  
მოჰქრი და ფრენ...  
და,  
ღმერთო, შეუნდე,  
არ უწყვიან  
თუ ვინ ნარ ზენ!

1960





მოსე გვასალია

# წყობილობა

დიდი ხანია ამ მხარეში არ ვყოფილვარ. აქ, აფხაზეთში, მამიდაშვილები შყავდა. ქალაქიდან სტუმრად ჩამოსული ჭიშკარს როგორც კი მივადგებოდი, ფეხშიშველა, თავშიშველა, ტიტლიკანა გოგო-ბიჭები ჩემსკენ კინწისტეხვით გამოვბოდნენ, თან მთელი ხმით გაჰკიოდნენ:

— დედა, რევაზი! რევაზი მოვიდა!

ბამბურა ნაგაზები, ბავშვებთან ერთად, კარებს გნიასით მოაწყდებოდნენ, შორიდანვე მიცნობდნენ, ზედ მომახტებოდნენ, უკანა ფეხებზე შემდგარნი წინა თათებს მხრებზე დამკრავდნენ და სულწასული წკმუტუნით ერთ წუთში გამლოკავდნენ და გამლოშნიდნენ.

ჩემი ტკბილი მამიდა მულამ შავებსა და თალხში მახსოვს. რომ მნახავდა, ხელს თავზე შემომავლებდა:

— ასე სანთელივით შემოგვევლე! აქეთ, ბიჭო, დაბა, აქეთ შემომხედე, მამიდა დაგენაცვლოს! — გადამოკცნიდა და გულში ჩამიხუტებდა.

გამოცდებს რომ ჩავაბარებდი, დასიცულ თბილისიდან სული აქ მომქონდა. კავკასიონის პირველ ფერდზე შეფენილი ეს პატარა სოფელი თითქოს ციდან დაჰყურებდა მწვანედ დაბურულ კოლხეთის ველს და იქით, ჰე, ცის კიდესთან მზეზე მოლივლივ შავ ზღვას.

მუხნარით ჩაბნელებულ ხეობაში ლილისფერი მთის მდინარე მოქუხდა. თევზი ხტომით აღიოდა ჩანჩქერზე და ჩვენ ჰაერში მას ფოცერს ეუგებდით. დაბლა, სადაც წყალი ეცემოდა, „ქოთანში“, ყირამალა ვხტებოდით და ფსკერზე, ქვის ქვეშ, კალმახებს შევიმწყვდევდით და ვიჭერდით.

კლდიდან მყავე წყალი გამოდულდა, ქვები სულ ჩაეწითლებია, მოზრდილ შენაკადად ერთგოდ აღმინარეს.

იმ შენაკადაზე სათამაშო წისქვილებს ეავებდით, ხის დოლაბები სწრაფად ბრუნავდნენ. ხან ფერდზე დიდ საგუბარს მოვაწყობდით, შემდგარ მყავე წყალს მერე კლდიდან ერთბაშად გადმოეჩხვდით, ნიაღვარი ფერდს შხულით ჩამორეცხავდა, სერიით გახარებულნი ბილიკზე თავტეხვით დავეშვებოდით.

დილა ადრიან ტყეს შევეფინებოდით. სოკოს, მოცესა და მოცხარს, თხილსა და ნიგოზს, პანტასა და მაქალოს, წაბლსა და რკოს, ხარდანსა და ოჯალეშს კალათობით მოვხვეტდით და ეზოში გორებად დავაყენებდით. ვეება ცაცხვების ფულურობებში სკას მივაგნებდით, თაფლითა და სარანჯით გატენილ ქილებს სახლამდე ძლივს ჩამოვიტანდით.

გაუფალ ტევრებში დათუჩებს, მგლის ლეკვებსა და არწივის ბუდეებს დავეძებდით. ვეება გალიებს მოვლობავდით, შავ ჩიკვების ფრთამოხატულ ბარტყებს ჩავსვამდით და მთელი დღე ლაპარაკს ვასწავლიდით.

სიზმარივით გაქრა ის ტკბილად მოსაგონარი წლები, მამიდას დიდი ხანი  
თავის ნასახლარის გვერდით, თეთრი ეკლესიის ეზოში ძინავს. მამინ შორს ვიყავ  
და ერთი მუჰა მიწა ვერ მივაყარე. ობლის კვერი გვიან გამოცხვია. მამიდაშვილე-  
ბი ახლა უკვე აფრინდენ იმ ბუდიდან. ზოგი მთებში ელსადგურებს აშენებს,  
ზოგი თბილისში მუშაობს, აქ არაფერს მეგულებს.

ჩემი მანქანა თითქოს უცხო მხარეში მიჰქრის. აბა, აქაურობას რას ვიცნობ?  
სადაც ეწერი მეგულებოდა, ჩაის პლანტაცია დამიხვდა. მწკრივები აქოჩილა  
და იმ უსასრულო სიმწვანეში ქარსაცავი ტყის ზოლები კუნძულებად ჩანს.  
ეწრის ბილიკის ნაცვლად, ფართო შარავზა გაჰიმულა. ერთი თავი რკინიგზის  
ბაქანს ებჯინება, მეორე ხეობაში შეურგავს.

ყავრით დახურულ ფარდულეებში ახალგაზრდობა ირევა. მოკრეფილ ფო-  
თოლს წონიან, ქრიაშული აუტენიანთ. ვერც იმათ ვიცნობ. კიდევ დაბადებულან,  
დაზრდილან და დავაქაცებულან.

ჩემი ძველი ამხანაგები მოვიკითხე. ერთი, მეორე, მესამე! შორეულ ნაცნო-  
ბებსაც კი ვერ შევხვდი. ზოგი სწავლის დამთავრების შემდეგ სოფელში აღარ  
მობრუნებულა, ზოგი ფრონტზე დაღუპულა, ზოგს კი შინ მორევია სიბერე და  
სამუდამო განსასვენებელს სწვევია. ახალგაზრდებს აღარც კი აგონდებათ  
მათი სახელი. უცხო სტუმრად მთვლიან ეს დალოცვილი და ისე მორიდებითა  
და მოკრძალებით მესალმებიან, თითქოს მე მათი რეზო არ ვიყო, ამ სოფელში  
გაზრდილი და მოჩიტული.

მხოლოდ მთები დგანან უცვლელად, გულზვიადი გოლიათები, ისევე კალთებ-  
ჩამოთოვილნი, თითქოს იმავე ღრუბლებში გახვეულნი, როგორც ჩემი ბავშვობის  
ღროს, როგორც იმ დღეს, როცა აქედან უქანასკნელად წავედი...

...ერთგან ჭილოფისქუდიანი ლამაზი გოგონა შევაჩერე და კოლმეურნე-  
ობის თავმჯდომარე ვკითხე. უცხო კაცის დანახვაზე გაწითლდა.

— შალანგია გახლავთ, ბატონო!

— შალანგია? — წამოვიძახე უცებ,

— ჰო, დიახ... სწორედ ისა... აი ასე წახვალთ, დაბლა, მდინარესთან ელსა-  
დგურია, იქ იკითხეთ და ხელით გიჩვენებენ... გორაზე ორსართულიანი სახლი  
დგას...

— ლევანი ხომ არა? — ორჟოფულად შევაწყვეტიე.

— დიახ, ლევანი, ბატონო!

... დაღმართი სწრაფად ჩავიქროლე. ელექტროსადგურის ვეება თაღის წინ-  
ვდგავარ. ორსართულიანი აგურის შენობა გორაკიდან სოფელს გადმოჰყურებს.  
ეზოში, ცალ მხარეზე, ახლად შეწამლული ვენახი ლურჯად ლივლივებს... მანქანა  
ჭიმკართან მივაგდე. აქედან სახლამდე იაპონური ხურმის ხეივანი მიემართება.  
ბაღში ვაშლსა და მსხალს დახუნძლული ტოტები მიწამდე დაუხრია. ეზო ტრი-  
ფოლიატის მწვანე ღობითაა შემორავული:

— ლევან, ჰეი, ლევან! — როგორც ჩემს ბავშვობაში ისე ვუხმობდი, აღე-  
ღვებული და გულაჩქროლებული. მოუთმენლობა სულს მიხუთავდა:

— ლევან, ლევან! გამოიხდე აქეთ! ბიჭო, სადა ხარ? — თავს ველარ ვიკავე-  
ბდი. ისე ხმამაღლა გავკიოდი, დაბლა, ელსადგურშიც, მგონი, გაიგონეს...

ვენახიდან თმაშეჭირხლული ვაქაცაი გამოვიდა, უცნაური სტუმრობით გა-  
ოცებული. ნელა მოაბიჯებდა. ლევანი იყო. მაშინვე ვიცანი.

— ლევან, ჩემო ლევან, ვერ მიცან, ბიჭო? — მოთმინებადაკარგულმა კარი  
შევაღე და შესახვედრად ჯიქურ გავიქეცი.

შეყოყმანდა, შემდეგ თითქოს ერთბაშად რაღაც მოაგონდა, ადგილს მოსწყდა და მკლავგაშლილი წამოვიდა.

ერთმანეთს ძმურად გადაეხევიეთ და გადავკოცნეთ. სულშეგუბებული თან ვლულულუღიადი:

— ლევან, ჩემო ლევან, ძმობილო! როგორ გამოცვლილხარ, სულ გამოცვლილხარ, იქპო! აჰ, ღმერთო ჩემო, კიდევ შეგვხვდით ერთმანეთს?..

— რევაზ, ჩემო რევაზ! საიდან სად? ჩემო ძმობილო! ერთბაშად მე ვეღარ გიცანი შეხვ გამოცვლილხარ, ბიჭო!

სული მოვითქვი და ეზოში ვიმოვიხედე. ოდიდან მომავალ გზაზე შუახნის დიასახლისი დავინახე, ორი ბავშვი მოჰყავდა, ერთი ხელზე აეყვანა, ახლად ფეხადგმული, გვერდით მეორე მობაჯბაჯებდა, იმისათვის მაჯაზე ჩაველოხელი. ღმერთო ჩემო! ის არის, ის — ივლითი!

— ქალო, აბა, რევაზი თუ იცნო! — შორიდანვე დაუძახა ქმარმა. იგი ტკბილი ღიმილით წამოვიდა ჩემსკენ:

— ივლითი, ივლითი. — ვეძახი და მისკენ მივრბივარ. დასრულებულა, დაქალელებულა და ოდნავ მოტეხილა კიდევ. ძველებური ეშხი და მშვენება მაინც შემორჩენია...

სამივემ თავი რომ ერთად მოვიყარეთ და ერთმანეთს ერთხელ კიდევ შევხედეთ, უნებლიედ ხმამაღალი სიცილი აგვიტყდა.

— ის ღამე გახსოვს? — სიცილით მეკითხება ლევანი.

— ჩვენ რომ სახლიდან გავიპარეთ?

— ჰო, ივლითს რომ გაქეცი!

— როგორ არ მახსოვს, — აღმაცერად გავხედე მომღიმარ დიასახლისს, მანაც ხმამაღლა გაიცინა, — არ გახსოვს კი არა, ის იყო, გავიქეცი და მას შემდეგ, ძმო, ამ სოფელში დღემდე ფეხი არ დამიკრავს, ამაში სწორედ ივლითი იყო დამნაშავე...

ისე გულდაწყვეტით აღმოხდა, რომ ერთბაშად შევდექით, ერთმანეთს კიდევ ერთხელ თვალი გავუსწორეთ და ისევ გაგვეცინა.

... მაგრამ ეს ამბავი თავიდან უნდა დავიწყო.

თექვსმეტი წლის ვიყავი, როცა ლევან შალანგია, აი ამ ქალაში გავიციანი, სადაც ახლა ელსადგური დგას. ურა ცხენს დააგველვებდა, წინ და უკან თარხი დაჰქონდა. ყალუხე შემდგარი, ნესტოებდაბერილი ულაყი ტორების ცემითა და ჭიხვინით ერთი კიდიდან მეორეს აწყდებოდა, ოქროსფერ ფათარს ისე მიადგროვებდა, თითქოს ცეცხლი უქიდიო. ძუების სისინით ახლოს რომ ჩამიქროლებდა, ატეხილი ქარი მტვერს შემომადგრქვევდა და ადგილზე ლერწამივით შემაქანებდა. დამფრთხალი ნახირი გაღმა ფერდს შეჰფარებოდა და ქალა თავაწყვეტით მოჯირითე ლევანისთვის დაეთმო.

ჩასკენილი, ტანდაბალი, კისერთან და მკერდზე თითქოს ფოლადის კუნთებით შეკრული-შესკენილი ფალავანს ჰგავდა.

სვანური ნაბდის ქუდი ეხურა, ნაცრისფერი კოხტა ჩოხა მუხლებამდე სწვდებოდა. ვიწრო, თითქოს გაწყვეტილ წელთან ქაპარზე შავქარქაშიანი ყამა ეკიდა. ჩოხისვე პაკიკები ეცვა, მუხლს ქვემოთ ღვედით შეკრული, გამობურთული წვივები პაკიკებში ძლივს ჩატეულიყო. ქალამნებიდან ჩოხის თეთრი წინდები მოუჩანდა.



თავზე ბულულივით დაზვინული თმა საფეთქლებზე ჩამოშლოდა, ნიკაპი წაბლისფერ წვერებს დაიფარა, ხოლო აბიზინებულ უღვაშებს ნესტოებიც გაემპურა. ეტყობოდა, ჯერ დანა არ წაჰკარებოდა მის პირველ ჭაბუკურ ბუსუსს.

ჩემს ქალაქურ ტანსაცმელზე: კოზიროკიან ქუდზე, კოხტა წულეებზე. ტილოს შარვალსა და ლურჯი სატინის ხალათზე მზერა გაეყინა. შორიდანვე ერთმანეთი გავზომეთ, როგორც საჰიდაოდ გამოსულებმა იციან ხოლმე.

დიდ ხანს შევეყურებდით ერთმანეთს და მერე თითქოს ლევანს რაღაც ერთ-ბაშად მოავგონდაო, დოინჯი შემოიძვარა და გამომწვევად მკითხა:

— გინდა, ვიკიდაოთ?

— დიახ.

როგორც კი შეყოყმანებულმა თანხმობა მივეცი, მოზვერვით შეიკუნტრუსა, მხრები მალა აიყარა, მკლავები გაშალა, მუცელი შიგ ისე შეიგდო. მეგონა, წელზე სულ გადაწყდა, მუხლებთან ოდნავ მოიკაკვა და ბაჯბაჯით წამოვიდა. პირველად ძლივს გავუსხლტი ხელიდან, მაგრამ ქამარში მწვედა და მოგვერდით საყენზე გადამისროლა. წელი ძლივს წამოვართიე...

...სივრძეზე ხტომაში, რბენაში, ცურვასა და ხეზე ასვლაშიც მეტოქემ დამჯაბნა. სამაგიეროდ ლექსების თქმასა და წერა-კითხვაში სწორუბოვარი გამოვდექი. პირდადებული მიყურებდა. ლევან შალანგია ანბანს ვერ ცნობდა.

ერთ კვირაში მასწავლა ძალღური ყეფა, დათვური ბურტყუნი და მგლური ყმული. მეორე კვირაში ბულბულის სტვენა, კაპკაპის, ყვავისა და ყორნის ჩხავილი. მერე მდინარეში ყირამალა ხტომას და ურა ცხენზე ჯირითში გამწვრთნა. მცე წიგნები, რვეულები, ფერადი ფანქრები და კალმები ვაჩუქე და ქართულ ანბანზეც ბევრი ოფლი ვაღვრეეინე.

ჯერი ნადირობაზე მიდგა. ლევანს კოხტა ფილთა ჰქონდა. კარგად რომ ჩამოზნღღებოდა ტყეში თხასავით დავიწყებით პეტელს. შეიქნებოდა ბუჩქებში ტურების შლივინ-შლივინი. ერთს თოფს არ ესროდა. როცა შექუჩნდებოდნენ, შუაში უმიზნებდა.

ტყის პირად ლევანს ფაცხა ედგა, წყნელით დაწნული, გვიმრით გადახურული. ფაცხის გვერდით ქართა იყო შემოდობილი, პირუტყუს ქართაში შერეკავდა, თვითონ ფაცხაში იძინებდა. ერთ კუთხეში ტახტი იყო მიქედლილი, მეორეში — ხის ბათმანიანი ქილები ელაგა. ცალკე რძის ჩასადედეზლად, ცალკე სულგუნის ჩასამარილებლად. კერიასთან კეცი იდო, ქვაბი ჯაპვზე ეკიდა. მუხის განიერ ტახტზე ნაბადი ეფინა. დამით ლევანი ამ ნაბადზე ტანგაუხდელად იძინებდა. ახლა ქოხში წიგნი და რვეულიც გაჩნდა და კვარი ხშირად გათენებამდე ბრიალებდა.

— ლევან, ჩემო ძმობილო! — ვეხვეწებოდი მე, — შენ ძალიან კარგი ბიჭი ხარ, ქალაქში წამოდი. სკოლაში ისწავლე. აქ, ტყეში, ზამთარ-ზაფხულ ცოდვა ხარ, ყოველთვის სხვისთვის მუშაობაც ძნელია...

— ეჰ, უკმაყოფილოდ მომიგებდა ხოლმე ლევანი, — თქვენ ასე იცით ქალაქელებმა. აბა, ძნელი აქ რა არის? არ მაწვიმს, არ მათოეს. როცა მინდა, ვკამ. როცა მინდა ვსვამ ქალაქში, ძმობილო, სადმე დავიკარგები, ბორბლებს ქვეშ გავიჭყლიტები.

ვერ იქნა, ჩემს ჭკუაზე ვერ დავიყოლიე...

იმ წელს სოფელში რომ ჩამოველ, უკვე მოჩიტული ჭაბუკი ვიყავი; სკოლიდან დავალბებული მქონდა, სოფელში წარმოდგენა დამედგა. პიესად გადაკეთებული „პირველი ნაბიჯი“ თბილისიდან თან წამოვიდე. ის დამე ფაცხაში გაეთითე მე და ლევანმა. კოთხემ ისე გაგვიტაცა, აგზიზგიზებული კვარიდან



ცეცხლი სახურავზე გვიმრას მოედო და კინალამ დავიწვით. პიესას რომ უსმენდა, ლევანი ხან გიჟურად იცინოდა, ხან წამოხტებოდა და მხრებს ისე შეათამაშებდა, თითქოს უჩინარს საჭიდაოდ იწვევსო. ბახეას და ესმას სიყვარული გულთან ახლოს მიჰქონდა.

— შენ რა იცი ეგ რა არის? შენ ჯერ ბავშვი ხარ! არც მე ვიცი... მაგრამ მერე რომ გავიგე, მაშინ დავრწმუნდი, რაც სიყვარულზე ხალხში ლექსითქმულა, რაც ჩონგურზე იმღერება... სულ სწორია, სულ მართალია... აქაც სულ სწორადაა დაწერილი...

— იქნებ, ბიჭო, შენც გიყვარს ვინმე და იმიტომაც ცმუტავ! — გაოცებით აღმომხდა მე.

— ეჰ, — ამოიგმინა ლევანმა და მაშინვე თვალი ამარიდა. ადგა, ფაცხაში ფოცხვრევით დატრიალდა... მოვიზიგე სინათლზე მისი კუშტი სახე ხან განათლებოდა და გაბრწყინდებოდა, ხან ბნელში ინთქმებოდა... გულამღვრეული ყამას აწვალებდა და რაღაც დამთრგუნველ ფიქრებს წაედო...

— მითხარ, ლევან!.. — დავიწყე მე, მაგრამ ამხანაგმა ჯიქურ შემეწყვეტინა...

— იცი, რევაზ? წაიკითხე, წაიკითხე, ძმობილო!

გვერდით მომიჯდა, მაგრამ გულისთქმა ვერ დაიოკა.

— წაიკითხე, წაიკითხე, ძმობილო!..

...როცა ჯერი ესმას მოტაცებაზე მიდგა, ჯერ თავისი ყამა გააშიშვლა, მერე მივარდა, ფილთა ჩამოსხნა და დააქუხა...

— კარგი ბიჭი ყოფილა იერემია! როცა ქალი არ მოგყვება, ეგრე უნდა!..

...რიყრაქზე ჩვენ როლები ვანაწილებას შევეუდექით. ლევანს წარმოდგენა არასოდეს ენახა, არც ვაეგონა რამე მასზე. როცა ყველაფერი მოგუყვები, დაფიქრდა და გაოცებისაგან ტაში შემოჰკრა და ყიჟინა დასცა...

— კი, მაგრამ შენ როდის მომიყვები? — შევახსენე ჩემს ძმობილს... — ჯერ ის ამბავი მითხარი, ვინ გიყვარს, როლები მერე გავანაწილოთ.

— ეჰ, — ჩაიციხა ლევანმა, — რომელი ამბავი, რევაზ, რა უნდა მოგიყვე? გეტუმრე ძმობილო... პიესა მომეწონა და იმიტომ გეტუმრე... ბიჭო, ამ ტყეში, შენ თვითონ იფიქრე, ვინ უნდა შემეყვარდეს? თხებისა და ძროხების მეტს ვის ვხედავ?.. აბა, მე ვინ შემომხედავს? ვის რაში ვუნდივარ?.. ეჰ, ამას თავი გავანებოთ! იერემია წარბას როლი ჩემი იყოს. მომეწონა, კარგი ვაჟკაცია... რომ მოიტაცა, კარგად მოიქცა...

— არა, ლევან! ალბათ, პიესა ვერ გაიგე, ძმობილო! განა იერემია სწორად მოიქცა? რას ამბობ? — შევეკამათე მე, მაგრამ ლევანმა ყურიც არ მათხოვა...

— შენ ის მითხარი, — დავუბრუნდი პირველ სიტყვას, — ვინ გიყვარს, რას მიმაღავ, ძმობილო? იქნებ, ისაა უარზე... წედან რაღაც ისე თქვი... — ლევანმა ხელის ჩაქნევით გამაწყვეტინა...

— ბახეა შენ ითამაშე! შენზე ზედ გამოჰკრილია... მხოლოდ ჩოხა-ახალუხი კარგი უნდა იშოვო... თუ გაჭირდა, ამ ქალაქურ ტანსაცმელშიც შეიძლება. — განაგრძობდა ლევანი როლების განაწილებას, — მხოლოდ, აი, ესმა ძნელია, ძმაო! ესმას ვინღა ითამაშებს? — კითხვის გამომხატველი მზერა გამისწორა.

ეგ ვერც მე მოვიფიქრე... ვის უნდა ეთამაშა ესმა?.. ჩემი უფროსი მამიდა-შვილი, ქუყუნა, მხოლოდ ცამეტი წლისა იყო. მეზობლის მოწიფული გოგო, შესახებდავად არ ვარგოდა, არც ჩონგური იცოდა... უშნო რამ მოსატაცებლადაც რა ბედნა იყო? ხალხს, უთუოდ, გააცინებდა... მე და ლევანი ფიქრმა წაგვიღო.

ბევრი ვუტრიალეთ, ვერავინ მოვიფიქრეთ და თავზე დაგვათენდა კიდევ.

— ივლითი! აი, ვინ იქნება ნამდვილი ესმა! — უცებ ყრუ ამოიხვრით მითხრა ლევანმა, — იმაზე ულამაზეს გოგოს მთელს აფხაზეთში ვის ნახავ? ახლა მისი ხმა იკითხე! ერთ გოგოდ მარტო ხმა ღირს. ახლა ჩაცმულობა! რომ ნახო, იქნებ, ქალაქშიც მიიწვიო და იქაც ათამაშო. დამიჯერე ძმობილო, ის შენი ქალაქი სულ რომ მოიარო, ივლითის ფრჩხილადაც რომ ღირდეს, ისეთს ვერავის იპოვნის... მაგრამ რად გინდა? ეპ... — ისევ ამოიხვრა ლევანმა, — რად ვინდა, ამაოა!..

— რატომ, რაშია საქმე? ეგ ივლითი ვინ არის, მე არ ვიცნობ? ამაო რატომ არის?

— ვისთანაც მე ვმუშაობ მოჯამაგირედ, ივლითი აი, იმისი შვილია. ერთადერთი ეგ გოგო ჰყავს... მეტი არავინ... დედის ერთაა... ქონება ხომ ღიდი აქვთ...

— მერე?

— მერე და არც თვითონ წამოვა, არც გამოუშვებენ... შენ ხომ არ გაგიყდი? ამაზე ლაპარაკი ზედმეტია... ვინმე სხვა ვნახო!

— მოიცა, მოიცა, ლევან! ეს ივლითი ხომ არ გიყვარს... იმაზე ხომ არ იყო წელან...

მარჯვენაზე ფიცხლავ ხელი მკრა, სიტყვა გამოწყვეტინა და მიმოიხედა:

— ბიჭო, ხომ არ გასულელდი, არავინ გაიგონოს! რას ამბობ? ხანჯლით ამკუწავს მამამისი... ან ეგ როგორ იფიქრე? მე ახლოს ვინ გამიკარებს? დიდუპ, რა თქვა ამ კაცმა? შენ ქალაქური წესი მოგდგამს, ძმობილო! ან გულში როგორ გაივლე ეგ?

— კი, მაგრამ იმ ივლითს ვინ არ გამოუშვებს, ან ხელს რა უფლებით შემოილიან... მე განა ჩემით ვაკეთებ, მთავრობისგან დავალებული მაქვს, ძმობილო! ყველამ ხელი უნდა შემოიწყოს!..

— არ გამოუშვებენ! შენ მამამისს არ იცნობ. ამის თქმასაც ვერ გაუბედავენ.

— არ გამოუშვებენ? — ნიშნის მოგებით ჩაკითხე, — არ გამოუშვებენ? — გავეუმეორე გამომწვევად, — ვნახოთ, აბა ვნახოთ, ვინ არ გამოუშვებს! — სიტყვა მუქარით დავამთავრე და ფეხზე წამოვდექე...

— არა, ძმაო, ტყუილა ნუ ფიცხობ! ივლითს ვინ გამოუშვებს? თუ მის სახლში მიხვალ, გალახვა არ ავცდება, ვერც სხვები მიბედავენ, ეგეთი უყმური მამა ჰყავს.

— ვნახოთ! — გაქვებულმა სიტყვა მოვეუბრე და პიესა ქალღმერთში შევახვიე...

...იმავე დღეს თემკომში გამოცხადდი. თავმჯდომარეს მოწერილობა ვაჩვენე, საქმის ვითარება გავაცანი და დახმარება ვთხოვე. სოფლის თავკაცი ჩემი გვარისა აღმოჩნდა, ნესტორ სარია. ცოტათი ნასვამი იყო და წარმოდგენის ამბავს ღიდი ალტაცებით შეხვდა. მომიწონა და შემაქო. შესავალ სიტყვას მე ვიტყვი, შენ რას დაეძებ? რასაც მომთხოვ, ყველაფერს შეგისრულებო და სხვა. ჯერ ადგილი შევარჩიეთ ღია ცის ქვეშ, სადაც, საჭირო შენობის უქონლობის გამო, მწვანე თეატრი უნდა მოგვეწყო. მიახლოვებით წარმოდგენის დღეც დავნიშნეთ. ბოლოს როლების შემსრულებლებზე ჩამოუყვდე სიტყვა.

— რას ჰქვია ივლითი არ მოვა! სუ, მეტი არ თქვა! ეს ჩემზე იყოს, შენ წადი, სხვა საქმე ნახე! პირადად მე მოგიყვანთ, ჩემივე დასწრებით ითამაშებთ და მერე გოგოს მამამისს უკანვე წავუყვან, ამაზე არავის შევაწუხებ, შენ არხეინად იყავი და სხვა საქმეს ეცადე!..

მეორე დღეს ნესტორი ხელცარიელი მოვიდა ფაცხაში, ივლითი არსად ჩანდა. ყურჩამოყრილი, უგუნებო თავმჯდომარე ახალგაზრდობას აგინებდა. მოიცა, იმათი განკითხვის დღეც მოვა და მაშინ ვნახოთ, იმასაც შევესწრები, ამ უარის გამო პატიებას მთხოვდნენ და ჩემს წინაშე ბოდიშს იხდიდნენო. გაგულისებულ მამას ეთქვა, სხვას არაფერში ჩამოვრჩები, პირველი რიგის ბილეთებს ვაგისაღებთ, მოსვლით მოვალთ, მაგრამ საქვეყნოდ გასალოშნი გოგო მე არა მყავს და მოჯამაგირებთან ივლითს არც სცენაზე ვათამაშებო. ნესტორი იმუქრებოდა და იგინებოდა, მაგრამ ჩემს საქმეს ეს რას უშველიდა?

მამიდაჩემს შეგვხვეწე, ნება დაერთო, ყუყუნას ეთამაშნა. ძლივს დავითანხმე. ერთი მტკიცე პირობა კი ჩამომართვეს. იერემიას როლი მე მეთამაშნა და ჩემს გარდა სცენაზე ესმასთვის კაციშვილს არ ეკოცნა და ხელიც არ ეხლო...

ამას აკრძალვა მაინც რად სჭიროდა, მორცხვი ლევანი ისედაც საჯაროდ გოგონას არამც და არამც არ აკოცებდა, ჩემი თქმა ზედმეტი იყო.

რეპეტიციები გათენებამდე გრძელდებოდა. წარმოდგენის წინ სახლში ზოგს ძველებური ხმალი მოჰქონდა, ზოგს ხანჯალი, ზოგს ფაფახი, ჩოხა და მესტები. იმ კვირა დღეს კი დილიდან-საღამომდე სოფლის ძველებური სპილენძის ბუკი ხალხს წარმოდგენაზე ეპატიყებოდა.

ნესტორ სარია დილითვე ერთის ამბით გვეახლა. კარაბინი მხარზე მოეგდო, მზინიანი ფალასკებით გარდი-გარდმო დახლართულიყო, წელზე „ვითოყირა“ დაეკიდა, თითქოს საომრად მომზადებულიყო.

მოგეცათ ლხენა, ხალხი მოზღვავედა. ბილეთები სანახევროდაც აღარ გვეყოფერდობზე შეფენილი ამფითეატრი ბობოქრობდა. ჩვენი ფარღალაღა, მწვანე ტოტებით შეკრული, სცენა და ხელოვნური ბუტჩნარი, რომლებიც დეკორაციების მაგივრობას სწევდა, მოზვავებულ ცნობისმოყვარეებს ველარ უძღვებდა და საეჭვოდ ფამფალებდა.

მლელვარებისაგან გაფითრებულმა ლევანმა კულისებში შემაჩერა და განზე გამიხმო, რაღაც გაუგებარს ბუტბუტებდა, მაყურებელთა ყაყანსა და ზულიში ველარაფერი გავარჩიე და რამდენჯერმე ჩავეკითხე. ძლივს გამაგებინა, ივლითი მოვიდაო.

მე იერემია წარბას ჩოხაში ვიყავ გამოწყობული. თავზე შავი ფაფახი მეხურა. მეშის წითელი უძიროები მეცვა. ქამარ-ხანჯალი ხალვათად მადგა წელზე. ხელოვნური გრუხა უღვაშები ყურებამდე მქონდა მიგრებხილი. ამ ტანსაცმელში თავი მომწონდა. ამაყად დავაბიჯებდი სცენაზე და მაყურებლებში.

პირველ რიგში მჯდომ ივლითისკენ გულზვიადად გავემართე, რათა გამეკიცხა და საყვედური მეთქვა. ლევანიც ფეხდაფეხ მომყვა.

„პარტერში“ ბნელოდა და ლევანს ლამპის გამოტანა შეევახსენე. გულფიცხად მივიჭერი ივლითთან, მაგრამ ერთბაშადვე გახვევიდი.

ღმერთო ჩემო, რა ლამაზი იყო ივლითი!

აბრეშუმის კაბა ეცვა, ოდნავ ვიწრო, ზედ ტანზე მოყვანილი. ყელზე სამფად მძივი ეკიდა, გულზე, მძივის მესამე მწკრივზე ოქროს მედალიონი ეღავდა. ნატიფად ნაქანდაკევი შუბლი, ცხვირი და ტუჩები ისე უჭვიოდა, როგორც თოვლზე დაქცეული სისხლი. გაფრენილ წარბებს ქვეშ, სევდით ამოვსებული და თითქოს ცრემლით დანამული შავი თვალები მიბნედილიყვნენ. მკერდიდან ფაქიზად ნაქარგი აბრეშუმის პერანგი მოუჩანდა. გულზე დაწულ-ჩახლართული ბროში დაებნია, რომლის შუაგული ცისარტყელას

ფერებს გამოასხივებდა. ხელზე ოქროს სამაჯური, ოქროსვე საათი და ძვირფასი თვლებით აციმციმებული ბეჭდები ეკეთა. კაბაც ოქროს ძაფებით ნაქსოვი მიჩვენა. თმებიც ოქროსი ჰქონდა. გრუზად ეხვია თავზე, საფეთქლებთან დაბლა ჩასრიალებულს საყურეების ბრჭყვიალა წვეთები ეკიდა. სათაყვანო კერპით გაბადრულიყო, შუქზე სამკაულები ბრწყინავდნენ და მუქწითელ ნაკვერცხლებს ჰყრიდნენ.

თავბრუდახვეულს სიტყვები ვერ გამოძეებნა. მე უკვე ჩემს თავს არ ვეკუთვნიდი. ივლითი იჯდა და შემომცქეროდა. ხალხიც ცნობისმოყვარედ გვათვალიერებდა. კრიჭაშეკრულმა ბოლოს ენა ძლივს ამოვიდგი:

ლევანმა მითხრა, ჩონგურზე, თურმე, კარგად უკრავთ, შეწუხებისათვის ახლავე ბოლიშს ვიხდი, მაგრამ ერთ წუთს სცენაზე მობრძანდით და ყუჟუნას რამე წაეხმარეთ-მეთქი. მგონი ასე ვუთხარ, ნამდვილად კი არ ვიცი, რას ვამბობდი...

უარის ნიშნად თავი ნახად გადიქნია. სიტყვა ვერ შევუბრუნე. გახევებულნი, თავგზააბნეული ვიდექი მის წინ.

სად იყო და სად არა გვერდით ნესტორ სარია ამომიდგა:

— აბრძანდით, ქალიშვილო, ახლავე კეთილი ინებეთ და სცენაზე ადით. მალე! — უბოდიშოდ მიმართა მან, — გეყოფათ თავის აგდება! რომ დამჯდარხარ ჩაბურჭუბული, მოიცა, მალე ვნახავ სეირს! თქვენ მე დამაცადეთ, სანადგაროდ ფრთები თუ არ შეგაკრიშეთ, მე ნესტორი არ ვიყვე! მალე! რას მიყურებთუ იცი? ჩქარა ადექი!..

— მადროვეთ, ნესტორ! დამაცადეთ, ეს რას ჰგავს? ღმერთო ჩემო? ივლით, ბოლიშს ვიხდი... დიდსულოვნად მაპატიეთ... სულ ჩემი ბრაღია... ამხანაგო ნესტორ, ასე როგორ შეიძლება?... ისეთი რა მოხდა?..

სირცხვილით ვიბუზებოდი... რომ შემძლებოდა, ნესტორ სარიას კბილებით შეგჭამდი. განა შეიძლებოდა ასეთი ჰაეროვანი არსებისათვის იმგვარი უხეში სიტყვები ეკადრებიათ?... ნესტორს ჩემი სიტყვები ჰკუაში არ დაუჯდა:

— შენც ერთ ამბავში ხარ! კარგი, თუ კაცი ხარ, ამ გომბიოს ამდენი ზეეწნა რად უნდა? — ნესტორმა მეც შემომიღრინა და როგორც მოულოდნელად მოვიდა, ისევე ჩქარა გაგვშორდა.

ივლითი პირმოკუმული იჯდა... წამწამი არ შეურხევია. მზერა გააყოლა მიმავალ სარიას და მერე მე მომიბრუნდა, უარის გამოსახატავად ისევ გადიქნია კეკლუცი თავი, თქმით კი ამჯერადაც არაფერი უთქვამს.

ბოლიში მოვიხადე და გულდამძიმებული შევბრუნდი და გაოგნებული სცენაზე ბარბაცით ავიდი.

— კარგი ყოფილა, ძმოო ლევან, შენი ივლითი... ნეტავ, სულ არ გაგეცნო, ისა ჯობდა. ახლა კი ვიცი, ქალაქში რატომ არ მიდიხარ... ასეთ მშვენებას მეც დავეუდგები მოჯამაგირედ და უფასოდ ვემსახურები... ცხადია, შენ ეს გოგო გიყვარს და მე რას მიმაღავდი?..

ლევანს ისარივით მოხვდა გულზე ჩემი სიტყვები. ივლითის ქებაც ძალიან გაუხარდა, თვალთ ცეცხლი მომაფრქვია.

— მიხვედრა გქონია, ძმობილო! არ გიკვირს, არ გიკვირს, რევაზ, რომ იმ უემურმა მამამ წარმოდგენაზე გამოუშვა?... მე რომ ვიცი ისე, ოცამდე გამცილებელი მაინც მოჰყვება... რას გაუჭირებენ... სულ სახლში კი უზის, რომ არ მოსტაცონ... — ქშენით მეუბნებოდა ლევანი, ერთიანად თავგზააბნეული და დარეტიანებული.

ნესტორ სარია მოვარდა, რას უცდით წარმოდგენა დაიწყეთო.

მესამედ გაიწკარუნა ზარმა, რასაც შეწყობილი ტაში მოჰყვა.

ფარდა გაიხსნა, მე უკვე სცენაზე ვიყავ, მას დავეძებდი, ენას ვუკიდებდი და ებორძივობდი. მალე ვიპოვე, მისი სამკაულები ისე ანათებდნენ. ივლითი, მგონი, მე მიყურებდა. საითკენ წაიდოდი, თვალს იქით გამაყოლებდა. ტკბილად იღიმებოდა. მეც მზერას ვეღარ ვაშორებდი. ზოგჯერ ჩემი სიტყვები სულ მაგიწყდებოდა: ხმაბლლა ჩურჩულებდა სუფლიორი. მერე თამაში შევაწყვე. ივლითთან თითქოს უჩინარი ძაფები გავაბი. იმას მოსწონდა, ასე ვატყობდი, ეს მე ძალას მმატებდა, მალფრთოვანებდა, ფრთებს მასხამდა, ოცნების უსასრულო ზღვაში დამაქროლებდა.

...ხშირად ტაშით გვაჯილდოვებდნენ. ხალხი მღელვარედ ბობოქრობდა, ხან ბუზის გაფრენასაც გაიგონებდით, ხან ოხვრა და კვნესა მესმოდა, ხან კიდევ გულლია სიცილი გაიხშიანებდა.

მქუხარე ტაშმა ქარიშხალივით მაშინ იხუვლა, როცა თემკომის თავმჯდომარემ თავისი როლი შეასრულა. ესმას რომ გაიტაცებდნენ, მას კულისებში სროლა უნდა აეტხვა. დეკორაციის ბუჩქებში შემალული, ხელში „ვითოყირით“, გატრუნული იჯდა და მოთმინებით ჩემს ნიშანს უცდიდა. როცა შევეუძახე „ჰემეთქი“, მოგვეათ ლხენა, იქ მან ღვთის რისხვა დაატრიალა და მერე, სანამ სროლით გული კარგად არ მოიფხანა, მასზე არავითარმა „ეყოფამ“ არ გაჭრა.

ფარდა რომ დაეხურეთ, მაყურებელი ვერ შევიკავეთ, ხალხი სცენაზე ამოცვივდა.

წარმოდგენა გათავდა, მე მხოლოდ ივლითს დავეძებდი. სხვათა მოლოცვებს არაფრად ვავდებდი, მე მხოლოდ მისი ნახვა მწყუროდა, მისი აზრის ვაგება მსურდა, მის ერთ მოწონების სიტყვას მე უმაღლეს ჯილდოდ მივიჩნევდი. ხან აქეთ ვაწყდებოდი, ხან იქით, ივლითი არსად ჩანდა.

ლევანიც ჩემს ტაფაზე იწოდა. გულისნადებს მიმიხვდა. ხელი მომკიდა, შემაჩერა და დაღვრემით ეს მითხრა:

— ვიცი, ვისაც დაძებ, ძმობილო, ის უკვე შინ წაიყვანეს...

— როგორ თუ წაიყვანეს? არც მოგვიწონა, არც დაგვიწუნა, არც მშვიდობა გვითხრა, არც კი გვეჩვენა, ისე წავიდა?

— წავიდა, ძმაო, წავიდა. აწი რა დროისაა?

ის ღამე არ დამიძინია, თვალწინ სულ ივლითი მედგა, მის გაღიმებულ სახეს და მიბნედილ თვალებს გათენებადღე სულგანაბული შევეყურებდი...

...მეორე დღეს არც ლევანს ვავიკარე ახლოს, არც მამიდანშვილებს. ტყეში გადავიკარგე და, მგონი, ცოტა ვიტირე კიდევ...

...მალე ლევანი სოფლიდან აიყარა და ფაცხა ცეცხლს მისცა.

მეც უდროოდ თბილისში დაბრუნება ავიტეხე და ჩემი გულა-ნაბადიც შევკარი.

საწყალმა მამიდან ლოყები დაიკაწრა. ყუყუნას ეთქვა, ჩვენი ბიჭი ივლითს ისე რალაცნაირად, ცუდად, უყურებდაო. მე არც კი მინახავს, კაცი რომ კაცს ასე უყურებდესო. მამიდას ეს გულზე მოხვედროდა და არ მიშვებდა, მაგრამ მე ქვა ვისროლე და თავი შევეუშვირე. ვერ დამიყოლია, თუნდაც ერთი ღამე გამეთია...

...უკვე საღამო ჟამი იყო, თავი ბნელ უღრანში რომ შევეყავი. აფორიაქებული სწრაფად მივაბიჯებდი. შავი ღრუბლები ისე დაბლა მოცურავდნენ, ტყე ჯანღში გაეხვია. მე ყველგან მხოლოდ ივლითის თვალებს ვხედავდი და ვერც

კი ვამჩნევდი, გარშემო რა ხდებოდა? გაუვალ ტევრთან შევედექი და მიმოვიხედე. გარემო მეუცხოვია.

კატაბარდებში გზის მოსაჭრელად გეზი პირდაპირ ავიღე... სანამ ეკლებში თავს გავეყოფდი და გავძვრებოდი, ჩამოხენლდა. წვიმის წვეთები ტლამუნობდნენ ფოთლებზე. სერზე ტურებმა კივილი ატეხეს. პასუხი ისეთი წკავწკავით გავეცი, იმათ მართლა თანამოძმე ვეგონებოდი.

ტყეში და სიბნელეში შვება ვიგრძენი, დარდი ოდნავ მომეშვა გულზე. მივდიოდი, უგზოუკვლოდ მივებორიალებდი. საცაა რკინიგზის ბაქანი უნდა გამოჩენილიყო და ყურს გადაციცებით მივუგდებდი, იქნებ, მატარებლის შორეული გრიალი გამეგონა. ბაიბური არსაიდან ისმოდა, მხოლოდ ნადირით სავესე ტყე ათას ხმაზე ფუსფუსებდა, ჩხაოდა და შლივინებდა.

უკვე ვახშობა იქნებოდა, მგლებმა ყმულილი მორთეს, გააგებული ძაღლური ყფით გავებასუხე. ძუნძულით მივდიოდი, ბოლო არ უჩანდა გზას. მე ისე ნომეჩენა, ისეე უკან ვბრუნდებოდი სოფელში, ნამდვილად კი, თურმე, შუა ეწრისკენ მივიწევდი. ტყე თანდათან უფრო ჩაშუქდა და ჩალამდა, სიბნელეში გაშავდა და გაუჩინარდა. ახლა კი არ ვიცი, სად მივტოპავდი. უცებ იელვა, კაშკაშა ნათელმა მრუმე ეწერი წუთით გამოაჩინა და ყურის წამლებად დაიგრუხუნა. სიბნელეში ვხედავდი, მაღალ ხეს თავზე ნაკვერცხლები გადმოაყარა და კოკისპირულმა ხელედმა იხუვლა. აწ კი დაეკარგე ეწერიდან გასვლის იმედი და ღამის გასათევად ფულუროს დაეუწყე ძებნა.

...მე ჯერ რუ მეგონა, წყალი ზედ ისე მიჩხრიალებდა, განიერი ბილიკი აღმოჩნდა, ელვის სინათლეზე ვნახე, გრძლად მიიკლაკნებოდა ტყეში. კი არ მივდიოდი, წყალსა და ტალახში მივცურავდი. ხან მარჯვნივ ვუხვევდი, ხან მარცხნივ, ხან ჩაბნელებულ უღრანში ვიკარგებოდი... ბოლოს ფართო შარახე გამოვედი და ძაღლების ყფაც შემომესმა. გავიხედე, საღაც შორს, შორს და სიბნელეში ღამის შუქით გაჩირადნებულ ფანჯრებს თვალი მოვკარი. გზის გასწვრივ აკაციის მოლოვლივე მესერს გაყვევი და მალე თუნუქით გადახურულ ჭიშკარს მივადექი. გაჩახახებულ ფანჯრებიდან შუქი ცაცხვების ხეივანს ეცემოდა და ათინათი ჭიშკარამდე სწვდებოდა:

— ძასპინძელო! — გახარებულმა ხმამალა შემოვძახე. ძაღლები ჭიშკარს მოაწყდნენ, მაგრამ მაღალ ღობეზე ჩიტიც კი ვერ გადმოფრინდებოდა. არხენად ვიდექი და ვიძახოდი, თუმცა ძაღლების ყფაში ჩემი ხმა მე თვითონ აღარ მესმოდა.

ოდის კარები გვიან გაიღო. სინათლეზე დავინახე, ზღურბლზე ვიდაც ახმახმა გადმოაბიჯა, მაგრამ ერთმანეთს ხმა ვერ მივაწვდინეთ. ნელა კიბისკენ გამოვმართა, შედეგ ხეივანშიც გამოჩნდა. რომ მომიახლოვდა, ძაღლებს დაერია და მიმოფანტა, შემდეგ ჩემსკენ წამოვიდა... ვხედავდი, ილიაში, მგონი, ცული ამოეჩარა და ხელში გაჩაღებული პაპიროსი ეკავა.

— რომელი ხარ, მანდ რომ მღერინხარ? — უშიშრად და ომახიანად მკითხა.

— მე ვარ, ბატონო, მგზავრი. შემომალამდა, მხარი შექცა, მე გეძახდით, იქნებ როგორმე ღამე გამათევიოთ.

ეტყობოდა, ახალგაზრდა კაცის ხმამ გააკვირვა. ირიბად წამოვიდა, ჭიშკარს მიეკრა, სიბნელეში ამხედ-დამხედა და რაკი დარწმუნდა, რომ აქ სახიფათო არაფერი იყო, ჭიშკრის ჩარახული ურდულები ააჭრიალა.

— მერე ამ შულამით ტყეში რამ შემოგავდო, ბიძი, შემოდი! — როგორც კი ეზოში ფეხი შემოვდგი, ურდულები გადაკეტა და მეტი არაფერი უთქვამს. ოდისკენ იმ წვიმაში ძუნძულით გავემართეთ. ჩემი წულები

შებრუნებულიყო, ყოველი ნაბიჯის გადადგომაზე წყალსა და ტალახს შადრევენებად ისროდა და ისეთ განწირულ ხმას გამოსცემდა, თითქოს რაღაც ცოცხალ არსებას ფეხს აჭერენ და უმოწყალოდ სრესენო. ისე ჩქარა მოვლიოდით, ხმის ამოდებაც ვერ მოვახერხე, ფეხს ძლივს ვუსწორებდი. კიბე ავირბინეთ და დერეფანში შევდექით. აქ კი სინათლეზე მასპინძელმა ამხედ-დამხედა:

— ეგ რა მოგვგლია, შე საცოდავო! ტალახში ხომ არ იწეკი?

ეწერის ყვითელი წუმპით შეზელილი ძიქვები გაფშეკილიყვენენ, გაზუნხლული ბლუზა ტანზე დამკვროდა, ქუდი შუბლსა და ყურებზე ჩამომფხატოდა და წყალი ზედ წურწურით ჩამომდიოდა.

— ამინდია, ბატონო, ისეთი, ამინდი! რას იზამ? — თავი ვიპართლე და სახურავიდან ჩამონაწურ წყალს შარვალი შევეშვირე და რეცხვა დავუწყე. თუნუქის მილში აქაფებული წყალი მორბოდა და ერთ წუთში გამბანა. ახლა წუღებს დავუბრუნე თავისი წინანდელი ელფერი. მიპატიყებისათვის კი აღარ დამიციდია, გავაბიჯე და უკან კამეჩის ნაკვალევი დავტოვე.

მასპინძელი, ეტყობოდა, ჩემს ოდაში შეშვებას აღარ აპირებდა. კიბეზე ხანგრძლივად შემავვიანა და სამზადში გასძახა:

— ლევან, არ გესმის შენ? ჰეი, ლევან! გამოიხედე! ხომ არ დაყრუვდი, შე ოჯახჭორო! რამდენი უნდა გიძახხო?

— რა გქნა, ვინ ლევანს ეძახის? — გამკრა აზრმა. სამზადიდან მასპინძელს პასუხი არავინ გასცა, სამაგიეროდ ოდიდან ჭარმაგი მანდილოსანი დერეფანში გამობრძანდა, ხოლო კვალდაკვალ ვიწრო კაბაში გამოწიპული ივდითი გამოჩნდა.

ნეტავ, შესაძლო ყოფილიყო, იმავ წუთს ეწერში მეკრა თავი, არ შეეყოყმანდებოდი. მიწა რომ გამსკდომოდა და თან ჩავეტანე ის მერჩია.

გულშეღონებულს ივდითის კაბის შარი-შური სიხმარივით ჩამესმა ყურში.

— ბიჭო, ლევან! — უფრო ხმამალა გასძახა მასპინძელმა, — გამოიხედე, არ გესმის?

— ლევან, ლევან! — მეც შევეუძახე...

უქულო ლევანი სამზადიდან ძიქვის ამარა გამოვარდა, ჩოხა მხარზე მოეგდო.

ჩემმა ძმობილმა რომ დამინახა, სიხარულითა და გაოცებით ტაში შემოჰკრა:

— დია, რევაზი! — მაშინვე გადამეხვია და გადამკოცნა.

— ეგ ხომ რევაზ სარია გახლავთ, წარმოდგენა რომ გამართა!.. — ერთის ამბით გააცნო მასპინძლებს ჩემი თავი, მაგრამ მის სიტყვებს არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, თითქოს წარმოდგენის ამბავიც აქ არავის გაეგონოს.

— შემობრძანდით! — ცივად შემიპატიყა ბოლოს ხანდაზმულმა ქალბატონმა. — შემოდით, თორემ გაცივდებით!

რაღა დროის პატიყი იყო, შევედი შუა დარბაზში — ლაფში ამოსვრილი კამეჩის დიდრონი ნაკვალევი დავტოვე და ავუზგუზებულ ბუზრისკენ გავეშურე.

— დაჯექი! — მითხრა დიასახლისმა და კველოზე მიიმითითა. — მაგრამ მე უკვე სკამზე ვიჯექი... კველოზე გადასვლა აღარ ვინდომე.

ვითომ არაფერი მომხდარიყოს, ივდითი მაგიდასთან ნაქარგს მიუბრუნდა. ახლა კარგად დავინახე, ჩითის სადა ჭრელ-ჭრულა კაბა ეცვა, ტანზე კოხტად მოყვანილი. ნაქარგს ჩაფიქრებული დაჰყურებდა.

მასპინძელიც დაჯდა, წინ ტაბურეტი დაიდგა, ხელთ გაპრიალეებული დანა აიღო და წუთით მიტოვებული საქმე უზრუნველად განაგრძო, თუთუნის ჭრა

დაუწყო. მოკაუჭებულნი შავი უღვაშები კეხივით ცხვირზე ჰქონდა მიგრეხილი, დევგმირის გულმკერდი გაელედა და ჯაგარივით თმა მოუჩანდა. შავი შალის შარვალი ეცვა, მუხლს ზემოთ განიერი და წვივებზე ზედ მიტყეცილი, დიდრონსა და თაფლისფერ თვალებს დანის სწრაფ მოძრაობას არ ამორებდა. მასპინძლის უკან კედლებზე, ჯიხვის თავების ფიტულებს შუა, მოვერცხილი ხანჯალი და სანადირო თოფი ეკიდა. გვერდით წყვილი უბრალო დამბაჩა მიეჭედათ. ტახტის წინ დათვის ტყავი ეფინა, ხოლო ზევით, კუთხეში, ღვთისმშობლის დიდი ხატის წინ, მსუბუქი თეთრი ფარდა დაეშვათ და პატარუქი ბუჭტავდა. კუთხეში ძველებური ჩუქურთმიანი კაკლის კარადა იდგა. დიდ მაგიდაზე ხუფახდილი საკერავი მანქანა იდგა, ხოლო გვერდით თეთრი ნარდი იდო.

შუა ჰერზე ლამაზ ბრდღვიალებდა, დიდ ჰალზე დაკიდული. წინა ოთახის კარები ღია იყო და იქ წყვილი ნიკელის ლოგინი სინათლეზე ლაპლაპებდა.

ღიასახლისმა ეცეხლს შეუჩიჩინა. ბუხარი ბრიალებდა, ხმას კი არავინ მცემდა, თითქოს ჩემს მოსვლამდე რამე ჩხუბი ჰქონოდათ... ან ჩემი სტუმრობა გწყინათ...

ოხშივარი მდიოდა და მთელ იმ კუთხეში ბული იდგა.

— ბიჭო, ტყეში მხარი ხომ არ აგეჭცა? — წამიჩურჩულა ლევანმა, — გათბი და სამზადში ჩემთან წამოდი... იქ ვილაპარაკოთ!..

სანამ ძმობილს პასუხს გავცემდი, მასპინძელმა წუთით ხელი შეაჩერა, დაგრეხილი თამბაქოს თავი ვეება ტროში მოიქცია და დანა მოიმარჯვა, მაგრამ ხელახლა ჭრის დაწყებამდე აღმაცერად გამოიხედა:

— რა გვარი ხარ, ბიძი? — ისე მკითხა, თითქოს რაც წელან ლევანმა უთხრა, ყურში არ შესვლიათ.

— დია, სარია გახლავთ, ბატონო! აი, წარმოდგენა რომ დადგა. რევანს სარიაა, ჩემი ძმობილი...

— სარია?! — გაიკვირვა მასპინძელმა და თუთუნზე დანა ჩამოუსვა. შემდეგ თითქოს ტაბურეტის ჭრიალს ხმას აყოლებსო, თავისთვის ჩაიბუტბუტა: „სარია, მასარია!“ ამას ყური რომ მოეკარ, გულზე მაშინვე ეცეხლი შემომენთო, მაგრამ, ვითომც, არ გამეგონოს, არაფერი შევიმჩინე...

— სამზადში წავიდეთ! — მეორედ მიჩურჩულა ლევანმა. მინდოდა ახლაც წამომხტარიყავ და სამზადში გავეცეულიყავ, მაგრამ ეს უხერხული იყო...

— მერე ტყეში რა გინდოდა, ბიძი! — დამიყვავა მასპინძელმა, თითქოს გულისთქმას მიიჩქვდა და მამშვიდებდა, ყელზე მობჯენილი ცრემლები ძლიერ შევიკავე.

— მე თბილისში ვსწავლობ, აქ სტუმრად ვიყავი...

— თბილისში? — გაიკვირვა მასპინძელმა და დანა ტაბურეტზე დაავდო, ეკვიანი თვალეზით შემათვალღერა, — მოიცა, აქ ვინა გყავს მერე შენ?

— მამიდა, ბატონო, ნინო სარია.

— ქალო, მოიხედე აქეთ, გაიგე, რა თქვა? — გასძახა ღიასახლისს, — თურმე, თბილისში სწავლობს.

— თბილისში? — ღიასახლისი უფრო გაცოცდა, — რას მეუბნები, შენ შემოგველე, ერთი ამას დამიხედეთ! ნიჭიერი იქნება, ჩემო კაცო, იმას ნუ უყურებ, რომ პატარაა! ნიჭიერი იქნება და თბილისში მიტომაყ სწავლობს...

მასპინძელმა პირქუშად შემომხედა, თითქოს ჩემი ნიჭიერება ახლაც უნდა ასწონ-დასწონოსო.



— სხვები ვანა ამაზე ნაკლებ ნიჭიერები არიან? ერთი შეხედვით, ჩვენსას რატომ ახლოს არ იკარებენ? კეთროვანი ხომ არა ვართ? რაშია საქმე, ბიძი, იქნებ შენ იცი ა?

პასუხი რომ არ გავეცი, მასპინძელმა თუთუნის ჭრა განაგრძო, თან მე მელაპარაკებოდა:

— ალბათ, სიღარიბის მოწმობას აჩვენებდი, ბიძი, სულ ჯიბით რომ დაგაქვთ სარიებს, ოქროს მაგიერ ქისაში ის გიდევთ და თავი მოგწონთ. მერე ეგ საქმეა? სიღარიბე რა ვაქცაობაა. ღარიბი გლახაკია, ძილის გუდაა, მათხოვარია. ცივი ღომი და სუნელი ენატრება, ხელს კი არ გაანძრევს. ახლა აიყვანეს ეს სარიები და სუფრის თავზე დააჯინეს, ზოგს თბილისში ასწავლიან, ზოგი თემკომში უხით, აბეჭე, თუ აშენდებიან...

ლევანმა ხელი ფეხში ჩუმად მკრა, არა, სად უნდა წავსულიყავ? ახლაც კი მახსოვს მღელვარებით თმა ყალყზე დამიდგა. სისხლი ყელში მომაწვა. არ ვიცი ეს როგორ მოხდა, ან ის სიტყვები ასე ერთბაშად საიდან გაჩნდა, რამე მიბიძგა? მასპინძელს მიეუბრუნდი და მშვიდად განვეუმარტე:

— მართალი ბრძანდებით, სარიებს მოჯამაგირეები არა ჰყავთ და არც სხვისი ნაოფლარით სუქდებიან!

— რაო? — უფრო გოცებით აღმოხდა მასპინძელს, ვინემ წყენით. — რაო, რაო?

— ხედავ, ქალო, ეგ ვაქცაი რას ბეუტურობს? ნამდვილად კომკავშირელი იქნება, ისე ლაყბობს. — გოცებით მიუბრუნდა დიასახლისს.

— კარგი, ჩემო კაცო, შენ შემოგვევლე! ბავშვს რა ყურს უგდებ? რაც უნდა, ის თქვას. ალბათ ასე ასწავლიან სკოლაში და ასე ლაპარაკობს.

მე ოდნავ შემკრთალი ვიჯექე, მეგონა, მასპინძელი რამეს უხეშად მეტყოდა, ან იქნებ ხელიც მკრას და შინიდან გამაგდოს-მეთქი. ის კი სიცილ-სიცილით მომიბრუნდა:

— კი, სწორია, ბევრს მოჯამაგირეები ჰყავს, მაგრამ ეს რომ არ იყოს, ხომ შიმშილით გაწყდებოდით სარიები. ვინმე უფასოდ მუშაობს თუ? კიდევ იმ მოჯამაგირეობით გიდგათ პირში სული, მადლობელი უნდა იყოთ! — მასპინძელმა ჯერ გადიხარხარა, მერე დიღხანს ახველა, ბოლოს ისევ მე მომიბრუნდა...

— უმადურები ხართ სარიები, ბიძი!... აი, თუნდაც დღეს, შემოგიშვი, ჯერ კველოზე კარგად არ დამჯღარხარ და ხედავ, როგორ პეტელობ? დამეს რომ გაათევე, დილით, იქნებ ნახევარ ქონებას წაეჭიდო, ან ზედსიძეობა მომიხდომო, კაცი ოჯახიდან ჯოხით ვერ გაგაგდებს...

ეგ სიტყვები რომ გავიგონე, იმ გაჩახახახებულ დარბაზში ნელ-ნელა ჩემთვის ეწერივით ჩამობნელდა. ყურებში მოძალებული სისხლი მშუოდა. საფეთქლებთან ტყვიელი ვიგრძინე და ბუხართან მჯდომს შემამაჯაჯა... მასპინძელს ხველება და როხროხი აუტყდა, დიასახლისმაც ქირჭილით ბანი მისცა...

მხოლოდ ფერწასულ ლევანს არ წაჰკარებია ღიმი. ცეცხლის შუქზე მისი მღელვარებით დამანჭული სახე ქვით გამოკვეთილსა ჰგავდა.

— წავიდეთ! — ხმამაღლა ისე დამიძახა, თითქოს ყელზე ვინმე დანას აჭერსო. — წავიდეთ აქედან!

იმ საერთო მხიარულებაში ლევანის სიტყვები ჩემს მეტს არავის გაუკონია.

ნეტავ, აქ არ მოვსულიყავ! — ვფიქრობდი ახლა, — სადმე ეწერში, ხის ძირას, ფულუროში გამეთია ღამე...

— კარგი, რას შეუჩნდი ამ ყმაწვილს, — ძლივს იოკებდა სიცილს დიასახლისი, — აბა, ეგ სიტყვები რა საკადრისია? სტუმარია ჩვენი...

მე ივლითს თვალებს არ ვაშორებდი. მამას რაც უნდა ის ეთქვა, ოღონდ მისი თანაგრძნობა რაიმეთი მეგრძნო, მაგრამ ივლითი ჩუმად იჯდა და გალურსული ნაქარგს დასცქეროდა.

ისევ როხროხობდა მკერდგაღებული მამამისი, კედლები, ქერი, მოგიზგიზე ბუხარი, დიასახლისი, ყველაფერი, ყველაფერი აძლევდა იმას ბანს, მხოლოდ მე, ლევანი და ივლითი ვიჯექით უხმოლად.

დიასახლისმა წინ ტაბურეტი დამიდგა, საინები ააჩხრიალა და სიცილ-სიცილით მითხრა:

— შვილო, მოშივეებული იქნები, აწი გვიანაა, მიირთვით რაზე და ლევანთან დაისვენეთ, იქ უფრო თამამად იქნებით და არ მოიწყენთ...

მე თუმცა არაფერი მესმოდა, მაგრამ ის მაინც გავიგე, რაც დიასახლისმა თქვა და ისიც დანასავით მომხვდა გულზე. რატომ მაინცდამაინც სამზადში უნდა დავიძინო და არა ოდაში, როგორც სტუმარს შეჰფერის?!

— არა, ქალბატონო, არ მშოია! — შეფოცებულმა თითქმის დავიყვირე და ფეხზე წამოვდექე.

— დაჯექ, — დაყვავებით მომიბრუნდა მასხინძელი, — ბავშვი არ იყვე, არაფერი გეწყინოს...

— რასა ბრძანებთ, ბატონო, საწყენი რაა? — მეც არაფრად ჩავუგდე. — ხუმრობა რა საწყენია, არა, აწი გვიანაა, მეც დაღლილი ვარ და დავისვენებ! — დარღმინდული გაცინება ვცადა და უფროსს ხელი გავუწოდე. ცოტა ეხამუშა, მაგრამ დამემშვიდობა...

— მადლობელი ვარ, ბატონებო, კეთილად ბრძანდებოდეთ! რომ არ შეგეფარებინეთ, მგელი შემჭამდა... მეორეჯერ რომ გეწვევით, თქვენს სახლთან... ელექტრონით განათებულ ფართო შარაზე გამეგლოს და გაჩირაღდნებულ ეწერში გზა არ შემშლოდეს...

— მოიცა, მოიცა, ბიჭი. ეშმაკურად ნუ მწყყელი... თუ კაცი ხარ, თბილისში ჩემზე არაფერი წამოგცდეს, თორემ ამ ტყეშიც მომაგნებენ და რამე შერს მომდებენ! — ორჭოფულად გამიცინა, — ჰკვიანი ბიჭი ყოფილხარ, გავიძარავს!

უკან არ მომიხედავს, უსწორო ნაბიჯით კარებისკენ გავწიე...

...ლევანის სამყოფში ლამის გული შემიღონდა. რისი იყო ის მწვავე სუნი — ქრაქისა, ქვარტლისა, გახრწნილი ქონისა თუ ნავისა? რა ყარდა ასე? მე ვერ გავიგე.

— დაწექ, ძმობილო, ადგილი ბევრია, ბიჭები სამუშაოზე არიან, იქ უდგათ ფაცხები... ზოგი ტყეშია, ზოგი წისქვილში, ზოგიც ბოსლებსა და მინდვრებში...

მუხის გრძელ ტახტზე გავიშოტე. ქვეშ ხარის ბალნიანი ტყავი მეგო, საბნად ნაბადი მესურა და ზემოდან გამჭვარტლული ქერი პირქუშად დამცქეროდა.

— ექ! შენ რა იცი? სულ ასე ჩუმად ზის... დღეში ათი მაჭანკალი მოსდის... წუნობენ და წუნობენ სასიძოებს... განა ჩვენთან ესმას როლს ითამაშებდა?.. ხომ მართალი ვითხარ?

დამძიმებული თავი ტყავადაფარებულ კუნძზე მიდევს, გატრუნული ვწევარ, მაგრამ რული არ ეკარება ჩემს თვალებს... ეს მაინც რა მემართება, ნეტა?.. უცნაური ხარხარი და ხითხითი ჩამესმის... მაინც საიდან მოდის ეს ხმა?.. წამოვდგები, თვალს მოვიფშვნეტ, მიმოვიხედავ, არავინაა...

ლევნიც ვერ ისვენებს, ისიც ოხრავს და შფოთავს...

რა ვენა, რული ახლოს არ გამეკარა, თვალები ვერ დავხუჭე.

— ლევან, — გადმოვტრიალდი მეგობრისაკენ, — ჩემო ლევან!

— რა იყო, ძმობილო!

— სადგურამდე შორსაა? — აღმომხდა აკანკალებულს, ლოვინზე წამოვ-  
ჯექ და უმწეოდ მიმოვიხედე.

— ხომ არ გაგიჟდი? — მხარზე დამკრა ხელი და ტახტზე გადამაწვი-  
ნა, — ქვეყანა იქცევა, თავი ხომ არ მოგძულებია? ნამდვილად გაგიჟდი და  
ვგაა დაწექ და ხმა გაკმინდე!

— არა, ჩემო ძმობილო, — მივუგე გულამომჯდარმა. აქ მე ვერ დავიძი-  
ნებ. გავიგუდები! როგორმე, ამაღამვე, ლევან... შენი ჭირიმე!

— დაწექ, ბიჭო, ნუ სულელობ, ბაქანამდე დილამდისაც ვერ მივალთ...

ღრმად ამოვიხენე შე და მაჯაში ხელი ჩავჭიდე...

— შენი ჭირიმე, ჩემო ლევან... ძმობილო!..

— გეუბნები, გაჩუმდი!.. ამ უკუნში გზას ვერ გავიკვლევთ... არ გესმის  
გარეთ რა ამბავია?..


— არა, არ შემძლია... მიშველე, ძმობილო!.. — სულ წამოვდექ ფეხზე.  
საკინძი შევიხსენ და მკერდი გავიდედე...

...საბნად რომ გვეხურა, ის ნაბდები მხარზე მოვივდეთ. წულები ბაწრით  
ამოვიკართ. ხელში ჯოხი მოვიმარჯვეთ.

მუხლებამდე წყალსა და ტალახში მიეტოპავთ. ზღვაური კოკისპირულს გვი-  
შხაპუნებს. ელვის სინათლეზე თქემით დამძიმებულ, დაბურულ ეწერსა ვხედავ,  
გაწოლილ გვიმრასა და კატაბარდს, ნესტი ძვალ-რბილში ატანს, გული კი აუ-  
წერელი სიხარულით მაქვს სავესე...

...გამთენიისას გადიკარა. ალიონის ვარსკვლავი კავკასიონის მწვერვალზე  
ამოციმციმდა. გაზუნზულული ბაქანზე ავედით და დილის მატარებლმა მოსახ-  
ვევთან დაიბუბუნა...





მიუვალ მთის ორწოხებში მერცხლის ბუდეღაღიქით მოჩანღა ძვეღღებური კოშკი. მისი პატრონი ახღა სარეცეღღზე იწვა და სულს ლეღღღა.

კაციღ მემკვიღღრეთ სარეცეღღი დარბაზის შუა აღღიღას გაღღოეტანათ. დეღღაკაციღები ირგვეღღივ შემოსხღღომოღღენენ, ხოღღო მამაკაციღები რიგრიგოღღით ერთიღღმეოღღრის გვეღღრღით იღღგენენ და ეღღოღღენენ... აღღამიანის სიკვეღღიღღს. სიკვეღღიღღი კი არ მოღღიოღღა. გზაში იყო.

კაციღა ხარჯიხვი ინატრა. ფეხმარღღი შვიღღიღღიღღი გატენიღღი ბერღღანკიღღით ნაშუაღღამეღღეს გაუღღღა გზას. მზის ამოსეღღლამღღე ჯიხვეს ვერ მოკღღღავს იგი, ხოღღო მზის ამოსეღღლამღღე სიკვეღღიღღი არც აღღამიანს სურს. მზე კი გზაშია, მოღღღის.

მღღვეღღიღღით გაშოღღღტიღღღა ვეღღღა კაციღი საწოღღღში. თეღღთრი წვეღღრი საბანს დღღაღღენია. საცრისოღღღენი თვაღღღები დახუჭული აქვეს, მაგრაღღ მ სუნთქავს. ისე ხმაღღმალღღა სუნთქავს — დარბაზში მყოფნი სარეცეღღღისაკენ არც კი იხეღღღებღღიან, იციან, რომ აღღამიანი ჯერ ისევე ცოცხალია.

მის სარეცეღღღთან რომ ჩამწკრივეღღღულან: შვიღღღები, შვიღღღიღღიღღები და შვიღღღღთაშვიღღღები არიან. მესამე თაოღღბას მოესწოღღო აღღამიანი და უხარია: კეღღღება, მაგრაღღ მ მიანც უხარია.

ფერმიხღღღიღღსა და ბურანში მყოფს სიზმარიღღიღღით აგონღღღება შოღღრეული წარსული. წამის წინ მომღღღიმარე სახე ეჭმუხნეღღა. ჩინღღღაკარგულ, ლიბრიან თვაღღღებში თითქოს მრისხანეღღბის სვეტი ჩაუღღღღეღღა. ჭირისუღღღვალნი მისცივეღღღებღღიან. მათ ჭგონიათ, რომ მოახღღღოღღებულმა სიკვეღღღიღღმა შეუჭმუხნა სახე აღღამიანს. უნღღღათ როგოღღრმე უშვეღღღონ, დეღღხმარონ, შეუღღღმსუბუჭონ მოსახღღღელი

კალი... კაცი ტუჩებს აცმატუნებს. ხმა წართმეული აქვს, მაგრამ იმდენად შეტყვევლია მისი მოძრაობა, დარბაზში მყოფნი მშვიდდებიან, ერთმანეთს ეჩურჩულებიან, რომ მას სიკვდილი არ უმიძის, რაღაც მწარე მოაგონდა და იმან შეაკრთო...

კაცს კი თვალი ერთი წერტილისათვის მიუშტერებია. ფიქრობს შორეულ წარსულზე, თავის ახალგაზრდობაზე. ნისლსა და თოვლში, ქარტეხილსა და ჭეჭა-ჭუხილში შიშველი ხელით ებრძოდა კლდეებს. ფრჩხილებიდან სისხლი სდიოდა, ითოშებოდა, მაგრამ მაინც იბრძოდა. იგი არ იღლებოდა. მისი ბრძოლა ბუნებასთან ზეადამიანური იყო... მაინც იბრძოდა. გარეთ, წვიმასა და ნისლში, ოჯახის დედაბოძი იდგა. უჭირდა ქალს, მაგრამ მაინც ღიმლით შეჰყურებდა ქვების მტეხელს.

... ასე აიგო კაცმა თავშესაფარი. გაჭირვება დაავიწყდა, როცა ოჯახის დედაბოძის თვალეში მადლიერების გრძნობა ამოიკითხა. ეს გრძნობა უკანასკნელ წუთამდე არ ჩამქარალა ქალის თვალეში. მან ცხრა ვაჟკაცი დაუტოვა მეუღლეს და ვალმოხდილი მშვიდად მიიცივალა.

დიდხანს შესჩიოდა მთებს ობლად დარჩენილი ჭარმაგი კაცი. მერე ბელს დამორჩილდა, დაკარგულს უკან აღარ გამოედევნა.

ათი კაცი მშვიდად ცხოვრობდა. უთენია მიდიოდნენ მთებში. ზოგი ნანადირევით ბრუნდებოდა, ზოგი ქვებს ეზიდებოდა, ზოგი ხნავდა, ზოგი თესდა... საამჟურად იღიმებოდა კაცი. მას ახლა სინანული არ აწუხებდა. სადღა იყო ქობი! მაღალი კოშკის ნისლში თავწარგული სახურავი აღარც კი ჩანდა...

ბინდბუნდში ათი ვაჟკაცი ერთად მოუსხდებოდა შუაცეცხლს. იწორდა დახვავებული კუნძები. ნაპერწკლები ელვასავით ცვივოდა აქეთ-იქით. ცეცხლის ალი ნაჭაზე ჩამოკიდებულ ვეებერთელა ქებას ელამუნებოდა, გარს ეხვეოდა. ქვაბში ხარის ბეჭი იქარშებოდა.

რა მადიანად შეექცეოდნენ ვახშამს!.. სახეზე ოფლი გადასდიოდათ. ხმის ამოსაღებად აღარ ეცალათ. დათვებივით იღმურძღებოდნენ ნახევრად უმ ხორცს. უხმოდ გადაჰკრავდნენ ჟიპიტაურს. ქონიან ხელებს პირდაპირ მუხლისთავეებზე იმშრალებდნენ. მერე სპილოს ეშვებივით ჩამოშვებულ უღვაშებს გადაიგრებდნენ... ასეთი იყვნენ მამაკაცები.

უფროსი შვილი გაუორგულდა მამას. აღარც ძმებს მიხედავდა ხშირად. როცა მათ თვალეებს ძილი მოიპარავდა, ფანდურს აიღებდა და კოშკიდან გაიპარებოდა. მამაკაცის მოუხეშავი ხმით შესჩიოდა მთვარეს... შესთხოვდა, ეშუდარებოდა, მაგრამ რას!..

ფშატის ყვავილობის ხანს სახლიდან გაიპარა და უკან ხელდამშვენებული დაბრუნდა. მშვიდი იყო ახლა, როგორც ახლადშობილი ბატკანი. მართალია წინანდებურად იგრებდა უღვაშებს, მაგრამ მის ქცევაში სხვა იერი გამოსჭვიოდა. ბატარძლის სინაზეს მისთვისაც დაედო პეწი...

იმ ღამეს კოშკის სახურავი კინაღამ ახადა მამაკაცების როხროხმა. მათი სიმღერა მთიდან დაქანებულ ზეავს წააგავდა.

ნაშუალამეკს ძილი წამოებარათ. ძმებმა რიგრიგობით გაიტაცეს ნაბდები და კოშკიდან გაიპარნენ. უკანასკნელად მოხუცმა დატოვა ჩანაცრებული კერა. თავისი ახალგაზრდობა აგონდებოდა და გულში ეღიმებოდა. ალმაცერად გა-

დახედა კერის პირას ჩაცუქულ ნახ ქმნილებას, კრავივით განაბული მოუთმენლად რომ ელოდა მამამთილის წასვლას.

„რა უბადრუკი იქნებოდა ბუნება, ქალი რომ არ გაეჩინა“, — გაიფიქრა მოხუცმა და დარბაზიდან გავიდა.

გავიდა ხანი. დედაკაცი მარჯვედ დატრიალდა ოჯახში. მას არ მოეწონა ნაჭაზე შემოკიდებული, გამურული ქვაბი. მასთან ვეღარც მამაკაცები იქცოდნენ ძველებურად. კიდევ წასძლევდათ ხოლმე სურვილი ხელი მუხლისაგვზე შეემშრალეზიათ. მაშინვე საყვედურით სავსე თვალებს წააწყდებოდნენ ქალსას. მოცელიღვივით ჩამოუფარდებოდათ ხელები. დათურად ჩაიბურტყუნებდნენ და ნაბდით ხელში — სხვადასხვა კუთხეში გაიბარებოდნენ. ვაეკაცები, რომლებიც გასროლილ ტყვიას ხელით იჭერდნენ — საოცრად მორჩილი იყვნენ პატარა დედაკაცისა. ქალის სურვილი წყალზე შესროლილი ნაფოტივით ათამაშებდა მათ.

ალამიანი ძნელად ეგუება თავისუფლების დაკარგვას. მოხუცმა გუდა-ნაბადი აიკრა და შვილებთან ერთად კლდეში გამოქვაბულს შეაფარა თავი. მერე ისევ დაიწყო მძიმე შრომა; გასისხლიანებული ხელებით ქვევის ზიდვა, კოშკის მშენებლობა... ახლა სხვა ადგილზე ავარდა ბოლი და მამაკაცების მოხუხე-შავი ხმები ისევ როყიოდ გაისმა პაერში.

დროს თავისი მიაქვს. უფროსი შვილის მაგალითი აქაც განმეორდა. მთვარემ ახლა სხვისთვის გამოანათა. ფანდურის ლარებმა სატრფიალო პანგი დააგუგუნეს. ახალ კერაზე კვლავ გაჩნდა დედაკაცი და კაცმა დანარჩენ ვაეებთან ერთად კვლავ აიკრა გუდა-ნაბადი...

როცა მეათე კოშკი ააგეს, სანადიმო სუფრას ათი მამაკაცი, ცხრა დედაკაცი და ორჯერ მეტი ბავშვი უსხდა. უკვირდა ოჯახის უფროსს, ასე უცებ საიდან გაჩნდა ამდენი დათვის ბელიო. ნუთუ ყველა ეს მისი შთამომავლობა იყო! ღრეობა დილაძე გავრძელდა. მოხუცს მშვიდობის დღეები უსურვეს და თავიანთ სახლებში გაიკრიფნენ.

მარტო დარჩა კაცი. სინარტოვე ძნელი ასატანი იყო. მოაგონდა უღლის გამწვევი, რომელიც ადრე მიიბარა მიწას და რთვილდაყარლ მთებს შედღადა: „რატომ წამართვით იგი. მისი ნუგეში ახლა მჭირდებოდა!“

ცხვირი ჩამოუშვა, წარბები მოელუშა, აღარც წვერს იპარსავდა. მაშინ შვილიშვილები წამოეშველნენ ჯავრით გატეხილ ბერიკაცს და მისი გახალისება მოინდომეს. კაცი, რომელიც ხარჯიხვს ფეხდაფეხ დაიჭერდა, ბავშვების სათამაშო გახდა. რიგრიგობით დაათრევდნენ კოშკიდან კოშკში. საქმეგამოლულ მოხუცსაც სხვა ჩარა არ ჰქონდა. დააბოტებდა, როგორც თაფლზე გაწუწუებული დათვი. ჩაჯდებოდა რძლებსა და შვილიშვილებს შორის და ყვებოდა თავისი ახალგაზრდობის ამბავს. იტყოდა ხოლმე, თუ რა მარჯვე სროლა იცოდა, როგორ მოეველებოდა თავზე ღრუბლებში თავწარგულ კლდეებს... ერთხელ ბედმა უმუხთლა და ჩოხის კალთით ქიმზე დაეკიდა. დილაძე გაათენა ასე. სიკვდილი მაჯლაუჯუნასავით აწვა მხრებზე, მაგრამ იგი სიკვდილზე არ ფიქრობდა. ქვევით შოშისასავით პირდაღებული შვილები ელოდებოდნენ. ჯიხვის მოკვლა აუცილებელი იყო.

... ჰოდა, გადარჩა. ამისთანას ბევრ რასმეს უამბობდა შვილიშვილებს. ზოგს აინტერესებდა მისი ამბავი, ზოგს უკვირდა, ზოგიც ხელს ჩაიქნევდა და წიგნით ხელში სახლის ერდოზე გარბოდა...

უკვირდა მათი საქციელი მოხუცს. დროება გამოიცვალაო, ჩაიდუღუნებდა თავისთვის. აღარც მკლავისა და მუხლის სიმარდე ექნებათ, აღარც ცხოვრების



შნო და ლაზათი, ჩრდილში ამოსულ ყვავილებივით გაუფერულდებიან და დაქკენებიანო...

ასეთ ფიქრებში გაატარა კაცმა თავისი ცხოვრების მეორე ნახევარი და უნდა გენახათ მისი განცვიფრება, როცა გზის დასასრულს უკან მოიხედა.

ნაწიმიარზე წამოსულ სოკოებსავით გამრავლებულიყვნენ სოფელში კომუკები. პატარა ბავშვები, რომლებიც ფეხებში ებლანდებოდნენ მოხუცს, დავაქაცებულიყვნენ. ულვაშები შეღერებოდათ. ახლა სოფლის ყველა კუთხეში ისმოდა ფანდურის ღუღუნის, ჩვილის პყლოპინის, აკვნის რწევა და დედის ნანი-ნა... საღდა იყო ძველი დრო... ელექტრონათურამ და ავტომობილმა საბუღარი მოუშალეს არწივს.

მობრუნდა მოხუცი. იგი გზის გასაყარზე იდგა და იმ ქვეყანაში უნდა გადაბარგულიყო, მაგრამ აზრი იცვალა. ახლა მთელ დღეებს დედაკაცებთან და ჩვილებთან ატარებდა. სიარულს ასწავლიდა ახლადფეხადგმულთ. ზოგს კიდევ „აღუს“ ეუბნებოდა. ბანჯგვლიან, ვეება თათს ტუჩზე დაადებდა ბავშვს. მის გაღიმებას ცდილობდა. დედას კი შიშით გული მისდიოდა, ამ სპილომ პატარა არ ამომიღრჩოსო აკვანში...

... ბევრ ამგვარ სურათს იგონებდა სარეცელში ღონემიხილი მოხუცი. იგი სიკვდილს სიცოცხლეზე ფიქრით ებრძოდა.

სიკვდილი კი გზაში იყო, მოდიოდა.

ხარჯიხვი ინატრა მოხუცმა. ხარჯიხვს მზის ამოსვლამდე ვერ მოკლავდა შვილშვილი; ხოლო მზის ამოსვლამდე სიკვდილი არც მოხუცს სურდა. ღიბრ-გადაკრული თვალებით შეჰყურებდა დარბაზში მყოფთ. ერთი ადამიანი ორად ეჩვენებოდა. ბურანში იყო და მის გონებაში სიზმარეული სახეები ილანდებოდა. როცა ქვედაკიდურები მოუღუწუნდა, შეწუხდა. სიკვდილი ჩქარობდა, მზის ამოსვლას როდი უტყდიდა.

ეს ცვლილება დარბაზში მყოფთ არ შეუღმჩნევიათ. ისინი ისევ ისე ხედავდნენ სახეგაბადრულ, გაღიმებულ ბერძიკას.

„მშვიდობით შვილებო, შვილიშვილებო, შვილთაშვილებო... — ემშვიდობებოდა თავის გონებაში დარბაზში მყოფთ ნირწამხდარი მოხუცი. — სად იყო სოფელი, უკაცრიელ მთებში მარტო ერთი დავსახლდი და ახლა დახეთ, რამდენი ხართ. აღარ ეტყვიან აქ, ხოლო ეზოში რამდენი იცდის. ამის დათვლა არ შეიძლება. ღმერთმა გამრავლოთ, ძე და ქალი არ გამოვილიოთ... შრომისმოყვარენი ხართ და ღირსნი ხართ გამრავლების. წინათ ვინ წარმოიდგენდა ჩვენს სოფელს ასე გაკეთებულსა და დამშვენებულს... თქვენი მარჯვენის ნამოქმედარია ეს. აბა მე რა შემეძლო, ბედშავს!.. თოფის ფეხის გამოშლა ვიცოდი, სხვა არაფერი... იხარეთ ჩემო მომავლებო. თქვით, რომ ადამიანის შთამომავლები ხართ!..“

ღამე თაღისფერად გაიცრია. დილის სიომ მთებში ჩამოწოლილი ნისლი მთის მწვერვალებისაკენ ვაკრიფა. მამლების ყვილი შეწყდა. საღდაც ძალი შემზარავად აყმუელდა. პატრონი გასალახად გამოუღდა. ამ დროს ჰაერში გუგუნნი გაისმა: ცადაწვდილი კომუკებს ვერტმფრენი უტრიალებდა. ბოლოს ერთი მათგანი ამოიღო მიზანში. რამდენიმე კამარა შეკრა. მანქანიდან თოკის კიბე დაეშვა, რომელსაც ორი ადამიანი ჩამოყვია...

„პროფესორი მოვიდა“, — აღმოხდათ დარბაზში მყოფთ, როცა ახალგაზრდა ქალს ჩია ტანის მოხუცი შემოჰყვია. მან სასწრაფოდ გაიხადა მოსასხამი, ყუთი გახსნა და სარეცელისაკენ გაემართა... მაგრამ ისევ შეჩერდა.

მომაკვლავმა მისი სიახლოვე იგრძნო და შავი ფიქრები აეშალა.

„თქვენი გარჯა ზედმეტია, კეთილებო, — კითხულობდნენ ღარბაზში მყოფნი მოხუცის სახეზე. — მე უკვე ამ ქვეყანას აღარ ვეკუთვნი. ჩემი უკან დაბრუნება საჭირო არ არის. გამიშვით ჩემი გზით. ზიანის გარდა ვერაფერს მოგიტანთ, მომავლებო!“

... და მართლაც, მოხუცის ვეება თათები შეირხა. მან საბნიდან ხელი გამოჰყო და პროფესორი მოიშორა. არც იმას გაუწევია წინააღმდეგობა, განზე გადავა და სათვალე მოიხსნა.

თვალი მოკრა თუ არა სარეცელთან დავარდნილ ახალგაზრდა ქალს, მომაკვდავს ღიმილმა გადაღურბინა გაფანჩულ წვერ-ულვაშზე. ისღა მოახერხა, რომ თავზე ხელი გადაესვა მისთვის. მერე კედლის იმ მხარეს გაიხედა, სადაც ძველი ფანდური ეკიდა.

„იმღერე, ნანი, სიმღერაში სიკვდილი სურს სვებენდიერს“ — შეეხვეწნენ ახალგაზრდა ქალს.

ჩანგს სიმი გაწყვეტოდა, მაგრამ ნახევარ ხმაზეც შეიძლებოდა სიმღერა. ქალი საამურად ამღერდა. რა არ ისმოდა მის ხმაში: ჯერ იყო და მთის მიუვალ სოფელს ქარიშხალმა გადაღურბინა, დაღეწა და დაამტვრია ხეთა რტოები. შეშინებული ნადირი დაბლა ჩამორეკა. დეკაცასაც მოუსწრო ქარაშოტმა, მაგრამ იგი მაგრად ფეხგადგმული იდგა კლდეზე, როგორც ქვის ქანდაკება.

ქარიშხალს თოვლი მოჰყვა, ჩაჩუმქრა და დაფარა მთის ორწოხები, წაშალა ბილიკები. ზვავი გუგუნით ჩაქანდა ხეებში, მაგრამ აღამიანი მაინც დადიოდა, მოძრაობდა, ხელში თავისი განუყრელი თოფი ეჭირა. იგი ისევ მალა იდგა ქვის ქანდაკებასავით და ბუნების ზვირთთა ცემას ღიმიორეული გასცქეროდა.

სიმღერის ხმაში ახლა ბუღბუღის გალობა გაისმა. ჩანს, გაზაფხულდა მთაში... იამ და ზამბახმა ხმა აიმაღლეს. თავიანთი სუსტი ხელებით შეებრძოლნენ ზამთარს და დაამარცხეს კიდეც. კულამოძუებული ბერი ზამთარი მთის მაღალი მწვერვალისაქენ გაიპარა. არც იქ ასვენებდა აღამიანი. ჯიხვებზე სანადიროდ მიდიოდა თოფმომარჯვებული...

მომაკვდავი ისმენდა ამ საოცარ ხმებს, ეს სიმღერა მის გაყინულ ძვლებში თითქოს ახალ ფესვებს ქსელავდა. მას ხელი მოეხვია ახალგაზრდა ლამაზი ქალისათვის, გულში ჩაეკრა და უკანასკნელად ნეტარებდა იმ ქვეყნის ზღურბლზე ფეხგადადგმული...

„ასეთია ცხოვრება“, — ამბობდა მისი გაღიმებული სახე. — „მე მივდივარ და ამ სიტყბოთი სავსე ქვეყანას თქვენ გიტოვებთ. ბევრ სიმწარეს ნახავთ, მაგრამ სიტყბო უფრო მეტია. ჩემი წილი არც სიტყბო დამკლებია და არც სიმწარე. მივდივარ და არ ვნანობ. ახლა თქვენი ჯერია...“

უცებ ვილაყამ დაიძახა:

— ჯიხვი მოიტანეს, გზა მიეცი, ბარემ ეს სიხარულიც თან გაიყოლიოს.

ახოვან ჭაბუქს გზა უტიეს. მან მხრებიდან ჩამოიღო ვეება ჯიხვი და სარეცელთან დაავდო. მომაკვდავმა აღმაცერად გადმოიხედა. მან ხარჯიხვი ინატრა და ფურჯიხვი მოუტანეს. მისი მოკვლა არ შეიძლებოდა. იგი თავისი სხეულით სხვების სიცოცხლეს ატარებდა. კენესისმაგვარი ხმა აღმოხდა გულიდან მომაკვდავს. თითები უმწეოდ გაასავსავა. გაიტანეთო, უნდოდა ებრძანებია, მაგრამ უღონოდ ჩამოუვარდა ხელი...

აღარ სუნთქავდა. მის გაცრეცილ უფერულ სახეს სარკმლიდან შემოსული, მზის გადატეხილი სხივი ეცემოდა...







# პოლგის



მოტორიზებული შენაერთი, რომელიც პრუსიის საზღვართან იდგა ლიტვაში, და რომელშიაც მე ვმსახურობდი, ომის დაწყებისთანავე ბრძოლებში ჩაება. გერმანელებთან პირველივე შეტაკებაში დავიჭერი და თვენახევარი ერთ-ერთ საველე ჰოსპიტალში ვიწეე. ჰოსპიტლიდან სათადარიგო პოლკში გამამწესეს. სათადარიგო პოლკი ქალაქ დუხოვშინას აღმოსავლეთით ტყეში იდგა, ქალაქიდან ორმოცი კილომეტრის დაშორებით.

ნასადილევს გზას გავუდექი იმ ვარაუდით, რომ გზატკეცილზე გავიდოდი, დამეს რომელიმე სოფელში გაეთენებდი და მეორე დღეს ავტომანქანით წავიდოდი დანიშნულ ადგილზე. სადამომდე შეუსვენებლივ ვიარე, გავედი გზატკეცილზე და ერთ საკმაოდ დიდ სოფელს მივაადექი.

სოფელს დასავლეთით ტყე ეკვროდა. ტყის იქით მზე ჩადიოდა. გზის ორივე მხარეს ჩაყოლებული ვერხვის, ტოტების ნაშაშრებიდან გამომკრთალი მზის სხივები თვალეებში მიჭვრიტინებდა, გრილი ნიაფი, აქოჩრილი ყანების სურნელით რომ იყო გაქედნთილი, გაოფლიანებულ სახეს მიგრილებდა. ვიდექი შუაგზაზე და ვერ გადამეწყვიტა, ვის მიედგომოდი კარზე, ვისთვის მეთხოვა ჰერქვეშ დამის გათევა.

რა დასამალია, ჯარისკაცი ისეთ ადგილს ეძებს, რომ კუჭი გაიძლოს, თბილად და რბილად დაიძინოს.

მაგრამ მაშინ, როგორც კი მოკრიალებულ და წყნარ სოფელში აღმოვჩნდი, მიძინებული გრძნობები გამეღვიძა, უცნაური ფიქრები ამეშალა. აი, ისეთი, მარტობაში კაცს რომ მოუვლის ხოლმე.



მთელი სოფელი შევათვალე იერე და მზერა შორიახლო მდგარ სახლზე შევა-  
ჩერე. სახლი ძველი იყო, მოღრეცილი კედლებით, ყავარაცვენილი სახურავით  
და დაფუტურებული ჭიშკრის კარებით. ცხადი იყო, რომ ხელმოკლე ოჯახი  
ცხოვრობდა, მაგრამ გულმა მაინც იქით გამიწია, რადგან ეზოში თვალი მოვკარი  
თოკზე გაფენილ ვარდისფერ კაბას, რომელიც ჩამავალი მზის სხივებზე თვალის-  
მომპრეოდ ბზინავდა და ჩემს გულსა და სხეულს ტკბილ სიამოვნებას ჰგვრიდა.

ვუმზერდი კაბას და ცქერით ვერ ვძლებოდი, თან ჩემმა აღვირახსნილმა  
ფანტაზიამ ფრთები გაშალა და ოცნებით შექმნილი სიტუაციების მორევში  
შევეცურე.

წარმოვიდგინე ამ კაბაში გამოწყობილი ახალგაზრდა ტანადი ქალი, შუბლზე  
გვირგვინად შემოვლებული ოქროსფერი თმებითა და მომცინარე ცისფერი  
თვალებით.

რაღა ბევრი გავაგრძელო, აჩქარებული ნაბიჯით გავემართე, თამამად შევა-  
ლე დაფუტურებული ჭიშკრის კარები, ავედი კიბეზე და აიენის საარკმელზე  
დავაკაკუნე.

გასადები გადატრიალდა კარების კლიტეში და კინაღამ თვალთ დამიბნელდა:  
ჩემს წინ იდგა მალალი, ტანადი, კარგად შემწიფებული თვრამეტი-ცხრამეტი  
წლის ქალიშვილი. ლამაზი იყო, ფსე ლამაზი, რომ სიტყვები არ მეგულეა ამის  
გამოსახატავად.

„ის არის!“ — მის დანახვისთანავე გამიელვა გულში, ფეხები ამიკანკალდა,  
ენა დამეზა.

ჯარში ისე წავედი, არაფერს მყვარებია.

სიყვარული კი მწყუროდა, ოჰ, მერე როგორ მწყუროდა! ძილში თუ ღვი-  
ძილში თვალწინ მედგა ლამაზი გოგო, რომელზეც ჯერ კიდევ ბიჭობაში ვოცნე-  
ბობდი და ჩემი ღრმა რწმენით აღრე თუ გვიან უნდა შემხვედროდა.

რომ დავჭაბუკდი, ეს ფიქრები მოსვენებას არ მაძლევდა. მწყურვალე ირე-  
მივით დავრბოდი ქალაქის ქუჩებსა და სკვერებში, ყველგან საცა კი ლამაზმანე-  
ბი მეგულეობდნენ, იმ გოგოს ვეძებდი, თავდავიწყებით ვეძებდი, საცა არ უნდა  
წავსულიყავი, იმაზე ვფიქრობდი და ჩემს თავს ვარწმუნებდი, რომ უთუოდ  
შემხვედებოდა, მაგრამ ჩემი ოცნება ოცნებად მრჩებოდა და სახლში გულ-  
დაწყვეტილი ვბრუნდებოდი.

ეს ფიქრები ფრონტულ გზებზეც არ მაძლევდა მოსვენებას. რაღაც უხილა-  
ვი ხმა ჩამჩურჩულებდა, რომ აღრე თუ გვიან ოცნებით შექმნილი ნანატრი გო-  
გო აქ უნდა შემხვედროდა.

„ის არის, ის არის!“ — ვიმეორებდი გულში და თვალს ვერ ვაცილებდი  
კარებში გაჩერებულ ქალიშვილს. და რაც უფრო ვაკვირდებოდი, მით უფრო  
მეტად ვრწმუნდებოდი, რომ ეს ის იყო.

ქალიშვილმა ცალი წარბი მალდა შეაგლო და წითელი აბრეშუმის თავშლის  
სწორებით მორცხვად შემეკითხა:

— რა გნებათ?

მისი ხმა ისეთივე ნაზი და მოალერსე იყო, როგორც მისი ცისფერი  
თვალები.



ისე ვიყავ შემკრთალი, ისე მითრთოდა გული, პირში ენა ძლივს მოვიბრუნე:  
 — არ შეიძლება თქვენთან ღამის გათევა?

იმან, რასაკვირველია, შენიშნა ჩემი აღელვება, ქალური ალლოთი მიხვდა ამის მიზეზს, რაც იმაზე შეეტყო, რომ ლოყები ვარდისფრად აუფაკლდა და თავთან ერთად თვალებიც დახარა.

— მობრძანდით. — მორცხვად შეტრიალდა და ოთახში შემიძღვა.

პატარა ოთახის ერთ კუთხეში ძველებური ტანსაცმლის კარადა იდგა, მეორე კუთხეში მიდგმულ ნიკელის საწოლზე კოპწიად დალაგებულ ლოგინს წითელი აბრეშუმის ზეწარი ეფარა, საწოლთან გრძელი ნოხი იყო გაკრული. თავთან კი ჩარჩოში ჩასმული რამდენიმე ფოტოსურათი ეკიდა...

— დაბრძანდით! — მითხრა ჩემსკენ მკვირცხლად შემოტრიალებულმა ქალიშვილმა და ქუჩის მხარის კედელთან მთელ სიგრძეზე მკვიდრად მიდგმული სკამი მიჩვენა.

მხარზე გადაკიდებული ფარაჯა და ბარგის ჩანთა შევიხსენი, კუთხეში მივაწყვე და მაგიდასთან გრძელ სკამზე ჩამოვჯექი.

— ვინ არის? — იკითხა ვიღაცამ ხრინწიანი ხმით ღუმელიდან და ღრმად ჩაახველა.

— ჯარისკაცია, ნატალია ვასილევნა, ღამის გათევას თხოულობს. — მიუგო ქალიშვილმა.

მოხუცს საშინელი ხველა აუტყდა, რის ვივაგლახით ფილტვების სიღრმიდან ნახველი ამოიღო და მისუსტებული ხმით წაილაპარაკა:

— ნასტია, რძე შემოიტა, შვილო, ეშიება, მადლია.

— ახლავე, შემოვუტან. — მიუგო ქალიშვილმა, მე კი წამჩურჩულა, ბებიჩემია, უსინათლო და დავრდომილო.

— მშობლები? — ანგარიშმიუცემლად შევეკითხე და, ისე ჩავაცქერდი თვალებში, თითქოს მისი პასუხით ჩემთვის ფრიალ მნიშვნელოვანი რამ უნდა გადაწყვეტილიყო.

— აღარა მყვანან. მამა ფინეთის ომში დამედღუა, დედა კი მისმა დარდმა გადაიტანა, კი არ თქვა, — ამოიხორა მან და თვალზე მომდგარი ცრემლი შეიწმინდა, მერე მკვირცხლად შეტრიალდა და საკუჭნაოში გავიდა.

შუბლზე ხელი გადავისვი და მალულად თვალი გავაყოლე.

ვიწრო და მოკლე აბრეშუმის კაბაში მკაფიოდ უჩანდა გამოკვეთილი ნაკეთებები, მოხდენილად მიდიოდა, მხრების თამაშითა და მაღალი თეძოების რხევით.

საკუჭნაოში ვასვლისას, ანაზდალ ჩემსკენ გამოიხედა, უცბად გამოიღიმა, მაგრამ მის თვალებში რაღაც ისეთმა იელვამ, რაც წყენასა და უკმაყოფილებას გამოხატავდა. ნასტიამ ქილით რძე და პურის ნაჭერი გამოიტანა, რძე ფინჯანზე დამისხა და შემომთავაზა.

სულაც არ ვიყავ რძის დალევის ხასიათზე, მაგრამ იმდენი სითბო და სინაზე იგრძნობოდა მის სიტყვებში, რომ უარი ვერ ვუთხარა.

ნასტია ჩემს წინ დაჯდა. თვალს არ მაცილებდა, თითქოს ძალიან ახლობელი იყო და უხაროდა, რომ რძეს შევექცეოდი.

რძე რომ დაველიე, საუბარი გავაბით.

ცვდილობდი ნასტიაზე კარგი შთაბეჭდილება მომეხდინა და დამერწმუნებინა, რომ განათლებული, თავაზიანი და ენამახვილი ვიყავი.

კარგი მხატვარივით დაეუხატე მშობლიური საქართველო, მისი მთები, მდინარეები, შავი ზღვის სანაპირო.

ბავშვური ცნობისმოყვარეობით მისმენდა, თურმე დიდი ხანია ენატრებო-

და კავკასიის ნახვა. პუშკინისა და ლერმონტოვის ლექსებს ჩაუნერგავს სამხრეთის სიყვარული.

ბოლოს სიტყვა ფრონტზე ჩამოვადე. დაწვრილებით ვუამბე, როგორ დაიწყო ომი, როგორ მივიღე საბრძოლო ნათლობა და როგორ დავიჭერი ერთ-ერთ ბრძოლაში.

ნასტია ალაგ-ალაგ მაჩერებდა, ხან რას შემეკითხებოდა, ხან რას. ეს კი ჩემში დიდ სიხარულს იწვევდა.

თვითონაც მიაბო ზოგი რამ საკუთარი ცხოვრებიდან. საშუალო სკოლა ისიც იყო დამთავრებინა. ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე სდომებია სწავლის გაგრძელება, თავაულებლივ მეცადინეობდა, დღეს დღეზე ითვისებდა, თუ როდის გამეგზავრებოდა მოსკოვში გამოცდების ჩასაბარებლად, მაგრამ ომს დაუმსხვრევია მისი იმედები.

დიდი გულსყურით უღსმენდი, ვტკბებოდი მისი მომცინარე თვლების მზერით, მისი ნარნარა ხმით და ჩემს თავს უბედნიერეს ადამიანად ვთვლიდი.

თამამად, დამაჯერებლად ლაპარაკობდა. პირველად ვხედავდი ასეთ ტკბილ მოუბარ ადამიანს. ახლა როგორ უბრწყინავდა ჭკვიანი, აზრით სავსე თვალები!

ლუმელზე წამოწოლილი ბეზია მხოლოდ ხველებით გვახსენებდა თავს, თორემ სხვა მხრივ ხელს არ გვიშლიდა, მაგრამ მაინც ვერ ვიტანდი ოთახში მის ყოფნას, ყოველი მისი ჩახველება გულს მიღრღნიდა.

სულ უფრო გაბედულად და ხანგრძლივად ვუტკერი ნასტიას მომცინარე თვალებში, რომლებიდანაც ბლუჯა-ბლუჯად გამონადენი მოალერსე შუქი თავბრუს მახვევდა და რალაც უჩვეულო ნეტარებაში მხვევდა.

ნასტიას ჩემს დამახინჯებულ რუსულზე ეღიმებოდა.

— რა უცნაური და ხუმარა ხარ, კიდეც, კიდეც თქვი „პაქალუსტა“. — მეუბნებოდა იგი და გულიანად ხარხარებდა.

ასეთი რამ ჩემთვის ჯერ არავის ეთქვა და წათამამებული, საჭირო იყო თუ არა, ვიმეორებდი ამ აჩემებულ სიტყვას.

— შენ კი ლამაზი ხარ, ძალიან ლამაზი! — როგორც იყო ბოლოს მეც შევებდე.

— არა, შენ მართალს არ ამბობ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ასეთი რამ ჩემთვის არავის უთქვამს.

დუმილით შევცქერილით ერთმანეთს. დუმილი კი ორივესთვის აუტანელი იყო.

მინდოდა როგორმე გამეახლებინა საუბარი, მაგრამ რაზე ჩამომეგდო სიტყვა, აღარ ვიცოდი. ბოლოს ესლა მოვახერხე:

— ნასტია, მოდი სიტყვა დაეთქვათ, რომ ერთმანეთს არ დავკარგავთ და ომის შემდეგ, თუ ცოცხლები გადავრჩით, უთუოდ ვინახულვით.

— ამას რას ამბობ, როგორ თუ ცოცხლები გადავრჩითო, რა დროს სიკვდილია. ასეთი რამ გაფიქრებითაც არ გაიფიქრო. აი, მე, მაგალითად, სიკვდილზე სულაც არ ვფიქრობ, ან სად მცალია ამაზე ფიქრისათვის. ისე რომ, საექვო არაფერია, ომის შემდეგ ერთმანეთს უთუოდ შევხვდებით. — მითხრა დაიმედებით და ხელი გამომიწოდა.

ფრთხილად და ფაქიზად მოვუპირე ხელზე ორივე ხელი და ვიგრძენი, რომ მისი პაწია და წვრილი თითები თითქოს მოდუნდნენ და დამნებდნენ.

და ჩემთვის ნათელი გახდა, რომ იგი ჩემზე ნაკლებ არ იყო აღზნებული,

რომ ისიც იმასვე გრძნობდა და განიცდიდა, რასაც მე, რომ ჩვენს გულებს შორის რაღაც უჩინარი და დამაკავშირებელი ძაფები იბმებოდა.

ვინ იცის კიდევ რამდენ ხანს ვისაუბრებდით, იქნებ იმ ღამეს სულაც არ დაგვეძინა, მოხუცს რომ დასძინებოდა. ის კი ერთთავად ახველებდა, ბუზღუნებდა, გეყოთ ლაპარაკი, ძილის დროაო.

შუალამე იქნებოდა, ნასტიამ საწოლზე ლოგინი გამიშალა, შენ აქ დაწევი, მე კი ბებიასთან ლუმელზე დავიძინებო.

ვიუარე, იატაკზე გამიშალე, ესეც დიდი რამ იქნება ჩემთვის-მეთქი, მაგრამ ის მაინც თავისას გაიძახოდა. ბოლოს, რომ არა და არ დავთანხმდი, ლოგინი იატაკზე გამიშალა.

ჭრაქი ჩავაქერით და დაეწეკით.

მოგვხსენებათ ჯარისკაცის ამბავი. მეც ჯარისკაცი ვახლდით და სადაც არ უნდა ყოფილიყო, ერთი თავი კი მიმედო რამეზე და მორჩა, იმავე წამს. ჩამეძინებოდა.

იმ ღამეს კი, განა ძილისათვის მეცალა. თვალგახელილი ვიწევი და ერთთავად ნასტიას საწოლისკენ ვიხედებოდი. დიდი უბედურებაა, კაცს რომ ერთი ძილი გაუტყდება, მერე ისიც სხვის ჰერქვეშ, როცა შორიახლო წევს ღამაში ქალიშვილი, რომლის მშვენიერ სხეულს ხელითაც კი შეგიძლია მისწვდე. ეპ, რამდენი გამოურკვეველი და გრძნობისაშშლელი ფიქრები აეშლება ხოლმე აღამიანს ამ დროს!

არ შემიძლია დაწერილებით მოგიყვეთ ჩემს იმდამინდელ ფიქრებზე, რადგან ამის წარმოდგენა უფრო ადვილია, ვიდრე აღწერა. მხოლოდ გეტყვით, რომ ვილაცის უცნობი ხმა ერთთავად ჩამძახოდა, რომ ძალა და გამბედაობა მომეკრიბა, მივსულიყავ საწოლთან, დავკემულიყავ მუხლისთავეებზე, დამეკოცნა მისი ბროლის თითები და ჩემი გული გადაამეშალა.

წამოვდექი კიდევ, მაგრამ სწორედ ამ დროს მოხუცმა ჩაახველა.

უცბად, თითქოს გამოვფხიზლდი და რაღაც უხილავმა ძალამ ისევ ლოგინში ჩამაწვინა.

„არა, ეს არ შეიძლება, — ვეჩურჩულებოდი ჩემს თავს, — კიდევაც რომ გავბედო, მივიდე მასთან, ვაითუ გიყად, ან უკეთეს შემთხვევაში თავხედად ჩამთვალოს-მეთქი“.

ეპ, შენ ჩემო სულელო თავო, ნეტავ საიდან გამოგყავდა ასეთი დასკვნები?! დიდხანს ვიტრიალე ლოგინში, დიდხანს ვებრძოდი აშლილ ფიქრებს. ბოლოს, თურმე ჩამძინებოდა და ოცნება არეულ სიზმრად გადამქცოდა.

მამლის ყივილმა გამომადიდა.

უმაღ თვალი გავახილე და პირველი რაც ოთახში დაეინახე, იყო ნასტია, რომელიც სარკმლიდან იხედებოდა. ახლა ის უფრო სრული, ღამაში და ახალგაზრდა მეჩვენა.

უმაღ ჩავიციე.

ნასტია ჩემსკენ შემობრუნდა, შემომცინა და მითხრა:

— დილამშვიდობისა, როგორ გეძინა?

— გმადლობ, კარგად.

— მეც კარგად.

მაგრამ მისი მიბნედილი თვალები, ოდნავ შემუშებული მოლურჯო უბეები სრულიად საწინააღმდეგოს ამბობდნენ.

პირი რომ დავიბანე, ნასტიამ მითხრა:



— რა მშვენიერი დილაა, რა მშვიდი დარია. წავიდეთ ვოლგაზე, ნავით ვისეირნოთ!

რა თქმა უნდა, დავთანხმდი. აბა, მაშ უარს ხომ არ ვეტყობი.

ზაფხულის წყნარი დილა იდგა.

ჯერ მზე არ ამოსულიყო, მაგრამ ჰაერში შემხუთავი სითბო ტრიალებდა.

მამაკაცები ბაღებში გასულიყვნენ — ვინ თოხნიდა, ვინ რწყავდა. ქალები კი ეზოში დაფუსფუსებდნენ, ვინ ძროხას სწველიდა, ვინ კარმიდამოს ჰგვიდა.

სოფლის გზაზე ადალი ისვენებდა.

სანახევროდ გამოშვებულ ცხენებს ქერით სავსე ტომრებში ჩაეყოთ ცხვირები. ისინი ფრუტუნით ახრამუნებდნენ საკვებს და, თითქოს ერთმანეთისა შურთო, თვალებს უბრაილებდნენ.

მესაზიდრე ჯარისკაცები გზისპირას ცეცხლის გარშემო ისხდნენ და ქვაბურებით კარტოფილს ხარშავდნენ.

აღალს გვერდი რომ ჩაეუარეთ, ჯარისკაცებმა თვალი გამოგვაყოლეს, ცქერით კინალამ კისრები მოედრიცათ და ჩურჩული აუტყდათ.

ნასტია იალაღზე გაამაყებული ირემივით მიაბიჯებდა, ირგვლივ არაფერს ამჩნევდა, არც ჯარისკაცების აღფრთოვანებულ მხერას, არც აივნებზე გამომდგარ შურით შემყურე ქალიშვილებს.

ორღობით მივდიოდით.

აქეთ-იქით კარტოფილის ნაკვეთები იყო. მერე ტრიალი მინდორი იწყებოდა, ოქროსფრად ლივლივებდა შემზარი პურის ყაბუბი.

ნასტია წინ მიდიოდა, ხელით ხან რას დამანახებდა, ხან რას და ახსნა-განმარტებას მაძლევდა.

მალე ყანაში გაშავალ ვიწრო ბილიკს დავადექით.

ირგვლივ ისეთი სიჩუმე იდგა, თითქოს ყველაფერი — სულიერი თუ უსულო გატრენილი ჩვენ შემოგვცქეროდა.

ნასტია ხელებს შლიდა, მოფერებით პურის თავთავეებს ხელს უსვამდა, ალაგ-ალაგ ჩაიჩოქებდა და ყაყაჩოებს ყნოსავდა.

ერთგან ყანაში შეირბინა, რალაც მოგლიჯა, ზურგზე ხელამოფარებულმა ჩემთან მოირბინა და წითელი ყაყაჩო გამომიწოდა.

— აბა, ერთი ნახე, ამ ყვავილს რა სასიამოვნო სუნი აქვს.

ყვავილი გამოვართვი, მადლობა გადავუხადე და დავყნოსე.

ადუღებული თაფლის სურნელმა მათრობელასავით დამიარა მთელ სხეულში.

— რა ყვავილია? — ვიკითხე განცვიფრებულმა.

— არ ვიცი, არც სხეებმა იციან. ეს ყვავილი ჩვენს მინდვრებზე ძალიან იშვიათია. მე მას ვოლგის ასული შევარქვი.

ნასტია ისევ წინ გამიძღვა. ხან ნაბიჯს მოუკლებდა, ხან აუჩქარებდა, ზოგჯერ გაიქცეოდა, პურის თავთავეებში მემალეობდა.

ფეხდაფეხ მივდედდი, ერთთავად ყვავილს ვყნოსავდი და გულში ვიმეორებდი სიტყვებს, რომელიღაც წიგნში რომ მქონდა წაკითხული: ვინც უყვარს მხოლოდ იმას აჩუქებს ქალი ყვავილს.

ამბობენ, ადამიანის შეყვარება არ შეიძლება მარტო გარეგნობითო. მე კი ვამბობ, რომ შეიძლება, რადგან სათნოება და სიბოროტე ერთად ვერ მოთავსდებიან, მერე ისიც ისეთ ლამაზ არსებაში, როგორიც ნასტია იყო. განა მე იგი დანახვისთანავე არ შემეყვარდა?!

შეყვარებული გულისთანა მგრძნობიარე ხომ არაფერია ქვეყანაზე. პირველ

წუთებიდანვე ჩემი გულიც გრძნობდა, ხედებოდა, რომ არც ნასტია იყო ჩემდამი გულგრილი. ერთი აზრით, ერთი ნატვრით ვავიმსქვალე, მინდოდა, მენატრებოდა, მთელი ჩემი გული და სული, მთელი ჩემი სიცოცხლე მისთვის მიმეძღვნა, მისთვის შემეწირა.

პატარა ბექობზე ავირბინეთ.

ჩვენს წინ მშვენიერი სანახაობა გადაიშალა:

ლურჯად მოლივლივე წყალუხვი ვოლგა მშვიდად მიედინებოდა თავის განიერ მწვანე საწოლში. მეორე ნაპირს ვრცელი ტყე ეკვროდა. ტყის იქით მზე იბადებოდა. მისი ამოტყორცნილი ოქროსფერი სხივები სვეტებად შესდგომოდა მოკრიალებულ ცას. დაბლა, წყლისპირას, გაჩერებულ ნაწი მოხუცი იჯდა, თავჩაქინდრული წყალში გადაგდებული ანკესის მანიშნებელს დასცქეროდა.

ცის კაბადონზე დაფრინავდნენ კუდმაკრატელა მერცხლები. ტოროლები ჟივილ-ხივილით ეგებებოდნენ მზის მოალერსე სხივებს.

ხელი-ხელს ჩაეკიდეთ და მწვანე ხავერდით მოსილი დაღმართით მდინარასაკენ დაქანდით.

ნასტიას ფეხი დაუცურდა, მეც წავიფორხილე, ორივე წაიქეციით და სიცილ-კისკისით ხელიხელჩაკიდებულნი მდინარისაკენ დავცურდით სველ მოლზე. ნასტიამ მოხუცთან მიირბინა.

— გამარჯობა, ძია პეტრე! — მიესალმა იგი მოხუცს.

— იცოცხლე, შვილო, იცოცხლე. — მიუგო მოხუცმა.

— ძია პეტრე, თუ შეიძლება ნავი გვათხოვე?

— დიდი სიამოვნებით, შვილო.

მოხუცი ნავიდან გადმოვიდა, ცალი თვალთა შემათვალისწინებდა და თავი ჩაიქნია. თითქოს ამით უნდოდა ეთქვა: „ეჰ, რა კარგია ახალგაზრდობა. ამაზე დიდი ბედნიერება სხვა არა არის რა ქვეყანაზე“.

ნასტია თვალისდახამხამებებაში ნაწი ახტა და მესაჭის ადგილას მოიკალათა.

ხელის წაკვრით ნავი წყალში შევაცურე, მეც უმალ ავხტი და წინასაჯდომზე მოვთავსდი.

ნასტიამ ნიჩბებს მოუსვა და წყლის ზედაპირზე მსუბუქად გაესრიალდით. დროდადრო ნიჩბებს ხელს უშვებდა, ხან ერთ მხარეს გადაიხრებოდა, ხან მეორე მხარეს და ნავის ირგვლივ გაჩენილ წყლის წრეებს ხელით ეხებოდა.

ოჰ, ნეტავი შემეძლოს იმის გამოთქმა, რასაც ვგრძნობდი, რასაც განვიცდიდი, როცა ვხედავდი წყლისკენ გადახრილ ნასტიას, რომელსაც კორფა სხეულა უხტოდა, უტოკავდა, უთამაშებდა...

მისი სიცოცხლით საესე თვალეები, ნიავისაგან აშლილი მზხინავი ქერა თმავნებით საესე მომცინარე ტუჩები უფრო მეტ შუქს ჰვენდა ჩემს გულს, ვიდრე ახლად ამოშუქებული ცხრათვალა მზე მწვანედ აბიბინებულ ველ-მინდვრებსა და მშვიდად მიმავალ ვოლგის მოლურჯო ზედაპირს.

შუა მდინარეში რომ შევცურეთ ნასტიამ შემომცინა და მითხრა:

— გიყვარს სიმღერა?

— მიყვარს, ძალიან მიყვარს, მაგრამ მე თვითონ არასოდეს ვმღერი.

— მე კი ხშირად ვმღერი, თუმცა არავის მოსწონს ჩემი ხმა.

— იმღერე, მე მომეწონება.

— საიდან იცი, იქნებ არ მოგეწონოს!

— ვიცი, წინასწარ ვიცი.

ნიჩბების მოსმა შეანელა და ძლიერ გასაგონი ხმით დაიწყო:

„საყვარლის საფლავს ვეძებდი,  
ვერ ვნახე, დაკარგულიყო...“

სულ უფრო ხმამაღლა მღეროდა და უფრო შორს ეფინებოდა მისი მშვენიერი ხმა დაღუემებულ მდინარესა და ამწვანებულ ნაპირებს.

პირს ფართოდ აღებდა. ერთიანად უჩანდა მძივივით ასბმული თეთრი კბილები. ლამაზად კუმავდა წინწამოწეულ ტუჩებს. ამ წუთას მისი მომცინარე თვალები, ისეთივე ღრმა და წყნარი, როგორც ირგვლივ გაშლილი ვოლგა, ისეთივე ვრცელი და ლურჯი, როგორც მაღლიდან დამყურე მოწმენდილი ცა, თითქოს ზღვა იყო გამოუთქმელი სიტყვებისა.

ლამის ოცი წელი გავიდა მას შემდეგ და ახლაც, როცა ვიხსენებ ხოლმე ჩემი სიცოცხლის ამ უძვირფასეს წუთებს, რაღაც ზეციური და მომჯადოებელა ხმებით მეცეხება გული.

სიმღერა რომ დაამთავრა, ტაშის დაკვრით გამოვხატე ჩემი აღტაცება და ვუთხარი:

— გმადლობ, ამ დიდი სიამოვნებისათვის. უთვალავჯერ მსმენია მე ეს სიმღერა, მაგრამ არასოდეს ასე არავის მოუხიბლივარ.

— არა, არა მჯერა, მგონი აზვიადებ!

— გეფიცები, სიმართლეს ვამბობ.

— მაშ, კარგი, ადგილები შევცვალოთ და მე კიდევ ვიმღერებ.

ნასტია წინ გადმოვიდა, მე კი ნიჩბებს მივუჯექე, მაგრამ სირცხვილისაგან კინალამ დავიწვი, რადგან ვერა და ვერ მოვახერხე ორივე ნიჩბის ერთდროულად მოსმა.

ნავი ატოკდა, ამორძიკდა, გვერდზე შეტრიალდა. ნასტია თავშეუკავებლად იციროდა, რა დაგემართა, ნიჩბების ხმარება როგორ არ იციო.

— რა ვქნა, არ ვიცი. ჩვენი მდინარეები ჩქარია და ნაგებით არ დაესიერნობთ.

— ზღვა? — შემეკითხა განცვიფრებით.

— ზღვა, მართალია, ჩვენი ქალაქიდან მატარებლით რვა საათის სავალზეა, მაგრამ მე იგი პირველად აქეთურ მომავალმა ვაგონის საარკმლიდან დავიინახე.

— მაშ, მე გასწავლი ნიჩბების მოსმას. — შითხრა მან და ჩემს გვერდით გადმოჯდა.

ასე ახლოს არასოდეს ვმჯდარვარ არც ერთ ქალთან. ასე არასოდეს მიგრძნენია ის ყინამშლელი სუნი, რომელიც მხოლოდ მომწითებულ გოგოებს აქვთ, რომელიც უფრო მეტ სიამეს ჰგვრის კაცს, ვიდრე ახლად შოთიბული ბალახისა და თუგინდ რომელიც გნებათ მინდვრის ყვავილის სურნელი.

ნიჩბებს იმანაც მოჰკიდა ხელი და მეუბნება:

— აი, ასეა საჭირო. — და ოდნავ წინ იხრება, ნიჩბებს უკან ისვრის, მერე ზურგიტ იხრება და ნიჩბებს თანაბრად და მწყობრად უსვამს.

მეც მის რჩევისამებრ ვიქცევი და ორივე შეწყობილი ვუსვამთ ნიჩბებს.

ნავი მსუბუქად მისრიალებს, მდინარის ზედაპირზე ლარივით სტოვებს ნაკვალევს.

— აბა, ახლა უფრო მარდადი! — მეუბნება ნასტია და ნავს მდინარის დინების საწინააღმდეგო მიმართულებით ვაბრუნებთ.

ნასტიას ერთი ხელით ნიჩაბი ისე უჭირავს, რომ მოსმის დროს მისი ატლასივით პრიალა მკლავი ნიდაყვზე მედებდა. ეს კი ისედაც ძარღვებში ავიზგიზებულ ცეცხლს უფრო მიგიზგიზებს.



მთელი სხეული მითრთის, მუხლისთავები მიკანკალებს, ხელები მიდუნდება. იმდენად ვარ აღელვებული, რომ ერთთავად განზე ვიხედები, იმის თვალეში შეხედვას გაფურბივარ. დალაპარაკებასაც ვერ ვბედავ, რადგან მეშინია არ ვამქლავნო ის სულიერი ღელვა, რასაც ესოდენ ძლიერ განვიცდო.

ნასტიას კი თავისუფლად ექირა თავი. იცინოდა, ხალისიანად უსვამდა ნიჩბებს. თქმით არაფერს მეუბნებოდა, მაგრამ იმნაირად შემომხედდადა ხოლმე, თითქოს უნდოდა ეთქვა: „რატომ მარიდებ თვალს, რატომ დუმხარ, გამაგებინე“.

ნასტია წინ გადაჯდა, ნიჩბების მოსმა ხომ გასწავლე, ახლა შენ იცი როგორ მასეირნებო.

ნავს ახლა შედარებით უკეთ ვმართავ. გეზი მეორე ნაპირისაკენ ავიღე.

— ისე ნელა მივცურავთ, გეგონება მაწვნები მიგჭქონდეს. — იცინის ნასტია.

წაქეზებულმა ნიჩბები სწრაფად ავამოძრავე. ერთი ნიჩაბი გვერდზე გადამიტრიალდა და კინაღამ ხელიდან გამისხლტა.

ნავი ქანაობს, ტორტმანობს, გეზს იცვლის და შორიახლო ამოშვერილ კლდისაკენ მიექანება.

ნიჩბებს ვებლაუქები, ღონიერად ვუსვამ, მაგრამ არც ისე იოლია ნავის უცბად შემობრუნება.

ნასტიამ რომ საფრთხე დაინახა, წამოხტა და მოსაშველებლად გამოემართა, მაგრამ სანამ ჩემამდე მოაღწევდა, ნავი ცხვირით კლდეს მიეჯახა.

ის წატორტმანდა.

უმაღ წამოვხტი, რომ ხელი მიმეშველებია.

ღღესაც არ ვიცი, ნებით იყო ეს თუ უნებლიედ, ერთმანეთს შევეხალეთ, გადავეხვიეთ და როგორც მწყურვალი წყალს, ტუჩებით ისე დავეწაფეთ. ამბობენ პირველ კოცნას შეყვარებულისათვის დიდი ნეტარება მოაქვსო. კარგად უთქვამთ, მეც ამ კოცნით ისეთი სიამე განვიცადე, რომლის მსგავსს არასოდეს ვღირსებოვარ.

ნავი წყლის მდინარებას მისდევდა, ჩვენ კი ვიდექით ჩახვეულნი და ერთი მეორის ტუჩების მეტი არაფერი გვახსოვდა.

ნასტია უცბად ხელიდან გამისხლტა და ნიჩბებს მიუჯდა.

მეც მის გვერდით მინდოდა დაჯდომა, იუარა, კეჩოზე დაჯექიო.

ნაპირისაკენ გავცურეთ.

მოგეხსენებათ, ასეთ დროს რა თამამი და გამბედავი ხდება ადამიანი. ვაბედულად ვლაპარაკობდი. ვუმტკიცებდი, რომ არასოდეს არავინ მყვარებია. ის არის ჩემი პირველი სიყვარული, რომ იგი ისეთივე ლამაზი, წარბეცვი და ნაზია. როგორც მის მიერ მოძღვნილი ყვავილი „ვოლგის ასული“.

ის კი არაფერს მეუბნებოდა, თვალს მარიდებდა, ჩუმიად ეღიმებოდა.

რაიკლა ერთი შევებდე, უკან აღარ ვიხედდი, ვეხვეწებოდი, ვემუდარებოდი, მითხარი, შენც გიყვარვარ თუ არა-მეთქი. არაფერს მეუბნებოდა. ხანდახან ისე ხმამაღლა იცინოდა, ეჭვი მეპარებოდა, ჩემს გულწრფელ გრძნობებს ხომ არ დასცინის-მეთქი.

— რა არის სასაცილო? — მივმართე განაწყენებულმა.

— როგორ არ გაეციინო, როცა ასეთ სასაცილო კითხვებს მაძლევ. — მომიგო. მისი თვალეები კი ამბობდნენ, ამას რა ლაპარაკი უნდა, განა ნათელი არ არის, რომ არც მე ვარ შენდამი გულგრილიო.

ეკ, მართლაც რა საჭირო იყო სიტყვები. ნასტიას გამოხედვაში იმდენ აღერსსა და სინაზეს ვგრძნობდი, რაც არასოდეს არც ერთ ქალის თვალეში არ



მიგრძენია. თითქოს იმასაც ვგრძნობდი, როგორ იჭრებოდა სიყვარული მის გულში.

მაგრამ მაინც ჩემსას არ ვიშლიდი და არაერთხელ ნათქვამს კიდევ ვიმეორებდი. ის კი ალერსით შემომმცინოდა, რა ჩაცემა გცოდნია, რაწაირი ყოფილხარო.

— შენ რაღანაირი ხარ? — ველარ მოვითმინე და მივაძახე.

— აი ასეთი ვარ, არ მოგწონვარ? — მტრედით თავი გვერდზე გადააგდო და შემომმცინა.

— ასეთი? — ხელით ჯიბეზე დაბნეული „ვოლგის ასული“ ვუჩვენე.

— დიახაც მასეთი. — მომიგო ამაყად, გვერდზე გადაწვა და, თითქოს ეფერებო, მდინარის ზედაპირს, როგორც ცოცხალ არსებას ხელი გადაუსვა.

უცბად ტყის მხრიდან თვითმფრინავების შორეული გუგუნე გაისმა ერთ-თავად ცას ვუტყეპროდით, მაგრამ თვითმფრინავები მალე მიფრინავდნენ, თავზე რომ გადაგვიქროლეს ვერც მაშინ შევასწარით თვალი.

— ეს სულ მოსკოვისაკენ მიფრინავენ. — თქვა ნასტიამ და ჩუმიად ამოიოხრა, წუთიერი სიჩუმე ჩამოეარდა.

მზე ისე სასიამოვნოდ ჰფენდა მოალერსე სხივებს ამწვანებულ ველ-მინდვრებსა და წყნარად მიმავალ ვოლგას, ისე ლაღად დანავარდობდნენ ცის კამარზე გაქრული კულმაკრატელა მერცხლები, ისე ტკბილად ეღურტულეზდნენ ჩიტუნები მდინარის პირას ატეხილ ქალებში და ყოველივე ამის ფონზე, ისე წარმტაცი და ლამაზი მოჩანდა ნასტია, რომ ჩემი გული სავეს იყო უსაზღვრო სიხარულით და მხოლოდ იმას ვფიქრობდი, რომ მართლაც ღირდა სიცოცხლე, ღირდა შრომა, ღირდა სიყვარული. აღარ მჯეროდა, რომ ქვეყნად ომი იყო, რომ იწვოდა და ინგრეოდა ქალაქები და სოფლები, რომ ყოველდღე კვდებოდა ათასობით უღანაშაულო ადამიანი...

და უცბად, თვითმფრინავების გუგუნმა გამახსენა, რომ ჩვენგან არც ისე შორს არის ფრონტი, რომელიც დღითი-დღე ახლოვდება და ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება აქაურობაც მისი ცეცხლის ბულში შთაინთქას და განადგურდეს.

ერთი წამით ჩემს არსებაში თითქოს სიცოცხლე შეჩერდა, ველ-მინდვრებს ბურუსი მოეფინა, მაგრამ ეს იყო ერთი წამით, მხოლოდ ერთი წამით...

კვლავ წყნარად მიედინებოდა ვოლგა. მერცხლები განავრძობდნენ ცაში ფრენას, ჩიტუნები სტვენას, მზე მოალერსე სხივების ფრქვევას.

უცბად რაღაც უჩვეულო რამ დამემართა, გული ამიძგერდა, სუნთქვა შემეკრა, წონასწორობა დაეკარგე. ნასტიას ხელი ვტაცე, მკერდში ჩავიკარი და ჩავკოცნე, თან ვეჩურჩულებოდი:

— ოჰ, შენი თვალები, რა დიდი ძალა, მხნეობა შეუძლიათ მომანიჭონ მათ... შენც მხურვალე ტუჩები... რამდენ სიტკბობებს, რამდენ სიამეს განვიცდი ყოველი კოცნით. გეხვეწები, გემუდარები, კიდევ, ერთხელ კიდევ მაკოცნინე!..

და გაშმაგებით ვკოცნიდი. იმანაც მაკოცა და მიჩურჩულა:

— ვიცი, რომ გიყვარვარ, მაგრამ ისიც ვიცი, რომ მალე დამივიწყებ...

— არა, არ დამივიწყებ. თუ ცოცხალი გადავრჩი, უთუოდ მოგიხახულებ და შენგან ერთ ნაბიჯსაც აღარ მოვიცვლი...

— შენ ეი, კაცო, ხომ ხედავ კოლონა დაიძრა, მოღიხარ თუ არა? — მიძახოდა ავტომანქანის კიბეზე მდგარი მძღოლი.

კიდევ ერთხელ გადავკოცნეთ ერთმანეთი და ხელიხელჩაკიდებულნი გზაზე გავედით. ძარაზე ავხტი და... ავტომანქანაც დაიძრა.

ნასტია შუა გზაზე იღგა.

აეტომანქანების კოლონამ მტერის კორიანტელი დააყენა და ესღა დაეინახე: იგი ერთი ხელით თავშალს მიქნედა, მეორეთი კი თვალებს იწმენდდა.

ნაწილში მისვლისთანავე ნასტიას წერილი მიეწერე. პასუხი არ მიმიღია. კიდევ ორი თუ სამი წერილი გავუგზავნე... ერთხელ დაჭრილ ჯარისკაცსაც გავატანე პატარა ბარათი, იქნებ ამა და ამ სოფელში მოხვდეს და ამას და ამას გადასცემ-მეთქი, მაგრამ ვერა და ვერ ვეღირსე მისგან საპასუხო წერილს.

ამან დიდ სასოწარკვეთილებაში ჩამავლო.

ამხანაგები სულ იმას მეკითხებოდნენ, რად ხარ ასე გულჩათხრობილი და დარღობილი.

რა უნდა მეთქვა. ჩემს გულისტკივილს ხომ ვერ გავუმხელდი. რატომღაც მეგონა, რომ იმათ ეს ამბავი სასაცილოდაც არ ეყოფოდათ.

მე კი დღედაღამ ნასტიაზე ვფიქრობდი და სულ უფრო მეტ სასოწარკვეთილებას ვეძლეოდი. ადრე რას ვიფიქრებდი, თუ ჩემთვის მანამდე უცნობი გრძობა ასე შემბოჭავდა. ნასტია ერთთავად თვალწინ მედგა ისეთი, როგორც ჩარჩა ჩემს მესხიერებაში: თავთავებდახრილ ყანაში დგას, სახეზე ღიმილი დასთამაშებს, ხელში წითელი ყვავილი უჭირავს და მეკითხება, აბა, გამოიციანი, რა ყვავილიაო.

ერთხელ გათენებისას მტრის პოზიციებს ვუთვალთვალე. ტყისპირას თეთრი არყისხე მოჩანდა. იგი სილამაზით მეზობელი ხეებისაგან გამოირჩეოდა. ვუცქირე, ვუცქირე არყისხეს და უცბად მასში მომცინარე ნასტია დაეინახე.

ერთხელ კიდევ ახლად მოთიბულ პურის ყანაში ვიწექი. ყანის დაფოცხვადებულულება ვერ მოეწროთ. სულ რაღაც ორი თუ სამი პატარა ბულული იდგა. ვწევარ და გავცქერი ბულულებს, თან იმას ვფიქრობ, ნეტავი მაშინ, მე და ნასტია ყანაში მიმავალი ბილიკით ვოლგისკენ რომ გავებოდი-მეთქი. ამ ფიქრებში ვარ და უცბად ერთი ბულული ნასტიად მეჩვენება.

ერთი სიტყვით, ყველაფერ ლამაზში იმას ვხედავდი. ასე გასინჯეთ, ჩემს შორიანლო აფეთქებული ჭურვის კვამლის ბოძშიც დაეინახე მე იგი.

ღამეები არ მეძინა.

ბევრჯერ მომჩვენებია, რომ ნასტია ჩემს გვერდით იდგა სანგარში და გამამხნეველ სიტყვებს მეჩურჩულებოდა. ხანდახან ისეთი ცხოველი იყო ეს მოჩვენება, რომ სიბნელეში ხელებს ვშლიდი და იმის გულში ჩაკვრას ვლამობდი.

ხშირად შევკითხვიარ ჩემს თავს: ეს რა შემართება, რატომ არ შემიძლია მოსვენებით ძილი, რად ველაპარაკები ჩემს თავს, იქნებ ავად ვარ, იქნებ სიცხე მაქვს, ან იქნებ ჭკუაზე შევიშალე-მეთქი.

ხელჩართული ბრძოლების შუაგულში ვტრიალებდი, თვითონვე ვეძებდი ხიფათს და არაფრისა მეშინოდა.

რა უნდა დაგიმალეთ, მინდოდა ბრძოლაში თავი მესახელა. სახელსა და დიდებას კი იმიტომ ვეძებდი, იქნებ ჩემმა მამაცობის ამბავმა ნასტიას ყურამდე მიღწიოს-მეთქი, ან იქნებ რამდენიმე დღით შეგებულება მომცენ და მაკაროვოში ჩავიდე-მეთქი.

როცა მოსკოვისაკენ ვიხევდით, აღმოსავლეთით მიმავალი უამრავი ლტოლვილი გვხვდებოდა.

ერთხელ ჩემს შორიანლო წითელთავშლიან გოგოს მოვკარი თვალი. ნასტიას ტანისა იყო, ჯოხზე დაყრდნობილი კოჭლობით მიაბიჯებდა.

— ნასტია! — ხმამალა შევძახე და მისკენ გავიქეცი.

რომ მივუახლოვდი კიდევ დავეძახე ნასტია-მეთქი. გოგომ ჩემსკენ გამოი-

ხელა. ისიც მსავით ლამაზი იყო, მომცინარე ცისფერი თვალებით, ქერა თმით, მაგრამ ის არ იყო...

მთელი სმოლენსკის ოლქი და, რა თქმა უნდა, ნასტიანთ სოფელიც მტრის ჯარებს ეკავათ.

ჩემი ღრმა რწმენით ნასტია სადღაც ამიერკავკასიაში, ან შუა აზიაში იყო ევაკუირებული და მიხაროდა, რომ მის სიცოცხლეს არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა.

მალე მოსკოვთან მტრის ჯარების განადგურება დაიწყო. ჩვენი შენაერთიც გადავიდა შეტევაზე. ათი დღის მანძილზე ორას კილომეტრზე ვიფრინეთ მტერა. ეს კი არა და, ორი ნაბიჯიც რომ წაგვეწია წინ, მაშინვე ოცეულის მეთაურს რუქის ვთხოვდი ხოლმე და მაკაროვმდე მანძილს ვზომავდი. მიხაროდა, რომ ამ ჩემთვის უსაყვარლესი სოფლის მიმართულებით მივდიოდით, მაგრამ შემდგომში ჩვენმა შენაერთმა შეტევა ისე განავითარა, რომ მაკაროვო ათი-თხუთმეტი კილომეტრით მარჯვნივ დარჩა. ჩვენგან ოცი-ოცდახუთი კილომეტრის სამხრეთით მდებარეობდა სოფელი მაკაროვო და როგორც მცხოვრებლებისაგან გავიგე, გერმანელები იქიდანაც გაედევნათ.

მიუხედავად იმისა, რომ ნასტია მაკაროვოში არ მეგულებოდა, გული მაინც იქით მიმიწევდა. მინდოდა რაიმე გამეგო მაკაროვოს შესახებ და ხან ვის ჩამოვუგდე სიტყვა, ხან ვის, მაგრამ ამ სოფლის ირგვლივ არავინ არაფერი იცოდა.

ერთმა მოხუცმა კი, რომლის სახლშიც ჩვენი ბატალიონის შტაბი იდგა, მითხრა მაკაროვოში და მყავს გათხოვილი და ორი დღის წინ ვიყავი იქაო. თურმე გერმანელები მოულოდნელად შეჭრილან სოფელში და მცხოვრებლებს აღმოსავლეთით გაქცევა ვერ მოუსწრაიათ, ოთხ თვეს უთარეშიათ იქ გერმანელებს, მცხოვრებლები გაუძარცვიათ, ქალებისთვის პატივი აუხდიათ, რამდენიმე კაცა უწამებიათ და უკან დახევის დროს მთელი სოფელი გადაუწვიათო.

მოხუცის ნათქვამმა ძალიან ჩამაფიქრა.

ვაითუ ნასტიამ გაქცევა ვერ მოასწრო, გერმანელებმა ჩაიგდეს ხელში, პატივი ახადეს, ტანჯეს, აწამეს!

დღითიდღე მიცხოველდებოდა ეს ფიქრები და არ ვიცოდი რა მელონა, როგორ გამეგო ნასტიას ამბავი.

იმ დღეებში ჩვენი შენაერთი მოგერიებით ბრძოლებს აწარმოებდა. ერთერთ ბრძოლაში ბომბის ნამსხვრევით მხარში დავიჭერი. ჭრილობა შემიხვიეს და სანბატონი წასასვლელად მარხილში ადგილი შემომთავაზეს. ვიუარე, მძიმედ დაჭრილები ვაგზავნეთ, მე ფეხითაც შეეძლებ სიარულს-მეთქი.

სალამო ხანი იყო გზას რომ გავუდექი. პირველივე სოფელში, სადაც ცოტა შევისვენე, მცხოვრებლებისგან მაკაროვოში მიმავალი მოკლე გზა გავიგე და იქით გავეშურე.

ამ გზით მხოლოდ ფეხით დადიოდნენ, რადგან ვოლგაზე ხიდი მტერს უკან დახევისას დაენგრია და ავტომანქანებს უჭირდათ მოლობულ გზაზე გადასვლა.

მარტის შუა რიცხვები იყო, მაგრამ ჯერ ისევ დიდი ყინვები იდგა, დანამქრულ გზებზე ალაგ-ალაგ წელამდე თოვლი იდო. თითქმის სამი საათი ვიარე შეუსვენებლოვ. პაპიროსსაც არ ვეწეოდი, რა არის, წყოს ვახვევაში დრო არ დამეკარვა. მინდოდა მდინარეზე თვალნათლივ გადავსულიყავ. შერე რალაც კილომეტრნახევარი მქონდა გასავლელი და გინდაც დამღამებოდა, სოფელს ადვილად მივაგნებდი.

შებინდებისას გადავედი გაყინულ ვოლგაზე. სირბილით ავედი დაქანებულ ნაპირზე, მეგონა მაკაროვოს დავინახავდი, მაგრამ ირგვლივ თოვლით დაფარული

ტრიალი მინდვრის მეტი არაფერი ჩანდა. ალბათ, სოფელი დაბლობშია და ამიტომ არ ჩანს-მეთქი, დავაიმედე თავი და იქით გავემართე, საითაც მაკაროვო მგულუბოდა.

პალე ბნელი ღამე ჩამოწვა, ცა შავი ღრუბლებით დაიფარა და შემზარავი ქარბუქი ამძვინვარდა. ორ ნაბიჯზე ვერაფერს ვხედავდი. ისედაც დანამქრული გზა თოვლით დაიფარა, მინდორთან გადასწორდა. გუმანით მივდიოდი. ხან თოვლის ზე, ნებს ვაწყდებოდი, ხან თხრილებსა და ორმოებში ვეშვებოდი. მხარში საშინელ ტკივილს ვგრძნობდი, მიჭირდა ხელის მოძრაობა, მტკიოდა სახსრები, მაგრამ მაინც არ ვჩერდებოდი. ჩემი ვარაუდით საცაა სოფელი უნდა გამოჩენილიყო. იმის გაფიქრებაც კი, რომ მაკაროვო და, ალბათ, ნასტია ჩემგან სულ ახლო იმყოფებოდნენ, მხნეობასა და ძალას მმატებდა.

მივდიოდი და მივდიოდი. შეუპოვრად მივიარლვევდი თოვლს, მივაპობდი ქარბუქს.

ახლაც მიკვირს საიდან ვიკრებდი ამდენ ძალ-ღონეს. მე ხომ კრილობის შეხვევამდე სისხლი დავკარგე და საგრძნობლად დავსუსტდი.

დიდხანს ვიარე უგზოუყვლოდ. სოფლის ნაკვალევს ვერა და ვერ მივაგენი. შეეჩერდი. აღარ ვიცოდი რა მელონა. ბოლოს იმ დასკვნამდე მივედი, რომ სოფელს გვერდით ჩავუარე და სიბნელეში ვერ შევამჩნიე. უკან გავბრუნდი. კიდევ კარგა ხანს ვიარე, დავიღალე, არაქათი გამომეცალა. უტბად ჩემს წინ რაღაც შავი აღიშართა. ახლო მივედი. დამწვარი სახლის ბუხარი იყო. მარჯვნივ გავუხვიე. კიდევ ორმოციოდე ნაბიჯი გავიარე და მეორე ბუხარს წავადექი.

დიდხანს დავებორიალობდი ნაცარტუტად ქცეულ სოფელში, რომლის ნასახლარებზე ხანძრის კვამლით გაქვარტლული ბუხრებიდა იდგა.

ბოლოს ერთ სანახევროდ დანგრეულ ბუხართან შეეჩერდი. ჩემი ვარაუდით ეს ნასტიაანთ სახლის ნანგრევები იყო. ისე ვიყავ დალილი, რომ ფეხები მეკეცებოდა, მხარშიც შემზარავ ტკივილს ვგრძნობდი. ბუხართან მივჯექი და ფიქრებში ჩავიძირე.

ექ, ნეტავი სად არის ნასტია. იქნებ გერმანელებმა სახლს ღამით წაუყიდეს ცეცხლი. ნასტიას ტუბილად ეძინა და ცეცხლში ჩაიფერფლა მისი ღამაზი თვალები. ვაითუ ბუხარის ირგვლივ ყრია მისი ნახშირად ქცეული ძვლები და აქვე მიმოფანტულია მისი ფერფლი.

მთელ სხეულში შიშის ქრუანტელმა დამიარა, ტუჩები ამითრთოლდა, მუხლები ამიკანკალდა.

„არა, ის ცოცხალია“. — წავილაპარაკე ჩემთვის და ხელები გავიქნიე, რომ ეს გულშემზარავი ფიქრები თავიდან მომეცილებინა.

„ის ცოცხალია, ცოცხალია, ცოცხალია“, — ჩურჩულით ვიმეორებდი და თავს ძალას ვატანდი, რომ სხვა არაფერზე მეფიქრა.

ბოლოს თვალები დავხუჭე და სიბნელეში ცხადლივ დავინახე ნასტია. ისეთი ძლიერი იყო ეს წარმოდგენა, რომ მისი მკერდში ჩასაკრავად ხელები გავშალე, თან წავილაპარაკე:

„ნასტია, მოდი, მოდი, გენაცვალე“.

ამასობაში ქარმა იკლო. ღრუბელი გაიფანტა. ბნელი ღამე დაიფერფლა, ცა განათდა.

შორიახლო ტყისპირას ათამდე გორაკი დავინახე. ისე მომეჩვენა, თითქმის ერთ მათგანს კვამლი ასდიოდა. უმალ იქით გავემართე. მიწურები გამოდგა. იმ მიწურთან მივედი, რომლიდანაც კვამლი ამოდიოდა.

კარებზე მივაკაკუნე.

ვილაციის ხრინწიანმა ხმამ გამოძახა:

- ვინ არის, ამ შუალამისას აქ რამ მოგიყვანა?
- ჯარისკაცი ვარ, დაჭრილი.
- კარები ღიაა, შემოდი.

მიწურში ღუმელი ენთო. მის წინ მოხუცი იჯდა, სწორედ ის მოხუცი, მე და ნასტიას ნავი რომ გვათხოვა.

უკანა კედლის გასწვრივ გრძელ ნარზე, ნამჯა რომ იყო გაშლილი, ძონძებგაღფარებულ ბავშვებსა და ქალებს ეძინათ.

— გამარჯობათ, ძია პეტრე. — მივესალმე ხმადაბლა.

— გაგიმარჯოს, შვილო, — მომიგო მოხუცმა. ღუმელის კარი გამოაღო, მიწური რომ განათებულყო. მიცქირა, მიცქირა ცნობისმოყვარეობით და ბოლოს შემეკითხა:

— კი ვერ გიცანი და რომელი ხარ, შვილო?

— არ გახსოვთ, მე და ნასტიას ნავი რომ გვათხოვეთ?

— ეჰ, როგორ არა, მახსოვს, ძალიან კარგადაც მახსოვს. — მშვიდად თქვა მოხუცმა და ღუმელის კარები მიხურა. მაგრამ რალაც დანახვით ჩაიჭინა თავი. ერთბაშად მივხვდი, რომ ნასტიას თავზე რალაც უბედურება იყო დატრიალებული და აი, ახლა, შუბლშეკრული მოხუცი, ღუმელში მოგიხვიზე ცეცხლს გაშტერებული რომ უტყუროდა, სწორედ ამაზე ფიქრობდა.

მე კი ვიდექი ადამიანივით, რომელიც ყოყმანობს ორ გადაწყვეტილებას შორის და იმის შიშით, რომ ნასტიასზე ცუდი არაფერი გამეგო, მოხუცს არაფერს ვეკითხებოდი.

— ეჰ, ნასტინკა, ნასტინკა, რა სახელოვანი გოგო იყავი! — წაილაპარაკა მოხუცმა თავის ქნევით.

— როგორ თუ იყო! — ანგარიშმიუცემლად შეეძახე ისე ხმამაღლა, რომ მძინარე ქალებმა თვალები დააჭყიტეს და ერთი მათგანი შესწინებულივით წამოიჭრა.

მოხუცმა თავით ფეხებამდე შემათვალისწინა, თან მშვიდად მომიგო:

— ეჰ, შვილო აღარა გვყავს ნასტინკა, გერმანელებმა აწამეს!

— რატომ, რის გულისათვის? — ისე მივმართე მოხუცს, თითქოს პასუხს იმას ვაგებინებდი.

— არაფრის გულისათვის, სრულიად არაფრის გულისათვის — მომიგო მოხუცმა და ხელით მანიშნა, დაეჯეო.

როცა დაეჯეო, მოხუცმა მიაშპო:

პატარა ბიჭობაშივე შემეყვარდა ვოლგა და მთელი ჩემი ცხოვრება მასზე ვავატარე.

ახლაც ზაფხულობით დილიდან-სადამომდე ანკესით თევზს ვიჭერ ხოლმე და ამ ჩემს საყვარელ საქმეში ვატარებ დარჩენილ დღეებს.

შენ და ნასტიამ ნავით რომ ისეირნეთ, მაშინაც ხომ თევზს ვიჭერდი. ყველაფერი გუშინდელივით მახსოვს. თქვენ გეგონათ თევზაობით ვიყავი გართული და ყურადღებას არ გაქცევდით. ჰმ, რა უნდა დაგიმალო, ერთი წამითაც არ მომიცილებია თქვენთვის თვალი.

მიხაროდა, რომ კმაყოფილნი და ბედნიერნი იყავით. თანაც შენს ბედს დავნატროდი. გულში ვამბობდი, ეჰ, მეტი არაფერი მინდა, ახლაგაზრდა ვიყო და მეც შენსავით ნასტიასთან ნავით დავსეირნობდე-მეთქი.

მეორე დღეს, სისხამ დილით, ვხედავ ნასტიას თავს დამადგა. მოწყენილი იყო, თითქოს მის თვალში ყოველივეს იერი და სილაამაზე დაეკარგა. ადამიანია

ასე შეცვლა არ გამიგია. გამხდარი იყო, ფერმერთა და სახედანოქებულის მის სხვიოსან თვალს, თითქოს ელვარება დაეკარგათ და დანადღვლიანებული იცქირებოდნენ ოდნავ შესუპებული უბეებიდან. გამოველაპარაკე. ერთი-ორჯერ გაიღიმა, მაგრამ ეს იყო ნაძალადევი ღიმილი. მერცხალივით მუდამ მოძრავსა და მოჭიკიჭიკს, სიარული უჭირდა, ლაპარაკი ეზარებოდა. ნავით გაისეირნა სწორედ იმ მიმართულებით, რომლითაც თქვენ გასცურეთ. იქითა ნაპირთან ცოტა ხანს შეჩერდა და იმავე გზით უკან დაბრუნდა.

ნაპირზე რომ გამოვიდა, მადლობა გადამიხადა, ერთხელ კიდევ გადაავლო ვოლგას თვალი და ნელი ნაბიჯით გაემართა სოფლისაკენ.

ნასტია თითქმის ყოველ ცისმარე ღღე მოდიოდა მდინარის ნაპირზე და ნავით სეირნობდა. იგი არც თვითონ მეუბნებოდა თავის გულისნადებს, არც მე ვეკითხებოდი რაიმეს. ან რა საჭირო იყო კითხვა, ვანა მე არ ვიყავი ახალგაზრდა, ვანა მე არ ვიყავი შეყვარებული!

გულისტკივილით შევცქეროდი ნასტიას და ვფიქრობდი, ადამიანისათვის ყველაზე დიდი ბედნიერება ხომ სიყვარულია, რასაც მხოლოდ ერთხელ განიცდის ცხოვრებაში. საბრალო გოგონამ ვანა რა დააშავა ისეთი, რომ ამ მძიმე დღეებში განიცადა ეს ძლიერი გრძნობა და ასე იტანჯებდა-მეთქი.

ფრონტი ახლოვდებოდა.

მაკაროვო ზურგის ნაწილებით გაივსო.

მტრის შორისმსროლელი ქვემეხები სოფლამდე უწევდნენ.

რამდენიმე ქურვი სოფლის შუაგულშიც დაეცა.

პირუტყვისა და დოვლათის ევაკუირების თადარიგი დავიკირეთ. ის იყო გზას უნდა გავდგომოდით, რომ მტერმა მოულოდნელად ფრონტი გაარღვია, გადმოლახა ვოლგა და ჩვენს სოფელი ალყაში მოექცა.

ჯარის ნაწილები ბრძოლით გავიდნენ ალყიდან, სოფლის მოსახლეობა კი მთელი დოვლათითა და პირუტყვით მტერმა ჩაგვიგდო ხელში.

სალამო ხანი იყო, მაკაროვოში გერმანელები რომ შემოიჭრნენ. სწორედ ამ დროს მდინარიდან სახლში ებრუნდებოდი. გერმანელები მოტოციკლებით მოჰქროდნენ, ხელში მომარჯვებული ტყვიამფრქვევები ეჭირათ. მოტოციკლებს უკან ოფიცრებით სავსე სამხედრო მანქანა მოსდევდა.

გერმანელები სოფლის მოედანზე სკოლის წინ შეჩერდნენ. მანქანიდან პირველად ტანდაბალი გერმანელი გადმოხტა და მძლოსის გვერდით მჯდომ პირხმელ ოფიცერს კარები გაუღო. პირხმელი ოფიცერი, დაბრიალებული თვალებით ირგვლივ რომ იხედებოდა, აეტომანქანიდან გადმოვიდა და ტანდაბალ ოფიცერს ხელის ჰაერში ქნევით რალაც უბრძანა.

როგორც მერე გავიგე, ოფიცერს უთქვამს, მთელი სოფელი ფეხზე დააყენეთ, დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა მოედანზე მორგეთო.

ტანდაბალი ოფიცერი გაიბღინძა და ხელის წინ გაშვერით შესძახა: — ჰაილ ჰიტლერო. მერე კი თავის მხრივ მოტოციკლისტებს გაუშვოდა ბრძანება.

— ჰაილ ჰიტლერი! — შესძახეს პედლებზე შემდგარმა ჯარისკაცებმა, მოედანს ირგვლივ შემოუარეს და სოფლის გზებზე გაიფანტნენ.

ერთი მოტოციკლი ჩემს შორიასლო შეჩერდა. გერმანელმა ტყვიამფრქვევის ლულა მომიშვირა და დამახინჯებული რუსულით მითხრა:

— რუსო, პირდაპირ მოედანზე გასწი. არც ერთი ნაბიჯი მარჯვნივ, არც ერთი ნაბიჯი მარცხნივ, არადა ტყვია მოგხვდება თავში.

რა უნდა მექნა, როგორც შემძლო წაქუშული გავიქეცი. ოციოდე ნაბიჯი რომ გავიბრინე, ფეხი რალაცას წამოვკარ, პირქვე დავეცი, მუხლისთავეები და-

შემტერა და სახე დამეკაწრა. გერმანელმა ხმამალა გადაიხარხარა და დამიყვირა:

— რუსო, ისევ გაიქეცი, თორემ გერმანელ ჯარისკაცს ხუმრობა არ უყვარს.

რის ვაივავლახით წამოვდექი და კოჭლობით გავიქეცი. მოედანთან რომ მივირბინე, გული ყელში მომებჯინა, ძლივსა ვსუნთქავდი.

ამასობაში სოფლის მოედანზე გერმანელმა მოტოციკლისტებმა ასობით ადამიანი მორეკეს.

პირხმელმა ოფიცერმა ხალხს მიმართა:

— რუსებო, დღეის შემდეგ თქვენ გმართებთ მორჩილება. ყოველი ჩვენი განკარგულება დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს. ვინც შეეცდება წინააღმდეგობის გაწევას, ჩამოვახრჩობთ, უკეთეს შემთხვევაში დავხვრეტთ. გერმანიის ძლივეამოსილი არმია სწრაფად მიიწევს წინ. გერმანია აქედან შორსაა, ამიტომ რუსმა გლეხმა უნდა გამოკვებოს ჩვენი არმია. თქვენი ვალია მიგვასწავლოთ, სად ჩაფლეს, ან სად გადამაღეს კომუნისტებმა პური. რაც შეეხება კოლმეურნეობების საწყობებს, ის უკვე ჩვენს ხელშია...

სწორედ ამ დროს სოფლის დასავლეთით, იქ, სადაც კოლმეურნეობების საწყობები იყო, ცეცხლის ალი აფარდა.

გერმანელებს ჩოჩქოლი აუტყდათ.

ოფიცერი დორბლებს ყრიდა, ცალკე ხელქვეითებს უყვიროდა, ახლავე შეიპყრით ცეცხლისწამკიდებლები და ცეცხლშივე დასწევით. ცალკე ჩვენ მოგემართავდა — დაგსჯით, გაწამებთ, თავს გაწყველინებთ. ამასაც არ ვაკმა-რებთ, დედაბუდიანად აგყრით და გერმანიაში გაგამწყვსებთო.

ცეცხლი კი სულ უფრო მატულობდა. სოფელი კვამლით დაიფარა და ირგვლივ დახალული პურის სუნი დატრიალდა.

ეს თითქოს ნიშანი იყო იმ დიდი პარტიზანული ბრძოლებისა, რაც მთელ ჩვენს მხარეში გაჩაღდა. ისე დღე არ გავიდოდა, რომ ჩვენს სოფელში გერმანელი ოფიცერი არ მოეკლათ, ან მტრის ბანაკი არ გაენადგურებინათ, ან იმათ საწყობისათვის ცეცხლი არ მიეცათ.

გერმანელები ვისზეც კი ეჭვს აიღებდნენ, განუკითხავად ყველას სჯიდნენ, ხვრეტდნენ, აწამებდნენ. მაგრამ ამით რას გახდებოდნენ. მამაცი პარტიზანები, ვოლგის გადაღმა ტყეში რომ იყვნენ დაბანაკებულნი, მტერს მუსარს ავლებდნენ.

ფრონტმა მაკაროვოდან ორმოცი-ორმოცდაათი კილომეტრი წაიწია აღმოსავლეთით — მოსკოვისაკენ.

ერთხელ, საღამო ხანს ვოლგის ნაპირას ვიჯექე და ანკესით თევზს ვიჭერდი.

ზურგს უკან დეხის ხმა შემომესმა. მოვიხედე და ფერდობზე გადმომდგარი ნასტია დავინახე. ხელში წითელი ყვავილი ეჭირა. მდინარიდან წამოსულ ნიავს მისთვის კულულები აეშალა, ვარდისფერი კაბა ტანზე გავკროდა, ერთხანს თავდახრილი ვოლგას გასცქეროდა. მერე ნაპირზე ჩამოვიდა, ნავი მთხოვა და თავისი საყვარელი მიმართულებით მდინარეში შესცურა.

„ეჰ, დიდი რამ არის სიყვარული! — ვფიქრობდი გულში და თვალს არ ვაცილებდი ნასტიას, ყვავილივით რომ მოჩანდა ვოლგის მოკამკამე ზედაპირზე.“

ნასტიამ მეორე ნაპირს რომ მიადწია, შეჩერდა. თავდახრილი ჩასცქეროდა ვოლგას და მერე აქეთა ნაპირისაკენ გამოსცურა.

როგორც კი ნავიდან გადმოვიდა, ბუჩქებიდან ხუთი გერმანელი გამოხტა და ავტომატმომარჯვებულნი ნასტიას გარს შემოერტყნენ.



— ხელები მალა, პარტიზანო! — შესძახა დამახინჯებული რუსულით გერმანელმა კაპრალმა.

შემკრთალი ნასტია გაშეშებული იდგა და ხმას არ იღებდა.

კაპრალმა ნასტიას ხელიდან ყვავილი გამოგლიჯა, ძირს დაანარცხა და ფეხით გათელა. ნასტია კი კონდახების ცემით გერმანელებმა სოფლისაკენ გაიმძღვარეს.

მთელი სოფელი ფეხზე დადგა, მეც და, რასაკვირველია, თანასოფლელებმაც იცოდნენ, რომ ნასტიას არავითარი ურთიერთობა არ ჰქონდა პარტიზანებთან.

გერმანელებმა მეც დამკითხეს, სხვებიც გამოიძახეს. ყველა იმას ვეუბნებოდი, რომ ნასტია ერთი უბრალო გოგოა, რომ იგი პარტიზანი არ იყო და სახლიდან გარეთ ფეხსაც არ სდგამდა.

გერმანელებს ჩვენი ნათქვამი არ სჯეროდათ. ბოლოს, ავდექი და ნასტიას საიდუმლო გავუხსილე, ვუთხარი, თუ რატომ სეირნობდა ნავით ვოლგაზე, ან რად ეჭირა ხელში მინდვრის ყვავილი; მაგრამ გერმანელ ოფიცერებს ეს სასაცილოდ არ ეყოთ. ერთმა მათგანმა, რომელიც უფროსი იყო, ფერღში ნიდაყვი წამკრა და დამიყვირა:

— რუსო, გეყოფა ტყუილის ლაპარაკი, რუსის ქალმა სიყვარული არ იცის, ეს ყველაფერი შენ რომელიმე გერმანელი მწერლის წიგნში გაქვს წაკითხული! ოთხი თუ ხუთი დღე გავიდა. ნასტიას შესახებ არაფერი ვიცოდით. ზოგი ამბობდა გერმანელებმა სმოლენსკში გაგზავნეს, იქ უნდა გაასამართლონო. ზოგი კიდევ იმას ამბობდა, ნასტია ბევრი ტანჯეს და აწამეს, მაგრამ ერთი სიტყვაც ვერ ათქმევინესო. ან რას იტყოდა საბრალო გოგო, იმან ხომ პარტიზანების შესახებ სრულიად არაფერი იცოდა.

ერთ კვირა საღამოს, გერმანელებმა დიდსა და პატარას სოფლის მოედანზე მოუყარეს თავი. სკოლის წინ სახელდახელოდ სახრჩობელა აღემართათ. ცალთვალა გერმანელ ჯალათს მკლავები დაეკარწახებინა და მუშტის სიმსხო თოქს ნასკვამდა, სახრჩობელას ირგვლივ ავტომატომომარჯვებული გერმანელები იდგნენ. აქვე იყვნენ ფაშისტი ოფიცრები და სმოლენსკიდან ჩამოსული რუსი პოლიციელები.

უცბად ხალხში ჩოჩქოლი ატყდა.

სკოლის შენობიდან გერმანელებმა კაბაშემოგლეჯილი, სახედასისხლიანებული ნასტია გამოიყვანეს და კონდახების ცემით სახრჩობელასაკენ გაიღდეს.

სმოლენსკიდან ჩამოსული რუსი პოლიციელი კიბეზე შედგა და სამხედრო სასამართლოს განაჩენის კითხვას შეუდგა.

სხვისა რა გითხრათ, მე კი ისე ვიყავი აღელვებული და გონებააფორიაქებული, რომ არაფერი მესმოდა.

რუსმა პოლიციელმა ყვირილით დაამთავრა განაჩენის კითხვა:

— პარტიზან ნასტია მაკაროვას მიესაჯოს ჩამოხრჩობა!

გაისმა ხალხის გმინვა, ქვითინი.

— არ ხართ მართალი, ნასტია პარტიზანი არ არის! — შევძახე ხმამალა და რამდენიმე ნაბიჯიც გადავდგი წინ, მაგრამ გერმანელმა ჯარისკაცმა ავტომატის ლულით გზა გადამიღობა.

— შენ ეი, ბებერო ძაღლო, ჩუმიდ იყავი, თორემ შენც ახლავე ჩამოგაკონწიალებო! — დამიყვირა თითის ქნევით ერთმა გერმანელმა ოფიცერმა.

— ჩამოკონწიალებით ვერ შემაშინებ, ვთქვი და ვიმეორებ, ნასტია პარტიზანი არ არის.

— სწორია, ნასტია უდანაშაულოა და ტყუილ-უბრალოდ სჯით! — გაისმა აჭეთ-იჭიდან.

— შესწყვიტეთ ლაპარაკი! — დაიღრიალა იმავე ოფიცერმა და დამცინავა სიცილით თქვა:

— ეგ ძაღლის ლეკვი რომ გამოტეხილიყო, მაშინ როდილა ჩამოვხრჩობდით. ახლაც არ არის გვიან, თუ გონივრულად მოიქცევა და კითხვებზე გვიპასუხებს, სიცოცხლეს ვაჩუქებთ.

ირგვლივ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა ნასტიას შესცქეროდა, გულისფანქვალთ ველოდით, თუ რას იტყოდა.

ის კი ამაყად იდგა, ერთი ძარღვი არ უთრთოდა სახეზე, მშვიდად ვასცქეროდა მშობლიურ სოფელს, იმით იქით გადაჭიმულ მინდვრებსა და დადუძებულ ვოლგას, თითქოს ყოველივე ამას ეთხოვება და უნდა ღრმად აღბეჭდოს გულში.

— ძაღლის ლეკვო, გამოტყდი, გვიპასუხე კითხვებზე! — შესძახა ნასტიას სიმშვიდით გულმოსულმა ოფიცერმა.

ნასტიამ ცალი წარბი მალლა შეაგდო, ირონიულად გადახედა ოფიცერს და თავის სიცოცხლეში, ალბათ, პირველად იცრუა:

— დიახ, პარტიზანელი ვარ!

— რამდენი გერმანელი ოფიცერი მოკალი?

— ძალიან ცოტა. და აი სწორედ ამას ვწუხვარ, ამას ვდარდობ, ამიტომ მენანება სიცოცხლე.

— გვითხარი, სად არიან დაბანაკებული პარტიზანები?

— ყველგან.

— მაშ, არ გინდა გვიპასუხო კითხვებზე, არა?

— შემიფურთხებია თქვენთვისაც და თქვენი კითხვებისთვისაც. — და ნასტიამ პირდაპირ სახეში შეაფურთხა ოფიცერს, რომელიც შეშინებული კატასავით განზე გახტა და ხელის გაქნევით ჯალათს რაღაც ანიშნა.

ჯალათმა ნასტიას მკლავში ხელი წაავლო, მაგრამ იმან ხელისკვრით მოცილა ჯალათი, თამამად გაემართა სახრჩობელასაკენ და ღიმილით ავიდა სკამზე.

ჯალათმა ნასტიას თავი ნასკეში გააყოფინა...

ნასტიამ ხელი მალა ასწია და ხმამალა შესძახა:

— სიკვდილი გერმანელ ფაშისტებს, გაუმარჯოს საბჭოთა ხალხს!

ჯალათმა სკამს ფეხი ჰკრა...

ასე დამთავრდა ამ უმანკო და უდანაშაულო ქალიშვილის სიცოცხლე.

მოხუცმა ღრმად ამოიოხრა და აცრემლებული თვალები ხელისგულეებით შეიწმინდა.

თვალებზე ხელი მეც მოვისვი და მაშინდა მივხვდი, რომ ვტიროდი...



# გაკურიანი, მთები და თოვლი

ჯანსუღ ჩარკვიანი

## მოდის და მღერის

1



მოდის და მღერის...  
 მოდის და მღერის...  
 ზამთრის სიმღერას  
 მღერის ფიფქები —  
 რა პატარაა სიცოცხლე ჩვენი  
 დღესა ვართ —  
 ხვალე აღარ ვიქნებით.  
 და მაინც მღერის...  
 და მაინც მღერის...  
 სახურავებზე,  
 ნაძვებზე,  
 მხრებზე,  
 დადგება წაში და ყველაფერი  
 თეთრი სიჩუმის  
 სიმშვიდეს ეძებს.  
 მოდის და მღერის...  
 მოდის და მღერის...  
 და სულში  
 ცივი სიტბო ეშვება,  
 დაწვარუნებენ  
 ვერცხლისფრად ხენი,  
 დაელარუნებენ  
 ვერცხლის ეფენები.

ლამაზი ზვინი,  
 და თეთრი ზვინი,  
 მე მეჩვენება  
 თოვლის ზვინებად.  
 მთელემარე თოვლში  
 ჩამუხლულ სახლებს,  
 ადგას ყვითელი  
 რიყრაყის თაღი.  
 ხოჩავ თვალებს და  
 ჩემს თვალებში  
 შენს თვალებს ამხელ,

2

მთების გადაღმა  
 ვარსკვლავებს სძინავს  
 და შენს თვალებში  
 მზე იშორება,  
 მაგ შენი თმების





მე მიხარია  
 სიყვარულით რომ გხედავ დაღლილს—  
 სინათლით დაღლილს  
 და თოვლით დაღლილს.

3

ჩვენ ვართ მთებივით  
 და სხივებივით,  
 ჩვენა ვართ ბევრი  
 და უამრავი.  
 ამ ქვეყანაზე  
 ვართ სიმებივით,  
 ვით მზე —  
 აშკარა და უმაღავი.

4


მთამ არასოდეს  
 არ იცის ძილი,  
 მთა ურჩია და  
 მთაა დაღლილი,




იგი ფიქრებით  
იღლება ხოლმე  
და ჩვენი ცქერით  
არის დაღლილი...  
მთა არის ცოდვა  
მუნჯი კაცივით  
რადგანაც იგი  
გრძნობს მზის ამოსვლას  
და მზის ჩასვლისას  
უსკდება გული  
და ეშინიათ გულის ხეობებს.  
მთამ არასოდეს  
არ იცის ძილი,  
მთამ იცის ფიქრი —  
ის მზეზე ფიქრობს  
და ელოდება  
სხივების გვირგვინს...  
მზეს კი —  
არასდროს აგვიანდება.

5

მოდის და მღერის,  
მოდის და მღერის,  
და სულში  
დიდი სიტბო ეშვება,  
დაწკარუნებენ  
ვერცხლისფრად ხენი,  
დაქლარუნებენ  
ვერცხლის ეყენები  
დაწკრიალებენ  
თოვლზე სხივები,  
დაცქრიალებენ




და კანკალებენ,  
და იმტვრევიან  
თოვლზე სხივები  
და მთებზე ქრიან  
თეთრი ქარები...



და მთებზე ქრიან  
თეთრი ქალები  
და მთებს მისდევენ  
შავი ბიჭები,  
მე მათთვის  
სულიც არ მენანება  
მეც მათთან ვარ და  
არ ვიმიჯნები.

6

მთები და თოვლი,  
ბროლი და ბროლი,  
სხივი და სხივი  
ოჭროთ იღვრება,  
იქნება მთაც და  
იქნება თოვლიც —  
ვით არის ჩვენი  
დიდი სიმღერა.





აღიქსნარეკი გეგეჭქორო

ოჯეოქეზ

სამტრედოში ექვსნი თუ შეიდნი შეიკრიბნენ, დაბინდა. ამხანაგებს ხელი რომ არ შეშლოდათ, ლიზა ფეხბარეფთი გავიდა და მალე უკანვე შემობრუნდა ლამპით ხელში.

— ფარდები ჩამოაფარე, — შეუძახა ძმამ. ეს სიფრთხილე ზედმეტი არ იყო, რადგან ბოლო ხანებში ტულუშების სახლს უთვალთვალედნენ, უთვალთვალედმა მეტადრე ინგლისელთა პოლიცია, რომელიც ფხიზლად ადევნებდა თვალს ბათუმის ამბებს 1920 წლის აპრილ-მაისში.

— მამ ასე, ამხანაგებო, თვითუღმა იცის, რა უნდა გააკეთოს, — დაიწყო საბლინმა. ყველა დუმდა. დიდი ხანი იყო, უკვე ყველაფერზე მოლაპარაკებულნი იყვნენ და ახლა ლიზასთან მსჯელობისათვის კი არ იყვნენ შეყრილნი, არამედ ისე, ერთმანეთის სინახავად და სიმბიფით დაჭიმული ნერვების დასაწყნარებლად.

დიშალენე გვიან, მდუმარედ, ბევრის მოქმედი ხელის ჩამორთმევით ეთხოვებოდნენ ერთიმეორებს და ღამეს ერეოდნენ.

როცა ოთახში მხოლოდ საბლინი, ვალოდია ტულუში და ბარანევიჩი-ლა დარჩნენ, ლიზა გავიდა. ამ სამს ბევრი რამ ჰქონდა ერთმანეთისათვის პირისპირ სათქმელი.

ჩუმში, სიტყვაძვირი, ოდნავ კოჭლი მეზღვაური პროკოფი ბარანევიჩი, რომელიც სულ რამდენიმე დღის წინათ ლიზამ ნაცნობობით ტანკერ „სეკუტე“ მოაწყო, ტულუშისაგან ღრმად დაფიქრებული მიდიოდა. საფიქრალი ბევრი ჰქონდა. ადრე ის ცხოვრობდა პრინციპით „პოლიტიკა მე არ მეხება“, მაგრამ ბოლო ხანებში მიხვდა, რომ არც ისე სწორი იყო მისი ეს პრინციპი. პოლიტიკა სისხლხორციელად ეხებოდა მას, მის ცხოვრებას. შავი ზღვის ფლოტის მეზღვაური ხომალდების ჩამძრვის შემდეგ ბათუმში დასახლდა, რომ რუსეთის ამბებისაგან დაეცენა.

მაგრამ როგორც ზევი, როგორც მდუმარე ლავა, დაედევნენ ეს ამბები მას და აქაც, ბათუმშიც თავს დაატყდნენ, პატარა, მშვიდობიანი

სამხრეთული ქალაქის ქუჩებში მძიმედ დააბიჯებდნენ ინგლისელი ოკუპანტები.

პორტში ყოველდღე ისმოდა უწყმარე გინება სხვადასხვა ენაზე. ყველა ნაძირალა, ვინც კი რევოლუციის გამოეჭკა და აქ მოიყარა თავი, ლანძლავდა ნოვოროსისისკა და ტუაპსეში დარჩენილ მის მეგობრებს.

სწორად მოეიქეთ, ამხანაგები რომ დავტოვე და აქ წამოვედი? სწორად მოეიქეთ, თოფი რომ არ ავიღე ხელთ და აი, ამ ყიამყარალებს არ დავუმიზნე, ვინც ასე ლანძლავს ჩემს სამშობლოს? — ეს ფიქრი აეკვიტა პროკოფის. და სწორედ მაშინ, როცა მას თავი უსკდებოდა ასეთი ფიქრებისაგან, დიასახლისის ვაჟი პეტრე შეუჩნდა. ათას კითხვას უსვამდა და ყველას ერთი აზრი ჰქონდა საბოლოოდ — როგორ მოხდა, რომ რუსი მეზღვაური გულგრილი დარჩა მის სამშობლოში დაწყებული მღელვარებისაღმი.

პეტრეს მსგავსი ქაბუქები ხშირად შეგხვდებოდათ ბათუმის სანაპიროზე, მაგრამ ამ გარეგნობის იქით იმალებოდა გამჭრიახი და გონიერი ყმაწვილი, ბათუმელი კომკავშირელი — იატაკქვეშელი; ხოლო ის კითხვები, რომლებითაც იგი სულს უფორიქებდა პროკოფი ბარანევიჩს, წინასწარ საველდაველოდ მზადვლებოდა ამხანაგებთან — საბლინთან და ტულუშთან ერთად, რომ ამ კაცის სული აეფორიქებინათ — ბარანევიჩი ბათუმელ იატაკქვეშელებს ღიდ ფასად უღირდათ.

ეს ის დღეები იყო, როცა ინგლისელთა პოლიციამ და მენშევიკების საგანგებო რაზმელებმა დაარბიეს ბათუმის პარტიული კომიტეტი და პროფკავშირთა საბჭო, დღეები, როცა ნამდვილი რევოლუციონერები ღრმა იატაკქვეშეთში გადავიდნენ, ანდა პარტიის დავალებით ღროებით წაივინენ ბათუმშიდან.

ოკუპანტები და მათი ლაქიები თითქოს აღმშვიდნენ, ფიქრობდნენ, ბოლშევიკური მღელვარება ქალაქში უკვე შეწყდაო. სინამდვილეში კი სულ სხვაგვარად იყო საქმე.

თითქმის ყოველდღე მეორე პორტის ჰიშვარ-  
თან ერთმანეთს ხედებოდნენ ორნი. რამდენიმე  
სიტყვას გადაუდებდნენ, პატარა შეცვრას  
უწყებდნენ ერთიმეორეს. ილიას ფულს აძ-  
ლევდა ჯარისკაცს, ჯარისკაცი კი პორტში ნა-  
პარავ დინამიტს, პიროკსილინსა და ბიფფორ-  
დის შნურს. ვილაც, ვისი წარმომადგენელიც  
ილიასი იყო, ყიდულობდა ასაფეთქებელ მასა-  
ლას და ფულსაც არ იშურებდა. ხოლო როცა  
ილიასი ჰაობაზე ბრუნდებოდა, შორიხლო  
აჩრდილივით მისდევდნენ ან ვალოდია ტულუ-  
ში, ან მისი და ლიზა.

ამავე დროს საბლინმა ერთ-ერთი ამხანაგის  
გრიგოლის დახმარებით გაიწყო ბათუმის არა-  
ლეგალური პარტიული კომიტეტის წევრები —  
ანასტასიადი და კურზიდისი, რომლებიც მისი  
დავალებით შეუდგნენ ლითონის ყუთებისა და  
დეტალების დამზადებას „ჯოჯოხეთური მანქა-  
ნისათვის“.

რასაც კი შთაუბრდნენ ამხანაგები, ვალოდია  
ტულუშს აბარებდნენ, რომელსაც დავალებული  
ჰქონდა გარკვეულ დრომდე საიმედოდ შეენახა  
ასაფეთქებელი მასალა. პეტრე კი ამ დროს  
პროკოფი ბარანევიჩს უტრიალებდა.

ამფეთქებელი ჯგუფის წევრებმა — საბლინ-  
მა, დაძმა ტულუშებმა, ილიასმა, ალექსიმ და  
სხვებმა პეტრესგან შეიტყვეს, რომ პროკოფი  
საბჭოურად იყო განწყობილი, რომ ის გაბე-  
ლული, მაგრამ ჩუმი და სიტყვაძვირი კაცი  
იყო. ეს კი ერთ-ერთი ძირითადი და დადებითი  
თვისება იყო იმ საქმისათვის, რომელიც  
ჯგუფს ჰქონდა ჩაფიქრებული. აი, რა საქმე  
იყო ეს.

უკვე ითქვა, რომ 1920 წლის მაისში ინგლი-  
სელთა პოლიციამ დაარბია და დააპატიმრა ბა-  
თუმის პარტიული კომიტეტი და პროფგაგპირთა  
საბჭო. ინგლისელი ოკუპანტები და მათი მენ-  
შევიკი ლაქები გულმშვიდად ზეიმობდნენ გამა-  
რჯებებს. მათ იფიქრეს და ირწმუნეს, რომ  
ბოლშევიკების გავლენას, ბოლშევიკურ გამო-  
სვლეს ბათუმში ბოლო მოეღო. ქალაქს მძიმე  
დღეები ედგა. ცნობილი ბათუმელი რევოლუ-  
ციონერები ბერძენიშვილი, ბელენკი, პირუმოვა  
იტაკვეყნეთში გადავიდნენ და იქიდან ხელ-  
მძღვანელობდნენ მუშაობას. კომიტეტის წინაშე  
დადგა ამოცანა — ისეთი ოპერაცია ჩატარე-  
ბინათ, რომ დიდი ხნით წაერთმიათ სიმშვიდე  
ოკუპანტებისთვისაც და მენშევიკებისათვისაც.  
აი, როდის გადაწყდა ოპერაცია „სევეტის“ ჩა-  
ტარება.

„სევეტი“ მაშინდელი შავი ზღვის ფლოტის  
საუკეთესო ტანკერი იყო. თვეში რამდენიმეჯერ  
გადიოდა იგი ზღვაში და ბარონ ვრანგელს  
ნოვოროსისკში საწყვავს აწვდიდა. ვრანგელს იმ  
დროს ცუდად ჰქონდა საქმე. და თუ საწყვავით  
მისი მომარაგებაც შეწყდებოდა როგორმე, ეს

დიდ სამსახურს გაუწევდა ვრანგელის წინააღ-  
მდეგ მებრძოლ მეცხრე წითელ არმიას.

აფეთქდეს „სევეტი“, აფეთქდეს არა უგვიანეს  
იენისის შუა რიცხებისა — ასეთი დავალება  
მიიღო საბლინისა და ტულუშის ბოლშევიკურ-  
მა ჯგუფმა.

მას შემდეგ, რაც ბოლშევიკებმა იშოვნეს ტა-  
ნკერის სქემატური გეგმა და ამას გარდა ასა-  
ფეთქებელი მასალა და რკინის ყუთები „ჯო-  
ჯოხეთური მანქანისათვის“, საფიქრებელი ერთ-  
თი-და დარჩა — ვის უნდა განებორციელებინა  
ეს ძნელი ამოცანა, ვინ უნდა ასულიყო ტან-  
კერზე და აფეთქებინა იგი.

არჩევანი პროკოფი ბარანევიჩზე შეჩერდა.  
მას ნაყვებად იცნობდნენ ქალაქში და ეს უკვე  
დიდი პლუსი იყო, რადგან იგი არავის ყუ-  
რადლებას არ იპყრობდა. სწორედ ამიტომ და-  
ტრიალდა ლიზა ტულუშში ნაცნობებში და მოა-  
ხერხა პროკოფის „სევეტზე“ მოწყობა. თვითონ  
პროკოფიც სიამოვნებით დათანხმდა ზღვაში  
გასულიყო, მაგრამ მაშინ მან არაფერი იცოდა  
იმის შესახებ, თუ რა როლი დააიკისრეს ამხა-  
ნაგებმა შემდგომისათვის. ასე გავიდა პროკოფი  
ზღვაში იენისის პირველ რიცხვებში და აზრა-  
დაც არ მისილია, რა უნდა მომხდარიყო ბა-  
თუმში მისი დაბრუნების შემდეგ.

...სადაზიანანს ტულუშების სამტრედოში  
ამხანაგები შეიკრიბნენ. ეზოში პეტრე მხია-  
რულად ეთამაშებოდა და ართობდა ბავშვებს,  
თან ფხიზლად ადევნებდა თვალს ქუჩებს; და  
რაც უფრო ხმაბალა ხმაურობდა და იცინოდა  
ის ბავშვებში, მით უფრო გულმშვიდად თათ-  
ბირობდნენ ამხანაგები.

— პორტს მთელი დღე-ღამე თვალიყურს ადევ-  
ნებდნენ.

— ასაფეთქებელი მასალა საკმარისია და სა-  
იმედოდ შენახული, — მოახსენებდნენ ამხანა-  
გები ამხანაგებს და კიდევ და კიდევ სწონიდ-  
ნენ ყოველგვარ შესაძლო დაბრკოლებასა და  
შემთხვევითობას, რასაც შეეძლო ხელი შეეჭო-  
ლა მათი გეგმისათვის.

— ე ძმებო, არ მომწონს ეს არეულობა გე-  
ნერალ დრაცენკოს შტაბში, — ჩვეულებისამებრ  
ფიქვლად და გასაოცრად ხმაბალა თქვა ილი-  
ასმა, — ვთი თუ თავისი შტაბითი აიყაროს და  
ამ რეისში ნოვოროსისკში წავიდეს. ამან შე-  
იძლება მთელი გეგმები ჩაკვიფუშოს.

— რატომ, — მშვიდად მიუგო მას ვალოდია  
ტულუშმა, — დაცვას გააძლიერებენ? გააძლი-  
ერონ. ჩვენი ამხანაგი უცილდურესად ყურადღე-  
ბით და ფრთხილად უნდა იყოს. ისე ამ „მო-  
ხალისესაც“ რომ საიქიოს გავისტუმრებდეთ,  
ძალიან კარგა იქნება. აფეთქებასაც უკეთესი  
ხმა ექნება.

— ემ ყველაფერი კარგი, მაგრამ დაცვის  
შეცემა მაინც არაფერს კარგს არ გვიქადის —  
ჩალუთო სიტყვა ალექსიმ.





— ერთი სიტყვით, მეგობრებო, ვაღწყვეტ-  
ლია, — ჩაერის საუბარში საბნობი. — როგორც  
შეგთანხმდით, აფეთქება შემდევნი რეისის და-  
საწყისისათვის უნდა მოხდეს. საჭიროა მხოლოდ  
ზარანგევის მოველაპარაკოთ საბოლოოდ. ჩემი  
ფაქტით ეს კაცე შედგამოჭრილია ჩვენი გვეგის  
შესასრულებლად.

ამ წუთიდან „სვეტის“ დაბრუნებამდე გამო-  
ცხადდა ჯგუფის საბრძოლო მზადყოფნა. ყვე-  
ლას ერთი მიზანი ჰქონდა — ყოველი ღონე  
ეხმარა, რომ გვეგა არ ჩაშლილიყო.

...მთელი დღეები გენერალ დრაცენკოს რაზ-  
მის შტაბში ტრაილენდენ ალგო და ილიასი,  
ათას კითხვას იძლეოდნენ და დაწვრილებით  
პასუხს ითხოვდნენ ამ კითხვებზე.

— ე, მეც რაზმში ჩაწერას ვაპირებ, მაგრამ  
არ მინდა ბრმაღ შევეტაკო სიყვილს, —  
ყველაზე ხმაილდა გაპყვიროდა ილიასი შტა-  
ბის დერეფანში და თან თვალს ადევნებდა და  
იმახსოვრებდა ყველაფერს, რაც კი შეიძლებო-  
და შემდეგ გამოსდგომოდა.

— ე, იცით, არცერთი ქუქუთამყოფელს არ  
უნდა სასიკვდილოდ წასვლა, თუ არ იცის რას  
შიიღებს, — გაისმოდა ილიასის ხმა თფიცირობა  
ოთახში, როცა მას დროსა და ადგილს უნი-  
შნავდნენ — სად გამოცხადებულიყო.

იმავე საღამოს ილიასი ვალოდა ტულუმს  
შოახსენებდა:

— 16 იენისს „სვეტის“ დატვირთვა დამთავ-  
რდება, 17-ში განთიადისას ის ზღვაში გვა-  
დრაცენკოს შთელი თავისი რაზმი მიპყავს,  
ეტყობა ვრანგელს ნოვოროსისკში ბედნიერად  
ვერა აქვს საქმე, რომ ასეთ „ჯარებს“ იხმობს.

ქალაქის მეორე კიდეში ამ დროს „ჯოჯობე-  
თური მანქანის“ დაზადება მთავრდებოდა.  
დინამიტის სულისშემუთავი ვაზი თავს ატყი-  
ვებდა, ძილს გვრდა ყველას, ვინც დინამიტს  
რკინის ყუთში აწყობდა. დინამიტს ძებვების  
მსგავსად ახვევდნენ პერგამენტის ქალაღლში და  
შემდეგ ისე მჭიდროდ აწყობდნენ რკინის ყუ-  
თში, რომ ჰაერს ვერსაიდან შეეღწეა. მუშა-  
ობდნენ ნელა, მაგრამ ტანკერის ბათუმში და-  
ბრუნებისათვის უკვე ყველაფერი მზად ჰქონო-  
დათ, ყველანი თავის ადგილას იყვნენ.

...დაბრუნდა თუ არა, პროკოფი ქაობაზე წა-  
ვიდა თავის ნაქირავებ ოთახში. ისედაც სიტყვა-  
ძვირს ახლა სულ ჩავარდნილი ჰქონდა ენა.  
ეტყობოდა, მხრებზე და გულზე აწვა ის, რაც  
ვრანგელის პარპაშით დაბრუნელ ნოვოროსისკ-  
ში იხილა.

— ამხანაგები მოვიდნენ შენთან, წასულიყა-  
ვი, გაველო, — იმავე საღამოს, საღილის შემდეგ  
უთხრა მდგმურს პეტრეს დედა.

პროკოფის ეზოში ქალიშვილი ელოდებოდა.  
ეს ღიზა ტულუმის იყო.

— წამოდი, მეგობარო, გველოდებიან, —  
ისეთი კილოთი უთხრა მას ღიზამ, თითქოს დი-

დი ხანი იყო პროკოფის ყველა საიდუმლო ჰქო-  
ნოდა განდობილი. არაფერი არ უქითხავს პრო-  
კოფის. უხმოდა ვაჟებს ქალს ქალაქში. ქაობას  
ვიწრო ქუჩებიდან მალე სანაპიროზე გავიდნენ,  
პროკოფის თვალსა და ხელს შუა დეკარგა თა-  
ნამგზავნი. თითქმის იმავე წუთს მას ხელი  
მოკიდა ვიღაც ყმაწვილი, რომლის სახეც პრო-  
კოფის ეცნურა, და უთხრა: — „ერთი წუთით,  
საქმე მაქვს“. ერთად შევიდნენ სასვე ყავახა-  
ნაში; არავის არ მიუქცევია მითთვის ყურა-  
დღემა. ყველა თავისი საქმით იყო გაართუ-  
ლული. ყველა მაგიდა დაკავებული იყო, როცა პროკო-  
ფი და ილიასი (ეს ილიასი ვაღლდათ) შევიდნენ,  
მაგრამ ერთ მაგიდასთან, ეტყობოდა, ელოდნენ  
მათ, მიიწ-მოიწიეს და დასვეს.

დამხვედურთაგან ზოგი ადრეც ენახა პროკო-  
ფის. ერთს პირადად იცნობდა, მეორეზე გე-  
გონა პორტში მუშაობსო. პატარა ფინჯნებით  
ყავა დალიეს და გააბოლეს. საუბრის დაწყებას  
არავინ ჩქარობდა. მერე ერთ-ერთმა მისადგომ-  
თან ვასვლა შესთავაზოთ, სანაპიროზე ილიასმა  
და პორტის მუშემ უთხრა პროკოფის — ნა-  
ცნობებთან წაიღეთ ქაობაზეო.

მღუმარედ დათანხმდა პროკოფი. მხოლოდ  
მაშინ ალაპარაკდნენ, როცა სანაპირო შორს მო-  
იტოვეს და კიდეც ერთი იმგზავრეს — ქაბუცი  
პეტრე. არც ამას გაუყვირებია პროკოფი. იმ  
საღამოს აღარაფერი არ აოცებდა მას, არც ეს  
ვითომ შემთხვევითი, მაგრამ აშკარად წინასწარ-  
განზრახული შეხვედრები, არც თავის თანა-  
მგზავრთა ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზები. იგი  
თითქოს ელოდა ამ შეხვედრებს, ამ საუბარს.

დიღანის ფიქრობდა პროკოფი ყველაფერზე  
ზღვაში ყოფნის დროს. ვახტზე იღვა თუ გემის  
დაბად მოჯირის დაყრდნობილი ისვენებდა, ფი-  
ქრით მეგობრებთან იყო, — ვალოდასთან, ლი-  
ზასთან. არა, ტყუილად არ დანიტრერსებულან  
მისით ეს ორნი, ტყუილად როდი ეკითხებოდა  
ათას წვრილმანს პეტრე, ძალიან ბევრი რამ  
ტყუილად არ კეთდებოდა მის ირგვლივ —  
აშკარა იყო. ეს კარგად ესმოდა პროკოფის და  
ელოდებოდა, როდის აეხვეებოდა ფარდა საი-  
დუმლოს.

ამ საღამოს კი, იმავე წუთიდან, როცა ღიზამ  
გარეთ გაიხმო, მან უკვე იცოდა რომ გადა-  
წყვეტილ საუბარი ექნებოდა. ელოდა ამ საუბარს  
და უფრთხობდა კიდეც მას, უფრთხობდა იმი-  
ტომ, რომ ეშინოდა — ვაი თუ ისეთი საქმე  
დამავლონ, ვერ მოვერიოო.

ახლა, როცა ტულუმის სამტრედიში ეს საუბა-  
რი გაიმართა, როცა პროკოფიმ ამხანაგების სი-  
ტყვა მოისმინა და არა მარტო დათანხმდა და-  
ხმარებოდა მათ, არამედ თავისი მკაფიო სი-  
ტყვით რამდენიმე აქამდე გაურკვეველ საკითხს  
ნათელიც მოჰფინა, — გულზე მოეშვა.

იგრონო, რომ მარტო არ იყო, რომ სჭირდე-  
ბოდა ამხანაგებს და, შეეძლო კიდეც სარგე-

ლობა მოეტანა საერთო საქმისათვის, საქმისათვის, რომლისკენაც აღრეც მიუწევდა გული, მაგრამ არ იცოდა, — როგორ ან საიდან დაეწყო...

გვიან დაიშალნენ. პროკოფი ელოდია ტულუშმა გააცილა. თუმცა გასაცილებელი რა იყო, ორივე ქაობაზე ცხოვრობდა. მაგრამ ამ ბნელ ღამეს ერთად უფრო ადვილი იყო ქუჩებში სიარული. მიდიოდნენ ჩუმად. ვალოდამ ეზოს სიღრმეში დიდი სახლი დაანახა. პროკოფიმ იცოდა, რომ ოპერაციის დამთავრების შემდეგ შეეძლო აქ შეედარებინა თავი, მეგობრები აქ მიაკითხავდნენ მას.

განსაკუთრებით მძიმე იყო ის ღამე. ძილი გაუფრთხა პროკოფის, არა და ფიქრიც უძიმძიდა, დასვენება უნდოდა. უძილო ღამის მიუხედავად დილით მხნელ წამოდგა. დიასახლისის ოჯახთან ერთად ჩაი დალია და ქალაქში წავიდა. პორტში საქმე არაფერი ჰქონდა, მაგრამ ვერც გაიგო, ისე განნდა აქ, თავისდაუნებურად. სანაპიროს ვალაყთან იდგა და უყურებდა ტანკებს, რომელიც უკვე იტვირთებოდა. იქვე ბიჭუნები ზღვაში აწყეს ისროდნენ, მაგრამ თეგზე არ მოყვებოდა. მარტო ორმა-სამმა დაიჭირა რამდენიმე კეფალი. ისე გაერთო პროკოფი პატარა მეთევზეების ყურებით, რომ ვერც კი შეამჩნია, როგორ მიუახლოვდა „სკეტის“ რამდენიმე მეზღვაური.

— თევაზო? — სიცილით შეეკითხა ერთი.  
— არა, ვუყურებ, — მიუგო მან.

და უცებ აზრად მოუვიდა, თვითონ ესროლა ანკეის, ბედი ეცადა. ერთ ბიჭუნას გრძელი ბამბუკის ჯოხი გამოარაგა და რაც შეეძლო შორს გადაისროლა ანკესი. ტვინს ერთი ფიქრი უხეტიდა, და ამ ფიქრს ვერა და ვერ იშორებოდა. შეეშინდა კიდევ, ამხანაგებმა არ შეამჩნიონ... თუ ამოჰყვა, ყველაფერი რიგზე იქნება, თუ ამოჰყვა, ყველაფერი რიგზე იქნება...

— ამოსწი, ამოსწი, მოვლო — მოესმა ხმა. თვითონაც იგრძნო, როგორ დაიჭიმა ძაფი, მაგრამ ხელი ვერ გაანძრია — ვაი თუ არ წამოკვებით! უკვე გული მისდიოდა, ეს სისულელე რას ჩავიდე თავშიო. ბოლოს როგორც იქნა გაბედა და ამოსწია. ანკეს პატარა კეფალი წამოკვებოდა, მაგრამ იმ წუთს ვეგებრთვლა ორაველი არ გაახარებდა ისე პროკოფის.

— გვეყოფა, წავიდეთ, — მხიარულად მიუბრუნდა ის მეზღვაურებს და ანკეს თევაზიანად ბიჭუნას გადაუღღო.

— ნავსი გატყდა, ახლა ბევრი მოჰყვება, — ბტუნვა-ბტუნვით გაიქცა ბიჭუნა.

პროკოფი და მისი მეგობრები კი პორტის სამოკრძოში შევიდნენ. აბა რომელი მეზღვაურია, რომ ნაპირზე იყოს და სამიკიტნოში არ შევიდეს. თითო ჭიქა გადაჰკრეს და ნავმისადგომთან გავიდნენ, ტანკერი იტვირთებოდა.

საწვავი უკვე დაბინავებული იყო, გენერალ დრაკენკოს რაზმის აღჭურვილობაც უკვე გემზე იყო. ლაყბობითა და მხიარული საუბრით მიუახლოვდნენ მეზღვაურები ტრაპს. ჩვეულებრივი მცველის გარდა აქ კიდევ ერთი იდგა — დრაკენკოს რაზმის ოფიცერი.

მეზღვაურებს ქალიშვილი მიუახლოვდათ და მწვანელი, ზახვი და ბოლოკი შესთავაზა. არავინ არ ისურვა ყიდვა. — რატომ მშებო, ზღვაში გამოგვადგება, — თქვა პროკოფიმ და მთელ გოდორს შეეპარა ქალიშვილს. ფასზე ადვილად მორიდდნენ. პროკოფიმ გადაიხადა, მეგობრებს მიუბრუნდა, ერთ წამს მომიცადეთ, კაიუტაში დავდებ და ახლავე გამოვიდეთ. სულ რამდენიმე წუთში დაბრუნდა იგი უკან, ლიზა ტულუშს ცარიელი გოდორი დაუბრუნდა და მეზღვაურებს მიუბრუნდა — წავიდეთ.

მღელვარებისაგან ლაპარაკი უჭირდა, ეშინოდა ხმას არ გაეცა. „ჯოჯოხეთური მანქანა“ უკვე ტანკერზე იყო. ახლა საჭირო იყო თვითონაც ასულიყო...

ცოტა ვაიხეტილა სანაპიროზე, ჯერ სამიკიტნოში შევიდა, მერე ყუახანაში, მერე შექვიფიანებულ ამხანაგებს ჩამოშორდა და გავიდა. ნენა, კოქლოზით მიუახლოვდა ტრაპს.

— გალემილია წყეული, — ზოლით ჩაილაპარაკა ოფიცერმა და კონტრბანდული თამბაქოს გახვევას შეუღდა. გემზე ასულ კოქლ მეზღვაურს კი ერთბაშად „გამოუნელდა“ არაყი. შეიდ საათზე უნდა აფეთქდეს, ზუსტად შეიღზე, არცერთი წუთით გკან. ფიქრი, ფიქრი არ ასვენებდა. როდის დანდმოს, ახლა თუ მერე — თავისი ვახტის დროს, — ეს ვერ გადაეწყვიტა ღამით ჯოხს. ვასკლის წინა ღამეს გემბანზე საექვევა ვინმე ავიდეს.

შუალამე გადასული იყო, როცა პროკოფი თავის კაიუტაში შევიდა, ნაღმზე საათი შეიღზე დააყენა და ფეხაკრეთელ წავიდა ცისტერნიშისაკენ. წინასწარ შერჩეულ ადგილზე ნაღმის ჩასმა წუთის საქმე იყო, მაგრამ ცისტერნებს შუა ლაბირინთებიდან გამოსვლა გაუძნელდა. საწვავის სუნისაგან თავებურ დაეხევა, ორიენტაცია დაეკარგა, მთავარია გონება არ დაეკარგოს. ვისაც ხშირად ჰქონია საქმე საწვავ გაზუბთან, იმან იცის, რა ძნელია მოერიოს თავს. პროკოფიმ თავს სძლია და როგორც იქნა გამოაღწია გაზების სულისშემზუთავი ლაბირინთიდან.

— ცოტა მეტი მომიფელა წუხელ საღამოს მერე, — ეუბნებოდა იგი ამხანაგებს თავისი ვახტის ბოლოს; მერე ყველა ნაპირზე გადაპატიყდა, სამიკიტნოში.

ადრე ვათენდა. ვახტი შეიცვალა. ტანკერზე თითქმის ყველამ იცოდა, რომ მეზღვაურები ნაპირზე გადადიოდნენ. დილის ექვსი საათისათვის მეზღვაურები უკვე მოედნენ ქალაქს. 13 საათზე ზღვაში უნდა გასულიყვნენ და მანამდე დროის გატარება უნდოდათ.

ნელა, კოვლობით მოაბიჯებდა სანაპიროზე ბროკოფი და ვერ ამჩნევდა, რომ უკან ორნი მისდევდნენ, უფრო მოშორებით — კიდევ სა-  
შნი. საბლინისა და ტულუშის ჯგუფის ყველა წევრი ნაპირზე იყო იმ დღით: შინ გული არ უდგებოდათ, არც ძილი ეკარებოდათ. საათისა-  
კენ იყო მიმართული მთელი მათი გულისყური.

ისარი შეიღს უახლოვდებოდა, როცა „სვეტ-  
ზე“ აფეთქების ხმა გაისმა. რაღაც უხილავმა ძალამ ზეაისროლა ხომალდი და ცეცხლისა და გვამლის ვეებერთელა ენები ავარდა გემბანზე. ცეცხლი ყოველ წამს უახლოვდებოდა იარაღითა და ვაზნებით საეცე ყუთებს, აღარავითარ ძალას არ შეეძლო მისი შეჩერება. მეხანძრეები უმწეო აყვნენ ამ ავარდნილი ალის წინაშე. ცეცხლმო-

დებული საწვავი იღვრებოდა, გადადიოდა და ხანძარი ფართოვდებოდა, ნავმისადგომს და ახლომახლო მდგარ გემებს ედებოდა. ტანკე-  
რის განტვირთვას ეშმაკიც ვერ შეძლებდა.

მაშინ ინგლისის ნაღმოსანი მიუახლოვდა ტან-  
კერს, ბუქსირზე აიყვანა იგი და ნელა გაიყე-  
ნა რეიდზე. ინგლისელებმა ზარბაზნების ცე-  
ცხლი დაუშინეს „სვეტს“, რომ ჩაეძირათ იგი, მაგრამ ესეც ვერ შესძლეს. საწვავი ზღვას მო-  
ედო და ცეცხლი მთელ ზღვაზე მიქინვარებდა თითქოს. თითქმის მთელი თვე ხედავდნენ ბა-  
თუმელები ზღვაში ანთებულ ჩირაღდანს, რომელიც ახსენებდა მათ — ბრძოლა არ დამთა-  
ვრებულა, ბათუმის იატაკქვეშეთი ისევ განა-  
გრძობს მოქმედებას, ისევ ანადგურებს მტრებს.





## მ. ჯიჯიშვილი

# ოქტომბრის რევოლუციის და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ცნობამ უდიდესი გავლენა მოახდინა საქართველოსა და ამიერკავკასიის მშრომელზე.

დიდი ოქტომბრის გავლენით საქართველოსა და მთელს ამიერკავკასიაში სულ უფრო იზრდებოდა მუშათა პოლიტიკური გაფიცვები, სოფლად აგრარული მოძრაობა. ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები — მენშევიკები, დაშნაკები და მუსაიატები ხელისუფლების დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. მათ უცხოელი იმპერიალისტების დახმარებით 1917 წლის 12 ნოემბერს თბილისში შექმნეს კოალიციური სამხარეო ხელისუფლება ამიერკავკასიის კომისარიატის სახელწოდებით.

კომისარიატი ანტიხალხური დაწესებულება იყო. მან ამიერკავკასია მოსწყვიტა საბჭოთა რუსეთს და გადააქცია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად, უცხოელი იმპერიალისტების სთარეშო ასპარეზად. ამასთან კომისარიატს არ უტეხია მშრომელი მასების მიმე მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. სამუშაო დრო 10 — 12 საათს აღემატებოდა. მართალია, გამოიცა კანონი 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღების შესახებ, მაგრამ მას იმდენი შენიშვნები ახლდა, რომ ყოველგვარი შენიშვნების კარგავდა. მიწები კვლავ მემამულეთა ხელში რჩებოდა, გლეხობა შიმშილობდა. ყოველივე ამის გამო კომუნისტების ხელმძღვანელობით საქართველოში დაიწყო სახალხო მოძრაობა კომისარიატის წინააღმდეგ. 3 დეკემბერს ბათუმში შედგა საქალაქო მიტინგი, რომელსაც დაესწრო 500-ზე მეტი კაცი, მოხსენებით გამოვიდნენ მ. კახიანი და ბათუმის ბოლშევიკური კომიტეტის სხვა ხელმძღვანელი მუსაყაბი.

მიტინგმა მზურგაღედ დაუჭირა მხარი რსდსრ სახალხო კომისარიატ საბჭოს, მოიწონა მისი ღონისძიებანი — ზავისათვის თავდადებული ბრძოლა, ბანკების ნაციონალიზაცია,

მემამულეთა მიწების კონფისკაცია, წოდებებისა და პრივილეგიების გაუქმება, კონტრრევოლუციონერთა და სპეკულანტთა მიმართ გადაწყვეტი ზომების მიღება და მოითხოვა ამიერკავკასიის კომისარიატის დაშლა.

1917 წლის 19 ნოემბერს მენშევიკებმა მოიწვიეს საქართველოს „ეროვნული ყრილობა“, რომელმაც შექმნა ეროვნული საბჭო და მიზნად დაისახა ბურჟუაზიულ-თავადაზნაურული სახელმწიფოს აგება, ეროვნულმა საბჭომ „წითელი გვარდის“ სახით ახალი დასაყრდენი ძალა გაიჩინა და სხვა ანტიხალხობა ორგანოებთან ერთად დაიწყო მზადება რევოლუციის ძალებთან საბრძოლველად.

29 ნოემბერს მენშევიკებმა თბილისში სამხედრო წესები შემოიღეს და ხელში ჩაიგდეს არსენალი, რომელსაც ბოლშევიკურად განწყობილი ბატალიონი იცავდა. მეორე დღეს მენშევიკებმა დაარბიეს ბოლშევიკური გაზეთი „კავკასიური რაზონი“, „ბრძოლა“, „ბანკორი კრივი“. საბჭოთა რუსეთის მთავრობა დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს კავკასიაში შექმნილ მდგომარეობას. კონტრრევოლუციის თარეშის ვითარებაში იგი მაინც ახერხებდა კავკასიელი ბოლშევიკებისათვის მიეცა კონკრეტული მითითებანი, გაეწია მათთვის მატერიალური დახმარება. 16 დეკემბერს რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის ინფორმაციის საფუძველზე რუსეთის სახალხო კომისარიატ საბჭომ მოისმინა **მ. ბ. სტალინის** მოხსენება „კავკასიის შესახებ“, გამოყო 500 ათასი მანეთი კავკასიაში კონტრრევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად. 18 დეკემბერს საბკომსაბჭომ ს. შუშინიანი დანიშნა კავკასიის საქმეთა საგანგებო კომისარად. 1918 წლის 22 იანვარს იგი თბილისში ჩამოვიდა და შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას.

1918 წლის დასაწყისიდან საქართველოში გაძლიერდა მშრომელთა რევოლუციური მოძრაობა, გამწვავდა კლასობრივი წინააღმდეგობანი.



თბილისში, ბათუმში, სოხუმში, ჭიათურასა და საქართველოს სხვა რაიონებში ჩატარდა ხალხმრავალი კრებები, პოლიტიკური მანიფესტაციები, სადაც მოწინავე მუშები მოითხოვდნენ, რომ კომისარიატს საბჭოთა რუსეთისათვის დაეჭირა მხარი გერმანიასა და მის მოკავშირეებთან საზავო მოლაპარაკებაში, შამქორში ჯარისკაცთა დახვედრის დამნაშავენი გადაეცა რევოლუციური სასამართლოსათვის და გაეუქმებინა დადგენილება კავკასიის საქმეთა სავანგუო კომისარის ს. შუშუნიანის დაპატიმრების შესახებ.

რევოლუციური აღმავლობის შესაჩერებლად ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა პარტიებმა მშრომელთა ფართო მასებს მრავალი დაპირება შესთავაზეს და განიზრახეს სეიმიის მოწვევა, რასაც უნდა გაეფორმებინა საბჭოთა რუსეთისაგან ამიერკავკასიის ჩამოცილება და დაეცვა ისტორიულად განწირული ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილება. ამიტომ რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა უარი თქვა ამიერკავკასიის სეიმში რაიმე მონაწილეობის მიღებაზე და ამახლა მისი ნაშედეგი მიზანი — რევოლუციური მოძრაობის სისხლში ჩახშობა, საბჭოების დაფლურება და მოსპობა, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა. «ამხანაგო მუშებო, ჯარისკაცებო და გლეხებო! — ნათქვამი იყო ამიერკავკასიის მშრომელთა დამი სამხარეო კომიტეტის მიმართავში, — ნუთუ თქვენ ნებას მისცემთ მათ (კონტრრევოლუციონერებს—მ. ჯ.) ჩაკლან რევოლუციის დიდი მონაპოვარი, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები?.. ძირს ამიერკავკასიის კომისარიატი და ბურჟუაზიული სეიმი! გაუმარჯოს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს! მთელი ძალაუფლება საბჭოებს!»<sup>1</sup>

ბოლშევიკების სამხარეო კომიტეტის მოწოდებას აქტიურად გამოეხმაურნენ საქართველოს მშრომელი მასები. 10 თებერვალს, ამიერკავკასიის სეიმიის გახსნის დღეს, კომისარიატისა და უცხოელი იმპერიალისტების კონტრრევოლუციური პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად გაიმართა თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა მიტინგი, რომელსაც 10 ათასამდე კაცი დაესწრო. მენშევიკებმა ზალიდან ყველა გამოსასვლელი ჩაეტყვეს და მიტინგს ტყვიები დაუშინეს. სრულა 15 წუთის გაგრძელდა. მოკლეს 8 კაცი, დაჭრეს 20-მდე.

საქართველოში დასრულდა რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების პერიოდი; ბოლშევიკური ორგანიზაციები არალეგალურ მდგომარეობაში გადავიდნენ და საბჭოთა ხელისუფლებისათვის შეიარაღებული ბრძოლის გზას დაადგნენ.

მენშევიკების კონტრრევოლუციური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად ჩაება

საქართველოს მშრომელი გლეხობა, რომელსაც მაღალი პოლიტიკური შეგნებულობა და რევოლუციური ბრძოლის დიდი გამოცდილება ჰქონდა.

ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერებმა განიზრახეს სისხლში ჩახშობა მშრომელთა ეს მძლავრი სახალხო მოძრაობა და შეენარჩუნებინათ ძველი წყობილება. მათ დასახმარებლად მოიწვიეს ჯერ გერმანიისა და თურქეთის, შემდეგ კი ინგლისისა და ამერიკის სამხედრო ნაწილები. საქართველო იმპერიალისტური ქვეყნების სარბიხი გახდა. საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლა უფრო ვართულდა.

გერმანელი და თურქი იმპერიალისტები საქართველოში ისე მოქმედებდნენ, როგორც დაპყრობილ ქვეყანაში, აჩანაგებდნენ სახალხო მეურნეობას, იტაცებდნენ წიაღისეულ სიმდიდრეს, ძარცვავდნენ მოსახლეობას, ამასთან დაკავშირებით ახალქალაქიდან მენშევიკური მთავრობისადმი გაგზავნილ ცნობაში ნათქვამი იყო, რომ თურქების თარეუის შედეგად ახალქალაქის მაზრის მოსახლეობა 110 ათასიდან თითქმის 60 ათასამდე შემცირდა, 73 სოფელი სავსებით განადგურდა. მაზრის სამეურნეო იარაღები და საოჯახო ხელსაწყოები თურქებმა წაიღეს. ზღუზულში ხალხი ბალახით იკვებებოდა. შემოდგომისას ბალახი გახშა. სუსხიანი და ხანგრძლივი ზამთარი მოახლოვდა და მოსახლეობას შიმშილისაგან სიკვდილი დაემუქრაო.

იმპერიალისტები ცდილობდნენ გაეწყვიტათ დიდ რუს ხალხთან ურთიერთობის დამაკავშირებელი ჯაჭვი, შეეფიცოვნენ ქართული კულტურა, ქართული ენა. ამ მხრივ დაამახსოთებელია, თურქი კოლონიზატორების კარნახით, ბათუმის ქალაქის თვითმართველობის დადგენილება ქუჩების ქართული სახელწოდებების თურქულთ შეცვლის შესახებ.

1918 წლის ზაფხულიდან მუშათა გაფიცებმა განუწყვეტელი ხასიათი მიიღო. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ტყიბულის მღაროელთა გაფიცვას, რომელშიც 2000-მდე მუშა მონაწილეობდა. გაფიცვას ხელმძღვანელობდა ტყიბულის ბოლშევიკური ორგანიზაცია. მღაროს მუშები მოითხოვდნენ ხელფასის მომატებას, კოლექტიური ხელშეკრულების დადებას და მუშათა დეპუტატების საბჭოსათვის მღაროების გადაცემას. გაფიცვა 2 კვირას გაგრძელდა და ძირითადად მუშების გამარჯვებით დამთავრდა.<sup>2</sup>

<sup>1</sup> საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 44, ს. 242, ფ. 3-4.

<sup>2</sup> ურ. „რევოლუციის მატინგ“, 1931, № 1. გვ. 142 — 145.

<sup>1</sup> ვახ. „Кавказская правда“, 1918, №1.



დღეშეთის გლეხობის აჯანყებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მენშევიკებისა და უცხოელი იმპერიალისტების წინააღმდეგ საქართველოს მშრომელთა ბრძოლის ისტორიაში, რადამ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის გეგმით დღეშეთის გლეხობის გამოსვლა საქართველოში საოველთაო შეიარაღებული აჯანყების სიგნალი უნდა გამხდარიყო. მაგრამ დღეშეთის აჯანყება დასახულ ვადაზე უფრო ადრე დაიწყო, რაც მენშევიკების კონტრზომების შედეგად იყო გამოწვეული. მენშევიკებმა შენიშნეს დღეშეთის აჯანყებისათვის მზადება და გადაწყვიტეს მხარაში განლაგებული სამხედრო არმიის ათავსებისა და ადგილობრივი მოსახლეობის განიარაღება. 17 ივნისს მათი რაზმი სოფ. წილანში შევიდა და მოითხოვა იარაღის ჩაბარება. მაგრამ შეიარაღებულმა გლეხობამ მენშევიკების რაზმი დაატყვევა. დღეშეთში დაიწყო შეიარაღებული აჯანყება. მენშევიკების რაზმებმა სასტიკი მარცხი განიცადეს. 25 ივნისს მხარაში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება, დაიწყო მნიშვნელოვანი სოციალური ღონისძიებების განხორციელება. აჯანყებულთა დასახმარებლად მოვიდნენ მახლობელი რაიონების გლეხთა რაზმები. გლეხთა მოძრაობამ მენშევიკებისათვის მეტად საშიში ხასიათი მიიღო.

მენშევიკებმა თავი მოუყარეს კონტრრევოლუციის ძალებს და გერმანელი ოკუპანტების დახმარებით შეძლეს დღეშეთის აჯანყებული გლეხობის დამარცხება. დაიწყო სისხლიანი ანგარიშსწორება, აჯანყების 200-ზე მეტი მონაწილე პასუხისგებაში მისცეს, ბევრი მათგანი იქვე დახვრიტეს. მარცხით დამთავრდა აგრეთვე გლეხთა გამოსვლები საქართველოს სხვა რაიონებშიც. მაგრამ მენშევიკების „გამარჯვება“ მტკიცე არ იყო, საქართველოს მშრომელები კომუნისტების ხელმძღვანელობით ახალი შეტევისათვის ემზადდებოდნენ.

1918 წლის ნოემბერში, საერთაშორისო ვითარება მკვეთრად შეიცვალა. პირველ მსოფლიო ომში გერმანიამ დამარცხება განიცადა, რასაც მოჰყვა ვილჰელმის მთავრობის დამხობა. ახალმა ხელისუფლებამ თავისი სამხედრო ნაწილები საქართველოდან სამშობლოში გაიწვია. ომში დამარცხება განიცადა აგრეთვე თურქეთშიც, რომელსაც ინგლისთან დადებული ზავის საფუძველზე უნდა გაეთავისუფლებინა ამიერკავკასია. შე დაკავებული ტერიტორია.

საბჭოთა მთავრობამ ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება გაუქმებულად გამოაცხადა. მენშევიკებს კვლავ მიეცათ საშუალება გაეთავისუფლებინათ მიღებული მწარე გაკვეთილები და დაკავშირებულდნენ საბჭოთა რუსეთს, მაგრამ მენშევიკებმა ეს არ გააკეთეს, ინგლისელი და ამერიკელი იმპერიალისტები მოიწვიეს და მათ მიანდგეს საქართველოს „დემოკრატიული“ რესპუბლიკის დაცვა.

1918 წლის დეკემბერში საქართველოში შემოვიდნენ ანტანტის იმპერიალისტების ჯარის ნაწილები. მათ ამოკანეს შეადგენდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა, დენიკინისა და თეთრგვარდიელთა ხროვის სხვა მეთაურებისათვის ხელის შეწყობა, ამიერკავკასიაში ბურჟუაზიისა და მემამულეების ბატონობის განმტკიცება, წილისეული სიმდიდრის უტოვებში გატანა. საქართველოში დამყარდა სასტიკი კოლონიური რეჟიმი. ქვეყანა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის ერთერთი ბაზა გახდა.

მენშევიკებისა და უცხოელი იმპერიალისტების თაერბი მიუხედავად, საქართველოს მთელი რიგი ბოლშევიკური ორგანიზაციები 1919 წლისათვის საგრანოვოდ გაფართოვდნენ და განმტკიცდნენ, გაძლიერდა მათი დამარზმველი გავლენა მუშებსა და გლეხობაზე, ჯარისკაცებსა და „სახალხო გვარდიის“ ნაწილებზე. პროფკავშირთა გამწვობებში უმთავრესად ბოლშევიკები გავიდნენ. მათი ხელმძღვანელობით საქართველოს სამარწველო რაიონებში გაჩაღდა საგაფიცეო მოძრაობა, რომელმაც მთელ რიგ შემთხვევაში მწვავე სოციალური კონფლიქტის სახე მიიღო.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თბილისის თვითმართველობის მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვას, რომელიც 1919 წლის 24 მარტს დაიწყო.

23 მარტს შედგა თბილისის თვითმართველობის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. სიტყვით გამოსულმა ბოლშევიკებმა დაასაბუთეს, რომ მშრომელთა მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელია მხოლოდ არსებული წყობილების შეცვლით, რომ ერთადერთი სწორი გზა ვადაწყვეტ კლასობრივ ბრძოლაზე ვადასვლა არისო. კრებამ შექმნა საგაფიცეო კომიტეტი და მიიღო გადაწყვეტილება 24 მარტს დღის 9 საათიდან გაფიცვის გამოცხადების შესახებ. ამის საპასუხოდ ქალაქის თვითმართველობამ გაფიცულ მუშა-მოსამსახურეთა დიდი ნაწილი დაითხოვა.

თვითმპყრობელობის ასეთმა ღონისძიებამ მუშათა მასების აღშფოთება გამოიწვია. ქალაქის მრავალმა პროფკავშირულმა ორგანიზაციამ გადაწყვიტა მხარი დაეჭირა და სათანადოდ დახმარებოდა გაფიცულ მუშებს. საგაფიცეო კომიტეტმა გამოსცა „თბილისის საქალაქო თვითმართველობის მოსამსახურეთა კავშირის საგაფიცეო კომიტეტის უწყებები“ (გამოვიდა სამი ნომერი) და საქართველოსა და ამიერკავკასიის მშრომელებს მოუწოდა მხარი დაეჭირათ გაფიცვისათვის.

25 მარტს ქალაქის საბჭომ მოუწოდა გაფიცულებს განხალხობინათ მუშაობა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრა მკაცრი ზომების მიღებით. მაგრამ მუქარამ ვერაშეაშინა გაფიცული მუშები, რომელთა რიცხვი 1700-მდე აღწავდა.

გაფიცვა გრძელდებოდა და თანდათან პოლიტიკურ ხასიათს იღებდა. 29 მარტს გაფიცვის საერთო განიხილა თბილისის მუშათა დეპუტატების მენშევიკურმა საბჭომ, რომელსაც ამ პერიოდში მუშათა შორის ავტორიტეტი არ ჰქონდა. საბჭომ გაფიცვა „უქანონოდ“ ცნო და მუშებს „წესრიგისაკენ“ მიუწოდებდა. ამის შემდეგ მენშევიკური მთავრობა შეტევაზე გადავიდა და გაფიცვის ბევრი ხელმძღვანელი დააპატიმრა, მათი ნაწილი საქართველოდანაც კი გაასახლა. მაგრამ მენშევიკებმა გაფიცულთა ნებისყოფა ვერ გატეხეს, თვითმკარებლობა იძულებული გახდა ათმობაზე წასულიყო და ეზრუნა ხელფასის გაემცისათვის. გაფიცულთა დელეგატების კრებამ თვითმკარებლობის დამოკლება გამარჯვებულად აღიარა და დათანხმდა შეეწყვიტა გაფიცვა მხოლოდ იმ პირობით, თუ დაპატიმრებულებს ვაითავისუფლებდნენ და თავიანთ სამუშაოზე დააბრუნებდნენ, მაგრამ მენშევიკურმა მთავრობამ, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა თავიდან მოეშორებინა პოლიტიკალად მომზადებული მუშები, გაფიცულთა მოთხოვნები უარყო. მანამ დელეგატთა კრებამ გადაწყვიტა სამუშაოს კოლექტიურად დატოვება, რაც მოწონებულ იქნა მუშათა მასმასხურეთა საერთო კრების მიერ. გაფიცვის ასეთი დასასრული უჩვეულო იყო მუშათა მოძრაობის მატრიანში.

1919 წლის გაზაფხულზე ამიერკავკასიის დაემუქრა დენიკინის კონტრევოლუციური არმიის შემოჭრის საფრთხე. რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა დენიკინელთა წინააღმდეგ საბრძოლველად ამიერკავკასიის მშრომელ მასებს მოუწოდა ერთიანი რევოლუციური ფრონტის შექმნისაკენ. მოწოდებამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა, თვითგვარდიელთა წინააღმდეგ საბრძოლველად აღდგა ამიერკავკასიის მუშათა კლასი, მშრომელი გლეხობა. საქართველოში დაიწყო მზადება შეიარაღებული აჯანყებისათვის. შეიქმნა საქართველოს სამხედრო-რევოლუციური შტაბი, რომელსაც თავისი ორგანოები ჰქონდა რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონში. აჯანყების დღე დაიწინა 24 ოქტომბერი.

მაგრამ საყოველთაო შეიარაღებული აჯანყება ჩაიშალა. 22 ოქტომბერს მენშევიკებმა დააპატიმრეს სამხედრო-რევოლუციური შტაბისა და თბილისში საგარნიზონო საბჭოს წევრები და მიიღეს კონტრზომები თბილისის აჯანყების ჩასაშლელად. ასეთ ვითარებაში აჯანყება წარმატებას ვერ მიაღწევდა და იგი სამხარეო კომიტეტის წინადადებით გადაიდო — 8-9 ნოემბრისათვის. მაგრამ ზოგიერთმა პარტიულმა ორგანიზაციამ დროზე ვერ მიიღო ეს ახალი ცნობა და აჯანყებები ზოგადიდა. სიწყის, გორის, დუშეთის, სამტრედიისა და საქართველოს ბევრ სხვა რაიონში დაიწყო ვალზე დაიწყო.

8-9 ნოემბერს საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა ჩოხატაურში, ლანჩხუთსა და სუფსაში.

შეიარაღებულ გამოხატვებს ადგილი ჰქონდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, მაგრამ ხელმძღვანელი ცენტრის ჩაჯარდნის გამო აჯანყებულებმა ვერ მიიღეს საჭირო დახმარება. მენშევიკებმა უცხოელთა დახმარებით ჩაატარეს აჯანყება, ააოხრეს სოფლები, დააპატიმრეს, დახვრიტეს ან საქართველოდან გაასახლეს ასობით კომუნისტი და კომკავშირელი.

აჯანყება დამარცხდა, მაგრამ მას უშედეგოდ არ ჩაუვლია. აჯანყებამ ნათელყო, რომ კომუნისტების გავლენა ყოველდღიურად იზრდებოდა, რომ მშრომელი მასები უკვე მზად იყვნენ ერთსულვლად ებრძოლათ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. ამასთან აჯანყებამ თვითგვარდიელთა გენერალი დენიკინი იძულებული გახდა საქართველოს საზღვრებისაკენ გადმოეხროლა რამდენიმე პოლიკა და ამით შეესუსტებინა თავისი ძალები რუსეთის ფრონტზე. აჯანყებამ ჩაშალა აგრეთვე მენშევიკების განზრახვა — სამხედრო დახმარება გაეწიათ დენიკინისათვის. ამ აჯანყებით საქართველოს მშრომელებმა თავისი წვლილი შეიტანეს დენიკინის კონტრევოლუციური არმიის განადგურებაში.

1920 წელი სამოქალაქო ომის ფრონტებზე წითელი არმიის მორიგი წარმატებებით აღინიშნა. ხრწინის პროცესში მყოფმა „მოზალსეთა არმიამ“ უკან დაიხია, წითელი არმიის ნაწილებმა ერთი მეორეზე გაათავისუფლეს სამხრეთის ქალაქები და სოფლები. საბჭოთა მთავრობამ დროზე გაითვალისწინა საქართველოს სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა, საქართველოს საზღვრებში უკუქმეულ დენიკინელთა შესვლის შესაძლებლობა და მენშევიკურ მთავრობას წინადადებით მიმართა ერთიანი ფრონტით გამოსულიყვენ თვითგვარდიელთა წინააღმდეგ. მენშევიკებმა უარყვეს საბჭოთა რუსეთის მთავრობის წინადადება.

რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა 1920 წლის თებერვალში მიიღო გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადების შესახებ. ამასთან დაკავშირებით საქართველოს რაიონებში გაგზავნეს სამხარეო კომიტეტის რწმუნებულები, შეიქმნა სამხედრო შტაბები, შეიარაღებული რაზმები.

რევოლუციური ძალების ბრძოლისუნარიანობის შემოწმების მიზნით ბოლშევიკებმა ჩაატარეს საპირველმისო დემონსტრაციები, რომელთაც გრანდიოზული ხასიათი ჰქონდა თბილისსა და ბათუმში. ბათუმში დემონსტრაციებმა

კ. მარქსის, ფ. ენგელსისა და ვ. ი. ლენინის პორტრეტებით, წითელი დროშებითა და რევოლუციური ლოზუნგებით ჩაიარეს ქალაქის მთავარი ქუჩები და მოითხოვეს დაპატიმრებული კომუნისტების განთავისუფლება. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება. თბილისში



დემონსტრანტთა უიარაღო კოლონას მენშევიკებმა მიუსიეს საგანგებო რაზმები, რომლებმაც დააპატიმრეს უზომოდ ნაცემი და დაპრირი 55 კაცი. 2-3 მაისს თბილისში ბოლშევიკებმა მოაწყვეს შეიარაღებული გამოსვლები. ქალაქის ცენტრში მათ დაიკავეს სამხედრო სკოლა და იარაღის საწყობი. მაგრამ ეს გამოსვლა არ იყო ორგანიზებული, ამიტომ იგი დამარცხდა. თბილისში გამოცხადდა საგანგებო წესები, თბილისის ამბებმა დიდი გამოხმაურება პოვა სამხრეთ ოსეთში, სადაც დაიწყო შეიარაღებული აჯანყება. 8 ივნისს აჯანყებულებმა ცხინვალში გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება. მენშევიკებმა მოახდინეს მთელი ძალების მობილიზაცია და 12 ივნისს დაამარცხეს აჯანყებული ოსი გლეხობა. მენშევიკებმა ააოხრეს სახრეთ ოსეთის 100-მდე სოფელი, დახვრიტეს აჯანყების 13 მონაწილე.

აზერბაიჯანში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ (28 აპრილი) და საქართველოს მშრომელთა რევოლუციური მოძრაობის აღმავლობამ მენშევიკების მდგომარეობა მეტად გაამწვავა. მენშევიკებმა დაიწყეს მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთთან. 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს მენშევიკურ მთავრობას შორის დაიდო სამშვიდობო ხელშეკრულება. მენშევიკური მთავრობა ვალდებული იყო საქართველოს ტერიტორიაზე დაეშალა თეთრგვარდიელთა ბაზები, გაეწყვიტა კავშირი სამხრეთ რუსეთის კონტრრევოლუციონერებთან, აპირიდან გაეყვანა უცხოელთა ნაწილები და საქართველოს ბოლშევიკური პარტიისათვის მიეცა ლეგალური მუშაობის საშუალება.

7 მაისს ხელშეკრულების შედეგად საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაცია იატაკქვეშეთიდან გამოვიდა, ჩატარდა ორგანიზაციული ცვლილებანი, იგი გაფორმდა საქართველოს კომუნისტურ პარტიად (ბოლშევიკებისა), შეიქმნა საქართველოს კ (ბ) დროებითი ცენტრალური კომიტეტი, რომელმაც ქართულ და რუსულ ენებზე გამოსცა გაზეთი „კომუნისტი“. უფრო

გამოცოცხლდა პარტიული მუშაობა, განმტკიცდა კავშირი ძირეულ ორგანიზაციებს შორის.

მენშევიკებმა არ შეასრულეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებანი. კვლავ განაგრძეს უცხოელ იმპერიალისტებთან ფარული მოლაპარაკება, ბოლშევიკების დაპატიმრება, მათი გაზეთების დახურვა, რედაქციების დაჩაბვლა.


მშრომელთა მიმემ საყოფაცხოვრებო პირობებმა, თეთრგვარდიელების პარაზმმა, საბჭოთა რუსეთისა და ბოლშევიკური ორგანიზაციების მიმართ მენშევიკების პროვოკაციულმა აქტებმა საქართველოს მშრომელ მოსახლეობასა და არმიას საგრძობლად გაზარდეს მენშევიკების საწინააღმდეგო განწყობილება, მომწიფდა საყოველთაო აჯანყების შესაძლებლობა, გაძლიერდა მენშევიკური პარტიის დაშლა. ასეთ ვითარებაში რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს წინადადებით საქართველოში 1921 წლის 11 — 12 თებერვალს დაიწყო შეიარაღებული აჯანყება. მისი ხელმძღვანელობისათვის შეიქმნა საქართველოს რევოლუციური კომიტეტი, რომელმაც საქართველოში გამოაცხადა საბჭოთა ხელისუფლება და დახმარებისათვის მიმართა რევოლუციის ბელადს ვ. ი. ლენინს, წითელი არმიის ნაწილებს.

ვ. ი. ლენინის მითითებით სამოქალაქო ომში ნაწრობი წითელი არმიის ნაწილები ს. ორჯონიძისა და ს. კიროვის ხელმძღვანელობით საქართველოს მშრომელებს მიეშველნენ. აჯანყებული ქართველი ხალხისადმი საბჭოთა მებრძოლების ძმური დახმარებით კიდევ ერთხელ თვალნათლივ გამოვლინდა რუსი და ქართველი ხალხების ისტორიულად ჩამოყალიბებული და დამტკიცებული მეგობრობა. წითელი არმიის ნაწილების დახმარებით 25 თებერვალს თბილისში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ქალაქში აფრიალდა ხალხთა მეგობრობის სიმბოლო — წითელი დროშა.

წითელმა რაზმებმა, აჯანყებულმა მუშებმა და გლეხებმა ზედიზედ გაათავისუფლეს საქართველოს რაიონები.







## გუგამ ასათიანი

### აკაკი წერეთლის ღირსება

ღიღება შენსა მოვლენას,  
ციურო, ტკბილო ძალოო..  
დააღნა გული შენს სიმებს  
და სული დაიცალო.

არსებობს აკაკი წერეთლის რამდენიმე ცნობილი სურათი, რომლებიც მლოცველივით სახეუაპყრობილ, ჭაღართ მოსილ მოხუც მგონის წარმოგვისახავენ.

არსებობს ფირფიტა, რომელზეც აკაკის ხმა არის ჩაწერილი. დაღლილი, სუსტი ხმა. იგი ცახცახით წარმოსთქვამს:

პატარა რომ ვიყავი,  
პატარა ბიჭუკეა..

როგორც „ილიადას“ ლეგენდარული ავტორი ძველ ელინთა წარმოდგენაში, ან ვიქტორ ჰიუგო თანამედროვე ფრანგების შეგნებაში, აკაკი წერეთელიც ქართული ხალხის მეხსიერებაში დარჩენილია სიმღერებში გათეთრებულ წმინდა მოხუცად. ეს თითქმის სიმბოლოდ ქაუთი გაჩვენული ხატი მსოფლიო მგონისა ჩვეულებრივ ჩრდილავს ჩვენს წარმოდგენაში ბრძოლის წყურვილით ანთებულ, თვალეკაშკაშა ახალგაზრდა აკაკის სახეს. იმ აკაკისა, რომელიც თავის დროზე სხვა სამოციანელებთან ერთად კმატური დაუნდობლობით უტევდა „მამებს“, მხიარულად, ენაღვარძლიანად დასცინოდა მათ მერისმეტად გაბერილ ამპარტავნებს და კონსერვატიზმს, აკაკისა, რომელიც პირველი სიყვარულის მოთმენლობით კითხულობდა „საიდუმლო ბარათის“ ფურცლებს, ან კიდევ თავისი ალბათ არაუსაფუძვლო იჭვებით შეპყრობილი „მშვენიერი ალექსანდრას“ დამოშმინების ცდილობდა...

აკაკი წერეთელს არაერთი შესანიშნავი პოეტური ნაწარმოები აქვს შექმნილი ახალგაზრდობის წლებში: „საიდუმლო ბარათი“, „სალამუ-

რი“, „სიმღერა“, „ჩანგური“, „ციცინათელა“, „მუხამბაზი“ და სხვ. ისინი იწერებოდნენ 60-იანსა და 70-იანი წლების დასაწყისში. ეს ის დრო იყო, როდესაც აკაკი და ილია ერთად სწევდნენ ქართული პოეზიის უღელს და მას იდრე უცნობი გზებისაკენ ეზიდებოდნენ.

ილია ჭავჭავაძისაგან განსხვავებით, რომელმაც სიცოცხლის უკანასკნელ ათეულ წლებში თითქმის შეგნებულად უარი სთქვა პოეტურ სიტყვასთან ჭიდილზე, აკაკის სიკვდილამდე არ დაუკარგავს ლექსის წერის ცხოველი მოთხოვნილება.

მისი გვიანდელი სიმღერები ხმის შესამჩნევი ცახცახით არიან ნათქვამნი, მაგრამ მათში პოეტური შთაგონების დაუოკებელი ჟინი და სიმბურვალე იგრძნობა. შეიძლება ითქვას, რომ აკაკის ამ მხრივ განსაკუთრებული ბედი ეწია. სიბერის სუსტს არ დაუზრავს მისი ჩანგის სიმები. და მას შეეძლო სამოცი წლის ასაკში გულწრფელი გაკვირვებით ეთქვა:

„პოეტის გულს, გახურებულს,  
სადაც ელავს, ლელავს გრძობა  
რას მოუშლის თმა ჭალარა?  
რას დააკლებს ხნოვანება?

მოხუცმა აკაკიმ ერთ გვიანდელ ლექსში თავისი თავი მომაკვდევ გედს შეადარა და მართლაც მისი უკანასკნელი სიმღერა საოცრად ტკბილი და მომხიბლავი აღმოჩნდა.

შეიძლება ითქვას, რომ ცხოვრების მიმწუხრის ქაშის მან მთელის სიცხადით და განსაკუთრებით ცხოვლად იგრძნო პოეზიის ის „ზეგარ-



დმოა ძალა, რომელსაც იგი ადრე ნაკლებ მნიშვნელობას აძლევდა.

ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა ეპოქალური მნიშვნელობის ცვლილებები შეიტანეს არა მხოლოდ ქართული მოწინავე საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში, გონებრივი თუ სულიერი ძიების სფეროში, ახალი სალიტერატურო ენის დამკვიდრებაში და ა. შ. ისინი ამავე დროს ჩვენს ყურადღობას მოველინენ როგორც ჭეშმარიტი რეფორმატორები პოეტური სიტყვისა.

ილია და აკაკი იყვნენ ფუძემდებლები ახალი რეალისტური პოეტიკის, რომელმაც სინამდვილეში მთელი XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ხასიათი განსაზღვრა.

როგორც ცნობილია, ილიას და აკაკის შემოქმედების რეალისტური ხასიათი მათი დემოკრატიული მისწრაფებების თავისებურ გამოვლინებას წარმოადგენდა. რომანტიკოსებისაგან განსხვავებით მათ ქართულ ლექსში შეიტანეს ხალხური სისადავე და უბრალოება, მნიშვნელოვანად „გაამდაბიურეს“ პოეზიის ენა.

ილიამ და აკაკიმ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადეს არა მხოლოდ არისტოკრატიულ „ღვარჯნილ“ სტილს და ფსევდო-არქაულ აბღუდას, მათ ვასული საუკუნის პოეზიიდან შეუბრალებლად განდევნეს რომანტიკული პოეტიკისათვის დამახასიათებელი თავისებური ირაციონალიზმის, „იღუმალუბის“ ელემენტები და ქართულ ლექსში ხალხურ სისადავესთან ერთად, რეალისტური „სიფხიზლე“ და ზედმიწევნით ნათელი პოეტური ენა უამკვიდრეს.

სამყაროს რეალისტური ხედვა თანდაყოლილ ნიქს წარმოადგენდა ამ ორი პოეტისათვის და ეს თვისება მათ თავიანთი პოეზიის ერთერთ ძირითად შემოქმედებით პრინციპად აქციეს.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ცალკეულ შემთხვევებში სინამდვილის ამგვარმა აღქმამ თავისებური ნატურალიზმის ელემენტები შეიტანა მათ ხატოვან აზროვნებაში.

საგულისხმო მაგალითს წარმოგვიდგენს ამ მხრივ ილიას ადრინდელი ლექსი „ჩიტი“, რომელიც, სხვათაშორის, თავისი შინაარსით სწორედ რომანტიკულ განწყობილებათა გადაძლიერებას შეიცავს. სამაგიეროდ თავისი ფორმით ეს ლექსი შესანიშნავად ავლენს მისი ავტორის წმინდა რეალისტური ბუნებას.

თი რას ამბობს ამ ნაწარმოების ლირიკული პერსონაჟი — ლაღი და უდარდელი მომღერალი ბუნებისა: —

...და რა მზე მალვით  
თავს შორს ამოჰყოფს,  
მის სხივი კრძალვით  
ფოთლებს აშრობს, —

გავიშლი ფრთებსა,

გავიქიმებო,

გავიწვდი ფეხსა,

გავიშმორებო.

და სხვ.

აქ რეალისტი პოეტის ზედმეტად „გამჭირახი“ თვალით დანახულია ვაჟე სინადავილის სწორედ ისეთი დეტალები, რომლებსაც ვერასოდეს ვერ შეამჩნევდა, მაგალითად, ნიკოლოზ ბარათაშვილი თავისი გენიალური სიბეცის გამო.

პოეტური ენის სიზუსტე და „ნატურისადმი ერთგულება“ სამოციანელთა პოეტიკაჲ ქვაკუთხედს წარმოადგენდა. ყოველ შემთხვევაში ამ პრინციპებს მათთვის ბევრად ძვირი მნიშვნელობა ჰქონდათ ვიდრე გარეგნული პოეტურობისა და მკაცრი ექსპონენტის მოთხოვნილებებს. ამ მხრივ რომანტიკული პოეტიკისათვის კიდევ უფრო წარმოდგენულ თვისებებს შეიცავდა იმგვარი პოეტური ხატოვანება, რომელსაც აკაკის ცნობილ ლირიკულ შედევრში „ციცხათელაში“ ვხვდებით:

აბრეშუმის პეპელა,  
ფუტკარი და წურბელა,  
შენზე სარგებლიანი  
შენ გინაცვალს ყველა!..  
წურბელა მკურნალია,  
შაგრამ ცოტა მყარალია...  
მშიერი — სისხლის მტერი,  
რომ გაძღვება — მთვრალია!  
და სხვ.

ზემოთმოტანილი მაგალითები მრავალმხრივ დამახასიათებელია ილიასა და აკაკის პოეზიისათვის (განსაკუთრებით მათი შემოქმედების ადრინდელი პერიოდისათვის). აქ შეიმდებოდა გემსჯელა როგორც რეალისტურ დეტალისადმი ყურადღებაზე, ისე პოეზიაში დაბალი სტილის ელემენტების შეტანის შეგნებულ ტენდენციებზე და სხვ. მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება გვინდა მივაქციოთ მათში მხოლოდ ერთ თავისებურებას. ეს არის საგანთა ხედვის რეალისტური, ხანჯასმით „ფხიზელი“, ყოველგვარ ბუნდოვნებასა თუ ორაზროვნებას მოკლებული მანერა.

მიუხედავად იმისა, რომ აქ ეს ტენდენცია კერძო და შედარებით წვრილმანი ხასიათის დეტალებში იჩენს თავს, იგი უთუოდ პირდაპირ კავშირშია ახალი რეალისტური პოეტიკის ერთ უაღრესად მნიშვნელოვან ნიშანთვისებასთან.



ილია ჭავჭავაძეს და აკაკი წერეთელს თავიანთი პოეტური შემოქმედების უპირველეს მიზნად ქართული ხალხის ცნობიერებაში ახალ, მოწინავე იდეათა დამკვიდრება მიანდათ, ბუნებრივია ამის გამო რომ ისინი პოეტურ სიტყვას უყურებდნენ როგორც „ერთან ლაპარაკს“, მისი გამოფხიზლებისა და სულიერი აღზრდის იარაღს.

ამაში პოეებს თავის გამართლებას ის თავისებური რაციონალისტური საწყისი, რომელიც მათ საკარძობლად გააძლიერეს ქართულ ლექსში და რომელიც წარმოადგენდა არა მხოლოდ რომანტიკული პოეტისათვის დამახასიათებელი „იდეალებისა“ თუ განწყობალებისმიერი გაურკვევლობის (და საზოგადოდ ყოველგვარი ირრაციონალურ ელემენტის) ფორმალურ უარყოფას, არამედ უწინარეს ყოვლისა პოეზიისადმი, მწერლობისადმი ახალი მოთხოვნებზე-ბით მიდგომის ნაყოფს.

სწორედ ამ ახალ შემოქმედებით კრედოში, პოეზიისადმი როგორც „ერთან სალაპარაკო“ მალალ ტრიბუნისადმი დამოკიდებულებაში უნდა ვეძიოთ აგრეთვე ილიას და აკაკის შემოქმედების მკაფიოდ გამოვლენებულ „მქადაგებლური“ პათოსი და შესატყვისი რიტორიკული ინტონაცია.

მალალი, ჭეშმარიტად პოეტური რიტორიკის გამოყენება ილიას და აკაკის შემოქმედებაში უაღრესად საინტერესო და საფულისხმო კლდე-ვს საგანს წარმოადგენს ქართული პოეტიკის განვითარების შესწავლის თვალსაზრისით.

აქ საპირაოა შევინშნოთ, რომ ილია და აკაკი დაუძინებელი მტრები იყვნენ პოეზიაში როგორც ბრტყელბრტყელი სიტყვებით „რახა-რახის“, ისე „ცერემონიან“ შორისდებულებით გადაჯრრთული სენტიმენტალური მალალფარ-ლოენებისა.

მაგრამ ორივე მათგანისთვის როგორც ჭეშ-მარიტად კლასიკური ბუნებისა და განმანათლ-ებლური სულისკვეთებით გამსჭვალული შემოქ-მედისათვის სრულიად უცხო იყო გვიანდელი წარმოშობის ესთეტიკური პურისში რირ-რ-ი-კული მეტყველების ელემენტა მიმართ, თქმა არ უნდა, რომ ისინი ამ მხრივ განუსაზღვრე-ლად შორს იდგნენ ევროპული დეკადენტური პოეტიკის ერთერთი კანონმდებლის პოლ ვერ-ლენის თიპოლოზიისგან, რომელიც თავის ცნობილ ლექსში „პოეზიის ხელოვნება“ პოე-ზიიდან „მქვემეტყველების“ სამუდამოდ გან-დევნას მოითხოვდა.

ილიასა და აკაკის ნოვატორული დე-წლი სხვათაშორის სწორედ იმაშიც მდგომარეობს, რომ მათ პოეტური მეტყველების შესაბამისი ფორმები მოუხნავს ქართულ ლექსში რიტორი-კული ხელოვნების დიდ რიგ კატეგორიებს; თიიანთ მოქალაქეობრივ ლირიკაში მათ დიდი

პოეზიის სიმალეზე აიყვანეს როგორც საზეი-მო, დღესასწაულებრივი მქვემეტყველება: ქა-დაგება და მოწოდება, ისე ჩვეულებრივი მსჯე-ლობის, მტიკებისა თუ განკიცების კილო.

უნდა ითქვას, რომ XIX საუკუნის პოეზიაში ამ მხრივ განსაკუთრებული დამახაბრება ილია ჭავჭავაძეს მიუძღვის. როგორც სჩანს ილიას ბასრი ინტელექტი, მისი რკინისებური ნებისყო-ფით გაწონასწორებული გნებიანი ბუნება, რომლისთვისაც თანდაყოლილი იყო შინაგანი ლოგიკრობის უაღრესად განვითარებული საწყ-ისი, თავისი გამოვლენის ყველაზე უფრო ბუ-ნებრივ სახეს სწორედ ამ ფორმაში ჰპოვებდა. შემთხვევითი არ არის, რომ მისი საუკეთესო ლირიკული შედევრები „მას შემდეგ რაკი შენ-დამი ვცან მე სიყვარული“ და „ჩემო კალამო“ ძირითადად სწორედ ამგვარი წარმოშობის (რიტორიკული და არა მეტაფორული) მხა-ტრულ პრინციპებზეა აგებული.

დამახასიათებელია, რომ ილია ხშირად სრუ-ლიად შეგნებულად უარყოფდა ლექსში ყოველ-გვარ გარგნულ სამკაულებს და მთელი აქეუ-ტი გადაქონდა პოეტური აზრის მაქსიმალ-რად ნათლ, ენერგიულ და მძაფრ გამოთქმაზე (რაც მის საუკეთესო ლექსებში როგორც წესი მალალი რიტორიკის პრინციპზე იყო დაფუძ-ნებული).

ანალოგიური ხასიათის მაგალითებს ვხედე-ბით აკაკის პოეტურ შემოქმედებაშიც. არსე-ბითად რიტორიკულია თავისი ფორმით, მაგა-ლითად, მისი ერთერთი ადრინდელი ლექსი „ქართლის სალამი“:

არა! ვგონებ კი მეღირსოს ნახვა!  
ნახვა! რა ნახვა, ის იქნება სხვა!  
როს მის გემებსა დაქანებდეს  
კასპიისაჲ და ვეკსინის ზღვა!

აღსდემ სამშობლოვ ბევრი გეძინა!  
ვინც კვალში გდევდნენ, გაგისწრეს წინა!  
შენის ბუნების მექონი მითხარ,  
რამ დავაღონა, რამ შეგამშინა..

რიტორიკული ინტონაცია (როგორც მომწო-დებელი, ისე ჩვეულებრივი სჯის კილო) უაღ-რესად შეეფარდებოდა თერგდალეულთა პოე-ზიის განმანათლებლურ, ფართო დემოკრატიულ აუღიტორიაზე გამიზნულ იდეურ მიმართულ-ბას.

აღსანიშნავია, რომ ეს თავისებური კლო მოქალაქეობრივი ლირიკიდან ნაწილობრივ სხვა ხასიათის პოეტურ ნაწარმოებებშიც, კერძოდ სატრფილო ლირიკაშიც, გადავიდა და საზოგა-დოდ XIX საუკუნის ქართული პოეზიის ერთ-ერთ დამახასიათებელ ინტონაციურ ნიშანთეი-სებად იქცა.

ამ მხრივ უარესად საგულისხმოა, მაგალითად, აკაკის ცნობილი ლექსი „გამოთხოვება“ (1883 წ.), რომელიც მიუხედავად ღრმად ემოციონალური და ინტიმური ქვეტექსტისა, თავისი სტილითა და სინტაქსური კონსტრუქციით თანმიმდევრული „ღირსეული მსჯელობის“ ხასიათს ატარებს და ამდენად შეაფიქრებელი გამოვლენიებული რაციონალური ელფერი დაქრავს.

ლექსში გარეგნული სამკაულების (კეთილხმოვნებისა, მეტაფორული ხატოვნების და საზოგადოდ მხატვრული, ესთეტიკური საწყისის) უგულველყოფა წარმოადგენდა ილიას და აკაკის ადრინდელი შემოქმედებითი მრწამსის დაშახსიათებელ გამოვლენებას. ეს იყო თავისთავად კანონზომიერი დასკვნა, რომელსაც ამ ორ პოეტს უკანახებდა მათ მიერვე ამორჩეული საზოგადოებრივ-ლიტერატურული ბრძოლის თანმიმდევრული ლოგიკა.

ილიას: „არა მხოლოდ ტყილ ხმათათვის გამოვხატავნა ქვეყნად ცაჲა“ პირდაპირი უარყოფა იყო რუსი პოეტის ცნობილი სიტყვებისა:

Не для житейского волнения,  
Не для корысти, не для битв,  
Мы рождены для вдохновенья,  
Для звуков сладких и молитв.

შეიძლება ითქვას, რომ ილიას და აკაკის მთელი 60-იანი წლების შემოქმედება (როგორც პოეტური ისე პუბლიცისტური) ამ სიტყვების წინააღმდეგ მიმართულ პრინციპიალურ პოლემიკას წარმოადგენდა. და სწორედ იმის გამო, რომ ეს იყო მძაფრი, სამკვდარი-სამოციხლო დაჟი და არა უბრალო თეორიული კამათი, იგი არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო დაზღვეული გარკვეული ტენდენციურობისაგან.

ძალზე საინტერესო ლიტერატურულ დოკუმენტებს წარმოადგენს ამ მხრივ აკაკი წერეთლის ერთერთი ადრინდელი წერილი „რამდენიმე სიტყვა „ჩონგურის“ შესახებ“, სადაც იგი ამართლებს რა ილიას ცნობილი ლექსის „ხმა სამარადიმ“ მხატვრულ სიღარიბეს, კატეგორიულად უპირისპირებს პოეზიაში ერთმანეთს ორ საწყისს „კაცობას“ („ყოველდღიურა კემშემარტებისათვის“ და „საჭიროებისათვის“ სამსახურს) და „ბუღბუღობას“ (ე. ი. ტყილ ხმათა და საზოგადოდ პოეტურ ღირსებათა საწყისს).

ამ შინაშენილოვანია არა მხოლოდ ის გარემოება, რომ ამ თვალსაზრისით წერილის ავტორს სასტიკი მსჯავრი გამოაქვს ისეთი პოეტებისათვის როგორც იყენენ ბესიკი, ალ. ჭავჭავაძე, რ. ერისთავი და სხვ.; კიდევ უფრო საგულისხმოა, რომ აკაკის პოლემიკურ მტიკებთანა ლოგიკას იმ წერილში ძალაუფლებრად იმ დასკვნამ-

დე მიყვევართ, რომ ეს ორი საწყისი საზოგადოდ შეუთავსებელია მწერლობაში.

უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდობაში აკაკი ილია ჭავჭავაძეზე უფრო რადიკალურ აზრს ადგა აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას.

ცნობილია, რომ იგი არა თუ „ტყილ ხმათა“ საწყისს უარყოფდა პოეზიაში, მისთვის ნაწილობრივ მიუღებელი იყო თვით ილიასეული ფორმულირება პოეტის დანიშნულებისა (უფრო სწორად პოეზიის ლეტიური წარმოშობისა):

„მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის მიწიერი ზეციერსა,  
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,  
რომ წარუძღვე წინა ერსა“.

როგორც ვიცით აკაკის ცნობილი სიტყვები: „არც მიწისა ვარ არც ცისა“ უკვე ილიასთან „შინაურ“ პოლემიკას წარმოადგენდა, ხოლო უფრო გვიან იგი ერთგან მისთვის ჩვეული ირონიით (რომლის მისამართი ძნელი გამოსაცნობი არ არის) ეცხადება: „საკვირველია! ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც მე ლექსებს ვწერ, სხვა ხელობა არა მაქვს და ერთხელაც არ მახსოვს ღმერთი დამლაპარაკებოდეს.“ („ნადული“)

უნდა ვაღიაროთ, რომ აკაკის „პოეტი“ თავისი შემოქმედებითი კონცეფციით XIX საუკუნის მატერიალისტური ესთეტიკისა და დემოკრატიული მიზანსწრაფვის ბევრად უფრო თანმიმდევრულ და ორთოდოქსალურ გამოხატულებას წარმოადგენდა, ვიდრე ილიას ანალოგიური სახელწოდების ლექსი.

ამ თავისი დროისათვის უარესად მნიშვნელოვან პოეტურ ტრაქტატში, სადაც მგოსანი უბრალო „გარემოების საყვირად“ არის გამოცხადებული, ყველაფერი სწორია, ყველაფერი ლოგიკურად კანონზომიერი და მიზანშეწონილი სამოციანელთა იდეური ბრძოლის ინტერესთა თვალსაზრისით. საკვირველია მხოლოდ ერთი: როგორ შეეძლო ამგვარი ფხიზელი გონიერებით ემსჯილა პოეზიის შესახებ ისეთ დიდ და ჭეშმარიტ პოეტს, როგორც აკაკი წერეთელი იყო.

ჩვენის ფიქრით, აქ უფრო აკაკის ადრინდელი, ზედმეტად სწორზაზოვანი შეხედულების და მისი პოლემიკური ტემპერამენტის გამოვლინებასთან გვაქვს საქმე, ვიდრე მთელი მისი შემოქმედებითი გამოცდილების ობიექტურ განზოგადებასთან. სინამდვილეში, აკაკის პოეტური ნატურისათვის სრულიად უცხო იყო ეულგარული უტილიტარისმის უქიდურესაზანი.

მართალია, როგორც ილია, აკაკიც პოეზიას, პოეტურ სიტყვას უპირველეს ყოვლისა იყენებდა როგორც იარაღს ქართული ხალხის

ეროვნული გამოფინილებისა და აღორძინებისათვის ყოველდღიურ, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში.

ამის გამო იყო, რომ თავის ლექსში „ალექსანდრე ვაჟა-ფშაველას საფლავზედ“ (1882წ) იგი ასე მიმართავდა „ტკბილი მღერალის“ აჩრდილს:

„ტკბილო პოეტო,  
ნათლისა სვეტო!  
შენ არ დაგწვია ჩვენსავით გული,  
რომ ჩვენი ერი,  
დღეს სხვის ფეხთ მტვერი  
შენ არ გინახავს ასე ჩაგრული  
თორემ სხვაგვარად,  
მწარედ და მარად  
მგ შენი გულიც იწყებდა ძვერას...  
და შენც ჩვენსავით  
სიტყვებით ავიტ,  
გვსლით და ნაღვლით იწყებდი  
მღერას“.

ამ ლექსში მოცემული საგულისხმო გასაღები აკაკის შემოქმედებითი კონცეფციისა, რომელიც ისე მარტივად არ არის, როგორც ერთის შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს.

აქ პოეზიაში „გესლისა“ და „ავი სიტყვების“ შეტანს დროის მოთხოვნით არის ახსნილი და ამგვარ ახსნას თავისებური ნიუანსიც ვაჩინია. აკაკი თითქმის ცდილობს გაავიხსინოს თავის სახელოვან წინაპარს, რის გამო მოიტანა მისმა თაობამ პოეტური სიტყვა მამულიშვილური ბრძოლის სამსხვერპლოზე, რის გამო ანაცვალა მან „ამაღლებული სულია ზეცამდე“ წმინდა პოეზიის ტკბილმზოვანება თავისი ცხოვრების საჭირბოროტო, სასტიკი და მძიმე ბრძოლის „ავ სიტყვებს“.

აქ იგონება ის გასაგები და ბუნებრივი ტიპილი შემოქმედის, რომელიც არ არის, ან ზედმიწევნით დათარული აკაკის „პოეტში“.

მართლაც აკაკის, როგორც ნამდვილი პოეტის, არ შეიძლო სამუდამოდ დასჯირებოდა იმ ბრის, რომ პოეზია თავისი არსებით მხოლოდ და მხოლოდ უბრალო „გარემოების საყვირს“ წარმოადგენს.

და აი სამოც წელთან მიახლოებული პოეტი სწერს თავის „ავადმყოფ მგოსანს“, რომელიც სრულიად ახალ შუქს პდენს მის პოეტურ ბუნებასა და მრწამსს. დააკვირდით რა მძაფრი და უშუალოა ამ ლექსში შემოქმედების ექსტაზის განცდა, რომელიც ყოველშემძლე, თვით აღიანური მოკვდავობის დამთავრებულ ძალად არის აღიარებული:

ჩონგურო! ჩემო ჩონგურო!  
ოცნების ზღვაში მცურავო!

შენი კრიმანკი წკრიალი  
ხელახლად მომეწყურაო;

მომოფრენ მეც თან დაჯავებარ,  
წამის-წამ, კილის — კილესო!  
ველარ მერევა სიკვდილი  
მე, შენსა გადამიდესო..

დიდება შენსა მოვლენას  
ციურო, ტკბილო ძალაო!..  
დააღდა გული შენს სინებას  
დასული დაიცალაო.

— ეს საოცრად უშუალო, სულის სიღრმე-დან მომდინაო სტრუქტურით, უსკ-ლიედ გეგონებენ აღორძინების ხანის ერთი დიდკოსტუმის ცნობილ სიტყვებს, რომლებიც ასაკივე შემოქმედებითი აფექტაციის წუთებიც ასრუვ: „ო ლეერთო, რა ძლიერ ხარ შენ ჩემში!“ აკაკი წერეთლისათვის ბოლოადე უცხო დარჩა „წიხნდა ლითკის“ გახეყებული, ცხოვრებისგან მოწყვეტილი საიეეითი სიბიბტურის ტეობა. და ას თავისი ცხოვრების დასასრულს შემლო გაემეორებია გოეთეს სიტყვები, რომელიც უკაააკუსა თაკის მდიკას 1823 წელს ჩააწერინა:

„ყველა ჩემი ლექსი „შემთხვევაზე“ დაწერილი ლექსია, ყოველი მათგანი სინამდვილით არის გამოწვეული და მასში უდგას ფსკვი. პაერიდან აღებული ლექსები მე არაფრად არ მიახხია“.

აკაკის ყოველი პოეტური ნაწარბოებიც—სატრფილო ლირიკის ნიშნში იქნება ეს, თუ ცხარე პოლიტიკური პამფლეტი, ამგვარ „შემთხვევასთან“ — გარე სინამდვილისა თუ პოეტის შინაგანი სულიერი ცხოვრების რეალურ ბიბგთან არის დაკავშირებული თავისი წარმოშობით.

ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი აკაკის ცნობილი ლექსის სტრუქტურებიც არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობენ ძველი მრწამსისადმი ლალატს, მათში წვეთიც კი არ ურევია დეკლენტური ესთეტიზმს, ან ავადმყოფური მისტიკისა, მაგრამ სამაგიეროდ ამ ნათლად იგრძნობა პოეზიის ძლიეამოსილების აღიარება ქეშმარტი პოეტის მიერ, აქ არის ნამდვილი აკაკი მთელი მისი ეღვარე შთაგონებით, ის სიმღერადქეულო ლეგენდარული მოზუცი, რომელიც პოეტური შთაგონების ერთ „ნათლისმომყენ“ წამს „უსინათლო“ მარადისობაზე მალა აყენებდა და რომლის პოეტურ ლალადის ნახევარი საუუნის მანძილზე სულგანაბული უსმენდა მთელი საქართველო.

აკაკი წერეთელმა ყანრობრივი თვალსაზრისით უადრესად მრავალფეროვანი მემკვიდრეობა დაგვიტოვა. მაგრამ თავისი ბუნებით იგი უპატრატესად ლირიკოსი პოეტი იყო.



ყოველ შემოქმედს, იაყე როგორც საზოგადოებრივ ყველა ადამიანს თავისი ინდივიდუალური ადამიანური ხასიათი გააჩნია. ამ თვალსაზრისით უარესად საინტერესოა მწერლის ბიოგრაფიული ხასის აღდგენა. მაგრამ ლირიკოსი პოეტის შემოქმედებითი ხასიათი, მისი „ლირიკული ბუნება“ ყოველთვის არ ემთხვევა მის პიროვნულ ბიოგრაფიულ თვისებებს. იგი ზოგჯერ პოეტის „მეორე ნატურას“ წარმოადგენს და ხშირად ეს უკანასკნელი უფრო ჭეშმარიტია, უფრო ნამდვილი პოეტის შინაგანი არსების სწორი გამოვლენის თვალსაზრისით, ვიდრე მის მიერ თანამედროვეებთან ურთიერთობაში გამჟღავნებული ჩვეულებრივი თვისებები.

აკაის ლირიკულმა ლექსებმა ჩვენ შემოგვიინახეს უარესად თავისებური ადამიანური ხასიათი.

„საიდუმლო ბარათის“, „მუხამბაზის“, „განთიადის“, „ავადმყოფი მგონისა“ და „სანამ ვიყავ ახალგაზრდას“ ავტორის ლირიკული სამყარო არ გვაოცებს არც შინაგანი მრავალმხრივობით და არც სიღრმით. მისი პოეტური ბუნება მოკლებულია განსაკუთრებულ სირთულეს. მაგრამ ეს არის აღმასის ცრემლივით „სადა და გამჟღავნებელი სული, რომლისაც ამავე დროს ხალხობრივი სიმსუბუქე და შინაგანი სითბო ახასიათებს.

ხასიათის თავისებური შინაგანი სითბო და სინაზე აკაის პოეტური ბუნების თანდაყოლილ თვისებებს წარმოადგენდა. ჯერ კიდევ მის ადრინდელ ლექსებში მკაფიოდ იგრძნობა ეს თვისება, რომელსაც თვით პოეტი „სისუსტეს“ უწოდებს. გავიხსენოთ თუნდაც მისი „გამოთხოვების“ ერთი სტროფი:

... და ჩემთვის ხომ არ შეიცვლებოდა  
ეს საზოგადო ყველასთვის წესი,  
მაგრამ მე, როგორც სუსტისა  
ქმნილებას,

მენატრებოდა შენგან აღორბი...  
კიდევ უფრო მკაფიოდ აქვს გამოხატული აკაის თავისი ხასიათის ეს შინაგანი „ფარული“ თვისება ლექსში „ჩემს მგობარს“, რომელიც 33 წლის ასაკში აქვს დაწერილი:

ვიდოდი ხალხში შეუპოვარად  
პირბადანი და მომოიპარი,  
მაგრამ ჩემად კი მიწურავს ღარად  
ოხრით ხართავი ცრემლები მწარის...  
ხულით და გულით ობოლი, მწერი,  
ჩემთ დოღათა ისე ვათენ-ვილაკებ,  
რომ სისუსტისგან თავს მინი არ ვხრი  
და გუგუნერს მტრებს მით არ ვახარებ.

აკაი წერეთლის ლირიკა გამოვლინებაა უღრუხად სათუთი, ყოველგვარ სიტლანქესა და სისასტიკეს მოკლებული ადამიანური ბუნებისა. სწორედ ამ შინაგანმა თვისებამ განაპი-

რობა ის თავისებური „დაყვავების“ კილო და აღურსიანი ინტონაცია, რომელიც აკაის ლექსს ახლავს.

მართალია, აკაი წერეთელს საკმაოდ ხშირად მიუძღმართავს საწინააღმდეგო ხასიათი ხმებისათვისაც. მის სატირულ ლექსებში არაერთხელ გხვდებით ბასრი და დაუნდობელი სარკაზმის ნოტებს. მაგრამ აკაის პოეტური ნატურისათვის უფრო ბუნებრივი და ორგანული მანერა პირველი ხასიათის ინტონაცია იყო.

დამახასიათებელია ამ მხრივ ის პარადოქსალური ლიტერატურული ბედი, რომელიც ლექსს „პატარა იურია“ ხვდა. გარდა ლიტერატურას სპეციალისტებისა დღეს ცოტა ვინმემა თუ იცის, რომ ჩვენი ბავშვების საყვარელი ეს ლექსი თავის დროზე დაწერილი იყო როგორც პოლიტიკური პამფლეტი ერთი გადამთილი კალმოსანი მოხელის წინააღმდეგ, რომელმაც ქართული ხალხის აბუჩად აგდება მოიწყადინა. ავტორის ჩანაფიქრით პატარა მურია მლიქვნელი, მედრეფე ადამიანის ტრას უნდა განასახიერებდეს და ლექსიც მისი დისკრედიტაციისა და მხილების მიზნით არის დაწერილი.

შემთხვევითი არ არის, რომ დღესათვის ამ პოეტურმა ნაწარმოებმა უკეალოდ დაკარგა ჩვენს თვალში თავისი გამეორავე, სატირული ელფერი, და ჩვენი ნორჩი მკითხველებს (ისევე როგორც ყველა ჩვენთაგანის) შესწავლა მას არა თუ ყოველგვარ ირონიულ გესლს მოკლებული, არამედ პირიქით, რბილი იუმორით გამთბარი საალერსო ინტონაცია გააჩნია.

შეიძლება ეს პარადოქსალ ელერდეს, მაგრამ ჩვენი რწმენით, პუბლიცისტური ბრძოლის სტიქია, მხილებისა და უარყოფის პათოსი არ წარმოადგენდა აკაის პოეტური ბუნების ორგანულ თვისებას.

განსხვავებით ილიასგან, რომლის ქედუბრედი, დაუშოშინებელი ტემპერამენტი ბრძოლის სტიქიაში ჰპოვებდა თავის სრულყოფილ გამოვლინებას, აკაი დაბადებით სწორედ „ტყბილ ხმათათვის“ გაჩენილი პოეტი იყო და მისი „მამუღ ლიშვილური“ შეგნების ფანტიკური თანმიმდევრულობა სხვათაგანის იმამიცი გამოიხატა, რომ მან ეს პირადო, შინაგანი მოწოდება მტლედ დაუღო თავისი დროისა და „გარემოების“ მოთხოვნილებებს.

მინც აკაის ლირიკულ ლექსებში აღნიშნული თვისებურებანი იმთავითვე იქცევენ ყურადღებას. დამახასიათებელია ამ მხრივ, ყურძოდ, მისი სატირული ლირიკა.

აკაის ადრინდელი ლექსები „საიდუმლო ბარათი“, „საყვარული“, „გაუბედვრი სიყვარული“, „იპირული ლექსი“ და „მუხამბაზი“ (რომ იცოდ ჩემი გულის დარღობი) მოკლებულია ყოვლისმონცველი კბატური ვენების სიმძაფრეს. ამ ლექსების ავტორისათვის უცხოა



თავშეუკავებელი გრძნობის სიშმაგე და მძვინვარება.

ახალგაზრდული ნდომა ამ ლექსებში განხვევებულია მსუბუქი სევდის, უპასუხოდ დატოვებული სიყვარულისაგან გამოწვეული ტკივილის და ამ ტკივილთან შერაგების გრძნობით, რაც შესაბამის ნაღვლიან-აღერსიან ინტონაციას განსაზღვრავს.

ქუშმარიტი დრამატიზმის მოტივები აკაის ლირიკაში მხოლოდ გაცილებით უფრო გვიან გაჩნდა.

როგორც აღვნიშნეთ, სიბერეს არ გავციები პოეტის შთაგონება. პირიქით, მოხუცებულობის, მიმავალი ცხოვრების მწვავე განცდამ, თითქოს განსაკუთრებული სიმძაფრე შეიტანა აკაის პოეზიაში და მას სულის სიღრმემდე შემძვრელი სტრიქონები დააჭერიდა ცხოვრების საბედისწერო ფერისცვალებაზე.

შესანიშნავია ამ მხრივ ლექსი „სანამ ვიყავ ახალგაზრდა“. იგი მოულოდნელ შექს ჰქვნიან პოეტის სულიერ ცხოვრებას. ეს ლექსი მოგვიტარებს მწვავე, მოუშუშებელ კრილიობაზე, ადამიანური სითბოს, ყურადღებია და აღვრისის დაუმკაფილდებელ წყურვილზე, სულიერი სიმარტოვის უცნაურ გრძნობაზე... და ამას სწერს არა სამშობლოდან გადახვეწილი, უსახელო ყარბიბი გემოსანი, არამედ პოეტი, რომელსაც მთელი საქართველო ხელს გულზე ატარებდა...

აკაის აღრინდელ ლექსებში იშვიათად შეხედებით პოეტური განცდის ამგვარ სიმძაფრეს. უფრო მეტიც, ახალგაზრდა აკაისათვის არა თუ უტყნოა მწვავე შინაგანი კრიზისი და წინააღმდეგობანი, იგი შეგნებულად გაურბის საზოგადო პოეზიაში ადამიანის იმგვარ სულიერ მდგომარეობათა გამოხატვას, რომელიც ქარიშხლიან ვენებათაღვლით არის გამოწვეული.

ქუშმარიტი პოეზიის საგნად მას მიანჩია არა მოსულავებულ გრძნობათა თარეში და მძვინვარება, არამედ აღმღერებელი და გამჭვირვალე სულის „ტყბილი დაცხრომა“, რომელიც საშუალებას აძლევს პოეტს საყუთარი გულის აქყარა სიღრმეში პოეზიის ქუშმარიტი მარგალტებში აღმოაჩინოს.

უარესად საინტერესო და ორიგინალური შემოქმედებითი კონცეფცია აქვს მოცემული ამ მხრივ აკაის თავის ლექსში „პოეტის გული“ (1880 წ.).

აკაი წერეთლის ლირიკული სამყარო და ბუნება ღრმად ეროვნული თვისებებით არის აღბეჭდილი, მაგრამ თავისი ემოციური წყობით აკაიმ განსაკუთრებით მკაფიოდ მაინც ქართული ხასიათის ერთი ნიშანთვარება გამოხატა.

არცერთი სხვა ჩვენი პოეტის შემოქმედებაში არ გამომქვადებულა ისე თვალნათლევ ქართული კაცის აღერსიანი და მოსიყვარულე ბუნება, მისი ხასიათის, მართალია, ზოგჯერ ძალ-

ზე ღრმად შენახული, მაგრამ ყოველთვის ნაგულისხმევი შინაგანი სირბილე და სიფაქიზე, როგორც ეს აკაის პოეზიაში განგვაძლევინა.

აკაი წერეთელი ღრმად მოხუცებულობაში გარდაიცვალა. თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში მან თითქოს შეითვისა და შეისისხლბორცა მთელი საქართველო. „აკაი პატარა საქართველოა“ ამბობდა იაკობ გოგებაშვილი. და მართლაც არც ერთი სხვა პოეტი არ შეხებია ასე ღრმად და უშუალოდ ქართული სულის საწუყვარ სიმებს, როგორც ამ სიტყვების ავტორი:

„ღედაშვილობამ მეტს არ გთხოვ  
შენს მიწას მიმპარეო...  
ცა-ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტო,  
ჩემო სამშობლო მხარეო“

ეს ჩურჩულით ნათქვამი „ღედაშვილობამ“ თითქოს უმაღლესი გამოხატულება იმ ყველაზე წმინდა და ნახი გრძნობისა, რომელიც ყოველი ჩვენი ქვეყნის მკვიდრს დააქვს თავისი სული სიღრმეში.

ამ სიტყვებით შექმნილი პოეტური ასოციაცია უფრო ზუსტი და ორგანულია აკაისათვის, ვიდრე მის აღრინდელ ლექსებში ხშირად განმეორებული სახე უგულო სატრფოანი, რომელშიც პოეტი ჩვეულებრივ თავის სამშობლოს გულისხმობდა.

აკაი წერეთლის თავისებურ ლირიკულ ბუნებას, ცხადია, გარკვეული ზემოქმედება უნდა მოეხდინა მის პოეტიკაზე.

აღრე ჩვენ უკვე შეგჩერდით აკაიასა და ილიას პოეტური ხელოვნების ზოგიერთ თავისებურებებზე და ისეთ მომენტებს მივუქციეთ ყურადღება, რომელთაც ამ ორი პოეტისათვის საერთო ხასიათი გაჩნდათ და სამოციანელთა ახალი რეალისტური ესთეტიკის ზოგად დამახასიათებელ თვისებებს წარმოადგენდნენ.

აქ ჩვენ უმთავრესად შევხებით აკაის პოეტური ენის განსაკუთრებულ, ინდივიდუალურ თვისებებს.

აკაი წერეთლის პოეტიკა ძირითადად XIX საუყუნის ტიპურ ჩარჩოებში არის მოქციული, თუმცა მის ცალკეულ ლექსებს (განაკუთრებით გვიანდელი დროისა) პოეზიაში ახალი ქროლვის ზემოქმედებაც ეტყობათ.

კაბუკობის ღრინდელ ლექსებში აკაი (ისევე როგორც ილია) ხშირად მოწაფური ერთგულებით იმეორებს თავისი დროისათვის დამკვიდრებულ ზოგიერთ მეტაფორულ სქემებს.

დამახასიათებელია ამ მხრივ თითქმის ზუსტი დამთხვევა პოეტური სახეებისა აკაისა და ილიას ორ აღრინდელ ლექსში (შედეგობაში გვაქვს აკაის „კანდელი“ და ილიას „სანთელი“), სადაც ადამიანის სიცოცხლის სიმპოლოდ არ-



ჩეულია ბნელში დანთებული სანთელი, რომელიც იწვეს და თანდათან ქრება.

ასეთსავე დამახასიათებელ პოეტურ ხერხს წარმოადგენს ცის მნათობების განვიროვნება: „იწყო ვაშვამი ცისკრია ვარსკვლავმა, მთვარემ დაუთმო მას თავის ბინა“... და მრავალი სხვა.

როგორც ცნობილია, ეს ხერხი საზოგადოდ XIX საუკუნის კლასიკური პოეტის ტიპური სახეობას წარმოადგენს და თითქმის ყველა ქვეყნის პოეზიისათვის არის დამახასიათებელი, გავიხსენოთ თუნდაც რუსული პოეზიიდან:

«И звезда с звездою говорит»...

საყურადღებოა, რომ აკაის შედარებით გვიანდელ ლექსში „სიზმარი“ ჩვენ ვხვდებით ამის საწინააღმდეგო ხასიათის პოეტურ ხერხს. XIX საუკუნის თითქმის მუდმივ პოეტურ სახელქმედული მიმგავსება მთვარისა — შეფესთან და ვარსკვლავებისა მის მსხლებელთა კრებასთან ამდენად ორგანულად აქვს შეთვისებული ამ ლექსის ავტორს, რომ იგი აქ სრულიად ბუნებრივად მიმართავს უკუშედარებას:

„ვარს ხევიენენ სხვა ქალებიც როგორც მთვარეს ვარსკვლავთ კრება“ — სწერს იგი თამარ მეფეზე, და ამ პოეტურ სახეს მისთვის სრულიად არ გააჩნია ჰიპერბოლიზაციის მცირედი ელფერიც კი.

თუ აკაის და ილიას ადრინდელ ლექსებში, ხშირად ვხვდებით XIX საუკუნის ზოგიერთ „მულმივ“ ეპითეტებს, მეტაფორებსა და შედარებებს, ამას ვერ ვიტყვივით მათ გვიანდელ შემოქმედებაზე.

აკაის შემოქმედებითი მოწიფულობის დროინდელი პოეტური კმნილებათა ენა სრულიად გადარჩენილია ტრივიალური სქემების ზემოქმედების. ამისი ერთერთი მიზეზი ისიც იყო, რომ აკაი წერეთელი, როგორც კემშარიტი რეალისტი პოეტი ორგანულად ვერ იტანდა ვერავითარ „ლიტერატურშინისს“ და ვერასდროს ატარებდა პედანტიზმს. მან ფართოდ გულო თავისი ლექსის კარები ცხოვრებას, მთელი მისი ნიორფერობითა და სუბვიტო და თუმა ამ მხრივ მისი განურჩევლობა „მასლის“ მიმართ ერთგვარად საზიანო აღმოჩნდა პოეტური ენის სიწმინდისა და სინატტივისათვის, სამაგიეროდ ამ გზით მან საესებით აუარა გვერდის ლირიკაში ერთფეროვნებისა და სქემატუროის საფრთხეს.

აკაის შემოქმედებით ბუნებაში თითქოს ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო ხასიათის სტიქია თავსდებოდა. ერთის მხრივ საესებით რეალისტიური (ზოგჯერ ნატურალიზმამდე მისული), რომელთანაც დაკავშირებულია ყოველდღიურობის, ჩვეულებრივი ყოფის პოეტიზაცია.

აკაის „ხალხური“ ლექსები: („მუშის ნატურა“, „მწყემსის სიმღერა“, „მუშებს“, „იენანა“ და სხვ) ისევე როგორც საზოგადოდ მისი პოეტური ნაწარმოებების უმრავლესობა გამომსახველობით საშუალებაათა შესანიშნავი სიახლეა და კემშარიტად დემოკრატიული უბრალობით გამოირჩევა.

მაგრამ აკაისათვის უცხო არ იყო თავისებური პოეტური არტიტიზმი და რომანტიკული განწყობილება. განსაკუთრებით თავის ლირიკულ ლექსებში იგი ზოგჯერ შეგნებულად მიმართავს პოეტურ საღებავთა ადმოსავლურ მრავალფეროვნებასა და სიმევეთრეს. ამ მხრით აკაის პოეზია უფრო ახლო კავშირშია აღ. კავკავიანთან და გრ. ორბელიანთან, ვიდრე ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებასთან.

მართალია, აკაი მთელი თავისი შეგნებით ქართული მწერლობის იმ ახალ მიმდინარეობას ეკუთვნოდა, რომელიც ილია კავკავიამ „ემრობიზმის“ სახელით მონათლა. მაგრამ აკაის „ვეროპოზიში“ არ ყოფილა ისე თანმიმდევრული, როგორც ეს, მაგალითად, ნ. ბარათაშვილზე და იგივე ილიაზე შეიძლება ითქვას.

შემთხვევითი არ არის, რომ აკაი, რომელსაც ასე ღრმად უყვარდა ქართული ჩონგურისა და სალაშქრის ხმები, გულგრილი არ დაჩრენილა აღმოსავლური მუსიკის პანგებისადმიც.

აკაის თავისებურმა ეპიკურეიზმმა გამოვლინება ჰპოვა მის „შექსტაში“ და „მუხამაზებში“. უკანასკნელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია „რომ იცოდა ჩემი გულის დარღვივა“, რომელიც მართალია გრ. ორბელიანის „გინდ მეძინოს“ უთმობს განცდის ორგანულებაში, მაგრამ მანაც ბრწყინვალეა განწყობილების სიმსუბუქითა და პოეტური მტყველების ხატოვანებით.

საერეთელს აკაი წერეთელს გააჩნდა ხატოვანი აზროვნების ბრწყინვალე ნიჭი. არა ერთი მისი მეტაფორა გვხიბლავს რელიეფურობითა და სისაესით.

როგორც ვიცით ახალგაზრდა აკაი ხშირად „სატრფოში“ თავის სამშობლოს გულისხმობდა, ამ გარემოებამ მის ლირიკაში (რომელსაც მხოლოდ პირობითად შეიძლება ვეწოდოთ „სატრფილო“) ერთგვარი რაციონალისტიკური ელემენტი შეიტანა. მაგრამ თავის საუკეთესო ლექსებში აკაის თითქმის მთლიანად დაძლეული აქვს ეს თვისება. სწორედ ბრწყინვალე პოეტური ხატოვანებით, რომელიც გონებისმიერ სქემას ღრმად ემოციონალურ თვისებას ანიჭებს:

გავიხსენოთ როგორ აქვს დახატული სატრფოს სახე აკაის თუნდაც თავის „მუხამაზში“: მაგრამ იცით, ჩემი სატრფო ვინ არი ქველი ტურფა, დღეს მკვდარივით მიძინარი ფეხშიშველა, თავზე ლეჩამ ახლილი“... და სხვ.



აკაკი წერეთელს ეკუთვნის XIX საუკუნის ბრწყინვალე ფერწერული სახე: „ეპიფორაზე ხმელთა-ზურმუხტი“ და გარიგრაჟის კლასიკური აღწერა „თორნიეკ ერისთავში“. მაგრამ თავისი ბუნებით აკაკი უფრო მომღერალი პოეტი იყო ვიდრე ფერმწერი და პლასტიკოსი.

აკაკი განსაკუთრებით ძლიერია იქ, სადაც იგი ღირსეულ ლაღადისს იწყებს. ამ მხრივ დამახასიათებელია მისი „განთიადი“. ამ ლექსის დასაწყისი, სადაც პოეტი მთაწმინდის პეიზაჟს აღგვიყურს თითქოს ზორძიკით არის ნათქვამი, მაგრამ როგორც კი აკაკი თავის პოეტურ საგალობელს იწყებს, მას თითქოს ფრთები ესხმება და მისი ლექსი საოცარი ზემოქმედების ძალას იძენს.

აქვეა „ქებათა ქებაში“, სადაც უფერული ბუნების აღწერა მოულოდნელად იცვლება საოცრად მღელვარე და ფრთაშესხმული ლირიკული აღსარებით.

აღრე ჩვენ უკვე აღვნიშნეთ და აქაც უნდა გავიმეოროთ, რომ აკაკი, როგორც ილია, პოეტური მეტყველების ერთერთ ძირითად ზერხად ზშირად იყენებდა რიტორიკულ ფიგურებს, რამაც ღრმა დაღი დაასვა საზოგადოდ მის პოეზიას.

მაგრამ განსხვავებით ილიასგან აკაკი იყო უაღრესად განვითარებული მუსიკალური სმენის პოეტი. შეიძლება ითქვას, რომ ლექსის სხვა ყველა ფორმალურ მხარეებზე მაღლა იგი მელოდიურობას აყენებდა. ამის გამო მისი საუკეთესო პოეტური ქმნილებები აგებულია არა ფართოდ გაშლილ რიტორიკულ პერიოდზე (როგორც ვთქვით ილიას „მას შემდეგ რაკი შენდაში ცვან მე სიყვარული, პოი მავლრო, გამიერთა მე ძილი და შევაბა“... და სხვ.), არამედ მკაფიოდ გამოკეთილ მუსიკალურ ფრაზაზე. გავიხსენოთ მაგალითისათვის:

„ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!  
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიჭლერია...“

- ან: „მშვენიერო შენ გეტრფი,  
შენი მონა ერთგული“...
- ან: საძველო ძველთა ძველო,  
დღეა სწულეო გულის მწველო...
- ან: „თვალს მიხვევენ, ენას მგლეჯენ  
და მაგდებენ საყირეში“...
- ან კიდევ: „მეც მიიღივარ, შენც მიიღიხარ“  
გეთხოვები საქართვლო“... და სხვ.

აქ მთავარია მუსიკა, ამღერებელი კილო, რომელიც საზოგადოდ სკარბობს აკაკის პოეზიაში და მის სპეციფიკურ თვისებას წარმოადგენს.

მართალია, აკაკის აქვს მთელი რაგი ისეთი ლექსებისა, რომლებიც ეჭვს ვვიძიარვენ მისი

პოეტური სმენის უტყუარობაში, მაგრამ უდავოა, რომ ლექსის მელოდიური სიმდიდრის თვალსაზრისით იგი ქართული პოეზიის უპირველეს ოსტატთა რიგს ეკუთვნის.

შეიძლება ითქვას, რომ აკაკიმ ამ მხრივ გაუსწრო კიდევაც თავის დროს და XIX საუკუნის საერთო დონეზე საგრძნობლად მაღლა ავიდა. ამას განსაკუთრებით მკაფიოდ გვიდასტურებს კერძოდ აკაკის რითმები, რომელთა შორის ზოგიერთი (მაგალითად ისეთი, როგორც „დავიარები — და იარები“, „გალავანი — განაზანი“, „წუგეში — უბეში“, „დაფლითა — თაფლითა“ და სხვ.) მკვეთრად გამოირჩევა გასული საუკუნის ქართული პოეზიის საერთო დონეზე.

მართალია აკაკიათვის უცხო იყო ალიტერაციული ბგერწერა, ყოველმეომხვევაში ისეთი სრულყოფილი სახით როგორც მას რუსთაველთან ან ბესიკთან ვხვდებით, მაგრამ აკაკის ზოგიერთი ლექსები მაინც საგრძნობლად გამოირჩევიან თავისი მუსიკალური გაზრებით. ამ მხრივ არ შეიძლება აქ არ გავიხსენოთ მაგალითად „იმერული ლექსის“ უკანასკნელი სტროფი:

პატარა საყვარელო,  
ჩემო მკვლელო, უგელო,  
გალიაში გაზრდილო,  
გაზაფხულის ბუღბუღო.

აქ თანხმოვანი „ლ“, რომელიც ცხრაჯერ არის გამოვლილი, თითქოს ბუღბუღის გალობის ალიტერაციულ იმიტაციას წარმოადგენს.

აკაკის იმ ლექსებში, რომლებიც ჩვენს საუკუნეში არის დაწერილი, შეიმჩნევა ახალი პოეზიის ერთგვარი ზემოქმედება. კერძოდ, სინტერესო პოეტურ სახედ წარმოგვიდგება ამ მხრივ პოეტის მიერ საკუთარი თავის შედარება სიცივლის წინ მომღერალ გედთან ლექსში „ქებათა ქება“. ეს პოეტური სახე აკაკის ჩვენს თვალში უნებურად აახლოვებს გალაკტიონ ტაბიძეთან და სხვა ახალი თაობის პოეტებთან, რომლებიც XX საუკუნის დასაწყისში გამოვიდნენ ქართულ მწერლობაში.

„ქებათა ქება“ უკვე XX საუკუნეში არის დაწერილი და აქ დასაშვებია ახალი პოეზიის გარკვეულ ზემოქმედებაზე ლაპარაკი. თუმცა ამავე ლექსში XIX საუკუნისთვის ტიპიურ სახეებსაც ვხვდებით: „ვარსკვლავთა ფერხულს“ „ბუნების მაყრულს“ და სხვ.

უფრო საოცარ შთაბეჭდილებას იწვევს პოეტური ასოციაციის სირთულისა და მხატვრული ხორციუბნის სიუხვით „მოქიქიკე ვარსკვლავების“ სახე ლექსში „ანდერძი“ (1894 წ.), რომელიც ჩვენ ნამდვილ ანქრონიზმად წარმოგვიდგება XIX საუკუნის კლასიკურ პოეტიკაში.

აკაი წერეთელმა უდიდესი გავლენა მოახდინა ჩვენი საუკუნის პოეზიაზე. თვით ის პოეტებიც კი, რომლებიც თავის ძისიალ აკაისა და ილიას პოეტური ხელოვნების უარყოფას მიიჩნევდნენ, ხშირად სწორედ აკაის პოეზიაში პპოეზიზმს აღმოსავალ წერტილს თავიანთი მოდერნისტული ძიებებისთვის.

ახალი ქართული პოეზიის განვითარებაზე განსაკუთრებული დიდი დაამჩნია აკაის პოეზიის შინაგანმა მუსიკამ. მისი ლექსების თავისებური მელოდიები თითქოს განუწყვეტელი პოეტური პერსექუტაციის ძალით განაგრძობენ ძვლრას ჩვენი დროის პოეზიაში.

მართალია, ქართულ პოეტიაში აკაის შემდეგ მომხდარმა რეფორმაციამ დიდი ცვლილებები შეიტანა ლექსის რიტმულ და ინტონაციურ წყობაშიც, მაგრამ მიუხედავად ამისა შეიძლება მოყვანილ იქნას არა ერთი ისეთი მაგალითი სინტაქსურ-მელოდიური კონსტრუქციისა ახალი დროის პოეტთა შემოქმედებიდან, რომელიც ტრანსფორმირებული სახით იმეორებენ აკაის ინტონაციას.

აკაის პოეზიიდან „ჩარჩენილი“ მუსიკალური ფრაზით აიხსნება მაგალითად ვალაკტიონ ტაბიძის ცნობილი სტრიქონი „ოცნებაო ჩემო ძველო“, რომელიც თავისი წარმოშობით უთუოდ დაკავშირებულია „სამეფოო ძველთა ძველო“-სთან.

ასევე ვალაკტიონის „ჩემი ცხოვრება უანკარეს ლენის ფერია“ სათავეს უნდა იღებდეს აკაის ლექსიდან: „პოეტის გული აღღვებული ზღვისა დარია“.

აკაი წერეთლის ცნობილ სტრიქონებს: „შენთვის სულდგმულს შენგანვე, შენთვის მიძგერს ეს გული“ და „შენი ვარ, შენთვის მოვკვდები, შენზედვე მგლოვიარო“ უსათუოდ უნდა შეეარულებინათ თავისი როლი გიორგი ლეონიძის თავისებური სტილისა და სინტაქსის ჩამოყალიბებაში, ისევე როგორც ჩვენი აზრით, ცხადია ტიციან ტაბიძის ზოგიერთი გვიანდელი ლექსის ინტონაციური ნათესაობა აკაის „ქებათა-ქება“ შესანიშნავ სტრიქონებთან:


„თითქოს ვაბუჯ ვიყო მე ესლა და ვყოფილიყავ მოხუცი წინაღ“.

აქ შეიძლება კიდევ არა ერთი პარალელის მოძებნა, მაგრამ ისინი შესაძლებელია დაზღვეული არ აღმოჩნდნენ სუბიექტური შთაბეჭდილებისაგან (ისევე როგორც ზემოთ მოტანილი მაგალითებიც).

კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ზემოქმედებას, რომელიც ახალ ქართულ პოეზიაზე მოახდინა თვით აკაის მწერლურმა ფიგურამ.

აკაი წერეთლის შემდეგ ქართველი მკითხველის შეგნებაში ჩამოყალიბდა თავისებური წარმოდგენა პოეტის შესახებ. სიტყვა პოეტი იქცა მგონისა და მომღერლის სინონიმად.

ეს წარმოდგენა, კიდევ უფრო განმტკიცებული ვალაკტიონ ტაბიძის პოეტური ნიჭის თავისებურებით, დღემდე ცოცხლობს ჩვენში, ისევე როგორც ქართველი ერის ცნობიერებაში თვით აკაი, მისი აღამიანური პიროვნება, მისი გარეგნობა და თვით მისი სახელიც კი სამუდამოდ დარჩენილია პოეტის სამბოლოდ.



საქართველო

# რამდენიმე შენიშვნა ერთი სათავგადასავლო რომანის შესახებ

ქართული ლიტერატურა სათავგადასავლო რომანებით არც თუ იხე მდიდარია. სულ რამდენიმე მოთხრობა შეიძლება ჩამოვთვალოთ ჩვენი კლასიკური მწერლობიდან, რომელნიც შეიძლება მივიჩნიოთ ასეთი ჟანრის ნაწარმოებებად. ამას წინათ საბავშვო ლიტერატურის გამოშვებულამ სათავგადასავლო ბიბლიოთეკის სერიაში შეიტანა აკაკი წერეთლის „ბაში აჩუკი“, უიარაღის „მამულეკი“, შ. არაგვისპირელის „გაბაზრული გული“ და ვ. ბარნოვის „ისინი ცისკარი“. ზოგიერთების აზრით ამ ნაწარმოებთა მიკუთვნება სათავგადასავლო ჟანრის ლიტერატურისათვის უმართებულოა. მე ვფიქრობ, თუ ჩვენ ვაიხსენებთ ვალტერ სკოტის, ვიქტორ ჰიუგოს, ალ. დიუმას, შინ რიდის, ეიულ-ჰერნის, მარკ ტვენის და სხვა დიდი მწერლების კლასიკურ ნიმუშებს, მაშინ ჩვენი ქართული მწერლების ნაწარმოებთა მიკუთვნება ამ ჟანრის ლიტერატურისათვის სრულიადაც არ იქნება უმართებულო. საერთოდ რატომღაც ზოგიერთ ჩვენს მწერალს სათავგადასავლო ნაწარმოები არ მიაჩნია მაღალ ლიტერატურად. მათი აზრით, ვინაიდან ამ სახის თხზულება იოლი საკითხავია და შეიცავს შედარებით მარტივად მოთხრობილ ადამიანთა რთულ სათავგადასავლო ამბებს, ამიტომ იგი ლიტერატურის გარეშე მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ეს, ცხადია, აბსურდია. ვერაინ ვერ შეგვედავებამაში, რომ სათავგადასავლო ლიტერატურას შეუძლია დადებითი აღმზრდელობით ზეგავლენა მოახდინოს ახალგაზრდობაზე. ამა მოვიგონოთ ჩვენი ახალგაზრდობის დროს წაკითხული წიგნები და მაშინვე ჩვენს მესხიერებაში ამოტივტივდებიან „აივუხუო“, „სპარტაკი“, „სამი მუსეტკერი“. ვინ მოსთვლის კიდეც რამდენი ასეთი სულმოუთქმელად გადაგვიტოხავს ბავშვობის ან კბატუობის დროს. ამ წიგნებით ჩვენ ვეცნობოდით კაცობრიობის წარსულსა და მომავალს, ისტორიას და ბუნებისმეტყველებას, გეოგრაფიას და ასტრონომიას, ვსწავლობდით

ძლიერ ადამიანთა კეთილშობილურ ზრახვებს და ზნეობრივ თვისებებს.

ჩვენს საბჭოთა ეპოქაში ამგვარი ხასიათის ლიტერატურას შეუძლია დიდი სამსახური გაუწიოს ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს, განამტკიცოს მათში პატრიოტული სულისკვეთება, აამალოს კომუნიზმის მშენებლობისაკენ მისწრაფება, გაუღვიძოს მეცნიერებისაკენ ლტოლვის სურვილი, ასწავლოს ბრძოლა ბოროტების წინააღმდეგ და სხვა. უნდა ითქვას, რომ რუსეთში მრავლად იწერება რომანიც და მოთხრობაც სათავგადასავლო თემებზე, წერენ მას სახელმწიფოებრივი მწერლებიც, რაც შეეხება ქართულ ლიტერატურას, ამ მხრივ, გულახდილად უნდა ითქვას, ორივე ფეხით მოვიკოკლებით. მართალია, აქა-იქ გვაქვს თითო-ორთა ნაწარმოები, უმთავრესად პერიფერიებში მომუშავე მწერლებისა, მაგრამ, სამწუხაროდ, მიუხედავად ამ წიგნების დიდი პოპულარობისა, ისინი მაინც ვერ ღვანან საშუალო ლიტერატურის დონეზედ კი.

ორღე დგებუაქე ჩვენში ცნობილი ვახდა, როგორც კრიმინალისტური და სათავგადასავლო ნაწარმოებების ავტორი. მან რამდენიმე წიგნი გამოსცა ასეთი ხასიათის მოთხრობებისა და ბოლო ხანებში კი მოგვცა ისტორიულ-რევოლუციური ხასიათის სათავგადასავლო რომანი „ჩაძირული თოლია“. რომანი, მართალია, კომპოზიციურად დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ავტორის განზრახვა, როგორც იგი თავისი წიგნის ბოლო ფურცლით გვატყობინებს, რომ ეს რომანი გაგრძელებული იქნება და მოქმედება გადმოვა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პერიოდში.

ამ რომანში კი ავტორი მოგვითხრობს პატარა მოტორიანი გემის „თოლიას“ კაპიტნის ანუ როგორც თითონ უწოდებს რეიზის დავით ბუკიას თავგადასავალს. ჯერ კიდეც პირველი იმპერიალისტური ომის დაწყებამდე, პატარა ბავშვი დავით ბუკია იუნგად დაიწყებს მუშაობას



ყარა მასანის იაღქნიან გემზე. პირველი იმპერიალისტური ომი ამ გემს თურქეთის ერთ-ერთ ნავსადგურში მოუსწარეს. აქედან ბუკია მოახერხებს მოტოროინი სანდალის „თოლიას“ გატაცებას და სამშობლოში დაბრუნებას. შემდეგ დათა უკვე რევოლუციის პერიოდში ბოლშევიკებს თანაუგრძნობს და ნოვოროსისისკის თუ ტუაფსკის ნავსადგურიდან თეთრგვარდიელებს გამოექცევა და სოხუმის ნავსადგურს შეაფარებს თავს. აქ ბუკიას დაჭრიან, მის კომანდის დატუსაღუნებას და „თოლიას“ დაძირვენ. თოლიანზე დათა გაეცნობა ვაჟურად გადაცემულ მარია საბურას და შეუყვარდება იგი. მარიას მამა თეთრგვარდიელებმა ჩამოაბრჩვეს. სოხუმში მარია და მის ორი თანამგზავსაც დაატუსაღებენ, მაგრამ კომუნდანტის სიგუას დახმარებით სამთავენი მიიმალებიან. „თოლიანზე“ მოდიოდა აგრეთვე დენიკინის დახვერვის ოფიცერი გიორგი თორია. მასაც თავდადებულად უყვარს მარია საბურა. მთელი რიგი შეხლა-შემოხლის, გაქცევა-დატუსაღების, იარაღის აყრის და სხვა ამბების შემდეგ დათა და მარია ერთმანეთს შეხვდებიან რჩამჩირიდან ფოთისაკენ მიმავალ გემზე და იქიდან კი ვარბიან, რომ თავს უშველონ.

ასეთია რომანის სექსუალური შინაარსი. უნდა ითქვას, რომ ორდღე დგებულებს კარგად ეხერხება რთული სიტუაციების გამოგონება და ერთმანეთში ჩახლართვა. რომანში ბევრია ნამდვილი ცხოვრებიდან აღებული ამბავი. კარგად არიან გამოკვეთილი ტიპები. მართალია ავტორი მეტად მუნწი ფერებით გვიხატავს თავის ზოგიერთ გმირს, მაგრამ მათ ყოველი ჩვენგანი ნათლად ხედავს. ასე ნათლადაა დახატული მარია საბურა, გიორგი თორია, გენერალი შუფრო, მთელი რიგი პერსონაჟი სამხრეთლოდან და აფხაზეთიდან, კარგად ხატავს ავტორი სომეხ ოპანეს დაწილიანს და მის შვილ ვაჟანს, მუსულმანურს ანტონ გურგუდას, მოღალატე ტიტოვს და სხვებს.

ცნობილია, რომ რა სახისაც არ უნდა იყოს ნაწარმოები, იქნება ის სათავგადასავლო მოთხრობა თუ ფილოსოფიური რომანი, დღი მნიშვნელობა აქვს მხატვრულ დეტალებს, თხრობის სტილს და ავტორისეულ წერის მანერას. ხშირია შემთხვევა, როდესაც რომელიმე ავტორი კარგი ქართულით წერს, მაგრამ ისეთი ბუნდოვანი მანერა აქვს თხრობისა, რომ თქვენ ნაწარმოების კითხვის დროს ვერაფერს ვერ ხედავთ და ვერაფერს ვერ ვანიცდით. ორდღე დგებულებზე უფროდ თავისუფალია ასეთ ნაკოვანებათვან. მისი თხრობის მანერა ნათელია და გამჭვირვალე, თუმცა ალაგ-ალაგ ოდნავ მჭიმე და ძნელად საკითხავია. როდესაც უფრო დაკვირვებით გადავხვეთ თვლი მის ამ რომანს, უნებლიედ შევამჩნივთ, რომ როდესაც ორდღე დგებულებზე აღწერს ასეთ ამბებს, რომლებსაც თვითონ კარგად იცნობს — იგი აუცილებლად მაღალ მხატვრულ

დონეს აღწევს, ხოლო როდესაც ავგიწერს გამოგონილ ეპიზოდებს, ესე იგი მიმართავს ლიტერატურაში ცნობილ ინტერპოლიაციის ხერხს, აქ უკვე მისი თხრობის მანერა უნებლიედ ბუნდოვანი ხდება, ნაწერს თითქო ნაჩქარობა ემჩნევა და ამჟამად, რომ ასეთ ადგილებს მის რომანში დამუშავება აკლია. მართალია აქ ავტორი ერთგვარ წიაღსელებს აკეთებს, თხრობის მესამე პირიდან პირველ პირზე გადადის რაც უადვილებს მას სავირო მხატვრული დეტალების მიჩქმალვას და აძლევს უფლებას ზერულად გადაიბინოს ყამირზე, მაგრამ ეს საქმეს, ცხადია, არ შველის.

თუ რამდენად კარგადაა აქვს ავტორს მისთვის ნაცნობი და ნანახი ამბები მხატვრულად დახატული, მოვიყვან მაგალითს რომანიდან.

„...შერდღეოვით დაეშვა გულციცხლა ბაზი წყაროსთან და ფიქვნარში მხაბითიეთი გაძვრა. ქვასიეთ წამოსული შავარდენი აქნეული მთარახის ენასიეთ აყარდა ნაკალდუთან და ფიქვნების კენწეროვებს ზემოთ, ლეჯვარდოვან ცის სივრცეში გაუჩინარდა...“

ეს პატარა შტრიხია და იგი არ შეიძლება სიამოვნებით არ წაიკითხოს ადამიანმა. აქ ერთი ლამაზი ხაზის მოსმით უცბათაა გაოცებულეთუ ქართული პეიზაჟი.

ან ავიღოთ ასეთი ცოცხლად დახატული ეპიზოდი:

„...დიასახლისმა ზურგჩანთა ჩამოართვა სტუმარს. აივანზე სკამები გამოიტანა. დარბაზში ლამა აანთო, ოპანესი და ფარამშიმა მოიკითხა. ამისობაში ჯოკიაც გამოჩნდა.“

ტანწერილსა და მხარბეკიან ვაქეაცს ნაბდის შავი ქული ხელში ევირა. კიბესთან შემუჯარი აივანს ისე გასტეკროდა თითქოს არა სჯერაო ვაჟანის მოსვლა. მერე, როცა სტუმარს თვალი მოჰკრა, ისე ამოხტა, რომ კიბის საფეხურზე ფეხი არც კი დაუქარებია. ჯერ უსიტყვოდ გადაეხვია სტუმარს, მერე ნაბიჯით უკან დაიხია, ახედდახედა, მკლავები გაშალა, ბიჭო, ეაჰან, როგორ, საიდანო! — წამოიძახა და კვლავ გადავიწლო ჭაბუკს.“

ამ გარეგნულად, შეიძლება უბრალოდ დახატულ ეპიზოდში გასაოცარი პლასტიურობითაა დახატული მეგრული მასპინძლის შეხვედრა სტუმართან. კითხულობთ ასეთ სტრიქონებს და გრძნობთ, რომ აქ ავტორს არ სჭირდება არავითარი მალდატანება საკუთარ თავზე, იგი თავისუფლად და ლაღად ხატავს და თქვენ გრძნობთ, რომ ეს პირდაპირ ნატურიდანაა ჩახატული.

საგანგებო რაზმელი ისე შეება ჯიხვის რქას, თითქოს შიგ ჩაძვრომას აპირებოსა“.

აქ კალმის ერთი მოსმით და იუმორისტული შტრიხითაა დახატული ჩვენში გავრცელებული ფუქსავატური სანაქებო ვაქეაცობა, ხარბით დვინის სმა.



ავტორი ხან პირველი პირით, ხან მესამე პირით მოგვითხრობს ან რეტროსპექტულ ამბებს რომელიმე გმირის ბიოგრაფიიდან ან სხვა ჩართულ ეპიზოდს, რომელსაც მაინცდამაინც დიდი კავშირი არა აქვს სიუჟეტის ძირითადი ხაზის განვითარებასთან. ამიტომაც, რომ რომანი მთლიანად ცოტა არ იყოს ერთგვარად შეწყებულნი ეპიზოდების კონგლომერატს წარმოადგენს. როდესაც რომანის კითხვას იწყებთ, თქვენ ფიქრობთ, რომ მთელი ისტორია გიორგი თორიას და მარია საბურას ვარშემო დატრიალდება, შემდეგ საიდანღაც ამოტოვრდება პეტრო კუკი, შემდეგ გაჩნდება დათა ბუკია, მთავარი გმირი რომანისა, აქ კვლავ იწყება წიადსვლა და ყაჩაყანას ამბები და სხვადასხვა.

მე არ მინდა იმის თქმა, თითქო რომანში სხვადასხვა პერსონაჟები არ უნდა შეიღონდნენ და მათი ბიოგრაფიები არ უნდა გვეცნოთ მკითხველს, მაგრამ ამ რომანის კითხვის დროს ისეთი შთაბეჭდილება გვხვდება, თითქო ეს ეპიზოდები ერთ მტკიცედ შეკრულ სიუჟეტურ კომპოზიციას კი არ წარმოადგენენ, არამედ ეპიზოდების ამორფულ კონგლომერატს. მე მაგალითად ფიქრად ვამიყვება, რომ ავტორს, როდესაც ეს რომანის წერას იწყებდა, ნაწარმოების ფაბულა კარგად არც ჰქონდა მოფიქრებული და დაეყრდნო ამბის თანდათან გამოგონების საკუთარ უნარს. სათაურის მიხედვით ამბავი თითქოს მთლიანად ამ სათეუზო გემის „თოლიას“ ვარშემო უნდა მიმდინარეობდეს. ეს გემი უნდა იყოს მთავარი მოქმედი პირი, ისე როგორც ეივულ ვერისის რომანში წყალქვეშა ნავი „ნაუტიკულისია“ ან „კაპიტან გრანტის შვილებში“ ზღვაში ნაპოვნ ბოთლში ჩაღებულ წერილი, რომელიც ამ რომანის ფაბულის ქვაკუთხედს წარმოადგენს. მაგრამ კითხულობთ რომანს და ეს გემი „თოლია“, ისიც ჩამირული, უშუალოდ არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს ამ ამბავში და არც მისი ჩაბირვა რაიმე ღირსშესანიშნავი ფაქტი. ისიც გასაოცარია და ვაუგებარი თუ სად უნდა ჩაებირათ ეს გემი სუხუმში მენშევიკურ ხელისუფალთ. მათ მიერვე გამოგონილი ვერსია, თითქო გემზე პირიანი ვირთხები ყოფილიყოს, სრულიად არაა დამაჯერებელი. არც ისე მდიდრები იყვნენ მენშევიკური მთავრობის ხელისუფალნი სავაჭრო სანაოსნო გემებით, რომ ასე დაუფიქრებლად ეძირათ ხელში ჩაგდებალი გემები თუ სეინერები.

ორდღ დგებუაქეს საერთოდ ეხერხება რეალისტური თხრობა. ეს რომანიც ამ მხრივ შედარებით სხვა მის ნაწარმოებებთან, ყველაზე უკეთაა დაწერილი. მაგრამ ხშირად რასაც უბრალო მკითხველი ვერ შეამჩნევს, მასში ბევრი შესამჩნევი ხდება თუკი ამ რომანს კრიტიკული და წმინდა პროფესიონალური თვლით გადავხედეთ.

მაგალითისათვის ავიღოთ ერთი ეპიზოდი.

დათა ბუკია წმინდა ავანტიურისტული მეთოდით შეიპარება საგანგებო რაზმის ყაზარმაში, იარაღს აყურის და სარდაფში დაამწყვდევს მთელ რაზმს, და ისევ მთებში ბრუნდება.

როდესაც კითხულობთ ამ ეპიზოდს, გარეგნულად მართლაც აქ თითქო დაუჯერებელი არაფერია. ჩვენ კარგად გვახსოვს საშოქალაქო ომების პერიოდი, როდესაც ამაზე უფრო ძვირიოზული ამბები ხდებოდა. არათუ საშოქალაქო ომი, არამედ პირველი იმპერიალისტური ომის დროს კაპიტანმა ვანაკიქემ თურქეთის მთელი დივიზიის შტაბი დაატუსაღა და განაიარაღა, რისთვისაც თურქებმა მას „შაითან — კაპიტანი“ შეარქვეს. თბილისშიაც იყო ასეთი ცდა, როდესაც თავზე ხელაღებულმა რამდენიმე ახალგაზრდამ სცადა იუნკერთა სასწავლებლის ხელში ჩაგდება. მათი ვანარხაბა მაშინ მარცხით დამთავრდა. ეს ეპიზოდი მშვენიერად აქვს აღწერილი ალ. ქუთათელს რომანში „პირისპირა“. თავისთავად ცხადია, ხდებოდა ისეთი ამბებიც, როგორიც დგებუაქეს აქვს აღწერილი თავის რომანში, შეიძლება ორამჩირეში მართლაც მოხდა ასეთი რამ, მაგრამ ამ ეპიზოდის აწერას აკლია დასაბუთება. შეიძლება რამდენიმე ფრაზის დამატება იყოს საჭირო, რომ ამბავი ნამდვილად დამაჯერებელი გახდეს, თორემ თუ ისე ადვილი იყო საგანგებო რაზმების იარაღის აყრა, როგორც ეს ავტორსაც აქვს დახატული თავის რომანში, მაშინ გასაოცარი ხდება, თუ რატომ ასევე არ განაიარაღა დათა ბუკიამ მთელი მენშევიკური გვარდათა.

იმის ვაშო, რომ ავტორს რომანის მთავარი გმირი დათა ბუკია ვერა ჰყავს სახვებით სრულყოფილად დახატული, როგორც ცოტად თუ ბევრად ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობის და ახალი იდეებისათვის მებრძოლი კაცი, რომელსაც შეუფერია იმპროვიზირებული პოლიტიკური ბრძოლის დედააზრი, რომანიც თავისთავად მოკლებულია იდეურ კონცეფციას. დათა ბუკია მარტოდ მარტო სიყვარულით შეპყრობილ ჰაბუკად გვევლინება. მართალია იგი ბოლშევიკებს თანაუგრძობობს, თითქო კიდევაც იბრძვის, მაგრამ მთელი მისი მოქმედება გზასაცდენილია კაცის ბრძოლას უფრო ჰგავს, ვიდრე შეგნებული ადამიანის თავგამოდებულ სწრაფვას იმე მიზნისაკენ.

თვითონ ავტორსაც არა სჯერა, როგორც ეტყობა, „თოლიელთა“ დიდი რევოლუციონერობა და ბოლშევიკობა. აი რას სწერს იგი თავის რომანში:

როდესაც „თოლიელები“ დააპატიმრეს, გამოძიებულმა არაჩემიამ. საქმე შეადგინა.

„ეს ანაზდად დაბადებული საიდუმლო საქმე — წერს რომანის ავტორი — წყალი არ გაუქვია, რომ იტყვიან, ისე იყო შედგენილი. სიკრუსის ასე დამაჯერებლად დაბატვა იმგვარი



მდიდარი ფანტაზიის კაცს შეეძლო, როგორც არაჩემია იყო? „თოლისა“ ნაუბნადვედა შედგენილ აგენტურულ საქმეში, რომელსაც არაჩემიამ უკანა ექვსი თვის რიცხვი დაუსვა, ეწერა: „ქატარლას ექვსი კაცისაგან შემდგარი ეტიბაკი ემსახურებდა. შავი ზღვის ამ სწრაფლმავალ ნაუქურტლის მეთაურები შეიპირი ბუკია და მესაქვე გერგდა ჯერ კიდევ მსოფლიო ომის დაწყების პირველ წლიდან ცნობილი არიან, როგორც ბოლშევიკების თავგამოდებული მომხრენი“.

ესე იგი, თუ ბუკიასათვის ბოლშევიკებისადმი თანაგრძნობა სიცრუეა, მაშინ ჩვენ უნებურად უნდა ვვითხოთ ავტორს, რაზეა დაწერილი ეს რომანი და ბოლოს და ბოლოს ვის თანაუგრძნობს დათა ბუკია?

ცალკე მინდა შევეხებო ავტორის სტილს და საერთოდ წერის მანერას. უნდა ითქვას, რომ წიგნი კარგი, გამართული, ძარღვიანი ქართულითაა დაწერილი. ავტორის ლექსიკონი მდიდარია და პირადად ჩემთვის ბევრი ახალი და ნაკლებად ნაცნობი სიტყვებია გაცოცხლებული და გამოყენებული. ასეთებია მაგალითად „პაკის“ ნაცვლად ნაკლებად გვარკვებული სიტყვა „კაბრა“, ანუ უდა. ასევე ნაკლებადაა ცნობილი სიტყვა „გელარალო“ (ავტორი წერს „გელარლო“), რაც ჩვენთვის უკვე ვასაგებ „ოჩანს“ ნიშნავს. ავტორი წერს: „ან ცხვირს შეუნძრევდა მოსამრობ ჯიბუქივით...“ ეს სიტყვა საბას განმარტებით დიდ ლურსმანს ნიშნავს. ასევე უცნობია ჩვენთვის სიტყვა „ნაშაში“, რომელიც საბას ასე აქვს განმარტებული, ზეგანი რა დღევათა ჩატეხილსა და ზევათი ჩნდეს წყალი (ზღვაში ჩატეხილივით რამ ჩნდეს). საგულისხმოა, რომ ეს სიტყვა განმარტებით ლექსიკონში სულ არ არის. მის ნაცვლად არის სიტყვა ნაშაირი — რაც საერთოდ დახეთქილს ნიშნავს. ასევე მივიწყებული სიტყვა „ლაბადა“, რომელსაც განმარტებითი ლექსიკონი სამგვარ მნიშვნელობას ანიჭებს ამ სიტყვის სხვადასხვა კუთხეში გვარკვებული მნიშვნელობის მიხედვით. ერთ შემთხვევაში იგი (სპარსულის გავლენით, რადგან თვით სიტყვაც სპარსულია) ნიშნავს ქალის ტანსაცმელის ზედაწელს, მეორე შემთხვევაში, სახელობრ, გურაში ქვედაწელს, მხოლოდ სხვა შემთხვევაში საწვიმარსა და წამოსასხმას. მე ცოტა არ იყოს გამვირბა ვამეგო. თუ სახელობრ რომელი მნიშვნელობით ფიქრობს ავტორი ამ სიტყვის დაკანონებას. ყოველ შემთხვევაში მთელი რიგი ასეთი სიტყვების აღდგენა-გაცოცხლება და შეერთება ლიტერატურაში, ვფიქრობ, ყოველი მწერლის მოვალეობაა. ამგვარად, მდიდრდება ენა. მხოლოდ საკირია მწერალმა, როდესაც იგი ასეთ მივიწყებულ სიტყვას აცოცხლებს, იგი ისეთ კონტექსტში მოაქვს, რომ სიტყვის მნიშვნელობა აღვილად გასაგები იყოს. წინააღმდეგ შემთხვევა-

ში ასეთი სიტყვები მკითხველს აღიზიანებს, კითხვას უძნელებს და ავტორის განზრახვა მიზანს ვერ აღწევს. განა ყოველ მკითხველსა აქვს საშუალება და დრო ლექსიკონებში ეძებოს ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობა?

ავტორის და ამ შემთხვევაში რედაქტორის დაუყვირებლობის შედეგია ის მცირეოდენი არასწორი და უხერხული გამოთქმები, რომლებსაც სამწუხაროდ წიგნში ვხვდებით ხოლმე. ავტორი, მაგალითად, წერს: „ის სცემეს“, რაც გრამატიკულად არ არის სწორი. უნდა იყოს: მას სცემეს. „ინჩიბინჩი არ ესმოდა“. არაა სწორი გამოთქმა „ქოსაუღვაშა“. თუ ქოსაა, უღვაში სიიდან ექნება. მე ვფიქრობ არ არის სწორი ავტორი, როდესაც წერს: „დიანოზმა ჩუმი ლომილით შეახვია ბაპირისი“. გამოდის, რომ არსებობს „ხმამალაი ლიმილიც“. ვფიქრობ, რომ არც კომპოზიტი „ორანაშა“ უნდა იყოს სწორი. ავტორის მიხედვით იგი ორანშიან გემს უნდა ნიშნავდეს. თუმცა ამ შემთხვევაში შეიძლება მე ვცდებოდე. დაუყვირებლობის შედეგია ასეთი წინადადება, სადაც რამდენჯერმეა გამოყენებული „სიძნელე“ და „დაძლევა“: „... არის სიძნელე, რომლის დაძლევა ზოგიერთისათვის არათუ ძნელია, წარმოუდგენელიც, მათ როდი იციან, რომ არსებობს ისეთი სიძნელე, რომლის დაძლევაც არ შეიძლებოდა, იტყუროდა ხოლმე ბუკია, მაგრამ იმაზე არათუ ამბობდა, რით შეიძლებოდა დაძლევა იმ სიძნელესი, რომელსაც იგი...“ და სხვა.

„თავისინებთან ვერ ბედავდა დათათვის მიბაძვას“. არაა სწორი. უნდა იყოს: მიებადა. არაა სწორი, როდესაც ლიტენანტი კაპიტანს მიმართავს სიტყვით „აღმატებულეზავ“. უნდა იყოს „კეთილშობილეზავ“, აღმატებულებით მხოლოდ და მხოლოდ გენერლებს მიმართავდნენ.

არასწორი გამოთქმა: „ისევე შეირბა ნახერკტი“. ე. ი. შეირბა საიანის კარში ვაკეთებულ ქუქურტ. „აზე დამაგრებული საფარი“.

„ჩვილ რმასავით ილიმებოდა ახალი მთვარე“. ვფიქრობ, რომ ახალი მთვარე სულაც არ წააგავს ჩვილ ყრმას. შეიძლება სავეს მთვარე ჰგავდეს.

„ძროხის ხორცს ხარშავდნენ მშრალად“ — არ მესმის ეს გამოთქმა. თუ იგი რუსულ „шаршав“-ს უდრის, მაშინ მას ქართულად მოგუდული ეწოდება ან მოშუშული, თუ იგი საერთოდ უბრალოდ მოხარშული ხორცს ნიშნავს, მაშინ მას სველად ხარშავენ და შემდეგ, როდესაც აზოიდებენ, იქნება მოხარშული მშრალი ხორცი. სასაუბრო მეტყულებაში გვარკვებულია გამოთქმა „მშრალად მოხარშული ხორცი“, მაგრამ თუ ამ არასწორ გამოთქმას შეიძლება კიდევაც შეურიგდეს კაცი, თვითონ ხარშვის პროცესი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს მშრალი.

„მილიციის უფროსმა ოცდაათიოდე კაცი მზადყოფნაში იყალიოს“ — ეს ერთგვარი უწყობაროვი გამოთქმაა და ლიტერატურულ ნაწარმოებში ასეთებს თუ მოვერიდებით, ცუდი არ იქნება.

საერთოდ კი მაინც უნდა შევნიშნო მწერალს, რომ საკუთარ ხელნაწერზე უფრო მეტი დაკვირვებაა საჭირო, თორემ საერთოდ სასარგლო იარაღის ისეთ შესანიშნავ მკოდნესაც, როგორც ორდენ დგებულება, შეიძლება თურმე მოუვიდეს ასეთი კურიოზული შეცდომა:

„ხელი მაზარის ჯიბეში რევოლვერის ფეხზე მჭონდა გამოდებული (უნდა იყოს თითი, მაგრამ ეს არაფერია). ვხედავდი, იარაღის ამოღებას რომ ვერ მოვასწრებდი, ამიტომ მკლავგამართულს შევიდევ ტყვია ჯიბიდან დაეხალდა...“

„ბუჩქნარიდან ნავახი გამოარადა, გზა გადაამიჭრა, შემდრუნებულმა მასაც ვესროლე...“  
ავტორს ავიწყდება, რომ ეს-ეს იყო შევიდევ ტყვია პეტროს დახალდა. ჩვენ ვიცით, რევოლვერში საერთოდ ხელი, შეიდი და ცხრა ტყვიან ბარანებს ღვაძენ. შეიძლება გიორგი თორიას ცხრატყვიანი რევოლვერი სვერგია ხელში, მაგრამ თვითონ ხომ ამბობს შევიდევო. შეიძლება მას მეორე რევოლვერიც ჰქონოდა, მაგრამ როგორც მოგახსენეთ ავტორი ცოტა უფრო გულისყურით რომ ჩაკვირებოდა თავის ხელნაწერს, ასეთი შეცდომა არ გაეპარებოდა.

მე ვერ დავეთანხმები ავტორს, როდესაც ის ხშირად დადებით ტიპებს მოწონების ეპიტეტებით, ხოლო უარყოფითს აშკარა ძაგების ეპიტეტებით ამკობს. ეს არც მაინცა და მაინც დამაჯერებელია და რომანის ცოტა არ იყოს იაფფასიანი ელფერს აძლევს. ძალზე ლამაზი და მომხიბლავი ადამიანი შეიძლება ვერაგზე უვერაგესი იყოს, ხოლო კვაზიმოდოსავით მახინჯი — უქეთღესი. ამიტომ უარყოფითის შავი საღებავებით, ხოლო დადებითის თეთრით შეთხუპნა, თუ ნაწარმოებს მაღალი ლიტერატურის თვალსაზრისით შევხედავთ, არც თუ ისე დამაჯერებელია.

ზოგჯერ ავტორი თეთრ საღებავსაც ძუნწად იმეტებს თავისი გმირებისათვის, მაგალითად დათა ბუკია ძალზე სქემატურადაა დახატული, ამიტომ გაუგებარია, თუ რა ჯადო უნდა ჰქონოდა ისეთი დათას, რომ იგი ასე ელვის სისწრაფით შეუყვარდა მარიას. ავტორი სხვათაშორის თვითონ გრწმობს ამ თავისი გმირის სიყვარულის გრწმობებით შეპყრობის დაუსაბუთებლობას და საკმაოდ მოგვიანებით (იხ. გვ. 246) ამბობს:

„რა მოეწონა მაშინ მარიას ამ დღევით ვეცაკისა? ყველაფერი, რა არ უნდა მოსწონებოდა? ამ მელღავურს ავი თვლიც კი ვერაფერს დალწუნებდა“. აი, ეს არის სულ, საღებავების მთელი გაბმა, რომლითაც შესრულებულია დათა ბუკიას პორტრეტი.

რომანში არის რამდენიმე ნაკლებად დამაჯერებელი ეპიზოდი.

მართალია, ცნობილი იყო გენერალ შეროს თავხედობა, იგი მართლაც რომ თავხეხელადებული ბანდიტი იყო, მაგრამ მე მაინც შეუძლებლად მიმაჩნია მას ასე დაუსჯელად და იოლად მოეხერხებოდა თავისი ჯარისკაცებით ინსცენირებული თავდასხმა გენერალ დენიკინის და მიი-მავესკის მონაწილეობით გამართულ საზეიმო შეჯიშვზე და იქიდან მარია საბურა გეტანევიოს. რუსი ოფიცრები შეროზე ნაკლები გულადები როდი იყვნენ, რომ ასე იოლად და უსისხლოდ გაეტანებიათ ქალი შეროს რაზმელებისათვის.

დაუჯერებელია ციხიდან გაქცევის ეპიზოდიც. შეუძლებელია ბეკეის ისე სწრაფად გამოეცალა სამი აგური კედლიდან. კედლაც რომ დაეხოცათ ამ აგურებით საყანში შემოსული სამი თუ ოთხი ჯარისკაცი, როგორ უნდა გასულიყვნენ ციხიდან ტუსაღები, განა ციხეს სხვა დარაჯები არა ჰყავდა? საუკუნოა, რომ ასე ადვილი ყოფილიყო სოხუმში მაშინ ციხიდან გაქცევა. რასაკვირველია, იყო შემთხვევები, როდესაც ტუსაღები ახერხებდნენ კედლიდან აგურების გამოცლის და გაქცევის, მე ჩემი თვალთ მინახავს, როდესაც ქუთაისში მესხეთის და ინგინის ქუჩის კუთხეში ტუსაღს ციხის კედელი, საკმაოდ მკაცრად ნაგები, გამოეგროა და გაპარულიყო. მის ოსტატურად გამოეღო აგურებზე ისე, რომ იქვე ქუჩის ტროტუარზე მოსიარულე დარაჯს არაფერი არ გაუგია. მაგრამ განა ის ტუსაღი ასე სწრაფად მოახერხებდა კედლიდან აგურების გამოღებას? ეტყობოდა მას დიდხანს ემუშავა, რადგან აგურები მთელ მთელად გამოეღო და ისიც უხმაურად.

ცნობრებაში ხშირია, როდესაც სრულ სიმართლეს ამბობ და არავინ არ ვიჯერებს. ზეპირსიტყვიანობაში ეს ადვილი ასატანია. მწერლობაში კი სიმართლეს თუ დამაჯერებლობა და დასაბუთება აკლია ის პირდაპირ მომაკვდინებელია ნაწარმოებისათვის.

ამიტომ მეტი დასაბუთება ჰქონებოდა იმ ეპიზოდსაც, როდესაც დათა ხანჯლით ფეხს წაუჭრის გათავხედებულ ინგლისელს, რადგან ვაუგებარია, რად უნდა ჩაეგლო თავი ასეთ წარმოუდგენელ საფრთხეში დათას მაშინ, როდესაც ისედაც სასიკვდილოდ მოსდევინ მას; ვერც გემ „თოლიაზე“ გამართული ბრძოლაა დამაჯერებელი. აგრე ადვილი არ იყო ასეთი არც თუ ისე დიდი გემი ასე იოლად შებრძოლებოდა სამხედრო კატერ „ტარიელს“.

რა დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ საბოლოოდ?

„ჩამორთული თოლია“ უმკველად ინსტიტრესოდ და ნიჭიერად დაწერილი რომანია. მას მხოლოდ აკლია ავტორისეული დამუშავება, გარანდვა და კომპოზიციურად დალაგება. ის წმინდა პროფესიული და დიდი შრომა ნაწარმოებზე, რომელსაც ჩვენ საერთოდ ყველანა




სამწუხაროდ არა ვართ შეჩვეული, ავტორს არ ჩაუტარებია. ამიტომაც, რომ რომანი ნელდი მასალის შთაბეჭდილებას სტოვებს. საჭიროა კი ასეთი აჩქარება ლიტერატურული ნაწარმოების გამოქვეყნების დროს? ვფიქრობ, რომ ყოველი ავტორი, რომელსაც ღვიძლი შეილივით უნდა უყვარდეს საკუთარი ნაწარმოები, ისევე უნდა ემყრობოდეს ხელნაწერს, როგორც ჩვენი კლასიკოსები თავიანთი შემოქმედების ნაყოფს.

ერთი რამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, არავინ იფიქროს თითქო ნაწარმოები რაკი იგი გამოქვეყნებულია, არ მოითხოვდეს კიდევ დამუშავებას და გალამაზებას. ძალიან ცოტაა ჩვენს თანამედროვე ლიტერატურაში ისეთი დამთავრებული და სრულყოფილი ნაწარმოები, რომელსაც არ მოუხდებოდა გვარიანი დამუშავება ავტორების მიერ. ცუდად რომ არ გამოგოს ეს მოსაზრება ორდღე დგებუაქემ, მინდა ვუთხრო მას, რომ ამ საყვედურს მართლ მას კი არა, სა-

კუთარ თავსაც ვეუბნები. რამდენჯერაც არ შემხვედრია საკუთარი ნაწარმოების ხელახლა დაკვირვებით წაკითხვა, ყოველთვის მომინახავს შალაშინგასაკრავი ადგილები. ყველაზე ცუდი თვისება მწერლისა არის ის, როდესაც საკუთარ თავს დაბეჯითებით აჯერებს, სრულყოფილი ნაწარმოები შევქმენიო.

მე შევეცადე პირუთვნელი, შეიძლება მკაცრი, მაგრამ წმინდა პროფესიონალური თვალსაზრისით გამერჩია ორდღე დგებუაქის რომანი „ჩაძირული თოლია“, გამერჩია რგი დიდი ლიტერატურის პოზიციებიდან და თუ მე არ ვენდუ იმას, რომ ამ რომანს გატაცებით კითხულობს მკითხველი, ვეცადე აღმენიშნა ამ წიგნის ღირსებაცა და ნაკლიც, მხოლოდ იმიტომ, რომ ავტორი მიმაჩნია ისეთი ნიჭისა და ძალღონის პატრონად, რომელსაც ყოველთვის შესწევს ძალა გაახაროს ჩვენი მკითხველი სრულყოფილი ნაწარმოებებით.







## ველიძე ჯიჯიძე

### გიორგი ქუჩიშვილი

„საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იწყება ჩემს შემოქმედებაში ახალი, ჩემთვის მეტად ღირსშესანიშნავი, იდეურად უფრო მაღალი პერიოდი, რის გამოსახულებასაც კპოევებთ ჩემს ამდროინდელ ნაწერებში, რომელთაც მოკრძალებით ვურდგენ შრომელთა ფართო მასებს თავისი პირთუნელი მსჯავრის დასაღებად.

ცხადია, ერთიორად მეტი და გაცილებით მაღალხარისხიანი იქნებოდა ჩემი პოეზია, რომ ნორმალურ პირობებში მემუშავა და ჯეროვანი აღზრდა-განათლება მღირსებოდა, მაგრამ...

„კეთილი გულით მოძღვნილი მცირედიც შეიწირებისო“, ნათქვამია, და მეც ამ უმცირეს ჩემს ნაშრომთ ვუძღვნი იმ ჩემს უსაყვარლეს შრომელ ხალხს, რომელსაც მე ვეყოფენი მთელი ჩემი არსებით და რომლის სამსახურშიაც დავლეე ჩემი სიცოცხლის მიწურულ დღეებს“. ამ გულწრფელი და მართალი სტრატეგიებით მთავრდება გ. ქუჩიშვილის საყოფიერო ხელით დაწერილი მოკლე ბიოგრაფია — „ჩემი ვინაობა“, რომელშიც ნათლად ჩანს პოეტი როგორც აღამიანი და მოქალაქე.

გ. ქუჩიშვილი მეტად რთული და ეკლვიანი ცხოვრების გზა განვლო. ვინ მოსთვლის საღ არ იყო იგი შეგირდად და მოჯამაგირედ; მეწერილმანესთან, ბაიალთან, მენახშირესთან, მენავთესთან, ღვინის სარდაფში (ბოთლების და კასრების მრეცხავად), სარაჯიშვილის კონიაის ქარხანაში, ზეინკალთან, ოქრომჭედელთან და სხვა. „ხაზინ-ოსტატე-ბი“ მან უხეშად ეპრობოდნენ. დღეში 12—15 საათს ამუშავებდნენ და ხელფასს კვირაში მხოლოდ 5—6 შურს აძლევდნენ. ხშირად უმუშევრად რჩებოდა და დღე-ღამეს ლუკმაურის ძებნაში ატარებდა, მაგრამ წელში არასოდეს მოხრილა, სულიერად არ დაცემულა, მომავლის იმედი არ დაუკარგავს. ნათელი ოპტიმიზმი, რაც ესოდნ დამახასიათებელია გ. ქუჩიშვილის პოეზიისათვის, მისი ვეჟაკური ბუნებიდან გამომდინარეობს. რასაკვირველია, ამას ხელს

უწყობდა თვითგანვითარების გზით მიღებული ცოდნა ცხოვრების წინსვლის კანონებზე. გ. ქუჩიშვილი რევოლუციურ მოძრაობას 1902 წლიდან უკავშირდება. იგი იყო თბილისის ბოტანიკურ ბაღთან არსებულ საბაღოსნო-პრაქტიკულ სკოლაში ჩამოყალიბებულ არალეგალური მარქსისტული წრის წევრი. აქ ეზიარა რევოლუციონურ-დემოკრატიული იდეების გაცოცხლებელ წყაროს. აქ მიიღო გაფიცვებში მონაწილეობის პირველი ნათლობა, რის გამო დააპატიმრეს კიდევ. ამის შემდეგ გ. ქუჩიშვილი პოლიციის მუდმივ მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. 1914 წელს კვლავ აპატიმრებენ და ქუთაისის საგუბერნიო ციხის საკანში ათავსებენ.

გ. ქუჩიშვილი სამწერლო ასპარეზზე 1906 წელს გამოვიდა. მისი პირველი ლექსი გამოქვეყნდა ახალგაზრდათა არალეგალურ ჟურნალში „ჩვენი დროა“, რომელიც შაპიროგრაფზე იბეჭდებოდა დ. თურდისპირელის (გიორგის უმცროსი ძმა) ინიციატივით. 1907 წლიდან მისი ლექსები სისტემატურად იბეჭდებოდა და პოპულარულიც ხდება. ბევრი მათგანი გადატანილია მუსიკაზე. „ჯერჯერობით, — წერდა მწერალი და ხელოვნების ისტორიის მცოდნე შ. კაშპაძე, — გ. ქუჩიშვილის ტექსტზე შექმნილია სამოცდაათზე მეტი სამუსიკო ნაწარმოები.“ აქვე უნდა ითქვას, რომ „ქართული რომანსის შესანიშნავმა ოსტატმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დიმიტრი არაყიშვილმა, რომელსაც არაერთხელ აღვნიშნავ გ. ქუჩიშვილის ლექსის განსაკუთრებული მუსიკალობა, ყველაზე უფრო ნაყოფიერად გამოიყენა პოეტის შემოქმედება“ (შ. კაშპაძე — „პოეტისა და კომპოზიტორის თანაშრომლობა“). ეს ფაქტი ბევრი რამის ითქმეოდა და თავისთავად შეტყვევებს გ. ქუჩიშვილის ხალხს შემოქმედებით ნიჭზე, რომელიც მკაფიოდ გამოსჭვევის გულის ამბოთროლებელ, გულწრფელ სტრატეგებში.

გ. ქუჩიშვილის შემოქმედება (აქ მხოლოდ მის ლექსებს ვეხები) ორ ძირითად პერიოდად



იყოფა. პირველი პერიოდის მისი ლექსები ხმა-  
შემართული შეტაკებაა შავ-ბნელი რეჟიმის,  
უბრალო ადამიანების უმოწყალო ექსპლოა-  
ტაციაზე აგებული სისტემის წინააღმდეგ, იმ  
სისტემის წინააღმდეგ, სადაც ადამიანის თავი-  
სუფლების პრინციპი აბუხად იყო აგებული,  
სადაც გაბატონებული იყო საშინელი ცინიზმი.  
ამის დიდებულ მხატვრულ ილუსტრაციას წარ-  
მოადგენს თუნდაც ლექსების ციკლი „ქუჩის  
კრემლები“, სადაც შშის სინათლეზეა გამოტზ-  
ნილი შაშინდელი ყოფის ამაღლებებელი სურა-  
თები. ეს ციკლი პოეტმა უძღვნა:

„მათ, რომელთა გმინვა-გოდებასაც  
დაუბეჭეტია  
ქალაქის მარმარილოს ცივი კედლები;  
მათ, რომელთა მომსქდარ კრემლთა  
ღვართქაფსაც  
აუყრია ქუჩის ქვაფენილები;  
მათ, რომელთა სიშვილესა და სიძვალ-  
ტყავესაც  
დამფრთხალ ცახცახით შემოუვლიათ  
სიმიდირთი საცხე ძუნწი  
ქალაქი და რომელთა საზრდოც ყოფილა  
ნერწყვი...“

პოეტი არ კმაყოფილდება აღმაშფოთებელ  
მოვლენათა მხოლოდ გამოსახვით. იგი არც იმი-  
ტომ ხატავდა გაუბედურებულ, ფსკერზე დაცე-  
მულ ადამიანების შემამარწყუნებელ ცხოვრების  
სურათებს, რომ მდიდართა გრძნობებზე ემო-  
ქმედა, მათში სინდისი გავლვიძებინა. ქუჩიშვი-  
ლი მეოცნებე პოეტი როდი იყო. იგი მოითხოვ-  
და სინამდვილის რევოლუციურად გარდაქმნას  
და ამის შემძლე რეალურ ძალებსაც კარგად  
ხედავდა („გახსოვდეს“, „სიტყვა მუშისა“,  
„რეაქცია“, „მუშათა სიმღერა“ და სხვ.).

ვიყავ პოეტი,  
მაგრამ გულში ეკლავდი სინაზეს,  
ყვავილთა ნაცვლად  
პოეზიის ლენცოფებს ვშლიდი;  
სულს მიშფოთებდა კაცთმონობა  
დედამიწაზე  
და ამბოხების მოლოდინში  
წუთებს ვითვლიდი!

ეს ლექსი პოეტმა დაწერა 1922 წელს და  
ამით მან საეხებით სწორად შეაჯამა თავისი  
აღრინდელი შემოქმედებითი გზა. ამ გზაზე ზოგ-  
ჯერ პოეტის სევდიანი ხმაც ისმოდა, რაც შავ-  
ბნელი რეაქციის დროის საზოგადოებრივი ცხო-  
ვრების ერთგვარი ანარეკლი იყო. მაგრამ სე-  
ვდიანი მოტივები ქუჩიშვილის პოეზიაში იმდენ-  
ად უმნიშვნელო იყო, რომ მასზე არ შეეკერ-  
დებოთ.

უფროსი თაობის პოეტებიდან გ. ტაბიძე და  
გ. ქუჩიშვილი ერთი პირველთაგანი იყვნენ,  
რომლებიც თავიდანვე აღფრთოვანებით შეეგე-  
-

ბნენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების  
დამყარებას. ჭეშმარიტი შემოქმედებითი ალლო-  
თი განსუკრიტეს მისი დიდი მომავალი. უმიძ-  
მეს ჩავერისა და ძალადობისაგან განთავისუ-  
ფლებულ საქართველოს პოეტი მიესალმა ლე-  
ქსით „საქართველო“ (1921 წ.), რომლის სტრი-  
ქონები მთლიანად მოგვაქვს აქ:

საქართველო აღსდგა მკედრებით!  
გზა მიეცით!  
ჩამოდქით!

გმირთა გმირი  
ამირანი  
მოიძღვრის გრგვიწვა-ჭეჭით!  
სანეტარო დახსნის ხმები  
ეფინება ზურმუხტ მდელოს:  
გაუმარჯოს ბორკილაყრილ  
თავისუფალ საქართველოს!

გ. ქუჩიშვილის პოეზია იმთავითვე გამოირჩე-  
ოდა სოციალისტური რეალობისათვის დამახა-  
სათაებელი ყველა ტიპიური თვისებებით: რე-  
ვოლუციური რომანტიკითა და პათოსით, პო-  
ლიტიკური სიმახვილითა და ახლის გრძნობით,  
ინტერნაციონალური სული და მგზნებარე  
ოპტიმიზმით. ეს ფაქტი სრულ უფლებას გვა-  
ძლევს გ. ქუჩიშვილი ქართული საბჭოთა პოე-  
ზიის ერთ-ერთ ფუძემდებლად ველიართ. შე-  
მთხვევითი როდია, რომ იგი მკაცრად დაუპი-  
რისპირდა დეკადენტურ პოეზიას, რომელიც  
საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების და-  
მყარების პირველ წლებში ჯერ კიდევ ბოგი-  
ნობდა:

თქვენი მუზაა ნაზი ამერი,  
მის საამური  
ჰიმნიც შეუქმენით;  
მე კი რუხ ქარხნებს  
მივაპირა ყური  
და მედიდური  
ხმათა მოსმენით  
შეეჭმენ ლექსები  
მუსიკალური,  
პროლეტარული  
განცლით და რწმენით!  
(„ესთეტ“ პოეტებს“)

გ. ქუჩიშვილს ჰქონდა უფაქიზესი ემოციური  
სამყარო, რაც დიდად განასხვავებდა მას დროსა  
და სივრცეს მოწყვეტილი პოეტების ემოციური  
სამყაროსაგან.

გ. ქუჩიშვილის აზრით, ნამდვილი ლექსი  
ისაა, რომელსაც თავისი დროის ბეჭედი აზის,  
რომელშიც ცხოვრება ღელავს და ბოზოქრობს:

ურგია ლექსი,  
უაზრო,



დუნე,  
 უსისხლო,  
 უფხო,  
 უხერხემლო,  
 თუ ვერ გაუძლოს  
 მძაფრ საუკუნეს,  
 თუ ფოლადივით  
 ვერ იზრიალოს, —  
 სჯობს ნაგვის ყუთში  
 განდისროლო,  
 ან სათამაშოდ  
 ბაღს მისცე მხოლოდ!

პოეტის ეს მრწამსი დღესაც ძალაში რჩება, ეს არის ქვეშაირი პოეზიის ქვეშაირი პრინციპი, რომლის საფუძველზე შექმნილი ლექსი ყოველთვის გაუძლებს დროის მსჯავრს. ამის საუკეთესო მაგალითია თვით გ. ქუჩიშვილის პოეზია, რომელსაც მუდამ უდიდესი სიყვარულით და ინტერესით ვეწაფებით.

გ. ქუჩიშვილი მხარდამხარ მიჰყვებოდა ჩვენს მჩქედარე და აბოპოქრიფულ ცხოვრებას და ხელოვნების არმიას მასების სამსახურისაკენ მოუწოდებდა („ხელოვნების არმიას“). ქუჩიშვილის პოეზიისათვის დამახასიათებელია ორაბრუნული ინტონაცია და მომწოდებელი ლირიკის მგზნებარება;

დაქაა დაქაა შრომის პანგი  
 მძლავრად ააწვრიალე!  
 აღმოდებული პერანგი  
 დროშად ააფრიალე!

ლექსი „დაქაა დაქაა“ (1922 წ.), საიდანაც მოვიტანეთ ეს სტრიქონები, გამოხატავს ახალ-შობილი საბჭოთა საქართველოს მშრომელთა სულისკვეთებას, ახალ თვისებებსა და სულიერ მოთხოვნილებებს. გ. ქუჩიშვილის ღრმა შთავგონებით აღსავსე ლექსები მძაფრად ეხმარებოდა სოციალისტური საქართველოს მშენებელი ადამიანების სულსა და გულს. გ. ქუჩიშვილის ლექსები ჩვენი დიდი სამშობლოს კონკრეტული ისტორიული სინამდვილის ანარეკლია, რომელშიც აღბეჭდილია ეპოქის რიტმი, როგორც რევოლუციური პოეზიის ერთ-ერთი თავისებურება, იმ პოეზიისა, რომლის ორკესტრს თანდათანობით შეუერთდა ქართველი პოეტების შემდეგი თაობა.

გ. ქუჩიშვილი ეცუთენის ქართველ მწერართა იმ რიგს, რომელთაც გააჩნიათ საზოგადოებრივი მოვლენების ობიექტურად შეფასების დიდი უნარი. მისი პოეზია უაღრესად დემოკრატიულია, შთავგონებული საბჭოთა პატრიოტიზმის ცხოველყოფილი იდეით:

ვიდრე ვესულდგმულობ  
 დედამიწაზე,  
 ჩემო სამშობლო,

გწამდეს, იცოდე:  
 შენს ძლიერებას  
 და სილაშხვს  
 შევუქმნი შენებრ  
 მშვენიერ ოდებს.  
 და თუ არსებობს  
 ისეთი ხელი,  
 შენზე აღმართვა  
 რომ დააბიროს, —  
 მყის მოაკეცივს ჩემი  
 მახვილი მჭრელი,  
 რომ შენი გული  
 არ გაიგვიროს!  
 („დიად სამშობლოს“)

გმირული სული და ვაჟკაციური შემართება ქმნის გ. ქუჩიშვილის პოეზიაში ერთ მოლიან შთამავგონებელ, ემოციურ სიმღონიას დიადსა და უძლეველ საბჭოთა საქართველოზე.

საბჭოთა ხალხების შრომითა და ძმობით აღტაცებული პოეტი თავის უსაყვარლეს ხალხს, რომლის სამსახურში დალია მან სახელოვანი სიცოცხლის უკანასკნელი დღეები, ასე მიმართავს:

დღესაც შენთან ვარ,  
 შენ ვივალბო ქებათა-ქებას,  
 სამარეშიაც თან ჩაყვებო  
 მე შენი ტრფობა;  
 ვეთყავანები შენს მარჯვენას,  
 შენს ძლიერებას,  
 შენს მკერდს ვაღვიღს,  
 შენს წმინდა ოფლს,  
 შენს მტკიცე ძმობას!

გ. ქუჩიშვილის პოეზიის საფუძველს შეადგენს კაცობრიობის პროგრესის რწმენა, კაპიტალისტური ქვეყნების ხალხების მონურ ბორკილებსაგან განთავისუფლების იდეა. ლექსში „კაპიტალისტურ სახელმწიფოთა კოლონიების მშრომელ მასებს“ (1931 წ.), პოეტი ძმურ სალამს უთვლის თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისათვის თავგანწირულ მებრძოლებს და გამოსთქვამს იმედს, რომ მათ მიერ გაჩაღებულ ბრძოლა მიზანს მიაღწევს:

თქვენ გაიმარჯვებთ! —  
 გაუმარჯოს ყველა იმ ხალხებს,  
 და ყველა ქვეყნის  
 დამონებულ  
 მშრომელთა ტომებს,  
 რომლებიც ლეწენ ბორკილებს და  
 სწყვეტენ არტახებს  
 და აჩაღებენ შინ თუ გარეთ  
 კლასობრივ ომებს!

გ. ქუჩიშვილი იყო მგზნებარე პოეტი, უკეთილშობილესი სურვილებით გამსჭვალული ადამიანი, ხალხის ინტერესებისათვის თავდადებული

მოქალაქე, შესანიშნავი მეგობარი და ამხანაგი.

გ. ქუჩიშვილი გაციანის სამამულო ომის წლებში. 1941 წელს ავჯილის კლუბში, საქართველოს მწერალთა კავშირისა და ავჯილის საშუალო სკოლის დირექციის ინიციატივით მოეწყო ანტიფაშისტური ლიტერატურული საღამო. საღამოს სათავეში უდგანენ მწერლები ბესარიონ ჟღენტი და ერ. ქარელიშვილი. საღამოზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ბ. ჟღენტი. ამ საღამოს ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო ჩვენი სახელგანთი პოეტი გ. ქუჩიშვილი, სწორედ აქ გაციანს იგი. აქ მან წაიკითხა ორი ლექსი „სამშობლოს დაცხილზე“ და „ჩვენს პოეტებს“. კითხულობდა მისთვის ჩვეული ტემპერამენტით და მგზნებარებით. მისი შინაგანი წვა, პატრიოტული აღტიკნება ჩვენ მსმენელებს სულსა და გულში უდიდეს ცეცხლად გვედგვებოდა. პოეტს მქუხარე ოვაცია გავუშართეთ. გიორგის მეორეჯერ თბილისის სადგურზე შევხვდი, როცა ქართველ მწერლებთან ერთად კავკასიის ფრონტზე მიდიოდა მომქმედ არმიასი. პოეტის გამოხედვაში ნათლად გამოსკვივოდა ვაჟკაცური სული და მტერზე გამარჯვების რწმენა. როგორც ცნობილია, ქართველ მწერალთა ბრიგადამ დიდი სამსახური გაუწია ფრონტზე მყოფ საბჭოთა მეომრებს. გ. ქუჩიშვილის პოეტური სიტყვაც ამ განსაცდელიან დღეებში ომახიანად ქუხდა და საბჭოთა მებრძოლებს ვიბრული სულისკვეთებით აღანთებდა. გ. ქუჩიშვილის პოეზიის მებრძოლი ბუნება სამამულო ომის წლებში მთელი თავისი სიდიდით გამოვლინდა.

გ. ქუჩიშვილი, როგორც პოეტი და მოქალაქე, ხალხის უდიდესი სიყვარულით სარგებლობდა. აქ ინტერესს მოკლებული არ იქნება მკითხველს გაციანით მწერალ ერემია ქარელიშვილის მოგონება: „ეს იყო 1936 წელს. მე მაშინ გურჯაანის საშუალო სკოლის დირექტორად ვმუშაობდი. გ. ქუჩიშვილს გურჯაანის სადგურზე სრულიად მოულოდნელად შევხვდი. საუბარი ხეირიანად არც კი დაგვეწყო, რომ ხალხს შემოგვეხვია. ისინი გიორგის მისიერებოდნენ და ჩურჩულებდნენ — ქუჩიშვილია, შეხედე რა ახალგაზრდად გამოიყურება, მე უფრო მოხუცი

მეგონა! მისი ლექსები ჯერ კიდევ ოცდახუთი წლის წინათ წამიკითხავს და მისწავლია!

ამ ჩურჩულით გათამამებულმა გადავწყვიტე იმ დღესვე ქუჩიშვილის შემოქმედებისადმი საღამო მომეწყო რკინიგზის კლუბში.


უდიდი ამინდი დადგა.

საღამოს დაწყებამდე ორი საათი იყო დარჩენილი, როცა აფიშები გამოაკრეს, ყველას გვეშინოდა, გიორგიც შეწუხებულყო იყო. რატომ ახიბრე, — მისაყვედურებდა, — ამ წეზმაში რა საღამო მოეწყობა. ვინ გასწირავს ჩემი გული-სთვის თავს! — ამბობდა ნახევრად ხუმრობით და ნახევრად სერიოზულად.

პასუხს არ ვაძლევდი. ძლიერ ვწუხები უამინდობის გამო. მოვიდა საღამოს დაწყების დროც, კლუბში უკანა კარებიდან შეუშინველად შევედი. სცენიდან ჩუმიად ვათვლიერებდი პარტერს. დამსწრეებს თითებზე ვითვლიდით... ვღმელავდით ყველა... არ გაუვლია ნახევარ საათს. რომ კლუბს უამრავი ხალხი მოაწყდა, მოლოდინს სამუშაოდან დაბრუნებული კოლმეურნეები, მოსამსახურეები, მოსწავლეები. რამდენიმე წუთში დარბაზი ისე აივსო, რომ ტყეა აღარ იყო.

ფარდა გაიხსნა. ცენტრში იჯდა გიორგი ქუჩიშვილი. უცბად ტაშმა იგრილა და მთელი დარბაზი ფეხზე ადგა...“

ეს არ იყო ერთი ცალკეული ბედნიერი შემთხვევა. გ. ქუჩიშვილი ყველასათვის საყვარელო აღამიანი იყო. „თვალში რომ ჩამვარდნოდა — წერს ი. გრიშაშვილი — ხელს არ მოვისვამდი“ (მოგონებიდან — „მე და ქუჩიშვილი“). აქვე ვკითხულობთ: „გიორგი, როგორც პოეტი, ქართული პოეზიის მოვარდნილი ჩანჩქერი, როგორც აღამიანი — უანგარო და ალალი პიროვნება. ამხანაგებისათვის სულს არ დაიშურებენ. მას მეტად მგრძობელი და აზიზი გული აქვს: ამტანი და გამტანი“. ეს უბრალოდ და მოკლედ თქმული სიტყვები ნათელ წარმოდგენას იძლევა იმ აღამიანზე, რომლის მთელი შემოქმედება გამთბარია სამშობლოს საყვარულით და ნასაზღოები ხალხური სიტყვიერების მადლით.





### პროფ. ჯაკ ღივონი

## რაგინდრანატ თაგორი და გღეზობის საკითხი

საბჭოთა მკითხველი, რამდენადაც ვიცი, არ უნდა იცნობდეს იმ წერილს, რომელიც რაგინდრანატ თაგორს გაუგზავნია პრომოტკონატ ჩოუდურისათვის, და აგრეთვე არც ამ უკანასკნელის წიგნი — „გლუბიკაციის სიტყვა“ უნდა ჰქონდეს წაკითხული. ბევრს ალბათ არც კი ვაუვია ამ წერილის არსებობა, მით უმეტეს, რომ თაგორის ვერც ერთ დიდ ნაწარმოებში ვერ ვიპოვეთ იმ აზრებს, რომლებიც ამ წერილში არის გამოთქმული.

უღრო მეტოც, ჩვენ ისიც არ ვიცით, საითკენ წარიმართა შემდგომ მისი შეხედულებანი და მხოლოდ ამ წერილის საშუალებით შეგვიძლია თაგორის გლუბობასთან დამოკიდებულებაზე ვიმსჯელოთ. რასაკვირველია, საერთოდ, თაგორის ურთიერთობა გლუბობასთან მხოლოდ ამ წერილით არ ამოიწურება, თუმცა მის მხატვრულ ქმნილებებში სიტყვა „გლუბი“ და „გლუბობა“ არც თუ ისე ხშირად შეგვხვდება; მაგრამ როდესაც თაგორის მკითხველი მთელი სიგრძე-სიგანით წარმოიდგენს, რომ იგი წერდა ღარიბ-ღატაკების, მთელი ინდოეთის ყველა ჯუღრის უპოვართა და გლახაკთა შესახებ, მაშინ მისთვის ნათელი გახდება, თუ რა ადგილი უჭირავს მწერლის შემოქმედებაში სოფლის ცხოვრებას და როგორ არ ძალუძს მას განერიდოს ამ პრობლემას.

ამ მხრივ იგი შეიძლება დიდ ტოლსტოის შევადაროთ. რუსი ხალხის უდიდესი მწერლის მთელი ცხოვრების მიზანი გლუბის, „მუქიკის“ განთავისუფლება იყო. ცხადია, ამ ორი მოაზროვნის შეხედულებანი ამ საკითხზე ერთმანეთისაგან სავსებით განსხვავდება, მაგრამ მიზანი კი ორივეს ერთი ჰქონდა და ტოლსტოისაც იმგვარადვე აწვალბდა რუსული სოფლის სევბელი.

თაგორმა მახვილად აღნიშნა მატერიალური ფაქტორებისა და საზოგადოების კავშირი. იხილეთ როგორი პირდაპირობითა და სიმწვავეთ ლაპარაკობს იგი ამის შესახებ: „მე შემამულედ დავიბადე, მაგრამ ზეცის სამსახურად ვარ მო-

წოდებული. ამიტომაც არა მაქვს შინაგანი მისწრაფება, რომ შემამულის მიწას მოვეცილო. მე პატივს არა ვცემ ამ საკუთრებას. ვიცი, რომ შემამულე მიწის წურბეღაა, იგი მუქთახორაა. შრომის გარეშე, რაიმე პასუხისმგებლობის გარეშე ჩემმა სხეულმა არ შეიძლება რომ კმაყოფილება იგრძნოს და ეს ჩემს აზრს, გონებას აზარმაცებს, მცონარესა ხდის, ჩვენ ისეთი ერთი არა ვართ, რომელიც თავის წილ ბედნიერებას სიქველთ იხვეჭს. გლუბს პური მოჰყავს, შემდეგ მოხელე ჩვენ გადმოგვილოცავს — ამაში არც სიქველვა და არც სიამაყე“. თაგორის ნაწერებში იშვიათია ასეთი ზიზღი იგრძნობთ მშობლიური სინამდვილის მიმართ. ნახეთ, როგორ დისციონს თავის კლასს პრომოტი ჩოუდურიც „გლუბაკის სიტყვაში“: „ინგლისში საშუალო კლასს უდიდესი ადგილი უკავია, მაგრამ იგი არც გლუბია და არც აუპირი“.

საზოგადოებაში იქმნება ხოლმე ისეთი ვითარება, როდესაც ჩვენი აღმავლობა ეროვნული სინდირის განმარტვის მიზეზი ხდება. ჩვენ თავად ამ ინტელიგენციის ნაწილს წარმოვადგენთ და ეროვნული შემოსავლისაგან საჩვენო წილს მივიზღავთ. ამ ქეშმარიტების უარყოფა ჩვენ არ შეგვიძლია, ჩვენს ცხოვრებაში თითქმის ყველა გარემოება ერთად შეიკრა, გაერთიანდა, მაგრამ ამ კავშირს ერთიანი სული აკლია. ჩვენ აუცილებლად უნდა ვუწამლოთ იმ სენს, რომელიც ღრღინის საზოგადოებას.

თაგორი — მსოფლიო სახელის პოეტი, და ჩოუდურიც — გამოჩენილი მწერალი, გლუბობის პრობლემის განხილვისას სხვადასხვა, თავთი-თავითი გზით მიდიან და საკუთარი კლასის ყოფას გამოხატავენ, მაგრამ თავისი კლასის თვალსაზრისის გამჟღავნებასთან ერთად მათს ნაწერებში ამ კლასის მამფერი კრიტიკაც არის მოცემული. ბენგალურ ენაზე ჯერ არ დაწერილა რაიმე, რომელიც ისე აშკარად ამითრახებდეს საშუალო კლასს, როგორც ეს თაგორმა და ჩოუდურმა შესძლეს. მათი ერთადერთი მისწრაფება ის არის, მკაცრი სიმართლე გაამიშვლონ. ახლა



კი მოკლედ ვავეცნოთ იმ ძირითად საკითხებს, რომელთა ირგვლივ ტრიალებს გასული საუკუნის ინდოეთის სოფლის ცხოვრება.

პრომოტო ჩოუდური განსაკუთრებული ყურადღებით აღნიშნავდა ვრთ ფაქტს.

1889 წელს, როდესაც საფრანგეთის რევოლუციამ გლეხებს მიწა არგუნა, ინგლისელების წყალობით ბენგალიაში გამოცა კანონი, რომლის ძალით ბენგალელები უმიწაყლოდ რჩებოდნენ. თუ ჩაუტყვირდებით ამ ურთიერთსაწინააღმდეგო სურათს, მაშინ ნათელი გახდება ბრიტანეთის იმპერიალიზმის ხასიათი.

ხოლო ოთხი წლის შემდეგ იმის ცდაც იყო, რომ ზამინდარის მუდმივი სისტემა გლეხობის მარაღი მონობით შეეცვალათ.

ინდოეთში ინგლისელების მოსვლამდე საუკუნეების მანძილზე ინდოელი გლეხი მიწის ბატონ-პატრონი იყო. რაჯები, ფაიშაპები და ზამინდარები მხოლოდ იჯარას იღებდნენ, ხოლო მიწის წართმევა მათ არსაგზით არ შეეძლო.

პრომოტო ჩოუდურის სურს დაადგინოს გლეხის სამარადეაშო უფლებები მიწაზე, მიწით სარგებლობაზე. მაგრამ მას საერთო არაფერი აქვს პრინციპთან — „მიწა მიწის მუშაკისაა“, უფრო ზუსტად: მას არ სურდა ზამინდარის სისტემის მოსპობა. „სისულელე იქნებოდა მუდმივი ზამინდარის სისტემის მოსპობა და გლეხობისათვის მიწის გადაცემა“, — ამბობს ჩოუდური. რატომ იქნებოდა სისულელე — იგი ამ დებულებას არ ასაბუთებს და ასე უბრალოდ სურს მისი დამტკიცება.

საფრანგეთში გლეხობამ ფეოდალიზმი მოსპო და მიწა მოიპოვა. „გლეხიკაცი სიტყვის“ ავტორს კი სურს, რომ მიწაზე გლეხის უფლებანი განამტკიცოს და ამავე დროს შემამულეთა კლასიც ხელუხლებელი დარჩეს.

დიდი პოეტი რადინდრანატ თავგორი უფრო ღრმად წვდებოდა ამ საკითხს. იგი წუთითაც არ ყოყმანობდა, რომ ზამინდარის სისტემა უნდა მოსპობილიყო და მიწა გლეხებს მისცემოდა, მაგრამ ცხოვრებისეული მწარე სიბრძნე მას არ ამშვიდებდა და იგი თავისთავს ეკითხებოდა:

— ვის უნდა მიეცეს მიწა?

მან იცოდა, რომ მიწა საქონელად იქცა და ამიტომ იგი უმიწაყლო გლეხებიდან აუცილებლად ბოზობებს ჩაუვარდებოდა ხელთ. ხოლო ამ ბოზობათაგან ნაწილი გლეხების სისხლის მწველები — მევანშეები არიან. თავარისათვის საიდუმლო არ იყო, რომ ინდოეთში ახალი შემამულეები და ბოზობები ჩნდებოდნენ. გადაკარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ მსოფლიო ლიტერატურაში ცოტაა მწერალი, რომელიც თავგორივით ჩასწვდომოდეს ამ საკითხს და მასავით გაეშუქებინოს სოფლის ცხოვრების ამ ფერისცვალების პროცესი. თავგორს მტკივად სწამდა, რომ თუნდაც გლეხ-

ბისათვის მიწა ღირებულების კანონის მიხედვით მიეცათ, საფრთხის თავიდან აცილება მაინც შეუძლებელი იქნებოდა და გლეხთა საკუთრება მჩაგვრელთა ხელში გადავიდოდა. სწორედ ესაა არის თავგორის კითხვისა—ვის უნდა მიეცეს მიწა? — რომც მიეცეთ, გლეხი მაინც შეიჩინეს და რა უნდა ელონოთ ამის წინააღმდეგ? დიდი ტოლსტოის რომანში „ადღგომა“ ამავე რიგის საკითხთან გვაქვს საქმე. რომანში გლეხებს მიწის მიღება სურს. მაგრამ ტოლსტოიმ თავად არც იცოდა, როგორ უნდა მომხდარიყო ეს და ამიტომ მისი გმირებიც უძლურნი არიან მემამულეთა წინაშე. და თუცა მწერალი საზოგადოების ცხოვრებაში ეძიებდა პასუხს ამ კითხვებზე, მან ვერ შეძლო მისი პოვნა. რასაკვირველია, კაპიტალისტურ საზოგადოებაშიც კი შეიძლება ისეთი კანონების შექმნა, რომელთა მფარველობით გლეხები არ დაკარგავდნენ თავიანთ მიწას, მაგრამ ეს ვერ განკურნავს მთავარ დაავადებას. გლეხობის უმრავლესობა მაინც იძულებული გახდება მიწა გაყიდოს და სოფლის პროლეტარიატად გადაიქცეს. ამ ამოცანის გადაწყვეტა მხოლოდ ერთ მეცნიერებას ხელწეიფება, რომელსაც მარქსიზმი ეწოდება და რომელიც გვასწავლის, რომ წყრილი მწარამოვლებების განთავისუფლება მხოლოდ პროლეტარიატის სოციალისტურ რევოლუციას შეუძლია. თავგორი ტოლსტოის მსგავსად ვერ ხედავდა მუშათა კლასის მნიშვნელობას. ისინი ორთავიანი გლეხობის დასტრიალებენ თავს, ორივე მხრეველდ ილაშქრებს გლეხების დამკირებისა და სილტაკის წინააღმდეგ, მაგრამ მათ ვერ შეიტყვევს და ვერც დაინახვს გლეხობაში დაფარული სასიცოცხლო და განმთავისუფლებელი ძალები. და თითქოს რაც უფრო გულმხურავლად ეკიდებოდა ისინი მიწის მუშაკთა მწარე ხვედრს, იმდენად შეუშინველი რჩებათ ამ ხალხის დიდი ძალა და შემართება მომავალი ბრძოლებისათვის. ერთი მაგალითია საყურადღებო: როდესაც 1927-28 წლებში აღმოსავლეთ ბენგალიაში გლეხთა მოძრაობა დაიწყო, თავგორი მას შეხვდა, როგორც ევროპის იდეალებზე შემწიკვამი „ყმაწვილკაცების გუნდის“ ამბობს. მათს ნათქვამს სულში არ უძევეს ფსევტი, მათი საქმე სისხლბოროტეული არ არისო — ფიქრობდა იგი, მაგრამ არც თავად შესწევდა ძალი, რაიმე ეთქვა გლეხთა განთავისუფლების თაობაზე და გულწრფელად აღიარებდა: „მე არ ვიცი ძალმისდ თუ არა ჭეშმარიტი პასუხის პერა, მაგრამ მოიწია ეჭმი, როდესაც ამ კითხვას პასუხი უნდა ვაეცეს“.

რადინდრანატ თავგორმა გვერდი არ აუარა და ძირფესვიანად განიხილა კონგრესის პოლიტიკური იდეალი. აი რას ამბობდა იგი მღიდრებისა და შემამულეების შესახებ, რომელთა პოლიტიკური მოღვაწეობა გლეხობის ინტერესებს სცილდებოდა: „ყველა ხედავს, რომ კონგრე-

სის შექმნის იდეა მაღალ წრეებში წარმოიშვა. მათი გაცულებული ყბედობის მიზანი შემამულეთა, მექარხნეთა და ვაჟართა ინტერესების დაცვა იყო და ერთი სიტყვაც არ დაუძრავთ გლეხობის თაობაზე.

კონგრესი მისი წარმოქმნის პირველ ხანებში მთავრობასთან თანამშრომლობდა, ხოლო შემდეგ კი „განდგომის მოძრაობა“ დაიწყო. აი, როგორ განმარტავს ამ პოლიტიკის ქეშმარიტ არსს თავორი: „მამინ ეს იყო პირველი ქმედობა და დასაწყისი, ახლა კი ეს ახირება და განშორებაა. მოქმედების ვარგანი სახე სხვა, მაგრამ მისი არსი კი არ შეცვლილა. ახლა უკვე თანდათან ჩამოწვა შვიი ღრუბელი, რომელმაც უჩინარ ჰყო კონგრესიც და ინვლისელებიც“.

როგორი იყო აზრი კონგრესისა, რომელიც მემამულეების, ფაბრიკანტებისა და ვაჭრების ზრახვებს გამობატავდა? ახლა ყველამ იცის ის ფაქტი, რომ ბენგალიაში გლეხობის წინააღმდეგ მძიმართულმა კონგრესის პოლიტიკამ ეროვნული ხასიათის სერიოზული სიძნელები გამოიწვია.

30-იან წლებში კონგრესი ბენგალიის საკანონმდებლო კრებაზე არ დათანხმდა, რომ გლეხობისათვის მიწის მისაღები უფლება მიეკუთვნებინათ. მანვე გლეხობას დააკისრა სწავლისათვის შემოღებული გადასახადის უშეტესი ნაწილი და მისგან მემამულეები გაანთავისუფლა.

ახალი ბენგალური კანონის მიხედვით, თუ გლეხი სამი წლის მანძილზე ფლობდა მიწას და არ დაამუშავებდა, სახელმწიფოს შეეძლო უკანვე წაერთმია იგი. გარდა ამისა, თუ უწინ მემამულის თანხმობა იყო საჭირო სხვა პირისათვის მიწის გადასაცემად, ახლა აქ განჩდა ეგროფორდებული „საბიუჯეტო მოხელე“, რომლის გარეშეც მიწის ყიდვა-გაყიდვა აღარ შეიძლებოდა. ამავ მოხელის ხელთ იყო ტყის გაჩეხვა, მორწყვის უფლება, რაც აღდრ მემამულეს ეკუთვნოდა. ცხადია, რომ ახალი კანონით გლეხობა გადაურჩა ძველ ბატონს, მაგრამ მას ახალი მბრძანებელი გაუჩნდა. თავორი ექვის თვალთ უცქერის ამგვარ ნაუბტათეც მკურნალობას და ამბობს, რომ „ეს ჯოჯოხეთი კვლავ გლეხის ზურგზე მოკალათდა. ახლა სახელმწიფო თავად იქცა მემამულედ, რადგანაც მასზე ფეოდალურ ელემენტებს

ექნებათ ზეგავლენა“. თავორის წინასწარმეტყველება სიტყვა-სიტყვით ახდა. ოლონდ აქ ერთი შენიშვნა გვამართებს: თავორს არ სწამდა საზოგადოების განკურნებისათვის სხვადასხვა გზათა არსებობა და მას არც ჰქონია ავადმყოფობის წინააღმდეგ ბრძოლის გამბედაობა. და აქ ჩვენ პირიქით, პროპორტო ჩოულდრის უნდა დავეთანხმეთ. იგი გვეუბნება: „თავორი ზუსტი და ცამდე მართალი იყო, როდესაც ამბობდა, ჩვენ კარგად ვუწყითო, რომ ერის ტყეილებს ვერ დააყურებს ის საშუალებანი, რასაც ექიმები „სიმპტომატურ მკურნალობას“ ეძახიან. მაგრამ მე იმ აზრისა ვარ, განაგრძობს ჩოულდრი, რომ ჩვენ შეგვიძლია ვებრძოლოთ მცირე სნეულეობათ, რადგანაც მათს შესახებ აიურვედებში არის ლაბარაკი. კაცს რომ ფეხს ეკალი დაუწყულეებს, თუ ძალვიმს ამოაძრე იგი; არ უნდა დაივიწყო, რომ სანამ საბოლოოდ გადაწყუდობდეს თეორიის ყველა ძირითადი საკითხი, მოქმედების შეწყვეტა მაინც არ შეიძლება“.

თავორი ამბობდა, რომ იგი მოელის გლეხობის პოეტს. მაგრამ სინამდვილეში თავად ძლიერ ახლო ღვას გლეხობასთან. ეს რომ ამგვარად არ იყოს, იგი ასე მწვავედ ვერ შეიგრძნობდა მათს ჰირვარამს. შემდგომი თაობის, განსაკუთრებით „ხმიერი ხანის“ მწერლობას ბევრად მეტი მანძილი აშორებს გლეხობას; „ხმიერი ხანისა“ და ეროტიული ლიტერატურის თავისებურება ის არის, რომ იგი დაცილებულია გლეხურ სინამდვილეს. საერთოდ კი ბენგალური ლიტერატურა მკიდროდ არის დაკავშირებული გლეხობის ცხოვრებასთან, იგი ზნირად ასახავდა ამ ცხოვრების სიმძიმეს, გლეხების მისწრაფებებს. ბენგალიაში მრავალი დიდი ადამიანი მოღვაწეობდა, რომლებიც მთელი სულითა და გულით განიცდიდნენ გლეხობის ბედ-იღბალს, მტკიცედ იმალეზდნენ ხმას უსამართლობისა და უფლებდობის წინააღმდეგ. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნით ისეთ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს, როგორიც არიან რამ მოზან რთი, ბონკიმ ჩონდრო ჩოტონაღია, დონობოდჰუ მიტრო, რომემ ჩონდრო დოტო და რამინდრანატ თავორი — ინდური ლიტერატურის თავაკი და მშენება.





## საგის საიუზიდი

### მიხაი ზიჩი საქართველოში

გასულ საუკუნეში ქართველმა ხალხმა ბევრი უტყობელი მეგობარი შეიძინა. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის დიდ უნგრელ მხატვარს მიხაი ზიჩის (1827—1906).

მიხაი ზიჩი მოღვაწეობდა უნგრეთსა და ავსტრიაში, ხოლო შემდეგში ცხოვრების დიდი ნაწილი რუსეთში გაატარა. იგი უნგრეთის ეროვნული მხატვარი, მაგრამ, ამასთან, მან დიდი კვალი გააუღო რუსული მხატვრობის ისტორიაში და მთელი სკოლაც კი შექმნა. მხატვრის დიდი ტალანტი ადრევე აღიარეს. 1858 წელს რუსეთში იმოგზაურა ცნობილმა ფრანგმა პოეტმა და მხატვარმა თეოფილ გოტიემ. მან, სხვათა შორის, ინახულა მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ზიჩის გამოფენა და აღფრთოვანებული სტრიქონები მიუძღვნა მის შემოქმედებას: „ჩვენ აღმოჩნდით ისეთი შედეგების წინ, — წერს ფაქიზი და დახვეწილი გემოვნების მქონე ფრანგი პოეტი, — რომლებსაც ვერ მიაწერ ვერც ერთ გამოჩენილ ოსტატს, თუმცა ცალკე ყველა მათგანისათვის მათზე ხელისმორწრა საბამაყო იქნებოდა... ახალი, ორიგინალური მხატვრული ხერხები, არაჩვეულებრივი გემოვნება, სიფაქიზე... მხატვართა პარაკეობაზე (თავყრილობაზე) პირველად ვნახეთ 30-32 წლის ახალგაზრდა — ზიჩი. გრძელი, აშლილი ქერა თმა, ცეცხლოვანი წყლისფერი თვალები, ღია ფერის, ოდნავ ხუჭუჭუა წვერი. მან საამური, წყნარი, რაკრაკა სიცილი იცის, სიცილი ბავშვისა.

გენიის გამჟღავნებას დიდი დრო არ უნდა, თუ ის გაბადია. ზიჩი კი მას ფლობს. იგი ერთ-ერთი იმ საოცარ პიროვნებათაგანია, რომლებიც 1830 წლიდან შემხვედრიანა.

მიხაი ზიჩი რუსეთში ცხოვრების პერიოდში (იგი წლების მანძილზე სამეფო კარის მხატვარი იყო) რამდენჯერმე ეწვია საქართველოსაც. მას ეკუთვნის კავკასიური სცენების შესანიშნავი სერია, ბატალური ბრძოლებისა თუ ენოგრაფიული ხასიათის ჩანახატები. როგორც ჩანს, იგი ადრევე იცნობდა მრავალსაუკუნოვან ქართულ კულტურას. მაგრამ საქართველოში

მოგზაურობამ მას ახალი სამყარო გააღწია. იგი ახლო გაცნო ჩვენს წარსულსა და აწმყოს, მოწინავე ქართველ მოღვაწეებს და მთელი გულით შეიყვარა ქართველი ხალხი. ეს დიდი სიყვარული მან ჩააქოვა „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებში, რომლებიც „ერთგულებისა და თანაგრძობის ნიშნად“ (ზიჩის სიტყვებით) მიუძღვნა ქართველ ხალხს. ზიჩიმ მეგობრობის ხელი გაუწოდა საქართველოს, რომელიც, მსგავსად მისი სამშობლო უნგრეთისა, ეროვნული ჩაგვრის მიძიმე დღეებს განიცდიდა. ზიჩის ერთ-ერთი ბიოგრაფი, უნგრელი მეცნიერი ბენილ ლასლონე პირდაპირ შენიშნავს, რომ ეს ფაქტი ბრწყინვალე ფურცელია ჰუმანიტი მხატვრის მოღვაწეობაში. შესანიშნავი ქართული ეპოსის დასურათება ზიჩის მიერ იყო ქეშმარტი ბელისწვეყობა ქართველი ხალხის კულტურული აღორძინების საქმეში (ეურნე). „ვენგერსკიე ნოვოსტი“, 1956 წ., № 3).

ჩვენს წიგნის თაროს ახლახან შეემატა ფრიად საყურადღებო მონოგრაფია. ცნობილმა მკვლევარმა და ხელოვნებათმცოდნე ბენ გორდუენამა გამოსცა წიგნი ქართველი ხალხის დიდ მეგობარზე, მხატვარ მიხაი ზიჩიზე, რომლის უანგარო ღვაწლით საფუძველი ეყრება უნგრული და ქართველი ხალხის წმინდა მეგობრულ ურთიერთობას.

მე-19 საუკუნის მიწურულს, როცა მომწიფდა „ვეფხისტყაოსნის“ ახალი მეცნიერული გამოცემის „უცილებლობა, ამ საქმეში ჩაება თითქმის ყველა მოწინავე ინტელიგენტი. ილია ჭავჭავაძის მეთაურობით წამოწყებულ იქნა დიდი და საშვილიშვილო საქმე; შეკრბულ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები და ქართველ მოღვაწეთა ჯგუფი გულმოდგინედ შეუდგა ტექსტის დამახინჯებული ადგილების აღდგენას. განზრახული იყო, რომ ეს გამოცემა გაფორმებითაც მხატვრულად სრულყოფილი ყოფილიყო. წიგნის შემკობა-მორთულობა დაევალა ცნობილ ქართველ მხატვარს გრიგოლ ტატიშვილს, ხოლო „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებისა-



თვის მოწვეულ იქნა გამოჩენილი უნგრელი მხატვარი მიხაი ზიჩი. მხატვარმა დიდი აღფრთოვანებით მიიღო მიწვევა და, მართლაც, მთელი თავისი ნიჭი და გამოცდილება ჩააქსოვა ამ საქმეს. 1888 წელს ქართველმა მკითხველმა მიიღო დიდი საჩუქარი — „ვეფხისტყაოსნის“ ახალი მდიდრული გამოცემა. თუ გრივოდ ტრავივალმა ქართულ მონუმენტურ არქიტექტურაზე დაყრდნობით საოცარი ხაზებით შეამკო ახალი გამოცემა, მიხაი ზიჩიმ სრულყოფილად შეძლო ჩასწვლადი პოემის სულს და ახალი ძალით ემტრეველებინა პოემის მარად ქართული სახეები. მართებულად შენიშნავს ამ გამოცემის თაობაზე ბენო ვორდუხანი: „ზიჩის რეალისტურმა სურათებმა რუსთაველის ქმნილება გაათავისუფლა ირანული მხატვრული სტილისაგან და „ვეფხისტყაოსნის“ დასურათება საერთაშორისო მხატვრული კულტურის გზაზე დააყენა“ (გვ. 54).

სხვა მხატვრულ ღირსებებთან ერთად ზიჩის სურათებში ჩვენ გვაოცებს ერთი შეხედვით თუნდაც მცირე დეტალი. მხატვარი ზედმიწევნით იცნობს პოემის შინაარსს და მისი ილუსტრაციები თავისუფალია თვით უბრალო ლაუსქებიდანაც კი.

ზოგიერთი მხატვარი ილუსტრატორი თხზულების სრულიად დამაჯერებელ სახეებს იძლევა, მაგრამ ბოლომდე არა აქვს დამუშავებული ნაწარმოების ყველა დეტალი და ეს აშკარა უხერხულობას ქმნის. მგონი პრესაშიც აღნიშნულია, რომ აშკარად არასასურველ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე, მაგალითად, ერთი თანამედროვე მხატვრის კომპოზიცია, როცა იგი ნესტანისა და ტარიელის ქაჯეთის ციხეში შეხვედრის დროს ტარიელს მუხარადიანად წარმოვედგენს.

ეს მართლაც შედარებით უმნიშვნელო დეტალია, მაგრამ არის შემთხვევა, რომ ასეთ წერილშიან „ჩაივარდნას“ შეუძლია სულ სხვა განათება მიანიჭოს ნაწარმოებს. სიტყვამ ჩამოაგდო და ისევე „ვეფხისტყაოსნის“ ერთ მაგალითზე მინდა შევიჩერდე. ცნობილია ირ. თოიძის ერთი კომპოზიცია — ტარიელის პირველი შეხვედრა ფრიდონთან: „ზახილი მესმა, შეხებდენ, მოყმე ამყად ყოიდა...“ კომპოზიციამ ვეფხის ტყაყაბიანი ტარიელი შორით ხელს უქნევს „შეცაიჭოსან მოყმეს. აქ არის დარღვეული ერთი ისეთი რეალია, რომელიც უძველად ეწინააღმდეგება პოემის მხატვრულ სინამდვილეს.

ვეფხის ტყავი პოემაში, როგორც ცნობილია, სახე-სიმბოლოა და მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. რუსთაველი თვითონვე ხსნის სახე-სიმბოლოს, როცა ტარიელის პირით ამბობს:

„რომე ვეფხი შევნიერი  
სახედ მისად დამისახავს,

ამად მიყვარს ტყავი მისი,  
კაბად ჩემად მომინახავს“

მკითხველს კარგად ემახსოვრება ის ეპიზოდი, როცა ხვარაზმშაპის ძის სიძედ მოყვანა გადაწყვიტეს ნესტანის შშობლებმა. ნესტანი საშინლად არის განრისხებული ტარიელზე, რომელიც წინ ვერ აღუდგა მათს წინასწარ განაზრახს. ნესტანი თავისთან მოიხმობს მიჯნურს და აქ არის დახატული მშვენიერი პოეტური სურათი:

„ქვე წვა, ვით კლდისა ნაპარასა  
ვეფხი პირ-გამეხებული“.

მრისხანე ნესტანის სახე, რომელიც მას გამძვინვარებულ ვეფხს აგონებდა, სამუდამოდ აღიბეჭდა ტარიელის გრძობა-გონებაში. და როცა უშედეგო ძიების შემდეგ ტარიელმა საბოლოოდ დაკარგა ნესტანის ნახვის იმედი, როცა მან გადაწყვიტა სამუდამოდ განსორბოდა კაცთა სამყოფელს, იგი ნიშნად ნესტანის ხსოვნისა ვეფხის ტყავით იმოსება და უდაბნოში დაისადგურებს. ტარიელი უყვება ავითანდის, რომ „აბა, ძმაო, მაშინდლითგან აქა ვარ და აქა ვკვდებიო“. ვეფხის ტყავი ტარიელისათვის უპვირფასესი განძი და უდაბნოდ გაჭირილი მიჯნურის განუშორებელი თანამგზავრია. ახლა გავიხსენოთ ზემოთ ნახსენები კომპოზიცია. ვეფხის-ტყაოსანი ტარიელი ფრიდონს ხელს უქნევს. ვინც პოემის შინაარსს კარგად იცნობს, მისთვის ნათელია, რომ ამ დროს ტარიელს ჯერ კიდევ იმედი არ დაუკარგავს. იგი ფრიდონთან ერთად ერთხელ კიდევ ედის ნესტანის პოვნას, მაგრამ კვლე უშედეგოდ, და ბოლოს იმედგაცრუებულად გველად გაიჭრება. მაშასადამე, ამ დროს (ფრიდონთან შეხვედრის დროს) ტარიელი ჯერ კიდევ არ იყო შემოსილი ვეფხის ტყავით. როგორც ვხედავთ, აქ უბრალო, ერთი შეხედვით „უმნიშვნელო წერტილი“ არღვევს პოემის იდეური შინაარსის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოტივს: უდაბნოში გაჭირილი ტარიელისათვის ვეფხის ტყავი სამუდამოდ დაკარგული ნესტანის სახე-სიმბოლოა და სასოწარკვეთილი მიჯნურის განუყრელი თანამგზავრია.

ზიჩის, როგორც მხატვარი-ილუსტრატორის, ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი მისაღის დეტალური დამუშავებაა. უნგრელი მეცნიერები არაერთ მაგალითს ასახელებენ, თუ როგორი გულმოდგინებით მუშაობდა მხატვარი-ილუსტრატორი მიხაი ზიჩი. განცვიფრებას იწვევს ზიჩის ის მდიდარი ეთნოგრაფიული თუ სხვა სახის კოლექცია, რომელიც გამოყენილია ბუდაპეშტში. მაგრამ ამ შემთხვევაში მხატვარს გართულელებული ვითარება ჰქონდა. ქართული ენის არცოდნის გამო იგი ვერ გაეცნობოდა „ვეფხისტყაოსნის“ (ამ დროს არც ერთ ენაზე არ არსებობდა პოემის სრული თარგმანი). ბენო ვორდუხანი წინამდებარე წიგნში განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ამ მომენტზე და გვა-

წვდის საინტერესო მასალებს. ქართველი მოღვაწეები, როგორც ჩანს, ყოველმხრივ ეხმარებოდნენ მოწვეულ მხატვარს, რომ მას გადაეღობა ხელისშემშლელი ზღუდეები. იმ ხანებში, როცა ზიჩი მუშაობდა პოემის ილუსტრაციებზე, როგორც თბილისში, ისე სხვა ქალაქებში იმართებოდა ცოცხალი სურათები ვეფხისტყაოსნის მიხედვით, მხატვარი ამ დროს არა მარტო ტიპებს არჩევდა მომავალი ილუსტრაციებისათვის, არამედ აზუსტებდა კომპოზიციის სხვადასხვა ვარიანტებსაც. უმჯობესია, რომ ამ დროს მისი კონსულტანტები „ვეფხისტყაოსნის“ კარგი მცოდნენი იყვნენ.

მაგრამ ეს, რასაკვირველია, არ დააკმაყოფილებდა ისეთ სერიოზულ მხატვარ-ილუსტრატორს, როგორც ზიჩი იყო. და აი, ილია ჭავჭავაძის წინადადებით გადაწყდა, რომ პოემა თარგმნილიყო რომელიმე ევროპულ ენაზე. ასეთი თარგმანი გარდა თავისთავად მნიშვნელობისა, დიდ დახმარებას ვაუწყებდა მხატვარს, რომ იგი საფუძვლიანად ჩასწვლილიყო ქართულ ეპოსს. როგორც ცნობილია, ეს საპატიო დავალება იყისრა იონა მეუნარგიამ და, მართლაც, სულ მალე პეტერბურგში მყოფ ზიჩის ხელთ ჰქონდა მეუნარგისავე დრამატული თარგმანი.

თუ როგორ გულმოდგინებით მუშაობდა იონა მეუნარგია პოემის თარგმნაზე, ამას მოწმობს მისი წერილი ნიკო ნიკოლაძისადმი, რომელიც ამ დროს პეტერბურგში იმყოფებოდა: „მეირფასო ძმობო ნიკო! როგორც ეს წიგნი მოგივიდეს, უთუოდ ამ დღესვე ამ მეორე დღეს მიიწვი ზიჩისთან მიდი. ეს ხუთი დღეა გამიგზავნი მისთვის სურათები და თარგმანი, და ცალკე წერილში მიგწერეთ, ნიკოლაძე მოვა და თუ რაიმე საკითხი იქნეს, იმას უთხარი-თქო... არ ვიცი, შენ იცი, რასაც ეტყვი თარგმანზე, შეემაგინე, რამდენიც გინდა, მხოლოდ წიგნის დიდება არ დაუტყვიო იმას, თორემ გულს აიყრის. უთხარი, რომ ჯერ თარგმანს ბევრი შესწორება სჭირია-თქო, მთარგმნელი ამირებს კიდევ ორი-სამი თვე ზედ იმუშაოს-თქო. ახალი ამბავი, დიდი, დიდი ამბავი ეს გახლავს, რომ გუშინწინ მოვიდა რენანის წერილი. სწერს, გამოგზავნე თარგმანი და მე პარიზის აზურ საზოგადოებას წარუდღედე... ზიჩისაც უთხარი ეს ამბავი. აჭურობა ისევე ისეა, როგორც დასტოვე, მურომე (ფრანგი ჟურნალისტი) ზაპლა წაიღო... ბარონი სუტნერი სამეგრელოში, ჩემ სოფელში (სოფ. ცაიში) მიმყავს ამ დღესასწაულებზე და აქ გვინდა ერთად და შევედგა გადავიკითხოთ და გვაესწოროთ თარგმანი...“ (16 დეკემბერი, 1884 წ.). რამდენიმე ხნის შემდეგ მეუნარგია კიდევ შეახსენებს ნიკო ნიკოლაძეს: „ძმობო ნიკო! ეს ორი კვირაა ქალაქიანად (თბილისი) წამოხლული ვარ და არ ვიცი, მიგეწერია თუ არა რაიმე პასუხი ან ჩემთვის, ან ილიასათვის შესახებ „ვეფხისტყაოსნისა“ და ზიჩისა... რო-

გორც გაცნობე ამას წინათ, მე სუტნერი სოფელში ჩამოვიყვანე და აქ ხელმეორედ შევედღე თარგმანს, უფრო უმეტესის დაკვირვებით და სინდისით. ჯერ უკანასკნელს რედაქციას ვადგენ ფრანგულად, მერე იქვე ნემანცურად თარგმნი წიგნს. ეს ორი კვირა დღე-ღამე ვმუშაობთ და, როგორც იყო, ერთს მეოთხედს მოვეუდეთ ბოლო“...

მეუნარგიას ამ თარგმანმა ასევეცად გაუადვილა მუშაობა მხატვარს და საშუალება მისცა ღრმად და საფუძვლიანად ჩასწვლილიყო პოემის სულსა და გულს. სხვათა შორის, ამ თარგმანის ერთი პირი მეუნარგიას შემდეგში რუსი პოეტის ბალმონტისათვის გადაუცია. უმჯობესია, ეს თარგმანი იყო ერთ-ერთი მთავარი გზამკვლევი ბალმონტისეული რუსული თარგმანის შესრულების დროს. სამწუხაროდ, მეუნარგიას ეს თარგმანი არ დაეკვლილა და უფრო სამწუხარო ის არის, რომ ეს თარგმანი ამჟამად დაკარგულად ითვლება. პირადად მეც მომიხდა ამ თარგმანის ძებნა რუსეთის წიგნთსაცავებში და მუზეუმებში, მაგრამ ამაოდ — არც მოსკოვში და არც ერმიტაჟში, სადაც ინახება ნაწილი ზიჩისეული კოლექციისა, ეს თარგმანი არ მოიპოვება. მე ვფიქრობ, იგი იქნებ აღმოჩნდეს ან ბუდაპეშტში არსებულ ზიჩის კოლექციაში, ან პარიზში, თუკი გადარჩენილია ბალმონტისეული ბიბლიოთეკა.

ამ თარგმანის მიღების შემდეგ საქმე სწრაფად წავიდა წინ. 1888 წელს ქართველმა მეოთხეულმა მიიღო ვეფხისტყაოსნის ქართველმწიფილიეული მდიდრული გამოცემა. აღსანიშნავია, რომ უცხოეთში სურათების ცინკოგრაფიული დამუშავება თვით ზიჩიმ შეუყვება, ხოლო საქართველოში ბექვლისა და რედუციის მძიმე ტვირთი ივანე მაჩაბელმა იყისრა. თუ როგორი მაღალი პოლიგრაფიული ღირსებისაა ეს გამოცემა, საკმარისია ერთი ფაქტი გავიხსენოთ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ რამდენიმე წლის შემდეგ ვეფხისტყაოსნის ეს გამოცემა გაგზავნა ქ. მინსკში გუტენბერგის საიუბილეო გამოფენაზე, მაინცის ქალაქის თავმა ასეთი შინაარსის წერილი გამოგზავნა: „ეს მშვენიერი საწუქარი სასახლოა ქართული გუბანიისთვის და სამუდამოდ უნდა დარჩეს გუტენბერგის ქალაქში“.

ზიჩიმ კიდევ ერთი დიდი ღვაწლი დასდო ქართულ კულტურას. როგორც ცნობილია, სწორედ ზიჩის შთაგონებით შესდგომა ცნობილი უნგრელი პოეტი-მეცნიერი ბელა ვიკარი „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანს. საინტერესო ცნობებს გვაწვდის უნგრელი ხელოვნებათმცოდნე პალმა შელგენი, რომელსაც ერთ-ერთ ხელნაწერთა საცავში უნახავს ბელა ვიკარის ხელით შესრულებული ქართული ენისა და გრამატიკის წიგნები: „როდესაც ამ რეუელს ვფურცლავდი, მე მომიგონდა ის, რასაც ბელა ვიკარი მიყვებო-



და ორმოციან წლებში იმის შესახებ, თუ როგორ სწავლობდა ის ქართულ ენას. მან მოთხრა, რომ მისი პირველი მოგზაურობის დროს ფინეთში 1899 წელს ინახულა ჩვენი გამოჩენილი მხატვარი მიხაი ზიჩი, რომელმაც იგი მიიღო პეტერბურგის ახლოს, მიწვევისას ზიჩიმ უჩვენა მის 1888 წლის „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემა, რომანი ლექსად, 27 ილუსტრაციით. ეს ჩემი საუკეთესო ილუსტრაციებია, მე გთხოვთ თქვენ ვადთარგმნოთ ეს წიგნი უნგრულ ენაზე, — მოთხრა ზიჩიმ“. ბელა ვიკარმა რამდენიმე წლის შემდეგ მართლაც დირექტულად შეასრულა დიდი მხატვრის გულითადად თხოვნა.

ბენო გორდუზიანის ამ წიგნში განსაკუთრებული ინტერესით იკითხება ის თავები, სადაც მოთხრობილია ზიჩის მიერ ილუსტრაციებისათვის ტიპაჟის შერჩევის ამბები. ზიჩი არაჩვეულებრივი რეჟისორული ადღოთი ე. წ. ცოცხალი სურათების ფორმით ქმნიდა სხვადასხვა ხასიათის კომპოზიციებს და მომავალი ილუსტრაციების პროტოტიპებად გამოყავდა ქართული ქალები და მამაკაცები. ირკვევა, რომ პოემის რომელიმე შთავარი სახის შექმნისათვის მხატვარი რამდენიმე სხვადასხვა პროტოტიპს იყენებდა. მაგალითად, ნესტორის სახის დადგენისათვის მას თბილისის დადგმულ ცოცხალ სურათებში გამოუყვანია ნ. ორბელიანის ასული, ქუთაისში — ფაღავას ქალი და ა. შ. განსაკუთრებით დიდი მუშაობა მხატვარს გაუწევია ტარიელის პროტოტიპის შერჩევის დროს. თბილისში იგი ჯერ ბაბათაშვილზე შეჩერებულა, ხოლო შემდეგ დავით მიქელაძეზე (ცნობილია მეველეს ფსევდონიმით), ხოლო რუსეთში წასვლის შემდეგ — ქართველ მხატვარ დავით გურამიშვილზე, რომელიც ამ დროს პეტერბურგში იმყოფებოდა. შალვა დადიანის გადმოცემით ზიჩიმ ტარიელის სახის შექმნის დროს ყველაზე უფრო მეტი აიღო ცნობილი პოეტისა და მოღვაწის გიორგი შარვაშიძისაგან, რომელიც გამოირჩეოდა თავისი ექვაკუბო იერით, სილამაზითა და ჭკვიანი სახით. ზიჩი მას თვლიდა საუკეთესო ქართველ ტიპად. აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია შენიშნავს: „გიორგი შარვაშიძის მოქცევისა და ზრდილობის ძველებურ წესებს სავალდებულო ნიშნულად სთვლიდნენ. ფიზიკურადაც ის საუკეთესო ტიპი იყო, საყოველთაოდ განთქმული სილამაზისა... ზიჩი შარვაშიძეს ულამაზეს კაცად სთვლიდა თურმე. ტარიელის ხორციელი განსახიერებისათვის უფრო შესაფერ ობიექტს ვერ პოულობდა“. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო დიდი ხელოვანისათვის, ზიჩი სრულიადაც არ იზღუდებოდა პროტოტიპების ზუსტი განსახიერებით. მან ქეშმარიტ განზოგადებამდე აიყვანა თვითველი სახე და მიგვცა „ვეფხისტყაოსნის“ ტიპაჟის შესანიშნავი მხატვრული გალერეა.

ზიჩის მოღვაწეობის ყოველმხრივი შესწავლის შემდეგ ირკვევა სრულიად ახალი მომენტები. ბენო გორდუზიანის მოსაზრებით „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრირების გარდა ზიჩის სხვა დამსახურებაც მიუძღვის ქართული კულტურის წინაშე. მე აქ არ ვგულთსხმობ საქართველოს ბუნებისა და თუ ისტორიული ძეგლების მხატვრულ ჩანახატებს. არც იმ საინტერესო მეგობრულ შარყებს, რომლებიც ზიჩის მიუძღვნია „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ფრანგულად მთარგმნელის იონა მეუნარგიასადმი (ისინი ინახებიან ზუგდიდის მუზეუმში და ყარგი ექნებოდა წიგნის ავტორს რამდენიმე მაინც მოეტანა ნიმუშად).

ცნობილია მ. საბინინის მიერ გამოცემული შესანიშნავი წიგნი „საქართველოს სამოთხე“, რომელშიაც ქართველ წმიდანთა ცხოვრების აღწერასთან ერთად მოთავსებულია მათი მხატვრულად სრულყოფილი სურათები. ისინი წიგნის შემდგენელს მ. საბინინს გადმოუღია ძველ ქართული მხატვრების ფრესკებიდან და პეტერბურგში დაემუშავებია საბოლოოდ. სხვადასხვა საყურადღებო ცნობების მოშველიებით ბენო გორდუზიანი არკვევს, რომ ამ ილუსტრაციების საბოლოო დახვეწა და სტილიზაცია სწორედ მიხაი ზიჩის უნდა ეკუთვნოდეს. ამას საბოლოოდ გაარკვევს ამ სურათების მხატვრული ანალიზი და, თუ ბ. გორდუზიანის ეს ვარაუდი გამართლდა (ჩვენ იგი სარწმუნოდ მიგვაჩნია), ამით სრულიად ახალი ფურცელი იშლება მხატვრის ბიოგრაფიაში.

წიგნში სხვა საკითხთან დაკავშირებით არის გამოთქმული მეორე ვარაუდიც. ბ. გორდუზიანის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრირების იდეა ზიჩის უცხოეთში დაებადა, როცა პარიზში იმყოფებოდა. მხატვარს აქ გაუცვია როგორც ფრანგი (პიუგო, გოტიე) ისე ქართველი მოღვაწეები (მაგალითად, იონა მეუნარგია და სხვ.) და მათი შთაგონებით გადაუწყვეტია ქართული ეპოსის ილუსტრირებაო. პიუგოსა და გოტიესაგან ის, რასაკვირველია, ვერავითარ შთაგონებას ვერ მიიღებდა, რადგანაც ცნობილია, რომ, მაგალითად, პიუგოს ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა ქართულ პოეტურ კულტურაზე. ხოლო დაბეჭდვითებით შეიძლება ითქვას, რომ პარიზში მყოფი იონა მეუნარგია არ იცნობდა ზიჩის (ბ. გორდუზიანის ეს დასაშვებად მიაჩნია), თორემ იგი თავის დღიურებში, რომლებშიაც აღწერს სულ აქვს ამ დროის თითქმის ყოველი წერილობრივი კი, უმკველად მოიხსენიებდა ზიჩისთან შეხვედრას. ბ. გორდუზიანის მისი პიპოთეზის სასარგებლოდ მოაქვს 1881 წლის გაზეთ „დროების“ ცნობა ზიჩის ჩამოსვლის შესახებ. ცნობიდან ირკვევა სწორედ საწინააღმდეგო. აქ პირდაპირ არის აღნიშნული (ახალ ამბებში), რომ ზიჩი საქართველოში ჩამოვიდა გარკვეული

1 იხ. ზუგდიდის მუზეუმის შრომები, ტ. I, გვ. 134.



განზრახვით, რათა შეესწავლა ლერმონტოვის „დემონში“ აღწერილი ქართული გარემო და შეერჩია ტიპაჲი. ამავე ახალ ამბებში სრულიად დამოუკიდებლად, ცალკე ცნობად არის აღნიშნული, რომ ქართული წარმოდგენის ერთ-ერთ დამატებად ნაჩვენები იქნება ცოცხალი სურათები „ვეფხისტყაოსნიდან“. გვიც არ უნდა შეგვაბაროს, რომ გაზეთი „დროება“, რომლის თანამშრომლები იყვნენ ერთ-ერთი ინიციატორნი „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის მომზადებისა, აქვე აღნიშნავდა, რომ ეს ცოცხალი სურათები ზიჩისათვის არის განკუთვნილი და ა. შ. ფაქტია, რომ ამ დროს „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრირებისათვის ზიჩის მოწვევა ჯერ კიდევ განზრახულიც კი არ იყო. ზიჩი საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, ქართველ მოწინავე მოღვაწეთა შთაგონებით ჰკიდებს ხელს ამ დიდ საქმეს.

ჩვენ ზემოთ მოვიტანეთ ერთი ადგილი ბ. გორდეზიანის წიგნიდან, სადაც ზოგად ხაზებში სრულიად მართებულად არის შეფასებული

ზიჩის ილუსტრაციების ღირსებები. მაგრამ აქ შეიძლება ვუსაყვედუროთ ავტორს. წიგნში შეიძლება კონკრეტული მხატვრული ანალიზით უფრო ნათლად წარმოგვეჩინა ამ ილუსტრაციების ღირსება-ნაკლოვანებები და ეს მით უფრო, რომ, როგორც ცნობილია, ერთ დროს არაერთი ყალბი შეხედულება გამოთქმულა ზიჩის „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების გამო.

ზიჩის სახელი, როგორც აღენიშნეთ, უკონობი შარავანდედიტაა მოსილი მხატვრის სამშობლოში. ამ ბოლო ხანებში უნგრეთში მრავალი წიგნი და მონოგრაფია დაიწერა გამოჩენილ მხატვარზე. ზიჩის უანგარო ღვაწლი, რომელიც მან გაიღო ქართული კულტურის აღორძინების საქმეში, უეჭველად იმსახურებდა, რომ ჩვენშიაც დაწერილყო შემაჯამებელი ხასიათის მონოგრაფია. ბ. გორდეზიანის წიგნი აცებს ამ მხრივ არსებულ ხარვეზს და კარგად გვიჩვენებს იმ კაცის ცხოვრებას, რომელმაც მისთვის შორეულ ქვეყანაში ახლობელი მეგობრის სახელი დაიმკვიდრა.





## ივანე სურგულაძე

### საქურადღებო მეცნიერული ნაშრომი

შ. მესხიის შრომა „ქალაქები და საქალაქო წყობილება XVII—XVIII სს საქართველოში“ მნიშვნელოვანი მეცნიერული მონოგრაფიაა, რომელიც ავსებს ხარვეზს საქართველოს ისტორიის ისეთი საყურადღებო საკითხის შესწავლის საქმეში, როგორც არის საქალაქო ცხოვრება.

შრომა ემყარება პირველ წყაროებს: საარქივო მასალას, არქეოლოგიურ მონაცემებს, მოგზაურთა ჩანაწერებს და სხვ. შრომა აგებულია სწორ მეთოდოლოგიურ საფუძველზე. მონოგრაფიაში მოცემულია საქართველოს ქალაქების გაბმული ისტორია უძველესი პერიოდებიდან XIX საუკუნემდე.

წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მონაცემების ანალიზის საფუძველზე ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ძვ. წ. VI—IV საუკუნეების საქართველოში სოფლის მეურნეობიდან ხელსნობის გამოყოფამ, შინაგანი და გარეგანი ფაქტორების განვითარებამ, კლასების და სახელმწიფოს წარმოშობამ განაპირობა ციხე-ქალაქების წარმოშობა და განვითარება.

საქართველოს მონათმფლობელური ქალაქები, სარეცენზიო შრომის ავტორის მართებული დასკვნით, წარმოადგენდა სიმაგრეს, აღმინსტრაციულსა და სავაჭრო-სახელოსნო ცენტრს. მონათმფლობელობის პერიოდის ასეთი ქალაქები იყო: არმაზი, მცხეთა, ხუნანი, რუსთავი, კასპი, ურზნისი, სარკინე, ოძრხე, სამშვილდე, ციხეგოჯი, აია, ეგრი, ვანი და სხვა (გვ. 25-26).

აღრე ფეოდალურ პერიოდში საქართველოში წარმოიშვა ქალაქები: თბილისი, უჯარმა, ხორანბუჯი, ქუთაისი, ვარდციხე, მუხირისი, ვაშნარი, პეტრა და სხვა (გვ. 32). ხოლო VIII—X საუკუნეებში წარმოიშვა: დმანისი, აბტანუჯი, ახალქალაქი, ოლთისი, თმოგვი, ახალციხე და თელავი (გვ. 38).

სარეცენზიო შრომაში დასაბუთებულია, რომ

XI—XII საუკუნეების საქართველოში განავრცობენ არსებობას და განვითარებას წინაპერიოდის რამდენიმე ქალაქი, ამასთანავე, წარმოიშვა ახალი ქალაქებიც. ამ პერიოდში ცნობილი იყო შემდეგი ქალაქები: თბილისი, რუსთავი, გორი, ეინვანი, დმანისი, ახალქალაქი, ახალციხე, თმოგვი, სამშვილდე, ოძრხე, ხუნანი, თელავი, ქუთაისი და სხვა (გვ. 46).

ავტორის აზრით მონოლოგების ბატონობამ ხელი შეუშალა საქალაქო ცხოვრების განვითარებას საქართველოში, მრავალი ქალაქი მონოლოგების ბატონობის პერიოდში მოიხპოკიდევ, მაგრამ მრავალმა ქალაქმა (თბილისი, ქუთაისი, დმანისი, ახალციხე) შეინარჩუნა თავისი მნიშვნელოვანი როლი საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში (გვ. 53).

სარეცენზიო შრომის ავტორი აღნიშნავს XIII საუკუნის საქართველოში სავაჭრო ამხანაგობათა („ურტალი“) არსებობას. სათანადო მასალის ანალიზის საფუძველზე ავტორი არკვევს სავაჭრო ამხანაგობათა მნიშვნელობას, მათ შემადგენლობას. ავტორი მართებულად აქცევს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ სავაჭრო ამხანაგობაში მონაწილეობას ღებულობდნენ ფეოდალური არისტოკრატის წარმომადგენლებიც (გვ. 68—69).

ავტორის აზრით, XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში, განსაკუთრებით მის აღმოსავლეთ ნაწილში, შეიქმნა შედარებით ხელსაყრელი ვითარება საქალაქო ცხოვრების განვითარებისათვის. ავტორი დაწვრილებით განიხილავს XVII—XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ქალაქების განვითარების ისტორიას და არკვევს იმ როლს, რომელსაც ქალაქები ასრულებდნენ ამ პერიოდის საქართველოს ისტორიაში.

შრომაში ნაჩვენებია ახლად წარმოშობილი ქალაქები, აგრეთვე ძველი ქალაქები და ამასთანავე, შესწავლილია ის მიზეზები, რამაც გა-



მოიწვია მთელი რივი ქალაქების მოსპობა ან სოფლებად გადაქცევა.

სარეცენზიო შრომაში დაწვრილებით არის შესწავლილი ქალაქების სოციალური აღნაგობა და საქალაქო წყობილება. შრომაში შედარებულია ერთმანეთთან საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდის ქალაქების სამოხელეო წყობილება და ნაჩვენებია ის განსხვავება, რომელსაც განიცდის ესა თუ ის სახელო შენაარსის მიხედვით. ამასთანავე, შრომაში შესწავლილია ახალი სახელოები, რომლებიც წარმოიშვნ XVII—XVIII საუკუნეების საქალაქო წყობილებაში.

წერილის მოცულობა არ გვაძლევს საშუალებას დაწვრილებით შევჩერდეთ შრომის დადებით მხარეზე, აღვნიშნავთ მხოლოდ რომ ის ძვირფასი განძია ქართული ისტორიოგრაფიისათვის.

ამასთანავე, ჩვენ გვინდა რამდენიმე შენიშვნა გამოვთქვათ:

1. ავტორი ეხება ლეონტი მროველის ცნობებს ქალაქების წარმოშობის შესახებ. ლეონტის აზრით საქართველოში ქალაქები და ქალაქ-სიმაგრეები წარმოიშვნ ქართველების ეთნარქის ქართლოსის დროიდან. „ავტორი არ ეთანხმება ლეონტი მროველს, რადგანაც გვაროვანი წყობილების დროს არ იყო და არასებობდა ქალაქების წარმოშობის ეკონომიური და სოციალური პირობები“ (გვ. 9-10). სარეცენზიო შრომის ავტორი, რასაკვირველია, მართალია იმაში, რომ გვაროვანი წყობილების დროს არ იყო სათანადო პირობები ქალაქების წარმოშობისათვის, მაგრამ ლეონტი მროველის კრიტიკა კი არ არის სწორი. საქმე იმაშია, რომ ლეონტის კრიტიკით, ავტორი ლეონტისაგან თანამედროვე, მეთოდოლოგიურად მართებული ცნებებით აზროვნებას მოითხოვს. ლეონტი, მართალია, არჩევს ერთმანეთისაგან მეფობისა და მამასახლისის ხანას, მაგრამ რა შინაარსს სდებს „მამასახლისობაში“ ეს არ ჩანს.

2. სარეცენზიო შრომის ავტორი ეხება XV საუკუნის საქართველოს მიმეც გეონომიურ მდგომარეობას, მწარმოებელი კლასის შემციობებას, რიცხოვრებ დისპროპორციას მწარმოებელ კლასსა და ფეოდალებს შორის, რის გამოც ფეოდალების მიერ შემოღებულ იქნა ახალი გადასახდელები, რომლებმაც ისეთ ზონას მიიღწია, რომ შეიქმნა „სერიოზული საშინაო შრომა შრომის პირობების აღწარმოებისათვის“<sup>1</sup>. მარქსი და ენგელსი ისეა დამოწმებული, თითქოს ისინი საქართველოს შესახებ სწერდნენ. ასეთი შემთხვევა სხვაც არის.

3. გადასახადი მახტის შესახებ ავტორის გამოყენებული აქვს მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისის საბუთები და ძირითადად იკვლევს იმას, თუ როგორ ნაწილდებოდა ეს გადასახადი თბაღისში. ავტორი წერს: „თბილისში მახტას იძლეოდნენ მოქალაქეები, ხოლო სხვა ქალაქებში ყველა სახელმწიფო ვაჭრები და ხელისნები“ (გვ. 195). ამასთანავე, ავტორს, დავით ბაგრატიონზე მითითებით აღნიშნული აქვს, რომ ქალაქებში მახტას იღებდნენ ფულით, ხოლო ცალკეული პროვინციები პურიით (გვ. 193). მაგრამ დავითს მახტის გადასახდელები ასე აქვს ჩამოთვლილი: თბილისი, ყაზახი, შამშადილი, გორი, თელავი, სიღნაღი, ბორჩალო. «Помбаков, Демурчианов, Кахети, Зели и Хурда-оймаги».

სარეცენზიო შრომაში არ არის გამოკვეთული თუ რას ნიშნავს ეს ჩამოთვლა, ვის ახდენენ იღებდნენ კახეთში ამ გადასახდელს და სხვა. ავტორი, არ არის შრომაში გამოკვეთული თუ რას ნიშნავს იოანე ბაგრატიონის ასეთი ცნობა: მახტის გასაწერად, წერს იოანე, „რაოდენნიცა არიან კომლინი სომეხნი, ფრანგნი, ურიანი და თათრები აღირიგებენ სრულიად საქართველოსა შინა და განიყვენ სამ ხარისხად“; პირველ „ხარისხს“ შეეწეროს ოთხი თუმანი მახტა, მეორეს — ორი თუმანი, მესამეს — ერთი თუმანი, ხოლო ამათხედ კიდევ დაბალთა ხუთი მინალთუნი და კიდევ დაბალთა ორი და ათი შური“<sup>2</sup>. მართალია ეს იოანეს შრომა პროქტია, მაგრამ გადასახდელის გაწერა სინამდვილეს უნდა შეეფერებოდეს. იოანეს შრომიდან მოტანილი ადგილის მიხედვით მახტა მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის მიხედვით ნაწილდება და ის „სრულიად საქართველოსა შინა“ გასაწერი გადასახდელია.

„დასტურლამალის“ მიხედვითაც ეს გადასახდელი მხოლოდ თათრების ელვასათვის არის ვთვალისწინებული და ის ფულადია (დავით ბაგრატიონის ცნობაზე დაყრდნობით სარეცენზიო შრომის ავტორი აღნიშნავს, რომ მახტა „პროვინციებში“ პურით გადასახდელი იყო).

გარდა ამისა, არის საბუთი იმის შესახებ, რომ მირიან ბატონიშვილის სოფელ ქაფანაქის მცხოვრებნი მირიანის სასარგებლოდ მახტას იხილდნენ. პროფ. შ. მესხიას აზრით კი, ამ

<sup>1</sup> დავით ბაგრატიონი, საქართველოს სამართლის და კანონმდენეობის მომხილვა, 1959, § 260.

<sup>2</sup> იოანე ბაგრატიონი. სჯულდება, 1957, გვ. 6, § 6.

<sup>3</sup> „საქართველოს სიძველენი“, ე. თაყაიშვილის რედაქციით, ტ 1, გვ. 330.



გადასახდელს მხოლოდ მოქალაქეები და სახელმწიფო ვაჭრები იხდიდნენ.

ამასთანავე, 1738 წლის ერთი საბუთის მიხედვით, ნიკოლოზ ურბნელი წერს არზას მეფისადმი: „რუსი ცოტა რამ ნასყიდი მამული მაქვს და იმისი მახტაც ჩემზე სწერია და ერთის რაჟმის წყალობა მიყავით, რაც რუსის ჩემი ნასყიდი მამული იყოს, იმისი ღალა-კულუბი მე ავიღო“<sup>1</sup>.

ამგვარად, პროფ. შ. მესხიას არ აქვს მახტის შინაარსი სათანადოდ გამორკვეული.

4. სათანადოდ არაა შესწავლილი აგრეთვე გადასახდელი მალი. პროფ. შ. მესხიას აზრით, მალი ქალაქის გადასახდელია; ამასთანავე, მისივე აზრით „დასტურლამალში“ მალი მხოლოდ თბილისისა და გორის დებულებაში არის გათვალისწინებული (გვ. 198). არც პირველი და არც მეორე მოსაზრება არაა სწორი:

დავით ბაგრატიონი წერს: «Вообще, на всякий дым, как в городах, так и в селениях и в деревнях, безисключительно полагаются мали»<sup>2</sup>.

რაც შეეხება „დასტურლამალს“, ამ ძეგლის მიხედვით, თბილისისა და გორის გარდა, მალი გათვალისწინებულია მთელი რიგი სოფლებისათვისაც: „დილოში<sup>3</sup>, წინწყარო<sup>4</sup>, შუა ბოლნისი<sup>5</sup>, ბოლნისი<sup>6</sup>, შულავერი და თეთრი სოფელი<sup>7</sup>, ოფრეთი<sup>8</sup>, ალიეკი<sup>9</sup>, ტაშირი<sup>10</sup>, სამშვილდე<sup>11</sup>, ყაიყულის<sup>12</sup> და სხვ.<sup>13</sup>“

<sup>1</sup> „საქართველოს სიძველენი“, ე. თაყაიშვილის რედაქციით, ტ. 1, გვ. 330.

<sup>2</sup> დავით ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა და კანონმდებლობის მიმოხილვა, 1959, გვ. 266, § 260.

<sup>3</sup> „დასტურლამალი“, გვ. 26, § 52.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 115, § 17.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 116, § 18.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 18, § 35.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 97, § 209.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 117, § 19.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 7, § 15.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 83, § 173.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 76, § 158.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 10, § 23.

<sup>13</sup> დაწერილებით ამის შესახებ იხ. ჩვენი წერილი: „სახელმწიფო გადასახადები ქართლის საჟფოში მე-18 საუკუნის დასაწყისში“ (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI. 1952).

5. „დასტურლამალში“, გადასახდელი საურით გათვალისწინებული იყო შაჰისათვის საჩუქრის გაგზავნა. საურის ნაცვლად ქალაქი თბილისი, გორი და ელი იხდიდნენ ე. წ. ფეშქაშს; ფეშქაშში არ იყო ყოველწლიური გადასახდელი, როგორც ეს ჰგონია პროფ. შ. მესხიას. საურით, ფეშქაშსაც დროგამოშვებით აწერდნენ მოსახლეობას, როცა შაჰისათვის საჩუქრის გაგზავნიდნენ („დასტურლამალში“ ასეთი გამოთქმა: „როცა ქვეყანაზედ საური შევიარდების“) <sup>1</sup>.

6. სარეცენზიო შრომის ავტორის აზრით, ევროპის სავაჭრო კაპიტალი ვალაქაყებში ემუქრებოდა თბილისის სავაჭრო-სახელოსნო ფენებს (გვ. 235), დებულება შეიძლება სწორი იყოს, მაგრამ უმჯობესი იყო ავტორი არ დაკმაყოფილებულიყო მარტო განცხადებით და მოეყვანა სათანადო დასაბუთება.

სომხურ ვაჭართა წრეების ბრძოლა კათოლიკეთა მისიონერების წინააღმდეგ სარეცენზიო შრომაში უმართებულოდ არის დახასიათებული, როგორც ქალაქის მოსახლეობის ბრძოლა, რომელიც მიმართული იყო არა მარტო მისიონერების, არამედ მეფისა და ფეოდალური არისტოკრატის წინააღმდეგაც (გვ. 236, 238).

7. გვაროვნული წყობილების მამასახლისი ცნება „სუვერენი“ არ მიუდგება, არ შეეფერება (გვ. 262).

8. შრომის ერთ-ერთი პარაგრაფის სათაურია: „городское право“. სათაურის მიხედვით იქმნება შთაბეჭდილება, რომ საუბარი იქნება ქალაქის სტატუსზე, ქალაქის განსაკუთრებულ მმართველობაზე, სინამდვილეში კი საუბარია სასამართლო ორგანიზაციებზე და ამასთანავე, ქალაქის მოხელეების სასამართლო ფუნქციაზე. ასეთი სათაური გაუმართლებელია.

ეს შენიშვნები ვერ ამცირებენ შრომის დიდ მნიშვნელობას საქართველოს წარსულის შესწავლის საქმეში. სარეცენზიო ნაშრომი ძვირფასი განძია ქართული ისტორიოგრაფიისათვის.

<sup>1</sup> „დასტურლამალი“, გვ. 73, § 148.





## ახერო მიკინაუხვილი

### კავკასიური ხალხური პოეზია

„საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა გ. კალანდაძის თარგმანების კრებული „კავკასიური ხალხური პოეზია“, რომელშიც შესულია კავკასიაში მცხოვრები შეიდი ხალხის ზეპირსიტყვიერების ნიმუშები. ამჟამად ჩვენს მიზანს არ შეადგენს წიგნი მოთავსებული მასალების დედნებთან შეჯერება და დადგენა იმისა, თუ რა აკლია თარგმანს, ან რა არის ზედმეტი მასში, მაგრამ შეიძლება წინასწარვე შევინიშნოთ, რომ ამ მხრივაც სიზუსტე უნდა იყოს დაცული, რადგან მთარგმნელს საკმაოდ აკლია დიდი კონსულტანტები ჰყოლია.

მკითხველის ყურადღებას თავიდანვე იპყრობს ნაწარმოებების თემატური და ქანობრივი მრავალფეროვნება. აქ გვხვდება საგმირო, საყოფაცხოვრებო, შრომის ამსახველი, სატრფიალო, საწესჩვეულებო, სარწმუნოებრივი და სხვა სახის სიმღერები. ყველა ლექსი შერჩეულია მაღალი გემოვნებით, გათვალისწინებულია როგორც იდეური მხარე, ასევე მხატვრული ხარისხი. კრებულში წარმოდგენილი როგორც საგმირო, ისე საყოფაცხოვრებო და სხვა სახის ნაწარმოებები ხასიათდება მძაფრი პოეტური პათოსით და თვალსაჩინოდ გამოკვეთილი კეთილშობილური იდეით.

კრებული იხსნება სომხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებით, რომლებშიც მაღალი მოქალაქობრივი მოტივები ჭეშმარიტი პოეტური ფორმით არის გადმოცემული. უძველეს სომხურ მატრიანებს, მშრალ ქრონიკებთან ერთად, შემოუნახავთ სომეხი ხალხის პოეტური შემოქმედების ბრწყინვალე ნიმუშები. მისე ხორენელის საისტორიო თხზულებაში შესულა საუკეთესო ლექსი — „არტაშესის მოგონებანი“, რომელიც ქართულად ასე იკითხება:

კერისი კვამლი გინ დამიბრუნოს,  
კამკამა დილა ნავასარდისა,  
ბტუნვა — ჭურციკის, გაფრენა — ირმის,

ხმა დაფდაფისა, ბუქ-ნადარისა,  
როგორც მეფეთა დიდებას შეენის!

ამ სტრიქონებში მაღალმხატვრულად გადმოცემულია სომეხი ხალხის ისტორიის ერთ-ერთი ტრაგიკული მომენტი, როდესაც მოძალადე მტრები უწყალოდ ანადგურებდნენ სომხეთს. აქ მეფე არტაშესი განასახიერებს ეროვნულ გმირს, რომლის ოცნება მხოლოდ სამშობლოს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას დასტრიალებს. დაუსრულებელი ომების ხანძარში გახვეული სომხეთი არასოდეს შერიგებია მონობის უღელს, არასოდეს აულია ხელი მტერთან ბრძოლაზე. განმათავისუფლებელი ბრძოლის დინამიკური სურათებია ასახული „არზრუმულ მხედრულში“. თავისუფლებისმოყვარე ხალხი აღფრთოვანებული უმღერის მტერზე შურის საძიებლად აღმდგარ მამაც მხედრებს, ომში მიმავალთ ლოცავენ ჯიხს დაყრდნობილი დაუძღვრებელი მოხუცები, ცოლები, სატრფიოები. მთელი ხალხის ერთობლივი სურვილია გამობატული სიტყვებში:

დედაო ჰაიასტანო,  
ჩემო მშობელო მხარეე,  
გეყო, რაც მშიერ-მწყურვალმა  
განვლე ცხოვრება მწარე.

ასეთივე მძაფრი პატრიოტული პათოსით არის გამსჭვალული ლექსები „წერო“ და „ყარბის სიმღერა“, რომელთა თარგმანების წაკითხვა დიდ სიამოვნებას ანიჭებს მკითხველს.

მძაფრი ემოცია და ნაზი ლირიზმი ორგანულად არის შერწყმული გ. კალანდაძის მიერ თარგმნილ სომხურ სატრფილო სიმღერებში. აი ერთი მაგალითი:



წყლად ვიქცე, წყაროდ ვიღინო  
შხეფების შარი-შორითა,  
მოვიდეს ჩემი მიჯნური  
კობტა ლამაზი სურითა,  
დახაროს და აავსოს,  
მხარზე შეიღვას ფრთხილად,  
გულ-მკერდზე ჩამოვედვარო,  
ერეოლა მოვეგვარო ტყბილად.

ძნელია ბებერ ეშმასთან წოლა.  
ბედკრული ქალი მეკვლს მიმცეს ცოლად.

ახალმა დრომ აზერბაიჯანელი ქალი პირად  
ცხოვრებაშიც გაათავისუფლა და მას საზოგ-  
დოებრივ საქმიანობაშიც ასპარეზო მისცა. ჩვე-  
ნი დროის ეს სიკეთე ალაფრთოვანებს აზერ-  
ბაიჯანელ მთქმელს, რომელიც ლექსში „ქე-  
მოხივდე აქეთ!“ გატაცებით მღერის:

ხმაში არ ემჩნევათ ძრწულა,  
ნებართვას არ სთხოვენ მოლას —  
შემახელ გოგოებს ვინც სურთ,  
იმას გააყუებიან ცოლად.

აზერბაიჯანელი ხალხური პოეზიიდან ვან-  
საკუთრებულ ყურადღებას იქცევს ბაიათები.  
ბაიათის ფორმა აზერბაიჯანელ ხალხში ძალზე  
პოპულარულია. ქართული შაირისა და სომ-  
ხური ჯან-გულუმის მსგავსად, ბაიათი ლაყო-  
ნურად, მაგრამ ზედმიწევნით გამობატავს ცხოვ-  
რების რომელსავე მხარეს ან აღამიანის ბუნე-  
ბის ცალკეულ მომენტებს. გ. კალანდაძე მარ-  
თებულად იქცევა, როდესაც ბაიათის მხატვ-  
რული შესატყვისის ძიებისას ძირითადად ქარ-  
თულ შაირს ეყრდნობა. გ. კალანდაძის თარგ-  
მანებში შენარჩუნებულია საერთოდ აღმოსავ-  
ლური პოეზიისათვის დამახასიათებელი რთული  
მეტაფორები, ცოცხალი ეპითეტები და დინა-  
მიკური სახეები. ერთი ბაიათის ლირიკული  
გმირი სატრფოს მიმართავს:

სიყვარულის წერილს ველი,  
ნაქარგს შენი ოქროს ხელით.  
თუ ჭაღალდი ვერ იშვინო,  
ჩამოკვლივც ვარდს ფურცელთ.

ასევე, შესაფერი ოსტატობით არის შესრუ-  
ლებული მეორე ბაიათის თარგმანიც, რომელ-  
შიც მაღალმხატვრული სახეები დასრულებულ  
სურათს ქმნიან და გარკვეულ განწყობილებას  
იწვევენ.

ორი მშვილდი — წარბი ორი,  
ქვემოთ ნათელ თვალთა ბროლი.  
მუდამ ორნი სეირნობდით,  
ახლა სად გყავს გულის სწორი?

აზერბაიჯანელ ფოლკლორში გამოიხატა  
საპროტესტო განწყობილებები, რომლებიც მი-  
მართულია ძველი ცხოვრების მახინჯ ზნე-ჩვეუ-  
ლებათა წინააღმდეგ. არსებითად მონის მდგომარ-  
ეობაში მყოფ რევოლუციამდელ ქალს არაერთი-  
თი უფლება არ ჰქონდა მონაწილეობა მიეღო სა-  
ზოგადოებრივ ცხოვრებაში, იგი პირადად ცხოვრე-  
ბის მოწყობაშიც უფლებგო იყო. მას ჰყიდ-  
დნენ, როგორც ნივთს. ასეთი სევდამწარებული  
ქალის ტრაგიკული მონოლოგია ლექსი „გამ-  
ვიდეს“. ახალგაზრდა ქალი, რომელიც მდიდარ  
ბებერზე გაუყიდათ, შწარედ მოთქვამს:  
მტანჯეს, მომწამლეს, სამსალა მსავეს,  
მე შავმა ბედმა გამწირა ასე,  
ცრემლი არავინ შემწირო თვალზე.

დალესტნის ხალხთა ლიტერატურა სრულიად  
ახალგაზრდაა, იგი სოციალისტური წყობილე-  
ბის პირშოა. სამაგიეროდ მათ შექმნეს მდი-  
დარი ფოლკლორი, რომელიც თაობიდან თაო-  
ბას გადაეცემოდა და დღემდე მოატანა. შეიძ-  
ლება ითქვას, რომ ეს ნაწარმოებები ქართვე-  
ლი მკითხველისათვის სრულიად უცნობი იყო,  
არ მოგვეპოვებოდა მათი თარგმანები. ამ  
ხარვეზსაც ერთგვარად ავსებს გ. კალანდაძის  
წიგნი.

დალესტნის შედარებით მცირე ტერიტორიაზე  
ცხოვრობენ ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავ-  
ებული ყოფაცხოვრების და ენის მქონე ხალ-  
ხები. მათი ფოლკლორიც მრავალფეროვანია.  
გ. კალანდაძეს უთარგმნია ლეზგური, ლაყური,  
ყუმიხური, დარგუელი, ტაბასარანული და ხუნ-  
ძური პოეზიის ნიმუშები. ამ ლექსებისათვის  
ნიშანდობლივია გმირული სულისკვეთება და  
ქემშარიტი პოეტური აღმაფრენა. ერთ ლეზგურ  
ლექსში ვკითხულობთ:

ნეტავ არწივად მაქცია,  
მაღალ მწვერვალებს ვფლობდე,  
არწივის ფრთები შემესხას,  
არწივის გული მქონდეს!

მთელი ვაჟკაცების რაინდული სული კიდევ  
უფრო სრულყოფილად არის გადმოცემული  
ლექსში „საგმირო სიმღერა“ (დარგუელი). და-  
ლესტნის პოეზია ძირითადად ურითმოა, ასევეა  
იგი წარმოდგენილი გ. კალანდაძის თარგმანებ-  
ში, მაგრამ ეს გარემოება სრულებითაც არ ამ-  
ცირებს ლექსის მხატვრულ მხარეს.

დალესტნურმა საგმირო სიმღერებმა ჯერ  
კიდევ ადრე მიიქციეს დიდი რუსი მწერლის  
ლევ ტოლსტოის ყურადღება. ლ. ტოლსტოის  
განსაკუთრებით მოსწონდა საგმირო ლეგენდა  
„ხოზბარი“. ხოზბარი დალესტნის ხალხებში  
ყველაზე პოპულარული გმირია. მის შესახებ  
არსებული ლეგენდა მრავალ პოეტურ ვარიან-  
ტად არის გავრცელებული დალესტანში. ეს



ლევენია იმითაც არის საინტერესო, რომ იგი საფუძვლად დაედო ვაჟ-ფაველას პოემას „სისხლის ძიება“. გ. კალანდაძეს უთარგმნია „ხონხარის“ ხუნძური ვარიანტი. თავისუფლებისათვის მებრძოლი, სამართლიანობისათვის თავდადებული გმირი ხონხარი მსხვერპლი ხდება ხუნძახის ხანის ნუცალის მუხანათური საქციელისა. ვერაფრით დამიორჩილა ნუცალმა ხონხარი. ბოლოს ნუცალმა სტუმრად მიიპატი- ია იგი თავის სასახლეში, ღალატით შეიპყრო და ცეცხლში დაწვა. მაგრამ ცეცხლის კოცონ- ში სასიკვდილოდ განწირული ხონხარი მაინც არ იმდრეკს ქედს. „ცეცხლიდან ისმოდა ხონ- ხარის ძახილი: ვაჟაკიო სიცოცხლეს იაფად არ ჰყიდის“. იგი არა მარტო გმირულად შეხვდა სიკვდილს, არამედ სიკვდილის წინ შურიც იძია მტარვალზე: ცეცხლში შეიტაცა და თავის- თან ერთად დაწვა ნუცალის ორი ვაჟი.

გმირობისა და ვაჟაკობის აპოლოგიაა აგრე- ვეც ლაქური ბალადა „ღავით ბალხატული“.

ხალხი დიდების შარავანდდით მოსაყვამისა ინტერესებისათვის მებრძოლ გმირებს, მათზე ქმნის საგმირო ლექს-სიმღერებს და შთამომავ- ლობას გადასცემს, როგორც ხალხის სამსახუ- რისა და ჭეშმარიტად ადამიანური ცხოვრების მავალით. გმირის დაღატოთ დაღუპვის გამო ხალხურ პოეზიაში ერთგვარი სევდიანი მოტი- ვებიც იჩენს თავს. ხალხი დასტირის გმირს და ამითაც მავალითს აძლევს შთამომავლობას, რომ მათშიც გაიზარდონ თანამემამულეთა გულწრფელი ცრემლის ღირსი ვაჟაკები. და- ტირება ხალხური შემოქმედების ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც მრავალ ერშია გავრცელებ- ბული. გაიხსენოთ ქართული „დალაი“ და „დალაობა“. დატირების ფორმით არს შესრუ- ლებული ყუმიხური ლექსი „გმირის დატირე- ბა“. ეს ლექსი უდავოდ მაღალი პოეტური კულტურის ნიმუშია. ვითბულობთ ამ ლექსის გ. კალანდაძისეულ თარგმანს და თითქოს ჩვენც მონაწილენი ვხდებით დიდი სახალხო გლოვისა:

შენ წევხარ და ჩვენ კი ვდგავართ,  
აი-ლაზი!  
ჩვენ შენს მტერზე შურს ვიძიებთ,  
აი-ლაზი!  
ლითონივით სუფთა იყავ,  
აი-ლაზი!  
მართლის მთქმელი კაცი იყავ,  
აი-ლაზი!  
ვაჟაკს ცრემლი არ შეშვენის,  
აი-ლაზი!  
ბნელი ღამით წახველ ჩვენგან,  
აი-ლაზი!  
შენ გძინავს და შენს მეგობრებს,

აი-ლაზი!  
შენს წინ თავი მოუყრიათ,  
აი-ლაზი!  
ამ გმირულ შემარიგებლობასთან ერთად დაღესტნური პოეზიისათვის უცხო არ არის სიყვარულის ძალზე ნატიფი გრძობაც. ამ მხრივ საუკეთესოა დარგული ლექსები „სიყ- ვარულის ჯადო არ ხარ“ და „საყვარელმა ასე მითხრა“. მათში სატრფიალო ურთიერთობა მსუბუქი იუმორითაა გამშვენიერებული.

საყვარელმა ასე მითხრა:  
„არ დაკრჩები შენთან დიდხანს,  
არ ვიცხოვრებ მე შენთან,  
თუნდ დაიწვას მთლად ქვეყანა“.   
უცნუთი არ ხარ განა? —  
არ დამწვარა ეს ქვეყანა,  
შენ კი ცხოვრობ კვლავ ჩემთანა.

პატრიოტიზმის წმიდათაწმიდა გრძობაა გა- მობატული აღიღებურ ხალხურ ლექსში „ორი ვაჟიშვილი კეთილი დედისა“. ომში მიმავალ ვაჟაკებს დედა ასე უბარებს:

არ მისცეთ საბაბი, არა სთქვან: „შეშინდა ორი ვაჟიშვილი კეთილი დედისა!

დედას არ სურს იხილოს ომიდან უსახელოდ დაბრუნებული შვილები, ვერც იმას მოითმენს, რომ მისი შვილები ლაჩრულად დაიბოცონ და ასე მიმართავს შვილს:

ვახსოვდეს — მტრის ტყვია თუ ზურგში მოგხედება,  
ჭაფშას არ გაემართავ, ზეიმს არ ვაღიარებ...  
ვაჟაკი მტრის ტყვიას თუ მკერდით შეხედება,  
მას საშვილოშვილო ზეიმს ვავემართავ.

ოსური პოეზიის ნიმუშებიდან ვანსაყუთრე- ბით გამოირჩევა შრომის სიმღერები „ფეტვის უხვი მოსავალი მოვიდა“ და „ონაი“. „ონაი- ში“ წინა პლანზეა წამოწეული სოცია- ლური უთანასწორობის შეგნება და ზიზღი ექსპლოატატორთა მიმართ. რევოლუციური პა- თოსით არის გამსჭვალული „სიმღერა ისაყ ხარებათზე“. ეს ლექსი აგებულია ფსიქოლოგი- ურ პარალელიზმზე და ამ გზით დახატულია რევოლუციისათვის თავდადებული გმირის ისა- ყის სახე. ძველი ცხოვრების რევოლუციური მსხვერვისა და ახალი, სოციალისტური ცხოვ- რების დამკვიდრების კოლორიტული სურათგ- ბია ნაჩვენები ლექსებში „ანტონის სიმღერა“ და „თავად ბადილაურთა განდევნა“. კრებულში აფხაზური ხალხური პოეზია წარ- მოდგენილია ერთი ნაწარმოებით — „ამბავი

მამაცი მანჩასი — ფშვიანის შვილისა და მშვენიერი მადინასი“. ეს თხზულება სავსებით დასრულებული, გამართული და დახვეწილი ხალხური პოემაა. მისი გმირია ულამაზესი ქალი მადინა, რომელსაც ომში მოუტყუეს ქმარი, მაგრამ იგი სულით არ დაეცა, კმრის იარაღი აიღო ხელში და მტერზე შური იძია, მისმა გმირობამ სამშობლოს გამარჯვება მოუტანა. მადინას სახე მკითხველის ცნობიერებაში ღრმად იჭრება და სამუდამოდ რჩება. ამას ხელს უწყობს, რა თქმა უნდა, არა მხოლოდ თავისთავად საუერადღებო ამბავი, არამედ ამ ამბის მხატვრული გაშლა, შესაფერი სიუჟეტი, კომპოზიცია და მაღალპოეტური სიტყვიერა მასალა.

ქართული ფოლკლორის ნიმუშად კრებულში შეტანილია ერთი ზღაპარი, დამუშავებული და

ქრთულად გალექსილი პოეტ ხაჩიკ მურადოვის მიერ.

ძნელია ერთ წერილში ყველა იმ ღირსების აღნუსხვეა ეი, რაც ახასიათებს გიორგი კალანდამის თარგმანების კრებულს. მას სიამოვნებით წაიკითხავს ფართო საზოგადოებრიობა და კმაყოფილი დარჩება. „კავკასიური ხალხური პოეზია“ უდავოდ მნიშვნელოვანი შენაძენია ჩვენთვის. ამ წიგნის გამოცემით გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ მეტად კარგი საქმე გააყეთა. ასეთი კრებულები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ჩვენი ხალხების უკეთ გაცნობასა და დაახლოებას. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ასეთი კრებული პირველია არა მხოლოდ ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ სხვა მოძმე რესპუბლიკებისათვისაც.





## ღევიან ჩიქვანაიძე

### წარსულის მოწამეები

ჩვენს დროში მეცნიერებისა და ტექნიკის, აგრეთვე მიმოსვლის საშუალებათა განვითარებამ მრავალი ერი გაგვაცნო, მრავალ ქვეყანას დაგვაახლოვა და მათი ცხოვრების თავისებურებათა შესწავლის საშუალება მოგვცა.

საკვირველია, მაგრამ დღესაც არსებობენ ხალხები, რომლებიც განვითარების დონით ქვის ხანის ადამიანებს მოგვაგონებენ. მათი უმრავლესობა ტომებად ცხოვრობს. ზოგ მათგანს დღემდე შემორჩენილი ადამიანის თავებზე ნადირობის ბარბაროსული ჩვევა, ზოგმა ისიც არ იცის, ცეცხლი როგორ გააჩაღოს და შიშველი ან თითქმის შიშველი დადის...

ამ ტომების უმრავლესობა ტროპიკულ საბრტყელში ცხოვრობს, შიშისმგვრელ და გაუცვალ ჯუნგლებში. ამის გარდა, მათს უმრავლესობას სტუმართმოყვარეობის ნატამალიც არ გააჩნია. ისინი მეზობელ ტომებთანაც არ აბაშენ კავშირს. ზოლო უცხო სტუმრებს მტრულად უმასპინძლებიან, ამის გამო ზოგიერთი ასეთი ტომი დღესაც მიუწვდომელი და შეუსწავლელია.

სამხრეთ ამერიკის რესპუბლიკა ეკვადორის ჯუნგლებში ცხოვრობენ აუკები, რომელთა შესწავლას ათობით მკვლევარი შეეწირა. ეს ის ხალხია, რომელთა ცხოვრების დონე ჯერ კიდევ არ გასცილებია ქვის ხანას. აუკების ტომი ერთ-ერთი ყველაზე ველური ხალხია დედამიწის ზურგზე. სულ ერთი წლისა, რაც მათთან ენა გამოიჩინა, ეს შესივლი ამერიკელი მისიონერების ცოლებმა, რომელთა მეუღლეებიც ამ რამდენიმე წლის წინ სწორედ ამ საქმეს შეეწირენ. აუკებს ეჯავრებათ ცივილიზაციის წარმომადგენლები და სასტიკად უსწორდებიან ყველას, ვინც მათ მიწაზე დაადგამს ფეხს. მათი შიშით თვით ადამიანის თავებზე მონადირე ხიზარებიც ძრწოან და სიახლოვეს არ ეკარებიან. ამ მხრივ ყველაზე უკეთეს შედეგს ისევ ამერიკელმა მისიონერებმა მიაღწიეს 1956 წელს, მათ თვითმფრინავიდან სხვადასხვა ბრწყვიალა საჩუქრების გადმოყრით მოუღლებს

გული აუკებს და შემდეგ სოფლის განაპირას დაბანაკდნენ. ამ მისიონერებთან ორიოდ აუკიც მივიდა და სამავიერო საჩუქრებიც მიართვა, მაგრამ მათი შეგობრობა დიდხანს არ გაგრძელებულა. აუკებმა ზუთივე ამერიკელი მისიონერი ისრებით დაცხრილეს და მდინარე კურარაიში გადაყარეს. არაიენ იცის, რისთვის მოეჭკენ ასე. ბევრი რამ არის საფიქრებელი: ალბათ მისიონერებს მოსწყყინდათ მართო ყოფნა და გადაწყვიტეს კავშირი გაეგზოთ აუკებთან, მაგრამ ბოლომდე ვერ გადალახეს ძველ რბილში გამჯდარი მტრობა უცხოელებისადმი, ან, შესაძლოა, მათი ზნე-ჩვეულებების უცოდინარმა მისიონერებმა აუკთა თავმოყვარეობა უნებურად შელახეს და ამ ამბის მსხვერპლნი შეიქნენ. ეს მათმა მეუღლეებმაც ვერ შეიტყვეს მაშინაც კი, როცა აუკებთან თვეობით მოუხდათ ყოფნა. ერთი სიტყვით, უცნაურ ხალხთა ცხოვრების შესწავლის საქმეს კიდევ ზუთი ადამიანი შეეწირა.

ასე ძვირი ჯდება ამ ველურ ტომებთან ნაცნობობა. მაგრამ ამერიკელ ჟურნალისტს პარი როსკოლენს ბედმა გაუღიმა. მან მოახერხა ცენტრალური ავსტრალიის უდაბნოებში მცხოვრები ბუშმანების გაცნობა. ბუშმანები არაფერს თესენ, არაფერს ზრდიან და ცხოვრობენ, როგორც მათი წინაპრები ათასწლეული წლების წინ.

როსკოლენკი მხოლოდ ნაცნობობას არ დასჯერდა და მათი ცხოვრების კინოფირზე აღბეჭდვა სცადა, მაგრამ... სამფეხაზე კინოკამერის დადგმისთანავე იწოლეს ჟურნალისტის ყურთან მოშხამულმა ისრებმა და რომ ბედნიერი შემთხვევა არა, ჟურნალისტის კინოფირიც და ჩანაწერებიც საუბრამოდ გამოუყენებელი დარჩებოდა. ასეთი შემთხვევა ათასში ერთხელ თუ მოხდება: დიდი ხნიდან წვეთ წყალს მოწყურებულ უდაბნოში დაიწყო წვიმა, რაც ადგილობრივ მცხოვრებთათვის დიდი მაცოცხლებელი მოვლენა იყო. მორჩენულ ბუშმანებმა წვიმის მოსვლა უცხოელის მაგიურ ძალას მი-



აწერეს და მხსნელად წარმოიდგინეს. როსკო-  
ლენკი გადარჩა.

ასეთი „ზეციური მხსნელი“ ყველას როდი  
შოველინება და ამიტომაც მრავალ ასეთ ტო-  
მზე ჯერ კიდევ არაფერი ვიცით ან პირველად  
მხოლოდ ახლა ვიგებთ.

### კანიბალები ზონს მოღია

ჩვენ ვიცნობთ ხალხს, რომელთა მოსახლეო-  
ბის რაოდენობა ექვსას მილიონს აღემატება,  
მაგრამ ამზონის აუზში ცხოვრობს ხალხი, რო-  
მელთა რაოდენობა 5 მამაკაცის, 4 ქალისა და  
5 ბავშვისაგან შედგება. ხალხი — 14 მცხოვრე-  
ბისაგან. უკნაურთა, მაგრამ ესენი მაინც  
ხალხია თავისი ენით, ტერიტორიით, ტრადიცი-  
ებითა და სუვერენიტეტით. ისინი ბრანზილის  
სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ, მა-  
გრამ ბრანზილაზე არაფერი იციან, ისევე,  
როგორც ბრანზილელებმა მათზე. ამ ტომის  
სახელია არიკაპო. ისინი მეზობლობენ მდინარე  
ბრანკოს ხეობაში მცხოვრებ ტუპარებს, რომ-  
ლებიც ცნობილი არიან, როგორც კანიბალები,  
კაციქამიები.

ტუპარების ცხოვრების შესწავლით დაინტე-  
რესებულ იფიგოსლაველი სწავლული ტიბორ  
სეკელი გაეცნო ტომ არიკაპოს და სთხოვა მათ  
ტუპარებისაკენ გზა ესწავლებინათ. მათ უცხო-  
ელს ურჩიეს თავი განსაცდელში არ ჩაეგდო  
და არწმუნებდნენ, რომ ტუპარებს შეუჭმელინი  
ვერ გადაურჩებოდნენ. მიუხედავად ამისა, სე-  
კელმა რამდენიმე მთავანი მაინც დაითანხმა.  
მათი მოგზაურობა ჯერ მშვიდობიანად მიმდი-  
ნარობდა, მაგრამ გამოჩნდა თუ არა ტუპარებ-  
თან სიახლოვის პირველი ნიშნები, გამყოლები  
შიშით აცხცაბდნენ და უსიტყვოდ უკან მოქუ-  
სლეს. სეკელმა და მისმა სამმა თანამგზავრმა  
გადაწყვიტეს მაინც შეხვედროდნენ საშინელ  
კანიბალებს. მათ გზა ვანაგრძეს და სულ მცირე  
მანძილის გავლის შემდეგ დაინახეს ინდიელები,  
რომლებმაც შეიღმინებინა დაუმიზნეს.  
ვერობელებმა გადაწყვიტეს გაეცნობა მშვიდო-  
ბიანი გზით ეცადათ და საპასუხოდ იარაღი  
ძირს დააწყეს. კეთილი განწყობილება და  
სიტყვობის მშვიდობიანი მიზანი რომ გამოე-  
ხატათ, ისინი მომდინარე სახით გაემართნენ  
ველურებისაკენ. განულო შიშით აღსავე ნახე-  
ვარმა საათმა და გამოჩნდა ტუპარების ბელადი  
აბაიო. მან მოსულისთანავე სტუმრებს მდინა-  
რეში ბანაობა შესთავაზა. სტუმრებმა სიამოვნე-  
ბით მიიღეს ეს გამოწვევა, რომელსაც, რო-  
გორც ჩანდა, მათი აღათ-წესები მოითხოვდა.  
ბანაობა მათ მოუხდათ მეორესთანაც, მესამეს-  
თანაც და, ასე გასინჯეთ, ყველა მსურველთან.  
სეკელი და მისი თანამგზავრები მზად იყვნენ  
მთელი დღეები მდგარიყვნენ წყალში, თუკი ეს  
ერთადერთი იქნებოდა იმ უსიამოვნებათაგან,  
რომლებსაც ისინი ტუპარებისაგან მოკლდნენ.  
ამ ხანგრძლივი ცერემონილის შემდეგ ტუ-

პარებმა ევროპელები ტომის სტუმრებად მი-  
იღეს და 4 თვის განმავლობაში კეთილი  
ურთიერთობა ჰქონდათ მათთან.

ტუპარები ამერიკელი ინდიელები არიან.  
ისინი სრულიად შიშველინი დადიან და სხეული  
შემკობილი აქვთ ათასნაირი იაფფასიანი სამ-  
კაულითა და საღებავით. ნესტობსა და ტუჩე-  
ბში ლამაზად ნათალი სპილოს ძვალი ან ჯიბი  
აქვთ გაყრილი. ქალები თმებს მოკლედ იყრე-  
ვენ, ხოლო მამაკაცები იზრდიან. მათი ძირი-  
თადი საყვები ნადირის ბორცია. ისინი ჰაერზე  
აგრეთვე ფრინველებს, ჰიებს, აგროვებენ გა-  
რეულ ხილს... ისინი, ზოგიერთი სხვა ველუ-  
რისაგან განსხვავებით, ამუშავებენ მიწას და  
აშენებენ იხსას და ქაათამს.

ტუპარები დიდხანს კანიბალები იყვნენ. ამის  
მიზეზი იყო რწმენა, რომელიც შთააგონებდათ,  
რომ ვის ხორცსაც შეჭმდნენ მისი კეთილი თეი-  
სებები გადაეცემოდათ. მეკლულობს ჩაიდენდა  
ერთი რომელიმე პიროვნება, ხოლო მსხვერ-  
პლის ხორცი ზიარებაში მონაწილეობას ღე-  
ბულობდა ყველა. სწორედ ამ ჩვეულების წყა-  
ლობით 2 ათასიდან 176-მდე შემცირდა ტუპა-  
რთა რიცხვი. მხოლოდ შორისმკვრეტელმა ბელა-  
ტმა აბაიომ შეძლო დაეთანხმებინა თანამემა-  
მულეები ხელი აეღოთ და საბედისწერო ჩვეუ-  
ლებაზე, რათა ტომი სრულ ამოწყვეტას გადარ-  
ჩენოდა. ეს რეფორმა მიიღეს ამ 5 წლის წინ.  
ეს ღონისძიება რომ არა, შეიძლებოდა დღესაც  
არავის სიცოცხლე, თუ არსებობდა ასეთი ტო-  
მი.

ცოტა რამ ვიცით სამხრეთ ამერიკის ჯუნგ-  
ლებში მომხდარე ტომ ხიზარობებზე. ისინი  
ძველთაგანვე კაციქამიებად იყვნენ ცნობილინი.  
თავიანთი მოგზაურობის დროს ჩვენ იჩინებრები  
იჩვი გენველმა და მიროსლავ ზიგმუნდი ხი-  
ზაროს ერთ-ერთ საინტერესო წარმომადგენელს  
შეხვედნენ. ეს იყო უტიტა, ცნობილი უტიტა,  
რომლის სინდისზედაც 52 ადამიანის სიცოცხ-  
ლე იყო. 52 ტრანსტაი დაუმზადებია ხიზაროს  
ტომის ამ უგულო წარმომადგენელს. (ტრანსტაი  
ჰქვია ადამიანის თავის ქალას, რომელსაც აშ-  
რობენ და მერე მისგან ერთგვარ სუვენირს  
ამზადებენ). ჩვენბი პირადად ესაუბრენ მას  
1947 წელს. უტიტა გამოუტყდა მოგზაურებს  
და უთხრა, — უკვე მთავტოვეო ადამიანის თავის  
ქალაზე ნადირობა. ერთ დროს ის ხიზა-  
როს ტომში ყველაზე საშიში პიროვნება იყო,  
მაგრამ როდესაც ორმოცდამეთორმეტე ნანადი-  
რებით ხელში შინ ბრუნდებოდა, ეკვადორის  
პოლიციის წარმომადგენლებმა შეიპყრეს. ის  
გაუსამართლებიათ კიდევ, მაგრამ რატომღაც  
ისევ თავისუფლად დადიოდა.

ვერ ვიტყვი, უტიტას მსგავსად კიდევ ბევრ-  
მა იღო ხელი თუ არა ამ ბარბაროსულ ჩვე-  
ულებაზე, მაგრამ ეს ერთი მაგალითიც საკმა-

რისი უნდა იყოს ვიფიქროთ, რომ კანიბალები, ბოლოს და ბოლოს, გონს მოდიან, თანდათანობით რწმუნდებიან, რომ ადამიანის თავებზე ნადრობა ვინებიადახსულ ადამიანთა ავებდითი ტრადიციას.

ყოველასათვის ცნობილია რომ ახალი გვინების ჯუნგლებში ბინადარ პაპუსებთან დიდ ხანს მშვიდობიანად ცხოვრობდა რუსი მოგზაური მიკლუხო-მაკლაი. ასევე დიდი ხანი ვაატარა მათთან ცნობილია შვედმა მეტყვეებმ ვერკულენდისტმა და გამოაქვეყნა წიგნი — „კანიბალები ჩემი ამხანაგები არიან“. როგორც ჩანს, ადამიანთა კეთილი დამოკიდებულება ამ მხედურ ბუნების ველურებსაც უღობზს გულს.

ავსტრალიის, ოკეანეთის, აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის ჯუნგლებში ჯერ კიდევ არიან შემორჩენილი კაცობიები და ადამიანის თავებზე მონადირენი. ამას ისინი იმთავითვე ან საკვების ნაკლებობამ შეაჩვია, ან ცრურწმენამ. მათი რაოდენობა ამჟამად დიდად შემცირებულა. ისინი ჯერაც მიუღვამელ ან ძნელად მისაღვამ ტროპიკული ტყეების სიღრმეში ბინადრობენ. მათი მომავალი ვადწყვეტილია: ჩვენ მათ ან სულ ვერ გავიცნობთ, როგორც ტომს, და ისე ამოწყდებიან, ან გავიცნობთ მაშინ, როცა უკვე კანიბალები აღარ იქნებიან.

### საბადისწარმო ტრადიციები

ხალხის ზნე-ჩვეულებანი და ტრადიციები ზოგჯერ აუცილებლობითაც არის ნაყარნაბევი. ჩამორჩენილ ტომებში ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების დიდი ნაწილი სარწმუნოებრივ კანონებზე ან ცრურწმენაზე აღმოცენებული. კუნძულ ბორნეოს ძირეულ მცხოვრებ დღე-აკებს მიანიხიან, რომ მათ აუცილებლად უნდა შეიღებონ ტანი, კისერი, მხრები, ხელები. ეს ჩვეულება მრავალ ველურ ტომს აქვთ. უმეტესობისათვის ეს სადღესასწაულო მორთულობაა, მაგრამ დღე-აკები სვირანგებს საჭიროდ მიიჩნევენ იმეტომ, რომ ღმერთმა კარგად შეიცნოს ისინი „მკვდართა ქვეყნის“ საზღვარზე გადასვლისას.

ეკვდორის ტერიტორიაზე, ანდების დასავლეთ კალთებზე, ცხოვრობენ კოლორადო-წითელი ინდიელები, რომელთა სახელია ტაგსილა. მრავალი თავისებურება აქვთ ამ ტომის წევრებს, მაგრამ ყველაზე უცნაური მათი გარეგნობაა. მამაკაცები თმებს ირგვლივ იკრეპენ და სპეციალური ნელსაცხებლით ისე იყენებენ, თითქმის ავურისფერი რაღაც ეხურით თავზე. ტაგსილას ქალები თმას არ იღებენ, გრძლად იზრდებიან. სხვა ტომებში თუ ქალები ზმირად იპარსავენ თმას, აქ პირიქით — კოჭებამდე სკემთ. ტანს ათასგვარად იჭრელებენ. დღესასწაულისათვის განსაკვირებელი მონღოებობით ეშხადებიან. მამაკაცები საკმაოდ უხემ საამაჯუ-

რებს იკეთებენ, ზოლო ქალები საათობით სხედან და ერთიმეორეს დებან.

საგულისხმოა, რომ ველურ ტომებში ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს ცეკვა. ზოგიერთი ტომის სადღესასწაულო „როკერტული“ მხოლოდ მოქანცველი და დაუსრულებელი ცეკვებისაგან შედგება. ბირმის ჩრდილო-დასავლეთით მცხოვრებ ტომ ნავას დღესასწაულებზე ცეკვები მთელი დღეები ვრძელდება. მალაქის ნახევარკუნძულის ცენტრში ცეკვავენ წაქცვამდე. დღესასწაულის დამთავრების შემდეგ საცეკვაო მოედანი ბრძოლის ველს ჰგავს, სადაც გულწასული და ღონემიბილი მოცეკვავები ყრიან.

ყოველივე ეს ვართობასთანაა დაკავშირებული და შეიძლება მეტად თუ ნაკლებად მათს „გემოვნებას“ მიეწყოთ. ახალი გვინების ცენტრალურ ნაწილში მცხოვრები ტომი დღესაც არ ჩამორჩება არავის ვართობასა და სვირანგებაში. უფრო მეტიც, მათი ქალები სახესაც კი იხატავენ მარტივი გეომეტრიული ფიგურებით, მაგრამ მათში სხვა უფრო სანტერესო ჩვეულება იპყრობს ჩვენს ყურადღებას: ღუნას ტომში ყოველგვარ საქმეს აკეთებენ ქალები. მამაკაცები კი თავიანთი „საქმით“ არიან დაკავებულნი — ისინი ომობენ. მთელ ტომთა შორის წამოჭრილ ყოველ სადაო საკითხს წყვეტს ომი, რომელიც განსაკუთრებულ კანონს ემყარება: ბირველი მსხვერპლისთანავე ომი წყდება. ტომი, რომლის მეომარც დაეცა ბრძოლის ველზე, დამარცხებულად ითვლება; მიცალაბულს კი მისდამი პატივისცემის ნიშნად ჰკაენ. ესეც პატივისცემის თავისებური გამოხატულებაა.

უღანბო საპარას სამხრეთ ნაწილში ცხოვრობს ტომი ბორორო. უცნაური ჩვეულებებით მათაც შეუძლიათ „დაიკეონ“. ზოგიერთი ტომისაგან განსხვავებით მათი მამაკაცები სახეს მალავენ. ბოროროს ქალები კი საკვირველი ჩვეულების სხვა სენით არიან შეპყრობილი: ოროვე ხელზე იკმევენ სპილენძის მძიმე სამაჯურებს, თითებზე უმარავ ბეჭედს, ყურებზე — მსხვილ საყურეებს; მათ არც ფეხი აქვთ უფურადღებოდ დატოვებული — კოჭებზე შემოკრული აქვთ ლითონის „სამაჯული“, რომელიც სულ ცოტა 5 კილოგრამამდე იწონის. ბოროროს ქალები ასე „მსუბუქად“ მორთულნი დღიან არა მარტივ დღესასწაულებზე, არამედ საქმიანობის დროსაც. ეს მძიმე ტვირთი, რა თქმა უნდა, ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს. ბირმის ჩრდილო-აღმოსავლეთით მცხოვრებ პალაუნგებს სულ სხვა ზნე-ჩვეულებები აქვთ. ქალები ვარგანობით ჩვენს პლანეტის ყველა სხვა ერის ქალებსაგან განსხვავდებიან. ამ ტომის ქალებს კისერი წაგრძელებული აქვთ 30—40 სანტიმეტრზე შემოხვეული სპილენძის ზვიის წყალობით. პალაუნ-

გების ტომის ყველა ვოგონას 5 წლის ასაკიდან იცემვენ კისერზე ათილოგრაშიან სპილენძის ზეისა. შემდგომ, ყოველ ორ წელიწადში, ვოგონას უცვლიან ზეისა. ამ დროს კისერს უზეულენ ქოქოსის რძისა და ძაღლის ქონისაგან შემზადებული სპეციალური მალამოთი. ეს საქმიანობა განსაკუთრებული ცერემონიალითა და კანონების დაცვით ტარდება. ქალიშვილმა ხვია სულ ოთხჯერ უნდა გამოიცვალოს. თავდაპირველად ათიოდე სანტიმეტრის სიგანეზე ახვევენ, შემდეგ ყოველ გამოცვლაზე უმატებენ ხეის რაოდენობას. როცა ქალიშვილს 11 წელი შეუვსდება, სახეიმიად აცემვენ უკანასკნელ — მეოთხე ზეისა. ამ დროისათვის ვოგონას კისერი 20 სანტიმეტრზე მეტია და მას შემდეგ შიცი ეტრდება იგი. პადაუნეები სპილენძის ხეისა წელზე, მაჯებსა და წვივებზედაც უკეთებენ ქალიშვილებს. ამ ტრადიციის თავისებურად ამართლებენ პადაუნეები. მათში ყველაზე მდიდარ და ლამაზ ქალიშვილად ის ითვლება, რომელსაც უფრო გრძელი კისერი აქვს. მას საქმროც უკეთესი ეძლევა. მდიდრად ითვლება იმდროემ რომ ამ ტომის უძვირფასეს ლითონს სწორედ სპილენძი წარმოადგენს და გრძელ კისერზე სპილენძის მეტი რაოდენობა დაეკრება.

სპილენძის დახვევის ამ უგუნური ტრადიციის წარმოშობის არავითარი რეალური ისტორია არ არსებობს. ოღონდ პადაუნეები ლეგენდის იმეველიებენ. ლეგენდის მიხედვით ეს ტომი ოდესღაც ძლიერი და მდიდარი ყოფილა. სიმდიდრით დაბრმავებულ პადაუნე ქალებს მუშაობა მიუტოვებიათ და თავი უფუფუნებასა და განცხრობისათვის მიუძღიათ. ისინი ისე გათავხედებულან, რომ თვით ღმერთების პატივისცემაც დაიწყებიათ. განარისებულმა ღმერთებმა მათი დასჯა გადაწყვიტეს: როცა მამაკაცი მათი სახეიროდ ან სამუშაოდ იყვნენ წასულნი და სინდერში მარტო ქალები რჩებოდნენ ხოლმე, ღმერთები ავხავნიდნენ ვეფხეებს, რომლებიც სწორედ ყელში სწვდებოდნენ ხოლმე მათ. — შეპრწუნებულ ტომს ბრძენმა ურჩია ქალებისათვის ყელი ლითონის ხეით შეხევიოთ. ლეგენდის თუ დაეუჯერებთ, სპილენძის ხვია თავდაცვის საშუალება ყოფილა. მას შემდეგში დაუკარგავს თავდაცვის მნიშვნელობა და სიმკაფუალა ქვეულა. ტომის სახელწოდებაც ამავე ჩვეულებიდანაა წარმომდგარი. „პადაუნე“ გრძელკისერის ნიშნავს.

ვოგონები პირველ ხანებში ძნელად ეგუებოდა სპილენძის „კორსეტს“, მაგრამ შემდეგში არა მარტო ეჩვეიან, არამედ უიმისოდ ვერც ძლებენ, რადგან კისრის არაორმალური წაგრძელების შედეგად ძალები ერთმანეთს სცილდება და კისერი სიმაგრეს კარგავს. მოზრდილ ქალიშვილს სპირალი რომ მოხსნათ, კისერს ვერ დაიმაგრებს და თავი დაკლული ქათამივით ჩამოეყარდება ამ გარემოებას გონიერულად

იყენებს ტრადიციაც თავისი მკაცრი კანონების დასაცავად: ქმრისთვის ლალატის შემთხვევაში „მართლმსაჯულებას“ გამოაქვს „სისხლის სამართლის კოდექსის“ ვანანტის უკანასკნელი ზომა — სპილენძის ხეის მოხსნა. ეს კი სიკვდილს უდრის.

ტრადიციების სიმრავლითა და თავისებურებით განთქმული ტომის გასაცნობად აფრიკაში მოგვიწევს გადასვლა. ტომი მასიი ვიქტორიასა და ვულკან კლიმანჯაროს შორის ბინადრობს. მასიის ძველთაგანვე საშიში ტომის სახელი შეერქვა რატომაც. მათ მეზობლად მცხოვრები ზანგები ახლაც ასე მათობენ ნურც ერთ ჩვენთაგანს ნუ შეხედვრია ლომი, სპილო და მასიო.

მასიი სხებთან შედარებით განვითარების მაღალ დონეზე მდგარ ტომთა რიცხვს ეუთუონის. მათ ტანზე რაღაც მიიწვ აქვთ მოფარებული. მისდევენ მესაქონლეობას და მიწათმოქმედებას. მასიის კაცობრიობის შესახებ არაფერი ვიცით, მაგრამ საფიქრებელია ტუპარების მსგავსად მათაც გამოსწრნოდათ ვინმე მსხელი და მათი დაუნდობელი განწყობილება და შემოპული სულისკვეთება გარეშე მტრების წინააღმდეგ წარემართა. მტრები კი მათ საკმაოდ ბევრი ჰყავდათ. მეოცე საუკუნის დასაწყისამდე მახვილით ხელში ინარჩუნებდა მასიი დამოუკიდებლობას. არც მას შემდეგ შეუწყვეტია ბრძოლა კოლონიზატორების წინააღმდეგ, მაგრამ ძალა აღმართს ხნავს. სხეისი მიწაწყლისა და შრომის მითვისების სურვილით აღზნებულ მასიის ვერ გაუძლო თავისუფლებისმოყვარე მასიის და დამოპრილდა ბედს.

მასიის ტომს მტკიცე კანონი აქვს: 14 წლის ასაკიდან ვაგი ვალდებულია სამხედრო სამსახურში გაატაროს 15 წელი და მხოლოდ მას შემდეგ უთვლიან მოზილად საცოლის ვალს, ნებას რთავენ დაემწყინდეს — წელზე შემოტრყმული ხანჯალი და ისარი შეიკვალოს მწყემსის ჯობით. მასიის ტომში სინტერესოა ქალთა დამოკიდებულება ქმრების მიმართ. ქმრები მთელი დღე სამწყემსურში არიან. ქალები ქოხების წინ სხედან და საქმიანობენ. მაგრამ, აი, უცებ გაისმის კივილი, ხმაური, ღრინაცელი. შეპრწუნებული ქალები ხელების ქნევით თავიანთ ქოხებს მიაშურებენ. არ იფიქროთ, რომ რაიმე უბედურება დატრიალდა. ეს ჩვეულებრივი ამბავია, რომელიც ყოველთვის ხდება ხოლმე მამაკაცების შინ დაბრუნების დროს. ქალებს უფლება არა აქვთ ქმრებს მოურთავ-შემუშაობად დახვდნენ. ეს ლალატზე უარეს დანაშაულად ითვლება. ქოხებიდან გამოსულ ქალებს ვეღარ იცნობთ—მოპარულ თავზე ლითონის რგოლები შემოუკრავთ, მკლავებზე მრავალი სამაჯური ჩამოურთვებით, ყურის ბიბილოები უზარმაზარ საყურებს საცოდაოდ ჩამოურთვრებელია, ყელზე ყელსაბამები დაუკი-

დაით. ერთი სიტყვით, ყოველმხრივ ირთვებიან. მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლიათ ეჩვენონ ქმრებს. მამაკაცის ჭურჭელიც განსხვავებული უნდა იყოს. ისინი აგრეთვე ცალკე ისვენებენ. ამ დროს მამაკაცები ჭალეზმა არ უნდა შეაწუხონ, სრულ მყუდროებაში უნდა ამყოფონ. საღამოთი იწყება ტრადიციული ცეკვები. ანთებენ სამსხვერპლო კოცონს და ასრულებენ სხვადასხვანაირ სარწმუნოებრივ რიტუალს. ცეკვები და ლითონის ნაჭრების ვლარუნი გვიან ღამემდე არ წყდება.

მასი, მრავალი სხვა ტომისაგან განსხვავებით ზორცს ხარშავს, მაგრამ უმარტილად შეეძლება. მათი საყვარელი სასმელია რძეში ათქვეფილი პირუტყვის სისხლი. სუფთა რძე კი, მათი რწმენით, ყველა ავადმყოფობის უებარი წამალია.

მასიის ტომის რიცხვიც ისევე კატასტროფულად მცირდება, როგორც ყველა სხვა მცირერიცხოვანი ტომისა. ამჟამად მასიი ინგლისელ კოლონიზატორთა მძიმე უღელქვეშ გმინავს. საუკეთესო მიწებიდან ისინი განდევნეს და ცალკე რეზერვაციებში მოამწყვდიეს.

გარდა მძიმე პოლიტიკური და ეკონომიური პრობლემისა, ჩამორჩენილ ტომებს საკუთარი ზნე-ჩვეულებანიც საშინლად აკლებს მუსრს. მიუხედავად ამისა, ამ ტომებში უფრო მეტი რა და საკვირველი ზნეჩვეულება არსებობს, ვიდრე ჩვენ ვიცით. ველურები მათ კიდევ დიდხანს შეინარჩუნებენ, რადგან ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებებისადმი მორჩილება მათში შეგნებაზე უფრო ძლიერია.

### კიდევ ერთი უცნაურობის შესახებ

კოროლინის კუნძულთა ჯგუფში (წყნარი ოკეანე) არის ერთი პატარა კუნძული იაბი. კუნძულზე ამავე სახელწოდების ხალხი ცხოვრობს. ეს ხალხი არაფრით არ განსხვავდება დაბალი განვითარების სხვა ტომებისაგან. როდესაც მათს სოფელში შედინართ, თქვენს განცდიერებას იწყებს თითქმის ყოველი ქოხის წინ დალაგებული უზარმაზარი მრგვალი ქვები, რომლებიც წისქვილის ქვებს მოგაგონებთ. ზოგი მათგანის დიამეტრი ორნახევარ მეტრამდე აღწევს. რაშია საქმე? თურმე ნუ იტყვი, ეს ქვები ფულის დანიშნულებას ასრულებენ.. დაიხ, ეს ფულია — სახელგანთქმული იაპური ქვის ფული, რომელსაც ადგილობრივ ფეის უწოდებენ. კუნძული იაბი და მის ირგვლივ გაბნეული პატარა-პატარა კუნძულები ერთადერთი ადგილია მსოფლიოში, სადაც ფული ქვისგან იბეჭდება.

ქვის ფულის კურსი იაპზე საკმაოდ მაღალია, რადგან მის მოპოვებას და დამუშავებას იაპები აწარმოებენ კუნძულ პალაუზე, რომელიც მთვანე მრავალ ასეულ მილზე მდებარეობს. ადვილი გასაგებია, რა სიძნელეებთან იქნება დაკავშირებული მისი დამუშავება და შემ-

დეგ პრიმიტიული ნაგებობ ჩამოტანა. ფულს ბამბუკის ჯოხს უყრიან და ისე გადააქვთ ერთი ადგილიდან მეორეზე. ამიტომ, რაც უფრო დიდია და უკეთ გამოთლილია ფეი, მით უფრო მეტია მისი ღირებულება. მაგალითად, კარგად დამუშავებული ორნახევარი მეტრის დიამეტრის ქვის ფულით კაცი მთელ პლანტაციას შეიძენს.

საინტერესოა, რომ ქვის ფულით სარგებლობენ მხოლოდ მამაკაცები. ქალებს თავიანთი «ფული» აქვთ. ეს ქილოფებია ან საღაფის ნივარები.

კუნძულ იაპზე ადგილობრივი ფულის არსებობა ადასტურებს, რომ აბორიგენები ჯერ კიდევ ევროპელთა აქ მოსვლამდე განვითარების შედარებით დაწინაურებულ საფეხურზე მდგარან. ამასვე ამტკიცებს იაპების კლასებლ დაუყოფი. იაპის მცხოვრებთა მეოთხედი მონურ მდგომარეობაშია. მათ მინგელეის უწოდებენ და ყველაზე ძნელ სამუშაოებს ასრულებენ. მონებს უფლება არ აქვთ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ საქმიანობაში, იქორწინონ თავისუფალ იაპზე და ა. შ.

კუნძული პირველად ესპანელებმა დაიპყრეს და აქ ექსპლოატაციასთან ერთად შემოიტანეს ჭლეტი და ტიფი. ამ დაავადებებმა მუსრი გააყლეს აბორიგენებს. ამითვე უნდა აიხსნას, რომ იაპზე იშვიათად შეხვდებით მოზარდებს. ეს საქმარისი ნიშანია იმისა, რომ იაპები ამოწყვეტის გზაზე დგანან.

### ღმერთისაგან ზორს მყოფნი

ე. წ. ჯუჯა ადამიანების გონებრივ ჩამორჩენას ზემორობით იმას მიაწერენ, რომ ისინი ყველაზე უფრო დაშორებულნი არიან ღმერთს, უფლის სიკეთე ასე დაბლა ვერ აღწევს, უფრო მაღლებში ნაწილდებაო. ასეა თუ ისე, ეს დაბალი ტანის ველურები რომ ყველაზე ჩამორჩენილები არიან, ფაქტია. ჯუჯა ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებიან ცენტრალურ აფრიკაში მცხოვრები პიგმეები. მათ არანორმალურად მსხვილი თავი, დაჭყეტილი თვალები, გაბრტყელებული ცხვირი და უცნაურად მოკლე ხელები აქვთ. მათი გონებრივი ჩამორჩენის ამავეი საქვეყნოდ ცნობილია. ჩვენ გვიჩნდა ცხოვერების თავისებურებებით უფრო საინტერესო სხვა ტომებზე შეეჩერდეთ. ისინი გვანცვიფრებენ არა მარტო თავიანთი გონებაშეზღუდულობით, არამედ ზოგჯერ გულტრყვილობითა და პატრიონებისათვ კი. ასეთია მაგალითად ბატვას





არმ ბატვას დაელაპარაკო, მისი „ენა“ უნდა იცოდეს, მკლავები უნდა ვასწიო ისე, რომ ხე-ლის გულები ქვემოთ გქონდეს, თითები შენკენ უნდა ამოძრავო მკლავებისა და მაკვების გაუ-ნარკველად და მხოლოდ ამის შემდეგ გაგიღიმებს და მოგიახლოვდება ბატვა. თუ ახლოს გაი-ცნობ, ბატვა სტუმართმოყვარეა. ის აუცილებ-ლად წვაიყვანს სოფელში, სადაც ტომის ბელა-დი სადღესასწაულო შეხვედრას მოგიწყობს თავიანთი ტრადიციული ცეკვებით. ცეკვებში აქ მონაწილეობას მხოლოდ მამაკაცები იღებენ. ქალები და ბავშვები ბატვას ცეკვას ვერც გაუძლებენ, რადგან ცეკვა 2—3 საათს კრძობდება შეუწყვეტლად. ე. ი. მანამდე სა-ნამ ყველაზე ამტანი მოცეკვავეებიც არ დაუცემიან.

ზანგების ერთერთი ტომის ბანტუს ენაზე ბატვა „პატარა ადამიანს“ ნიშნავს. მათი საშუ-ალო სიმაღლე 150 სმ არ აღემატება. ბატვას საკუთარი ენა არა აქვს და ლაპარაკობს მე-ზობლად მცხოვრები ზანგების ენაზე. მათი საერთო რაოდენობა 60 ათისამდე აღწევს და გაბნეულნი არიან ბანგვეულოსა და ტანგანიკას ტბის სანაპიროებზე, აგრეთვე რუნდას ოლქში. ბატვას ცალკეულ სოფელს მათი ბელადის სა-ხელი ჰქვია. მათი მთავარი საქმიანობა სირაქლე-მებზე და ანტილოპებზე ნადირობაა. პატარა შუბები და მოშხამული ისრები არ კმარა მათზე სანადიროდ, ამიტომ მონადირეები ჯგუფებად მიდიან. ხშირად მთელი ტომი გამოდის ხოლმე სანადიროდ. ისინი ანტილოპების ჯოჯს რკალი-ვით შემოერტყმებიან ხოლმე. მონადირეები ერთმანეთისაგან 50—70 მეტრის დაშორებით დგებიან და ფრთხილი ნაბიჯებით ავიწროებენ რკალს. ბოლოს ჯოჯს გზას მისცემენ იმ მხა-რის, საითაც წინასწარ მოშხადებული აქვთ ლიანების ბაღე. მასში გაბმულ ანტილოპებს გა-მაყრუებელი ყვირით ესხმიან თავს და ხოცა-ვენ. ხშირად ასეთ რკალში ღომიც ექცევა ხო-ლმე. მაშინ ნადირობა წარუმატებლად მთავრ-დება, ზოგჯერ ხიფათილიც კი.

ტბის ნაპირებიდან დაშორებული ბატვას ტო-მი წყალთან ახლოს მცხოვრები ბატვას ტომისა-გან ზნე-ჩვეულებებით განსხვავდება. ბანგვეუ-ლოს ტბის სანაპიროზე მცხოვრები ტომის წევრები სხეებისაგან განსხვავებით მიწას არ ამუშვებენ და ნაყოფის შეგროვებითა და თე-ვაობით კმაყოფილდებიან. ისინი ისე არიან მიჩვეულნი წყალსა და ჭიობს, რომ ლეგენდაც კი არსებობს თითქმის ფეხებზე საცურაო ფა-რფლები ჰქონდეთ. ისინი სწრაფად და სუსტუ-ქად მოძრაობენ გაუფლავ ჭიობებშიც კი, მა-გრამ სამაგიეროდ ძალიან უჭირთ სიარული ჩვეულებრივ გზაზე.

ყველაზე საინტერესო ამ „პატარა ადამიან-ებში“ მაინც პატრიონებია. ისინი ხმელეთის ტომებთან ვაჭრობას ისე აწარმოებენ, რომ

თვითონ არც კი ხვდებიან ერთმანეთს. ხელ-ღამეს ტბის ბატვა მოიტანს თევზს სანაპიროზე და დალაგებს გარკვეულ ადგილას. დღე ის ხმელეთის ბატვებს მიაქვთ და სამაგიეროდ მათთვის საჭირო ნივთებს ალაგებენ. რა თქმა უნდა, ევროპელ კოლონიზატორებს, მიუხედავად ყოველგვარი შევიწროებისა, ბატვაზე მორალუ-რი ზეგავლენა ვერ მოუხდენიათ. თორემ ადა-მიანთა ასეთი ურთიერთნდობა კაპიტალიზმის სინამდვილეში ყოველად წარმოუდგენელი იქნება. ესეც იმას მიეწერება, რომ ბატვა ღვთი-საგან მეტად დაშორებულია?

ინდოეთის ოკეანეში, ანდამანის კუნძულებზე მცხოვრებთ არ უწოდებენ „პატარა ადამი-ანებს“, მაგრამ ისინიც სწორედ იმ მცირე სიმა-ღლის ადამიანთა რიცხვს ეკუთვნიან, რომლე-ბსაც ჯუჯა ადამიანების სახელით ვიცნობთ. მათი საშუალო სიმაღლე 130 სმ არ აღემატება. ანდამანელებს ხუჭუქი თმები აქვთ, ხოლო კა-ნის ფერი შავი, როგორც ჩინური ლაქი. ისინი ყველაზე დაბრუნულ ჯუჯელებში ცხოვრობენ, ლიანებით დახლართულ და ტროპიკული მწე-რებით საცხე ჭიობებში, მაგრამ მწერებისაგან დასაცავად თხილთ იღვსავენ ტანს. ცხოვრობენ ნადირობითა და ველური ნაყოფების შეგროვე-ბით.

ანდამანელებისადმი მეცნიერების ყურადღება დიდი ხნიდან იყო გამახვილებული, რადგან ისი-ნი ყველაზე პრიმიტიულინი არიან ჩვენს პლა-ნეტაზე, მათი მატერიალური და საზოგადოებ-რივი განვითარების დონე ჩვენს წელთაღრი-ცხეამდე მხოთხე-მესამე ათასწლეულის ადამი-ანთა განვითარების დონეს არაფრით აღემატება.

მიუხედავად ასეთი დიდი ინტერესისა, მათ კუნძულებამდე მიღწევა მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულისათვის შეიქმნა შესაძლე-ბელი. ეს იმიტომ, რომ მის მისადგომებს „იკა-ვენს“ დინებები, რიფები და აღრინდელი ზომა-ღდებისათვის კუნძულებამდე მიღწევა სარის-კო საქმეს წარმოადგენდა.

ყოველდ გონებახელი ხალხია ანდამანელები. მათ ენაზე მხოლოდ ორი რიცხვითი სახელი არსებობს — ერთი და ორი, მათ არც იციან ორს ზვეთი თვლა, რის გამოც ყველაფერს — ოჯახის ნივთს, ნანადირევს, რაიმე ნადავლს და სხვა სავანს ორ-ორად ალაგებენ. თქვენ, წარ-მოიდგინეთ რა ჯაფა ადგათ ანდამანელებს, როცა სამამდე დასათვლელად ორ-ორად უნდა დალაგონ ყველაზე მძიმე ტვირთიც კი.


ანდამანელებს ცეცხლის მოპოვება არ შეუ-ძლიათ, ბუნების საკვირველებად თვლიან და დღე და ღამე ყარაულობენ. ცეცხლი ვისაც გაუქრება, სასტიკ სასჯელს იმსახურებს. თუ კი სიცოცხლეს შეუნარჩუნებენ, მხოლოდ იმი-სათვის, რომ ცეცხლი დაუბრუნოს ტომს, მა-გრამ ეს არც თუ ისე ადვილი საქმეა. ან უნდა მოპაროს მეზობელ ტომს, რომელიც ასევე

იყავს ცეცხლს, ან და ტყეში ხანძრის გაჩენას  
უნდა უცადოს.

ასეთია ე. წ. ველურ ტომთა თავისებურება-  
ნი. ის ჩვენთვის საკვირველი და საოცარია ში-  
უხედავად იმისა, რომ განვითარების ეს ეტაპი  
სხვადასხვა ფორმით ყველა ცივილიზებულ ერს  
გაუვლია.

ძნელია იმის შეგნება, რომ ოდესმე ჩვენი  
წინაპარი ისეთი ბარბაროსი იყო, როგორც უტი-  
ტაა, ან ისეთი გონებაზნელი, როგორიც ანდა-

მანელია. ძნელია გწამდეს, რომ ზეალ ღმერთი  
იმ ბარბაროსთა და გონებაზნელ ველურთა  
შთამომავალნიც ისევე იბრძოლებენ მშვიდობი-  
სათვის და დაიპყრობენ კოსმოსს, როგორც  
ჩვენ. ძნელია, მაგრამ საზოგადოების განვითარ-  
ების მკაცრი კანონი გვევალდებულებს გონე-  
ბის თვალთ ვუყურებდეთ ქეშმარიტებას და ამ  
წარსულის მოწამეთ ვთვლიდეთ კაცობრიობის  
ცოცხალ რელიქვიებად, რომლებიც აბლო მო-  
მავალში თამამად ჩადგებიან ჩვენს რიგებში.



გუგამ უნაჯიქიძე

მარკიზა

— დღეს ღვინოს კარგად შევხვდი, მე და ჩემმა ღმერთმა. — ჩაილაპარაკა მონტინის ქუჩაზე ბარბაქოთ მომავალმა რუბენამ. — ალბათ სამი საათი იქნება დაწყებული, ქალაქში ყველას სძინავს, ვინმე ქრისტიანი როგორ არ გამოჩნდება, პაპიროსზე მომივიდოს. — ბურტყუნებდა გზადაგზა.

ქუჩის კუთხეში სამ ახალგაზრდას მოჰკრა თვალი. „სტუდენტები იქნებიან“, — გაიფიქრა რუბენამ და ძალიან მოუწონდა მათთან საუბარი.

საერთოდ ასეთი ხასიათი ჰქონდა რუბენას — რაც უფრო მეტს სვამდა, ქუჩაში გამვლელი ქალები უფრო ლამაზები ეჩვენებოდა; ხოლო მამაკაცები კი უფრო სასიამოვნონი. მთვრალს ლაპარაკის საღერდელი ეშლებოდა და ყველა გამვლელთან ცდილობდა საუბრის გაბმას.

რუბენა ბარბაქოთ მივიდა მოსაუბრე ბიჭებთან. ისინი უმაღლე გაჩუმდნენ და ცნობისმოყვარეობით მიაჩერდნენ მუშტისოდენა ცხვირიან რუბენას.

— შეიძლება მოეუკიდოთ? დაბალმა მსუქანმა ბიჭმა ჯიბიდან ასანთის კოლოფი ამოიღო.

რუბენამ ნათვლი დაიარტყა და ნახევრად დახუჭული თვალები გაახილა.

— ბიჭებო, ღმერთს კაცი იმიტომ ვაუჩენია... — დაიწყო რუბენამ.

— გაამოს, გაამოს, ბიჭებო! — ჩაილაპარაკეს ბიჭებმა და რუბენას თავიდან მოშორების მიზნით გზა განაგრძეს.

რუბენა მიხვდა, რომ ბიჭებმა მიატოვეს. გულნატყვნა სევდიანად გააყოლა თვალი სიცილით მიმავალ ახალგაზრდას. მერე თითქოს ერთბაშად გაახსენდა, რომ ხელში პაპიროსი ეჭირა და მაგრად მოქაჩა, მოქაჩა მეორედ, მესამედ და, როცა დარწმუნდა, რომ პაპიროსი ჩამქრალი იყო, გულმოსულმა დაახეთქა ძირს და ბურღულენით განაგრძო გზა.

გზაში თვალები ეხუჭებოდა და დროდადრო ჩერდებოდა, თვალებს გაახელდა და ისევ განაგრძობდა გზას.

მალე პატარა ჩიხში შეუხვია და მაშინ გამოერკვა, როცა უზარმაზარმა შავმა ძაღლმა შეუღრინა.

შისისაგან საეცებით გამოფხიზლებული რუბენა შეჩერდა და მიაჩერდა შავ ძაღლს, რომელიც თითქმის წელამდე მისწვდებოდა კაცს. ძაღლი იდგა სამი მეტრის დაშორებით და იღრინებოდა.

— ვითომ ეხლა შენ გინდა, რომ მე ქუჩაში არ გამატარო? — ჰკითხა რუბენამ და ნაბიჯი გამომცდელად წაღვა წინ.

ძაღლმა შეუეცა და წინ წამოსვლა დაიბრია.

— თუ ძმა ხარ, რა დროს ხუმრობაა, ღამის ორი საათია. — უთხრა გულმოსულმა რუბენამ. მაგრამ ძაღლი არ ხუმრობდა. რუბენას გულმა გამალებით დაუწყო ცემა, როცა დაინახა, რომ მანძილი მათ შორის ერთი მეტრით შემცირდა.

— მოიცა, ვაჟკაცურად ვილაპარაკოთ, — დაუყვავა რუბენამ ძაღლს და შიშნარევი ღიზულით შეუმჩნევლად დაიწია უკან. — ახლა შენ ხომ იცი, რო კარგ საქმეს არ აკეთებ, ტყუილა გაპრაზნება იქნება? — განაგრძო რუბენამ და მაშინ დამშვიდდა, როცა მათ შორის მანძილი ისევ ერთი მეტრით გაიზარდა.

ძაღლი ღრენას განაგრძობდა.

— კაცო, შენი სახელი მაინც ვიცოდე! დაწყნარდი, ნუ იღრინები, ტყუილად ნერვებს რატომ იშლი ხომ ხედავ არსად არ გავრბივარ. დავიციდი, სანამ დაწყნარდები, მერე მე ჩემს სახლში წავალ და შენ კიდევ შენს სახლში დარჩები, — თქვა მოფერებით რუბენამ და ჯიბეებში პაპიროსს დაუწყო ძებნა. ხალათის ჯიბეში „პარიზის“ ცარიელი კოლოფი იპოვა. გულმოსულმა კოლოფი დაქმუქნა და გადაავლო, როცა ძაღლმა პაერში კოლოფს მოჰკრა თვალი, მანძილი ძაღლს და რუბენას შორის მეტრნახევრით შემცირდა.

— დაიცა, დაიცა, კაცო, ქაღალდი, ქვა არ გეგონოს. — იყვირა შეშინებულმა რუბენამ და მანძილი ძაღლამდე მეტრნახევრით ისევ გაზარდა. მერე შუბლზე ოფლი ჩამოიწმინდა და საწყლად თქვა:

— ახლა, შენ რა გეგონა, მე ჩემად ქვის დამრტყმელ კაცსა ვგავარ? კარგი, ძმაო, რაკი შენ ასეთი ჯიუტი ხარ, სულაც მეორე მხარეს გადავალ და ისე წავალ.

რუბენამ დააპირა ქუჩის მეორე მხარეს გადასვლა, მაგრამ ძაღლმა ღრენას უმატა და თვითონაც პარალელურად გადაინაცვლა ქუჩაში.

— დაწყნარდი, თუ ჩემი ძმა ხარ, არსადაც არ გადავდივარ. აჰა, დაწყნარდი და მოსიყვენე! — თქვა შეშინებულმა რუბენამ და ისევ ძველ ადგილს მიბრუნდა.

იგი ერთხანს ჩემად იდგა და მისჩერებოდა ძაღლს, რომელიც დაბალ ხმაზე იღრინებოდა.

— კიდევ დიდხანს ვიდგე ასე? ჰა, ვთქვათ, ერთი საათი ვიდგე, მერე მე რომ შენი ხასიათი ვიცი (უნდოდა ეთქვა — „შენი მურტალი ხასიათი ვიცი“), სახლში მაინც არ გამიშვებ. რა გაეწყობა, უკან დავბრუნდები. არ არის კარგი, დალოლ კაცს რომ სახლში შორი გზიდან მიშვებ, მე უკან კი დავბრუნდები, მაგრამ კაცის ცნობა ხომ უნდა იყოდე!..

ძაღლმა ისევ შეუღრინა.

— არა, ვანა ნაწყენი ვარ, ამას ისე გეუბნები, — უთხრა დსაშოშინებულად რუბენამ ძაღლს და ნელნელა უკან დაიხია.

რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ, როცა რუბენამ დაინახა, რომ მანძილი ძაღლამდე საკმაოდ გაიზარდა, სწრაფად შემოტრიალდა და სირბილით დააპირა ჩიხიდან გასვლა, მაგრამ უკვე გვიან იყო, ძაღლი ორი ნახტომით დაეწია რუბენას და კბილები მარცხენა ბარძაყში ჩაასო.

ის საღამო რუბენამ პასტერის სადგურში გაათია. დილით, როცა ექიმმა მუცელში მეორე ნემსი გაუქეთა, რუბენა სიმწრისაგან დაიღრია.

— რა იყო, გეტყინა? — ჰკითხა ექიმმა.

— არა, მეამა.

— რაკი ხუმრობის ხასიათზე მოხვედი, არა გიშავს რა. ახლა წადი და იმ ძაღლის პატრონებს კარგად გამოკითხე, ძაღლს ცოფის ნიშნები ხომ არა აქვს, ან ავად ხომ არ არის ამჟამად.

— ექიმო, ეგ რა კარგი ხუმრობა გეოღნია, — გაიცინა რუბენამ და თან შეეცადა წელში გამართულიყო.

— კი არ გეხუმრები, მართალს გელაპარაკები.

— კაცო, ძაღლმა მე მიკბინა, კიდევ მე წაიღე და გავიგო, ძაღლი როგორ ბრძანდება?!

— ძმაო, მე სალაპარაკოდ არა მცალია, ავადმყოფები მელოდებიან.

— არა, ექიმო, ზანა იმიტომ გითხარი, რომ გული მოგივიდეს! მე გეგონა ხუმრობდი. წავალ და იმ ძაღლის ამბავს ეხლავე გავიგებ, თუ ხელში არ შემომამკვდა.

— კარგად დაიმახსოვრე: თუ ძაღლი ავადმყოფი არ აღმოჩნდა, მაშინ მარტო ათი ნემსის გაკეთება მოგიწევს.

— ერთიც ვნახოთ და ავადმყოფი აღმოჩნდა, მაშინ? — იკითხა შეშფოთებულმა რუბენამ.

— მაშინ ორმოცდაათის.

— ორმოცდაათის, ეე! — შეშინებულმა რუბენამ ნანუნსარზე მოივლო ხელი.

„კაცო, ორმოცდაათის ნემსი ხუმრობა ხომ არ არის — ფიქრობდა ძაღლის ადგილსამყოფელისკენ მიმავალი რუბენა. — გამოდის, რომ სექტემბრამდე ნემსები უნდა ვიკეთო. მე რომ ჩემი ბედის ამბავი ვიცი, ძაღლი კი არა, მისი პატრონებიც ცოფიანები იქნებიან. ღმერთო, ერთხელ ჩემი შარიანი უფროსის მოხსნა გთხოვე, ის კი მთელი ობიექტის უფროსად გადაიყვანე. ჩემს ზურგიოს და ნოდარის გვეციები და ჩემი ცოლი ანჩაა წაღვერიდან ცოცხალი არ ჩამოგივიდეს მაშინ, თუ მე შენზე რამე მწყენოდეს. ეხლა ერთ რამესა გთხოვ და ეს მაინც შემიძრულებ: ის ძაღლი ცოფიანი ნუ იქნება, თორემ სექტემბრამდე მუცელში ორმოცდაათხუთჯერ ათვერშოკიანი ნემსი უნდა გამიკეთონ. ახლა შენ შეიძლება გაგეცინოს — ვეცაკისთვის ნემსის

გაკეთება რა არისო. შენთვის რომ მუცელში ნემსი გავეთებინათ, მაშინ, ჩემმა მზემ, აღარ გავცივებოდა, — ფიქრობდა რუბენა და ტკივილის შიშით წელში გამართვისა ეშინოდა.

„მერე ამისთანა რამე ვინახია, ძაღლმა შენ გიკბინოს და კიდევ შენ ეახლო და გამოკითხო, აბა, ჩემო „ზორბა“, (რუბენა თვითონ ვერ მიხვდა, რატომ შეარქვა ძაღლს „ზორბა“) ავად ხომ არა ბრძანდებით, ცოფი ხომ არ გაწუხებთ! ძაღლი კი არა, ძაღლის პატრონია დასაქვრი, ძაღლს რას ერჩი, ისიც ეყოფა, რომ ღმერთმა ძაღლად გააჩინა. თუ ღმერთმა ქნა და ძაღლს ცოფი არ აღმოაჩნდა, ათი დღის მერე მუხრანის ხიდიდან მტკვარში გადაეუძახებ და თან პაერში მივაყოლებ: აბა, ჩემო „ზორბა“, ხომ არაფერი გაწუხებს, იქნება ბრმა ნაწლავის ანთება გაქვს? ძაღლზე ხომ ჯავერს ვიყრი, მერე პატრონისაც არ დაივიწყებ. მაშინ მე რუბენა მახმიშვილი ნუ ვყოფილვარ, თუ ეს არ გადაეკეთო.

რუბენამ შორიდანვე მოკრა თვალი ქუჩაში მდგომ უზარმაზარ ძაღლს.

„ეს არის“, — გაიფიქრა რუბენამ და ჩიხში ჩასვლა ვეღარ გახვდა. ძაღლმა შენიშნა რუბენა და ღრწა დაუწყო.

„მეტი რაღა გინდა, შე პატრონსაკვდავო, რაღას იღრინები, არ გეყო, გუშინ რომ მიკბინე!“ რუბენამ ეზოში მოთამაშე პატარა ბიჭუნას მოჰკრა თვალი და თავისთან მიიხმო.

— ბიჭი, ერთი შენი სახელი მითხარი?

— თემური.

— თემური ძალიან კარგი სახელია. ერთი ეს მითხარი, ეს ძაღლი ვისია?

— რომელი, მარკიზა?

— მარკიზა არა, აი, ის დიდი ძაღლი.

— ეგაა მარკიზა.

— კარგი, მარკიზა იყო. მერე და ეგ მარკიზა ვისია?

— არავისი არაა. მაგის პატრონი ორი კვირის წინ მოკვდა და ძაღლი უპატრონოდ დარჩა.

— მერე და „უპრაველენიაში“ ვერ დარეკეთ? ვის გაუგია უპატრონოდ გაშვებული ძაღლი ქუჩაში ხალხსა კბენდეს!

— ჰო, ძია, წუხელაც უძებნა ერთ კაცს.

— წუხელი მე მიკბინა.

— თქვენ? მაშ თქვენ იყავით, მამაჩემმა რომ ექითთან წაგიყვანათ?

— როგორ, ის კაცი მამაშენი იყო? აბა, ერთი დაუძახე.

ბიჭუნა გაიქცა.

— მოიცა, მოიცა, ჯერ შენი სახელი მითხარი.

— თემური... — მიუგო გაკვირვებულმა ბავშვმა.

— ჰო, თემური, კაცო, წელან არ მითხარი! თემური, აბა ერთი გაიხსენე, მამაშენი რას მოჰყვა, საავადმყოფოდან რომ დაბრუნდა, მე გუშინ ცოტა ნახვამი ვიყავი და არაფერი მახსოვს.

— მამამ პირველმა გაიგონა ყვირილი და გარეთ გამოვარდა. საავადმყოფოდან რომ დაბრუნდა, ასე თქვა, დაკბენილს იმხელა ცხვირი ჰქონდა, რომ პირველად ასე მეგონა, მარკიზამ ცხვირზე უკბინა საცოდავსო.

— ეგ ცოტა მიუქარავს მამაშენს, — თქვა გაბრაზებულმა რუბენამ.

— ახლა დაეუძახო? — ჰკითხა თემურმა.

— არაა საჭირო, მამაშენი შენზე ჰკვიანი არ იქნება.

— მე ყველიფერში ხუთები მაქვს.

— ძალიანაც კარგი. შენი სახელი?

— თემური, — მიუგო განაწყენებულმა ბავშვმა.

— ჰო, თემური! ერთი ეს მითხარი, მაგ ძაღლს ცოფი ხომ არა აქვს, ან ავად ხომ არ არის.

— არა, ძია, ცოფი კი არა, ორი თვის წინ მარკიზამ გამოფენაზე მქდალი მიიღო. — მარკიზ, მარკიზ — დაუძახა მარკიზას ბავშვმა.

— მოიცა, მოიცა, კაცო, მეჯერა, — იყვირა შეშინებულმა რუბენამ და უკან დაიწია.

მარკიზა აავშეთან მივიდა და თან რუბენას შეუღრინა.

— მოდი, ჰია, ნუ გეშინია!

— მერე, ვინ გითხრა, რომ მეშინია. ეხლა ძაღლი ცოტა შორს წაიყვანე. — ბავშვმა ძაღლი იქაურობას მოკილა და ისევ რუბენასთან მივიდა.

— მაშ, შენ ამბობ, რომ ძაღლი ავად არ არის?

— არა, ძია, მარკიზას ავად რა ვახდის!

— ღმერთმა ისე შენ გაგახაროს, როგორც შენ მე გამახარე. შენი სახელი მითხარი.

— ნოდრი, — უთხრა გაბრაზებულმა თემურმა.

— ნოდრი?! მართლა, კაცო, ჩემს ბიჭსაც ნოდარი ჰქვია. აბა, კარგად იყავი, გენაცვალე.

მე ხვალ კ'დევ გამოვივლი. მაგ ძალს კარგად დააკვირდო; თუ რამე შენიშნო, ყველაფერი მითხარი.

ოემურობა გაკვირვებულმა გააყოლა თვალი ქუჩაში ძუნძულით მიმავალ რუბენს.

მეორე დღეს ნემსის გაკეთების შემდეგ რუბენამ მუცლის არეში მწვევე ტკივილი იგრძნო. გაბრაზებული ნერვიული ბუზღუნით აუყვა მონტინის ქუჩას.

„რ იმ წავიდე და უპრაველენიაში განვაცხადო, — ფიქრობდა რუბენა გზაში, — იცოცხლე მაგის ჯაგარს მე იქ ამომყრიან, მაგრამ ცოტა ლამაზი არ იქნება, შვიონობა გამოვა. ამხელა კაცმა ნამუსზე ხელი როგორ ავიღო! ისევ სჯობია, ჩვენი მეუბოვე ბაქირას ბიუს ხუთი თუმანი მიეცე და ძალი მუხრანის ხიდიდან მტკვარში გადავაგდებინო.. გუშინ ვინმე უფროსისთვის უნდა შეკითხნა ძალის განმრთელობა, აბა, პატარა ბავშვს რა დაეჯერება! ვინ იცის, რაც პატრონი მოუყვდა იმის მერე იქნებ დარდით ავად გახდა, მერე ძალღებმა როგორი დარდი იციან, იმიტომაც იორინებოდა ისე ძალიან!“ — შეეშინდა რუბენას.

რაცა ნაცნობ ჩიხს მიუახლოვდა, ქუჩაში ძალდი ვერსად დაინახა. იგი ფრთხილი ნაბიჯებით მიუახლოვდა იმ ეზოს, სადაც მარკოზა ეგულეობდა. ჰიშკრის ღრიკოდან შეიხედა.

ეზოში წამოწოლილმა მარკოზამ თვალი მოკრა რუბენის დიდ ცხვირს და ღრენით წამოღდა ფეხზე. მერე ღრენა შეწყვიტა და ჰიშკარს მიუახლოვდა.

„მაცნო!“ — გაითქრა რუბენამ და ძალდი კარგად შეათვალერა. მარკოზა არც ისეთი შავი აღმიჩნდა, როგორც იმ დამეს მოეჩვენა. ძალდი იყო მუქი წაბლისფერი და მარცხენა მხარზე აჩნდა პატარა თეთრი ხალი. რუბენამ შენიშნა, რომ ძალღს ერთი თვალი ცისფერი ჰქონდა, მეორე კი თაფლისფერი, და ვაოცდა.

„ისე, დიდი ზორობა რამე კია. რამხელა ენა და კბილები აქვს“. რუბენას ტანში გააფრეოლა, როცა გაახსენდა, როგორ ჩააფრინდა ძალდი ბარძაყში.

რუბენამ შენიშნა ძალღს ჩავარდნილი ფერდები.

„შე საცოდავო, ვინ იცის, რაც პატრონი მოგიყვდა, იმის მერე არაფერი გიჭამია“, — გაიღაქრა რუბენამ. მერე ერთბაშად შიში იგრძნო, — ერთიღ ვნახო და ძალდი შიმშილით ავად ვახდეს! მერე მე საიდან გავიგო, ჩემს კბენამდე იყო ავად თუ კბიხის შემდეგ? კაცო, ეს რა ხათაბალაში გაეებო? ორმოცდაათნი ნემსის გაკეთებას სჯობია ეს შვიდი დღე ნახევარ-ნახევარი კილო პური ვაჭამო!“

რუბენას ნაფიქრალი ჰქუაში დაუჯდა და მონტინის ქუჩაზე დუქნისაყენ წავიდა.

— ერთი ლუდი დასახი და ორი „სლოიკაც“ მომეცი.

რუბენამ ჯერ ლუდი დალია, მერე „სლოიკები“ ილიაში გამოირტო და უკან გასწია.

გზაზე ეზოში პატარა ძალდი შენიშნა. ძალზე დაინტერესდა გაეგო, ამ ძალღსაც სხვადასხვა ფერის თვალები ჰქონდა თუ არა.

თითქმის ხუთი წუთი იტრიალა ეზოსთან, მაგრამ შორიდან ვერაფერი შეამჩნია.

როცა ჰიშკართან მივიდა, ძალზე ვაოცდა — მარკოზა იმავე ადგილას დახვდა.

— შე უბედურო, როგორ მიხვდი, რომ შენთვის საჭმელი მომქონდა. ამდენი ჰქუა თუ გქონდა, რას მერჩოდი უდანაშაულო კაცს?!

რუბენამ ფუნთუშები ღრიკოდან ჩაუყარა მარკოზას. ძალღმა ჯერ ფუნთუშებს დახედა და მერე ღრიკოში გამოყოფილ რუბენას მუშტის სიმასხო ცხვირს.

— ჰამე, ჰამე, ნუ გრცხვენია! ოლონდ დაიმასხოვრე, ისეთი არაფერი უნდა გააკეთო, რომ კაცის თვალებში შეხედვა შეგრცხვეს!

ძალდი ისევ იღდა.

— ჰამე, ნუ გეშინია, მოწამლული არაა.

მარკოზამ ფუნთუშები დაყნოსა და ჰამას შეუღდა.

მეორე დილას რუბენამ ორი დღის საჭმელი ერთად მოიტანა. მარკოზას შებატოებდა აღარ დასჭირვებდა, ისე შეეცქა საჭმელს და თან მადლიერი თვალებით მისჩერებოდა რუბენას მუშტის სიმასხო ცხვირს.

— ეს საჭმელი ზეგამდე უნდა გეყოს, ხვალ მთელი დღე ვერ გიახლები, თუ შენ შემოგაჩერდი, ამ თვეში ხუთას მანეთსაც ვერ გამოვიმუშავებ. მერე ჩემს შვილებს აგარაქზე ფულს შენ გაუგზავნი, თუ?

რუბენა სამუშაოდან დაღლილი დაბრუნდა, მაგრამ ძალღზე ფიქრი არ შორდებოდა. „იგი თუ ცოფის ნიშნები აქვს? სექტემბრამდე მუცელში ნემსები ჩემმა მტერმა იკეთა“, — ფიქრობდა ძილის წინ რუბენა და ლოგინში შამფურით ტრიალებდა.

ერთი დღის შემდეგ რუბენამ მოხარული ხორცი წაუღო მარკიზას. ეზოში მოთამაშე პატარა თემური შორიდანვე ყვირილით გამოექანა რუბენასაკენ.

— ძია, მარკიზა გუშინ დაიჭირეს და წაიყვანეს.

— როგორ წაიყვანეს?! — შეშინდა რუბენა.

— გუშინ ვილაყეები მოვიდნენ მანქანით, მარკიზა ბაღში გაახვიეს და წაიყვანეს, მამამ თქვა, ორთავალაში ტყავს გააძრობნენ.

— ესლა შევა გოჯია გაძმარე? მერე მე როგორღა გავიგო ძალდი ცოფიანი იყო თუ არა?! — იყვირა სასწრაფოკვეთილმა რუბენამ.

თემური გაკვირებული მისჩერებოდა მას და ვერ გაეგო, რად სწყინდა იმ ძაღლის სიკვდილი, რომელმაც ფეხზე უბინა.

რუბენა ძუნძულით გავიდა მონტინის ქუჩაზე და პირველი შემხვედრი ტაქსით ორთავალისკენ გასწია.

„ვთი თუ ველარ მივუსწრო“, ფიქრობდა გამწარებული რუბენა და შუბლზე ცივი ოფლი ასხამდა.

განყოფილების დირექტორას ოთახში ძაღლების ყველა ისმოდა ღია ფანჯრებიდან.

— გუშინ თქვენმა ბიჭებმა ჩემი ძაღლი დაიჭირეს! — აქაქანდა რუბენა მისვლისთანავე.

— ძაღლს, ჩემო ძამია, მოელა უნდა, — მიუგო თეთრკიტელიანმა მსუქანმა კაცმა, რომელსაც თავზე ჩაღის შლიაბა ეხურა და ცხვირსახოცი თუბლზე ოფლს იწმენდა.

— ძმურად გეხუფებ, ის ძაღლი გამოუშვა.

— თუა ცოცხალი — კი. ვადაიხდი ოცდაათ მანეთ ჯარიმას და აიღებ ნომერს.

— ბატონო, ორმოცდაათს ვადაიხდი, ოღონდ გამოუშვი.

— ვალოკო, გაყვიე ერთი ამ კაცს, მონახვიე თავისი ძაღლი.

მოხუცი კაცი რუბენას გაუღღვა გალიებისკენ, საიდანაც ძაღლების გულისწამლები წყმურტუნი ისმოდა.

— შენი ძაღლი რა ჯიშისაა?

— დიდი, წაბლისფერი ძაღლია, მარცხენა მხარეს პატარა თეთრი ხალი აქვს.

— თეთრი ხალი? ეე, დაგავიანდა, ჩემო ძმარ, ის უკვე გაისტუმრეს საიქიოს.

— როგორ, გაისტუმრეს? — რუბენას შიშისაგან ძარღვებში სისხლი გაეყინა.

— აბ, თუმცა არა, იმ ძაღლს ხალი მარჯვენა მხარეს ჰქონდა.

— აბა, ეგეთი ხუმრობა იქნება, კაცს კინაღამ გული გამისკდა!

მერე ეჭვი შეეპარა — ვინ იცის, ხალი იქნებ მარჯვენა მხარეს ჰქონდაო. ერთბაშად რუბენას ბოხი ყეფა მოესმა. მან იცნო მარკიზა, რომელიც რუბენას დანახვით გახარებული გალის კედლებს ასკვდებოდა.

— ესაა, ესაა ჩემი, ბატონო! ახლავე გამოუშვი!

— ძალიანაც კარგი, ახლა შენ სადაც იყავი, იქ წადი, ჯარიმა ვადაიხადე და ძაღლსაც იქ მოგიყვან.

— თუ ძმა ხარ, არსად გაგექცეს.

— კაცო, პურს ამითი ექამ, როგორ გამექცეს! — გაჯერდა ვალიკო.

რუბენამ ჯარიმა ვადაიხადა და ქუჩაში დაელოდა ძაღლის გამოყვანას.

ვალიკომ თოქმონებული მარკიზა ქუჩაში გამოიყვანა, ხოლო თოქის ბოლო რუბენას მისცა ხელში.

გახარებული ძაღლი მკერდზე შეაბტა რუბენას.

გაბრალებულმა რუბენამ, რომელსაც ჯიბეში ტრამეაის ფულიც აღარ დარჩა, მუცელში წიხლი ამოსცხო მარკიზას.

— წამოეთრიე, შე ეშმაკის თესლო! — ბურტყუნებდა რუბენა.

გზაში პატარა ბავშვები აედევნენ.

— ძია, ძია, სად მიგყავს ძაღლი?

— მაშიჩემის მამასთან.

— ძია, ძია, მაშიშენის მამა სად არის?

— დაიკარგეთ, თქვე ციხის შეილებო! — გააცხლდა რუბენა.

ბავშვები სიცილ-ხარხარით გაიქცენ უკან.

— აბა, ახლა აქ ეგდე, — უთხრა რუბენამ ძაღლს, როცა რკინის კიშკართან მოათრია. — ეს ხელი დღე კიდევ ნურათფერი დაგემართება და მერე თუ გინდა, წითელი ხურეებაც შეგყრია, ამოვარდეს შენი ჯიბი და დაიქცეს შენი გაჩენის საათი!

რუბენამ მოხარული ხორცი ძალს მიუგდო და აღრენილი წაიდა სახლისკენ. მოსახვედში უკან მოიხედა და დაინახა, რომ ძალი მას მისდევდა.

— ახლა სახლშიაც არ მომსვენო, დაიკარგე აქედან! — დაბაკუნა ასფალტზე ფეხები რუბენამ. მარჯობა უკანა ფეხებზე ჩაჯდა და რუბენას მიაჩერდა. რუბენამ გზა განაგრძო. ათი ნახიჯის გავლის შემდეგ მოიხედა და დაინახა, რომ მარჯობა ისევ უკან მისდევდა. რუბენა ისევ გაჩერდა. მარჯობაც გაჩერდა და უკანა ფეხებზე ჩაჯდა.

გაბრაზებულმა რუბენამ ქვა ესროლა ძალს. როცა აწყმურუნებელი მარჯობა უკან გაიქცა, რუბენამ მაგრად შეუქურთხა და მონტინის ქუჩაზე დაეშვა.

ჭრელქოლგინამ მსუქანმა ქალმა გაოცებით გააყოლა თვალი ქუჩაში ბურტყუნითა და გინებით მიმავალ რუბენას.

სალამოს რუბენა სახლში მთვრალი დაბრუნდა. ეზოში მოფუსფუსე ანეტას სალამომშვიდობისა უსურვა და ბარბაცით აუყვა სახლის კიბეებს, სამი საფეხურიც არ ჰქონდა ავილი, რომ გაოცებისაგან გაშტერდა: თავისი კარების წინ მარჯობა დაინახა. რუბენამ ჯერ არ დაიჯერა, ალბათ მეჩვენებოდა, მერე თვალები დახუჭა და ისევ გაახილა. მაგრამ მარჯობა მაინც დაინახა. ძალი ქანდაკებასადაც გაუნძრევლად იდგა და თვალეში მისჩერებოდა რუბენას.

რუბენა ერთხანს ჩუმად იყო, ხმის ამოღებას ვერ ბედავდა, ეშინოდა — გულაჩუყებულს ცრემლები არ წამსკდესო თვალებიდან. მაგრამ მან თვითონ ვერ შეინიშნა, როგორ ჩამოუფორდა მსხვერპლი ცრემლი მუშტისორდენა ცხვირზე.

სამსახურის შემდეგ ჩვეულებრივზე მეტი დალია რუბენამ, ამიტომაც იყო, რომ ქუჩაში გამძლევი ქალები ჩვეულებრივზე უფრო ლამაზები ეჩვენებოდნენ, ხოლო ლამაზი ჩვეულებრივზე მეტად სწყუროდა რუბენას.

რუბენამ კიბე აიარა და სახლის კარები გააღო.

— რაღი მოსულხარ, სახლშიაც შემოდი, — უთხრა რუბენამ ძალს.

ძალი ოთახში შევიდა და იქაურობა მოათვალიერა.

— რა იყო, არ მოგეწონა? შენი ძველი პატრონი ალბათ უფრო უკეთ ცხოვრობდა. რას იხამ, ცოტა ღარიბულად ვცხოვრობთ, — თქვა რუბენამ და მეორე პატარა ოთახიდან სკამი გამოიტანა,

— ახლა დაბრძანდი რომ გითხრა, შენ ხომ სკამზე ვერ დაჯდები, ისევ სჯობია აქეთ მოიწიო საწოლისაკენ. ისე არა გეშავს, საწყალი კაცის პირობაზე, შენ რას იტყვი, პა?!

მარჯობამ თავი დააქნია.

— თავს ისე იქნევ, ვითომ რაც გითხარი, ყველაფერი გაიგე. თუმცა რატომაც არ გაიგებდი, ზოგი ძალი კაცზე ჰქვიანია. ისე შენ დიდი ჰქუა ვერ გამოიჩინე, როცა ბარბაცნი ჩამაფრინდი, რუბენამ მაიკვირებდა ძხვი, პური და ბოთლი ღვინო გამოიღო.

— ეს ხორცი და პური ხელ შენთვის უნდა ამომეტანა, მაგრამ არა უშავს, დღეს შევამე, ზვალ მაღალი ღმერთი მშვიერს არ დაგეტოვებს, — რუბენამ ძალის კუთვნილი ულუფა ალუმინის თეფშზე დააღავა და მარჯობას წინ დაუდგა.

— მე ბევრი პატივი არ მიყვარს. ადგილი და ჰამე.

რუბენამ ჩაის ჰქუა ღვინით აავსო.

— მოდი, ამ შუშით ჩემი ოჯახი ვაძლევგრძელოთ თავის ხანეკითა და შეილებით. აი, შუშაში იმ სურათს ხომ ხედავ, ჩემი ანიჩკა, იქით ჩემი უფროსი ბიჭია, ზურაბი, აქეთ კი უმცროსი ბიჭი — ნოდარი, ახლა ეგენი სამთავენი წალვერში არიან და არც კი იციან, რომ ჩვენს ოჯახს ახალი წევრი შემოგვტანა.

ჩემი დედაცაც კარგი ქალია. თუმცა სულ მიშლის ღვინის მსას, რა ვუყოთ, ხელმოკლედ ვცხოვრობთ. აი, ჩემს პატარა ბიჭს, ესე იგი ნოდარს, ყელში ჯირყულები აქვს, კარგი მოვლა სჭირდება. მე კი რომ არ დავლიო, არ იქნება. დაღამება იმიტომ მიხარია, რომ საღამოთი უნდა დავლიო. კინოში მე არ დავდივარ და თეატრში. კოვერკოტის კოსტუმებს კიდეც მე არ ვიცერავ. ხანდახან რომ ცოტა დავლიო, მერე რა მოხდა! ჩემს ბიჭებს არაფერს მოვყავლებ და არც არავის დავაჩაგვრინებ. ჩემს ზურაბს რომ ორიაინი დაუწერეს, სკოლაში ისეთი ჩხუბი აეტებ, რომ მამაწავლებლები შემინებელი წიწილებივით დაიფანტნენ. პოდა, ესე იგი, ჩემს შეილებს არაფერს მოვყავლებ... მაღლობა ღმერთს, გამომუშავება კარგი მაქვს. ამიტომ საღამოთი დაღვევაც მეკუთვინის. ამ მაიკვიარს ხომ ხედავ, რითი ვიყიდე? იმითი ვიყიდე, რომ ორი თვის წინ ექვსასი მანეთი პრემია მივიღე, დანარჩენი მოგარევილი გვქონდა. პრემია რატომ მივიღე? იმიტომ, რომ კარგად ვმუშაობ, ესე იგი, დაღვევაც მეკუთვინის. მე ჩემს ზურაბს და ნოდარს არაფერს მოვყავლებ. ესე იგი, ჩემი ანიჩკა კარგი ქალია, და მეც დაღვევის უფლება მაქვს... იქნებ სწორს არ ვაკეთებ?! არც ის იყო სწორი, რომ შენ ბარბაცზე მივიბინე, მაგონებ, ხომ ხედავ, ახლა ღვინოს





0. 149/25



ՅՆԵՆ 60 ՅՅՅ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

„Ц И С К А Р И“

ИЗДАТЕЛЬСТВО  
„САБЧОТА МЦЕРАЛИ“